

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
ნინო ქათამაძე



პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის
სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი

სადისერტაციო ნაშრომი
სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ცისკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის დოქტორი

თბილისი
2020

სარჩევი

შემოკლებანი	5
სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი.....	7
I. შესავალი	12
II. პირადი არაქონებრივი უფლებების არსი კერძო სამართალში	16
1. პიროვნული უფლების ცნება	16
1.1 პირადი არაქონებრივი უფლების ქონებრივი ელემენტი.....	18
1.2 პიროვნული უფლების და პირადი არაქონებრივი უფლების მიმართება	29
1.3 ზოგადი პიროვნული უფლების კერძო და საჯაროსამართლებრივი ცნებების მიმართება.....	32
1.4 ზოგადი პიროვნული უფლების გავლენა სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობაზე.....	37
2. პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების განვითარება.....	45
2.1 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია საქართველოში	45
2.2 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია კონტინენტურ-ევროპულ სამართალში.....	48
2.3 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია ანგლო-ამერიკულ სამართალში.....	54
III. პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების შინაარსი.....	59
1. პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების მექანიზმი	59
1.1. სამოქალაქო უფლების განხორციელების არსი და მისი ელემენტები.....	59
1.2 ინდივიდუალური შემხებლობა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების მექანიზმის ელემენტი.....	61
1.3 იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელების თავისებურებანი.....	66
1.4 პირადი უფლების განხორციელების და სამოქალაქო უფლების განხორციელების მექანიზმების მიმართება	70
2. პიროვნული უფლების განხორციელების გამიჯვნა იმავე უფლების დაცვისგან	73
2.1 პიროვნული უფლების დაცვის ზოგადი წინამძღვრები	73
2.2 უფლების დაცვის ზოგადი ელემენტების გავლენა პიროვნული უფლების დაცვაზე... ..	76
2.3 პიროვნული უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადები.....	80
IV. სახელის, გამოსახულების, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაცვის არაქონებრივი საშუალებები	82
1. სახელის უფლების ცნება.....	82
1.1 სახელის უფლების შინაარსი.....	82
1.2 სახელის უფლების დუალისტური ბუნება.....	86
2. სახელის უფლების ხელყოფის ხერხები	90
2.1 ფიზიკური პირის სახელის უფლების დარღვევის შემთხვევები.....	90
2.2. იურიდიული პირის სახელწოდების დარღვევის შემთხვევები	92
3. გამოსახულების უფლების არსი.....	95
3.1 გამოსახულების უფლების დაცვის მნიშვნელობა	95
3.2. გამოსახულების უფლების დარღვევის ხერხები.....	100

4. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის წარმოშობის წანამძღვრები.....	104
4.1 პირადი ცხოვრების ცნება.....	104
4.2 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.....	110
4.3 პირადი ხელშეუხებლობა.....	117
4.3.1 ინტიმური სფერო.....	119
4.3.2 კერძო სფერო.....	122
4.3.3 კერძო სფეროს სივრცითი ფარგლები.....	124
4.3.4 კერძო კომუნიკაციის დაცვა.....	127
4.3.5 სოციალური სფერო.....	132
5. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დარღვევა.....	133
5.1 არსებითად ჭეშმარიტი ფაქტების გავრცელება, როგორც პირადი ცხოვრების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა.....	133
5.2 პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის ფარგლები.....	136
6. სახელის, გამოსახულების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის არაქონებრივი საშუალებები.....	137
6.1 ფიზიკური პირის სახელის უნებართვო გამოყენების აღკვეთა.....	137
6.2 ფიზიკური პირის სახელის უფლების აღიარება.....	140
6.3 იურიდიული პირის დაცვა სახელწოდების უნებართვო გამოყენებისგან.....	142
6.4 იურიდიული პირის სახელწოდების უფლების აღიარება.....	143
6.5 გამოსახულების უფლების დაცვის არაქონებრივი საშუალებები.....	143
6.6 გამოსახულების უფლების დაცვის ფარგლები.....	146
6.7 პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებები.....	151
V. პატივის, ღირსებისა და საქმიანის რეპუტაციის დაცვის არაქონებრივი საშუალებები.....	156
1. პატივის ცნება.....	156
2. ღირსების ცნება.....	157
2.1 პატივისა და ღირსების კონსტიტუციური და კერძოსამართლებრივი ცნებების მიმართება.....	158
3. საქმიანი რეპუტაციის არსი სამოქალაქო ბრუნვაში.....	161
3.1 საქმიანი რეპუტაციის ცნება.....	161
3.2 საქმიანი რეპუტაციის მიმართება პატივისა და ღირსებასთან.....	163
4. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ხერხები.....	165
4.1 არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება, როგორც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა (ცილისწამება).....	165
4.2 აზრისა და ფაქტების გამიჯვნის პრობლემა.....	173
4.3. პიროვნულ უფლებებსა და გამობატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტი.....	178
4.4 შეურაცხყოფა და უხამსობა.....	184
4.5 განსხვავება ზიანი მომტანი ცნობების გახმაურებასა და ცილისწამებას შორის კონტინენტურ-ევროპულ და საერთო სამართლის ქვეყნებში.....	187
5. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის არაქონებრივი საშუალებები.....	194
5.1 გავრცელებული ცნობების უარყოფა, როგორც პიროვნული უფლებების დაცვის არაქონებრივი საშუალება.....	196
5.2 საპასუხო ცნობების გავრცელება.....	200
5.3 შესწორების, განვრცობის, ახალი საბუთის გაცემის მოთხოვნა და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება, როგორც დაცვის არაქონებრივი საშუალებები.....	203
VI. ზიანის ანაზღაურება, როგორც პიროვნული უფლების დაცვის საშუალება.....	206
1. პიროვნული უფლების ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების წანამძღვრები.....	206

1.1 პიროვნული უფლებების დარღვევისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები	208
1.2 ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი	211
2. არაქონებრივი (მორალური) ზიანის არსი, მიზნები და კრიტერიუმები	214
2.1 არაქონებრივი (მორალური) ზიანის შინაარსი	214
2.2. კომპენსაცია	218
2.3. არაქონებრივი ზიანის პრევენციული ფუნქცია და მისი მიმართება ნომინალურ ზიანთან	220
2.4. სატისფაქცია (დაკმაყოფილება) და მისი სუსტი მხარეები	224
2.5. რეპრესიული ფუნქცია	228
2.6 დანაშაულებრივი და სხვა სახის ხელყოფის გავლენა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე	230
2.7 ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გავლენა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე	235
VII. დასკვნა	238
ბიბლიოგრაფია	253

შემოკლებანი
ქართულ ენაზე:

გვ. გვერდი

გვრ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

სსკ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

გსკ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ე.ი. ესე იგი

ე.წ. ეგრეთ წოდებული

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იხ. იხილეთ

მუხ. მუხლი

რედ რედაქტორი

სსიპ საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შდრ. შეადარეთ

შპს შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება

მაგ. მაგალითად

უცხოურ ენებზე:

Abs. Absatz

ABA Tort liability System

AGBG Allgemeines bürgerliches Gesetzbuch

BAGE Entscheidungen des Bundesarbeitsgerichts

BGB Bürgerliches Gesetzbuch

BGH Bundesgerichtshof

BvR. Verfassungsbeschwerden

BverfG Bundesverfassungsgericht

CFR Common Frame of Reference

DCFR Draft Common Frame of Reference

GG Grundgesetz

GRUR Gewerblicher Rechtsschutz und Urheberrecht

Hrsg. Herausgeber

BAGE Entscheidungen des Bundesarbeitsgericht

Müko Münchener Kommentar

MDR Monatsschrift für deutsches Recht

NJW Neue juristische Wochenschrift

Rn. Randnummer
RG Reichsgericht
RGZ Entscheidungen des Reichsgerichts in Zivilsachen
F folgende
m.w.Nachw. mit weiteren Nachweisen
Anm Anmerkung
ZR Zivilrecht
BGHZ Entscheidungssammlung des Bundesgerichtshof in Zivilsachen
JuS Juristische Schulung
Jz Juristenzeitung
LAG Landesarbeitsgericht
n.F neue Fassung
OLG Oberlandesgericht
StGB Strafgesetzbuch
KUG Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste
und der
Photographie
KunstUrhG Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden
Künste und der Photographie
BDSG Bundesdatenschutzgesetz
VG Verwaltungsgericht
ZPO Zivilprozessordnung
OGH Oberster Gerichtshof (Österreich)
ZGB Schweizerisches Zivilgesetzbuch

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

ნინო ქათამაძე

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება:

„პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი“

საკვანძო სიტყვები: პიროვნული; არაქონებრივი; უფლება; დაცვა; საშუალება.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

მაუწყებლობის საშუალებების დახვეწამ და თანამედროვე საზოგადოების ინფორმაციული დიაპაზონის ზრდამ პიროვნულ სფეროში თავისუფლად შეჭრის მეტი საფრთხეები გააჩინა. აღნიშნული პროგრესის კვალდაკვალ, საყოველთაოდ აღიარების მიუხედავად, ადამიანის პიროვნული უფლებები მუდმივად საფრთხეშია, რადგან თანამედროვე რეალობაში არსებული საშუალებებით წარმოუდგენლად არის გართულებული საკუთარი ცხოვრების მხოლოდ ეგოცენტრული სურვილების შესაბამისად წარმართვა. დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად უმნიშვნელოვანესი გამოცდილება და იურიდიული ბაზა დაგროვდა. ქართული სამართლის ევროპეიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია, რომ იურიდიული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა არ ჩამორჩეს საზოგადოების განვითარების დაჩქარებულ ტემპებს და გონივრულ შესაბამისობაში იყოს პროგრესულ მართლწესრიგებში დანერგილ სტანდარტებთან. პირადი არაქონებრივი უფლებების ჭრილში ეს გულისხმობს საერთაშორისო დონეზე გამოცდილ და ეფექტურ დაცვის მექანიზმების იმპლემენტაციას არსებულ საკანონმდებლო სივრცესა და სასამართლო პრაქტიკაში. დოქტრინალური ანალიზის შედეგად იკვეთება მრავალი პრობლემური ნიუანსი, რაც ერთის მხრივ, გამოწვეულია მწირე და ბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზის არსებობით, ხოლო მეორე მხრივ, თავად არაქონებრივი უფლებების რთული და მრავალწახნაგოვანი სამართლებრივი ბუნებით, რაც ასევე აფერხებს საკითხის ირგვლივ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

ნაშრომი მიზნად ისახავს პირადი არაქონებრივი უფლებების გავრცელების, განხორციელების და დაცვის მექანიზმების კვლევას სასამართლო პრაქტიკისა

და დოქტრინის ურთიერთკავშირში, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო საკითხია თანამედროვე ცივილისტიკაში. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში პირადი არაქონებრივი უფლებების ფართო სპექტრიდან განზოგადებული იქნება ცალკეული პიროვნული უფლებების განხორციელების და დაცვის მექანიზმები, რაც ბუნებრივად მოითხოვს დაცვის სამიზნე უფლებების შინაარსობრივი მხარის შესწავლას და ამ უფლებებით დაცული ღირებულებების ერთმანეთისგან გამიჯვნას, შემდგომ ამ უფლებებით დაცული სფეროების დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირებას და ბოლოს დაცვის საშუალებების დეტალურ ანალიზს ღირებულებათა წინააღმდეგობის ჭრილში.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სტრუქტურული თვალსაზრისით ნაშრომი შედგება 7 თავისგან. პირველი თავი ეთმობა შესავალს. მეორე თავი მოიცავს პიროვნული უფლებების არსისა და შინაარსის ანალიზს კერძო სამართლის სისტემაში. მესამე თავში გაანალიზებულია პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელებისა და დაცვის სამართლებრივი ასპექტების ურთიერთმიმართება. მეოთხე და მესხუთე თავები აღწერს ცალკეული პიროვნული უფლებების შინაარსს და დარღვევის შემთხვევებს, რაც კლასიფიცირებულია დარღვევათა იდენტური ხერხების მიხედვით, ასევე მათთვის დამახასიათებელი დაცვის სპეციალური არაქონებრივი საშუალებების მიხედვით. მეექვსე თავი ეთმობა ზიანის ანაზღაურებას, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსში რეგულირებული ყველა პიროვნული უფლებისთვის უნივერსალურ ქონებრივი ტიპის დაცვის საშუალებას. ნაშრომის დასკვნითი მეშვიდე თავი აღწერს კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებსა და მიგნებებს, რაც ნაშრომზე მუშაობის პროცესში იქნა გამოვლენილი

ნაშრომის მეთოდოლოგიურ კვლევის საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგად-სამეცნიერო, ისე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები. ზოგად-სამეცნიერო მეთოდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა პიროვნული უფლებების დაცვის თაობაზე სამართლებრივი მოძღვრების განვითარების ისტორია როგორც კონტინენტურ-ევროპული სამართლის ქვეყნებში, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში. სპეციალური-სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიიდან შერჩეულ იქნა დოკუმატური, ნორმატიული და სისტემური ანალიზის მეთოდები.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება

და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი წვდომისთვის და თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა კონცეპტუალური საკითხის სისტემური ანალიზის შედეგად წარმოჩინდა, თუ რამდენად უზრუნველყოფს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ქართული მოდელი საიმედოობის იმ სტანდარტს, რაც პროგრესული მართლწესრიგების მიერაა დადგენილი ინფორმაციული ეპოქისთვის დამახასიათებელი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. კვლევის შედეგების შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნების და რეკომენდაციების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში ხელს შეუწყობს პიროვნული უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრებას ევროპულ სამართალში დამკვიდრებული ღირებულებების შესაბამისად და პროგრესული მართლწესრიგის მიერ ჩამოყალიბებული დოგმებისა და პრინციპების გააზრებულ იმპლემენტაციას, რაც აუცილებელია ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში არაქონებრივი უფლებების დარღვევის სამართლებრივი შედეგების და პასუხისმგებლობის საფუძვლების გაუმჯობესებისთვის, რაც არა მხოლოდ გამორიცხავს უსამართლო სამოსამართლო სამართლის საფრთხეებს, არამედ დამაჯერებლად აღქმადს გახდის საზოგადოების თითოეული წევრისთვის მისი სულიერი სამყაროს დაცულობას. პიროვნული სფეროს დაცვის და განჭვრეტადი დაცვის მექანიზმების არსებობას კი, თავის მხრივ, გააჩნია უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საქართველოსთვის ევროკავშირთან დაახლოებისკენ მიმავალ გზაზე.

Abstract of a Thesis

Nino Katamadze

Title of the Thesis:

Civil and Legal Mechanisms to Protect Personal Non-property Rights

Keywords: personal; non-property; right; protection; means.

1. The relevance, innovation and novelty of the research

The development of broadcasting means and expansion of information diapason of modern society created more threats of invasion in a private area. In parallel to the progress, despite general recognition, the personal rights of a contemporary person are under continuous threats as in currently available facilities make it unimaginably tricky for a person to manage his/her life only under his/her egocentric wishes. In the western countries' Civil Law, there is a significant level

of experience and legal database due to the judiciary practice. Through the process of Europeanisation of the Georgian Law, it is of utmost importance the legal doctrine and judiciary practice not to lag behind the accelerated pace of the social development and be in reasonable compliance with the standards introduced in progressive judiciary systems. In the framework of personal non-property rights, it implies the implementation of experienced and efficient protection mechanisms in the current legislative area and judiciary practice. The doctrine-related analysis highlights numerous problematic nuances that are caused by scarcity and vagueness of the legislative base, and, on the other hand – it is caused by the complicated and diverse legal character of non-property rights, that also plays a role of an obstacle for the establishment of homogenous legal practice around the issue.

2. Purpose and objectives of the research

The work aims to study the mechanisms of dissemination, implementation, and protection of personal non-property rights through the interconnection of the judiciary practice and doctrine, which represents one of the essential issues in modern civil studies. As part of the study carried out through the thesis, the mechanisms of implementation and protection of individual personal rights from a broad spectrum of personal non-property rights will be carried out. It requires studying the content of the target rights of protection and separation of the values protected by rights, and afterward – the identification of the violation cases and finally – a detailed analysis of the protection means in the framework of the opposition of values.

3. Structure and Methodology of the research

From a structural point of view, the thesis includes seven chapters. The first chapter represents an introduction. The second chapter includes an analysis of the essence and content of personal rights in the private law system. The third chapter analyses the interrelation between the legal aspects of the implementation and protection of personal non-property rights. The fourth and fifth chapters describe the content of specific personal rights as well as the cases of violation, classified under identical ways of violations and special non-property measures of protection. The sixth chapter examines the loss compensation as a universal mechanism of protection regulated in the Civil Code, available for every person right. The final, seventh chapter of the thesis describes the research findings and outcomes detected through the working process.

General, scientific, and unique legal methods were used in the thesis for the conduction of methodological research.

The historical research method should be emphasized out of the general-scientific methods. Using the method, the history of the development of legal doctrine on the protection of personal rights in countries with the continental-European law, and in the judiciary of the Anglo-American system were detected. Dogmatic, normative, and systemic analysis methods were selected out of special-legal research methodology.

4. Scientific value of the results of the research and its potential practical significance

For a complete analysis and systemic study of different conceptual issues related to the topic, it was observed that the Georgian model of protection of personal non-protection rights ensures the reliability standard established by the progressive law orders, taking all aspects of information epoch into account. The reflection of the conclusions and recommendations developed as a result of the research will support the establishment of efficient mechanisms of personal rights protection following the European values. Besides, it will promote the consistent implementation of the principles established by progressive law order, which is required for the improvement of the legal outcomes and basics for the responsibility that excludes the threats of unfair law and makes the protection of the spiritual world of each public member perceivable. The existence of the personal field protection mechanisms is of the most considerable theoretical and practical significance for the approximation to the EU.

I. შესავალი

„იმ უდიდესმა სოციალურმა გარდაქმნებმა, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საზოგადოებაში მოხდა, წარუშლელი კვალი სამოქალაქო სამართალშიც დატოვეს“¹. ამ პერიოდიდან მოყოლებული მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის მართლმეცნებაში პირადი სფეროს ხელშეუხებლობის დაცვის მკაფიო სამართლებრივი გარანტიების შექმნას საკმაოდ რთული და ევოლუციურ გზა დასჭირდა თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში სრულყოფილ იმპლემენტაციამდე. დღეს, ცივილიზებულ სამყაროში აღირებულია პიროვნული საწყისისა და ინდივიდუალობის დაცვის ურყევი პრინციპი, რომელიც ადამიანის ღირსებული არსებობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა.

სამოქალაქო სამართალში პიროვნული საწყისი ინდივიდუალობის ცნებისა და ღირებულების პრიზმაში ასახვას ჰპოვებს პიროვნულ უფლებებში, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ ადამიანის შინაგან სფეროსთანაა დაკავშირებული და ხაზს უსვამს სამოქალაქო სამართლის დამცავ ფუნქციას. ადამიანის პიროვნებასთან „დაკავშირებული უფლებები, როგორც სამოქალაქო სისტემის ნაწილი, გამოვლინებას ჰპოვებს სამართლებრივი წესრიგის მიერ უზრუნველყოფილ ზოგად მოთხოვნაში- იყო პიროვნება“² და „ქმნის უმაღლეს ფასეულობათა კრებულს, სადაც თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება განსაზღვრავს“.³ საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები, კერძოდ, პიროვნების ღირსება და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება წარმოადგენს უმთავრეს საწყისს, საიდანაც სათავეს იღებს ინდივიდის კონკრეტიზებული პიროვნული ღირებულებები და გარესამყაროსთან ურთიერთობის ასპექტები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და დასავლური ფასეულობების გაზიარება იქცა. ახალგაზრდა სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებებთან ერთად ადამიანის თავისუფალი განვითარების

¹ ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „სამართალი“, №11-12, თბ., 1997, 24.

² ვერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 131; უთითებს: Gierke O., Deutsches Privatrecht, §81, Band I, Leipzig, 1895, 702.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

უფლება უზენაეს საწყისად იქნა მიჩნეული.⁴ ინდივიდუალობა რომ სამართლებრივად დაცული ღირებულებაა ისიც მოწმობს, რომ ადამიანის ღირსება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეების თავში დგას, როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძველი და დაცვის უპირველესი მიზანი.

სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონდებლობა განსხვავებულად არეგულირებს პირადი უფლებების დაცვის საკითხებს სამართლებრივი ტექნიკისა და იურიდიული გემოვნების მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) შემუშავებისას კანონმდებლობაში აისახა პიროვნების დაცვის გარანტიები გერმანული მოდელისგან განსხვავებული სახით, რომლის გამოსადეგობა კონცეპტუალურ დონეზე სამსჯელო საკითხია. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმების კვლევისა და მათი საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან უნიფიცირების საკითხი დღის წესრიგში მთელი სიცხადით დგება მზარდი ტექნოლოგიური წინსვლის პირობებში, რადგან საყოველთაო აღიარების მიუხედავად, პირადი სფერო მუდმივად საფრთხეშია. საზოგადოებრივმა ცვლილებებმა და ციფრულმა ევოლუციამ ადამიანს წარმოუდგენლად გაურთულა საჯარო ცხოვრებისთვის თავის არიდება და საკუთარი ცხოვრების მხოლოდ ეგოცენტრული სურვილებისა და მოლოდინის შესაბამისად წარმართვა.

ეკონომიკური ინტერესების კონცენტრაცია, სამეწარმეო სუბიექტებისა თუ საფინანსო ბაზრის ცვალებადი ძალაუფლება სისტემურ კავშირშია მზარდ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან, რაც, თავის მხრივ, დიდი გამოწვევაა სამოქალაქო უფლებებისთვის, ადამიანის ღირსებისა და პირადი სივრცის, თვითგამორკვევის, რეპუტაციისა და პატივის ჭრილში. პირად, საიდუმლო და ინტიმურ სფეროში შეჭრის საფრთხეები, პიროვნების კომერციული მიზნებისთვის გამოყენების რისკი სულ უფრო იზრდება საზოგადოების მიერ ამ სიკეთეების ბოროტად გამოყენების გამო, განსაკუთრებით კი მასობრივი მედიის მიერ.

ტექნოლოგიური პროცესების წინსვლა აქამდე წარმოუდგენელი მიღწევებით ზღვარდაუდებელ შესაძლებლობებს ქმნის ბაზარზე სრულიად ინოვაციური პროცესებით, როგორცაა პერსონალური მონაცემების ეკონომიკური მიზნით გამოყენება, ბიო-ტექნიკა, ადამიანის ორგანოთა გადანერგვა, თანამედროვე დაკვირვების კამერების თუ მონაცემთა ბანკების ფორმირება. ადამიანის პიროვნულობასთან უშუალო კავშირში მყოფი სიკეთეების მარტივად დარღვევის საფრთხეს ქმნის უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე წარმოუდგენელი სისწრაფით მზარდი ინტერნეტ სივრცეც,

⁴ ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხ., თბ., 2005, 62.

რომელიც იძლევა საშუალებას, სხვადასხვა მანიპულაციის გამოყენებით გავლენა მოახდინოს თუნდაც ქვეყნის დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენებზე და შეაღწიონ მილიარდობით მომხმარებლის საინფორმაციო სივრცეში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ინდივიდის პიროვნული სფეროს დაცვისთვის აუცილებელი, ნათელი და განჭვრეტადი მექანიზმების შემუშავებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც სწორი და დაბალანსებული საკანონმდებლო მონესრიგების, ისე ეფექტური სამოსამართლო სამართლის არსებობა. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების და გარანტიების არსებობას, რაც არა მხოლოდ გამორიცხავს უსამართლო სამოსამართლო სამართლის საფრთხეებს, არამედ დამაჯერებლად აღქმადს გახდის საზოგადოების თითოეული წევრისთვის მისი სულიერი სამყაროს დაცულობას.

წინამდებარე კვლევის მიზანია პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელებისას პრობლემური, რთული ასპექტების გაშუქება სამოქალაქო სამართლის დოქტრინის ფარგლებში, პიროვნული ფასეულობების სტრუქტურირება ცალკეული პიროვნული უფლებების მიხედვით და მასთან დაკავშირებული (ჯერ კიდევ უცნობი) ასპექტების მეცნიერული დისკურსის ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში პირადი არაქონებრივი უფლებების ფართო სპექტრიდან განზოგადებული იქნება ცალკეული პიროვნული უფლებების განხორციელების და დაცვის მექანიზმები, რაც ბუნებრივად მოითხოვს დაცვის სამიზნე უფლებების შინაარსობრივი მხარის შესწავლას და ამ უფლებებით დაცული ღირებულებების ერთმანეთისგან გამიჯვნას, შემდგომ ამ უფლებებით დაცული სფეროების დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირებას და ბოლოს დაცვის საშუალებების დეტალურ ანალიზს ღირებულებათა წინააღმდეგობის ჭრილში. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს სხვადასხვა სამართლებრივ წესრიგში ისტორიული განვითარების შედეგად შემუშავებული დაცვის მექანიზმებისა და მიდგომების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას ამ მიდგომების ქართულ სამართალთან თავსებადობის შესახებ.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ კვლევის საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგად-სამეცნიერო, ისე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები. ზოგად-სამეცნიერო მეთოდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა პიროვნული უფლებების დაცვის თაობაზე სამართლებრივი მოძღვრების განვითარების ისტორია როგორც

კონტინენტურ-ევროპული სამართლის ქვეყნებში, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში.

სპეციალური-სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგიიდან შერჩეულ იქნა დოგმატური, ნორმატიული, დოქტრინული, სინთეზური და სისტემური ანალიზის მეთოდი, რაც მიზანმიმართულად არის გამოყენებული კვლევის შედეგების ფორმირებისათვის. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიერ შემუშავებული კონცეპტუალურ მიდგომებსა და გადანყვეტებთან ქართულ საკანონმდებლო მონესრიგებისა თუ სასამართლო პრაქტიკის განვითარების მიმართების დადგენის მიზნით ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი როგორც კონტინენტურ-ევროპული, ისე საერთო სამართლის სისტემებთან მიმართებით. თუმცა, საქართველოსთვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისთვის, პიროვნული უფლებების დაცვის მექანიზმის თავისებურებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადსაღებია გერმანული საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები და ამ მიდგომების თავსებადობა ქართულ სამართალთან. სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი წვდომისთვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა კონცეპტუალური საკითხის სისტემური ანალიზი, რათა დადგენილიყო, თუ რამდენად უზრუნველყოფს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ქართული მოდელი საიმედოობის იმ სტანდარტს, რაც პროგრესული მართლწესრიგების მიერაა შემუშავებული ინფორმაციული ეპოქისთვის დამახასიათებელი ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

ნაშრომი ეფუძნება იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მეთოდს. პიროვნული უფლებების განხორციელებისა და დაცვის თაობაზე საკანონმდებლო ნორმათა რეალიზების ეფექტურობა შესწავლილია ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე და წამორჩენილია ქართული ემპირიული გამოცდილების მიმართება აღნიშნულ პრაქტიკასთან.

II. პირადი არაქონებრივი უფლებების არსი კერძო სამართალში

1. პიროვნული უფლებების ცნება

“სამოქალაქო უფლების ცნების აღწერა, უფრო მეტად, კერძოსამართლებრივი დოგმატიკის სფეროა, რამეთუ სამართლის მეცნიერება მონოღებულია თეორიულად განსაზღვროს უფლების არსი”.⁵ უფლების არსის ასახსნელად იურიდიულ მოძღვრებათა ისტორიაში შეინიშნება თეორიათა სიმრავლე⁶, რომლებიც სამოქალაქო უფლებაში სხვადასხვა კომპონენტის დომინირებით ხასიათდება, როგორცაა მაგ. ნების და ინტერესების თეორიები. გასაზიარებელია პოზიცია, რომლის მიხედვითაც პირის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული „მოთხოვნის“ ცნებასთან⁷ და ამ უკანასკნელის განხორციელება თავად უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე ხდება.

იურიდიული დოქტრინა უფლების შინაარსში გამოჰყოფს შემდეგ უფლებამოსილებებს: 1. პირის უფლებამოსილებას საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით განახორციელოს მისი კუთვნილი სუბიექტური უფლება. 2. სხვა პირისგან უფლების პატივისცემის მოთხოვნის უფლებას. 3. კერძო სამართლის სუბიექტის უფლებამოსილებას, გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლების დაცვის საშუალებები. 4. თვითდახმარების უფლება. 5. უფლების დაცვა იურისდიქციული და არაიურისდიქციული საშუალებების გამოყენებით.⁸ დასახელებული კრებულის ანალიზის შედეგად შეიძლება განზოგადება, რომ სამოქალაქო უფლების შინაარსი მოიცავს არა მხოლოდ უფლებამოსილებას **საკუთარ ქმედებებზე**, არამედ **სხვის ქმედებებზე** და **უფლებამოსილებას დაცვაზე**. აქედან უკანასკნელი ორი უფლებამოსილება ცალსახად გადის მხოლოდ უფლების მფლობელის პირის ბატონობის სივრციდან და სხვა პირის მხრიდან სათანადო ქცევის მოთხოვნის უფლებაში ტრანსფორმირდება. უფლების განხორციელების მეთოდის არჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ უფლების მფლობელის სუბიექტურ მხედულებაზე, არამედ თავად უფლების სამართლებრივ შინაარსზეც, რაც

⁵ ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, თედო ნინიძის საიუბილეო კრებული, თბ., 2016, 99.

⁶ დეტალურად იხ. ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ურნ. „მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2015, 139; შდრ. ტაბაღუა ბ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, სასენიმარო ნაშრომი, თსუ, თბ., 2013, 4, ხელმისაწვდომია: http://www.library.court.ge/upload/samoqalago_uflbis_cneba_da_struqtura.pdf?fbclid=IwAR0fYZb2WPG90lucrVE8BTMJ2tUS91qnvI1mTqe2WBpqHoZ4dv0lwGZWzrZg[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.10.2019, 20.35].

⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 76; ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომეტარი, წიგნი III, თბ., 2001, 37.

⁸ Вавилин Е.В., Осуществление и защита гражданских прав, москва, 2016, 19.

თავის მხრივ, კავშირშია აღნიშნული უფლების მიზანთან და თავისებურებასთან და გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული უფლების პრაქტიკულად განხორციელების დროს.

სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლება, როგორც სამოქალაქო უფლების ერთ-ერთი სახეობა, თავისი არსით, არამატერიალური, არაქონებრივი ხასიათისაა, რომლის დაცვის უპირველესი ობიექტია თითოეული ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული არამატერიალური ფასეულობები, სადაც ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქონებრივ ღირებულებებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და იცავს არამატერიალურ და პიროვნულ სიკეთეებს, ამით კი ხელს უწყობს საზოგადოებაში პიროვნების ინდივიდუალობის უზრუნველყოფას და მის ღირსეულ რეალიზაციას. კოდექსის პირველი მუხლი სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფეროს განსაზღვრის ეტაპზე რეგულირების ერთ-ერთ საგნად ახსენებს პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლის კომენტარებისას ავტორები მიუთითებენ, რომ „პირადი არაქონებრივი ურთიერთობანი მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზეა აგებული, რომელთაც ხშირად არ აქვთ მატერიალური შინაარსი და პიროვნების პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის დაცვას გულისხმობს“⁹. პიროვნული უფლების სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც პიროვნების ღირსების დაცვის იდეიდან იღებს სათავეს, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ინდივიდების არამატერიალური სიკეთის დაცვისკენაა მიმართული.¹⁰ სწორედ ამგვარი უნიკალური სამართლებრივი ბუნებისა და პიროვნებასთან მჭიდრო კავშირის გამო პიროვნული უფლება განამტკიცებს ადამიანის, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სტატუსს საზოგადოებაში და ემსახურება მისი პიროვნების პატივისცემისა და ინდივიდუალობის (იდენტობის) დაცვას¹¹. „სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს სხვა უფლებებისგან, პირველ რიგში, მათი წარმოშობის საფუძველი განასხვავებს, რადგან ეს

⁹ ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 29.

¹⁰ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 35.

¹¹ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 131.

უკანასკნელი არ არის დაკავშირებული რაიმე იურიდიული ფაქტის დადგომასთან და უშუალოდ პირის დაბადებასთან არის მიბმული¹².

პიროვნული უფლებით დაცულ სამართლებრივ ცნებაზე მსჯელობისას, ისმის კითხვა: კონკრეტულად ვისგან ან რისგან იცავს ეს უფლება ადამიანს: როგორც საჯაროობისგან სრულად დაცლილ ღირებულებას თუ პირს სოციუმის ფარგლებშიც?

პიროვნული უფლებით დაცული სფერო გადის მოქმედების აქტიური თავისუფლებიდან და დაცვის მეორე ფუნქციასაც ითავსებს. კერძოდ, თითოეული ინდივიდს პიროვნული უფლება ანიჭებს არა მხოლოდ იზოლირებულ სივრცეში თვითგამორკვევის შესაძლებლობას, არამედ აქტიური განვითარების შანსსაც. დღეს, გაბატონებული პოზიციით დადგენილია, რომ პიროვნულობის უზრუნველყოფი მექანიზმები არ არის შემოფარგლული მხოლოდ ინდივიდუალობის საზოგადოებისგან დაცვაში ანუ „მარტოობაზე უფლების“ ვერბალური მნიშვნელობით, არამედ იმავე წარმატებით იმსახურებს დაცვას პიროვნულობა საზოგადოებაშიც.¹³ ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებისგან იზოლირება და პირადი სივრცე არ განიხილება იდენტურ ცნებებად და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, მის, როგორც სოციუმის სრულყოფილებიანი წევრის იმანენტურ ღირებულებად უნდა იქნეს განხილული.

ამ განმარტებით ჩანს, რომ პიროვნული უფლების ცნება მოიცავს პიროვნულობის როგორც პასიურ, ისე აქტიურ კომპონენტებს, როგორცაა: 1. პიროვნულობის სტატიკური ელემენტი, ანუ აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საგნების გასაჯაროების აკრძალვა ან ნებისმიერი ნებელობითი სფეროს საწინააღმდეგო ქმედების განხორციელება, რაც მის ამ დაცულ სეგმენტს სააშკარაოზე გამოიტანს¹⁴. 2. პიროვნული უფლების დინამიური კომპონენტი კი მოიცავს „საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას და აერთიანებს ყველაფერს, რაც კი ადამიანის ქცევად, ქმედებად თუ საქმიანობად შეიძლება იწოდებოდეს“¹⁵. ეს უკანასკნელი ძალზედ ფართო სფეროა და უამრავ განსხვავებული ფორმისა თუ შინაარსის აქტივობას აერთიანებს.

1.1 პირადი არაქონებრივი უფლების ქონებრივი ელემენტი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მკაცრი მიჯნის გავლება პიროვნულ უფლებებსა და ამ უფლებების ეკონომიკურ ღირსებულებას

¹² Klüber R., *Persönlichkeitsschutz und Kommerzialisierung*, Tübingen, 2007, 14.

¹³ Marion B.-V., *Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts*, Tübingen, 1997, 185.

¹⁴ Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 33, Stuttgart, 2005, 318.

¹⁵ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბ., 2013, 103.

შორის თითქმის შეუძლებელი ხდება. მომსახურების ან პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, განსაკუთრებით კი სარეკლამო ბიზნესი, ხშირად დაკავშირებული ისეთ სიკეთეებთან, როგორცაა პოლიტიკის, მუსიკის, შოუ-ბიზნესისა თუ სამოდერნო სივრცეში მოღვაწე ცალკეული ცნობადი სახეების პიროვნული მახასიათებლები: სახელი, გამოსახულება, სასცენო სახე, იმიჯი, ხმისა თუ პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალები, რაც შემოსავლის მიღების წყაროც კი შეიძლება გახდეს. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ფართოდაა გავრცელებული ე.წ. სალიცენზიო ხელშეკრულების მეშვეობით¹⁶ არამატერიალური სიკეთის მფლობელის მიერ პიროვნულობის განმსაზღვრელი ნიშნების გამოყენების ექსკლუზიური უფლების გადაცემის პრაქტიკა ლიცენზიის მფლობელზე, რომელიც მესამე პირს უკრძალავს უფლების გამოყენებას ვალდებულებითსამართლებრივი სანქციების დაკისრების პერსპექტივით.¹⁷ იურიდიულ ლიტერატურაში სწორედ ამ კონტექსტში საუბრისას იყენებენ ტერმინ „*Personality merchandising*“¹⁸, რომლის შინაარსი პიროვნულობის სავაჭრო ობიექტად გამოყენებას უკავშირდება.

ზოგადი პიროვნული უფლების იდეალურ ნაწილზე ხაზგასმა და ქონებრივი ნაწილისგან სრული იგნორირება იდეალისტების დამსახურებაა, რომლის დასაბუთებაში დიდი წვლილი ფილოსოფოსებმა შეიტანეს¹⁹. პიროვნული სფეროდან ქონებრივი ელემენტის გამიჯვნის მომხრეთა არგუმენტაცია თანასწორობის იდეას უკავშირდება. მათი აზრით, ზოგადი პიროვნული უფლება ყველასთვის დაბადებიდან თანდაყოლილი და თანაბარი უფლებაა, ხოლო პირთა ქონებრივი შესაძლებლობები ვერ იქნება ყველასთვის იდენტური და მისი განაწილება საზოგადოების თითოეულ წევრს შორის არათანაბრად ხდება.²⁰ პოზიციის დასასაბუთებლად ავტორები უთითებდნენ იმ ფაქტს, რომ ზოგადი პიროვნული უფლება მხოლოდ პიროვნულ ნაწილებს მოიცავს და სრულად თავისუფალია ეკონომიკური

¹⁶ Peifer K.-N., Individualität im Zivilrecht, 2001, Tübingen, 50.

¹⁷ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 36.

¹⁸ „Vermarktung der Persönlichkeit“ -Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch/Rixecker, § 12, Band I, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, Rn. 36; Klüber R., Persönlichkeitsschutz und Kommerzialisierung, Tübingen, 2007, 13.

¹⁹ Ehmman H., Das allgemeine Persönlichkeitsrecht, 12, https://www.uni-trier.de/fileadmin/fb5/prof/eme001/fg_50bgh.pdf, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.05.2019, 16:51]; შდრ. Hubmann H., Das Persönlichkeitsrecht, 2. Aufl., Köln, 1967, 85; Hartl M., Persönlichkeitsrechte als verkehrsfähige Vermögensgüter, Dissertation, Konstanz, 2004, 110, <https://d-nb.info/975522981/34>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.05.2019, 17:29].

²⁰ Klüber R., Persönlichkeitsschutz und Kommerzialisierung, Tübingen, 2007, 35.

დანამატებისგან.²¹ ეს ფაქტი კი მეტყველებს რომ საუბარია ორი სხვადასხვა გენეზისის მქონე და შინაარსობრივად განსხვავებულ უფლებაზე.

პიროვნულობის ტრადიციული თეორიის ფუძემდებლებისთვის პიროვნულ და ქონებრივ უფლებებს შორის მსგავსი დიფერენციაცია მიუღებელია. მაგალითად, *გირკე*, პიროვნულობის დაცვის ერთ-ერთი დამსახურებული მეცნიერი, აღიარებდა ზოგიერთ პიროვნულ უფლებაში ქონებრივი ელემენტის მონაწილეობას.²² იმავე კონცეფციას ავითარებდნენ *გარაისი*, *კოლერი* და *ჰუმბანი*,²³ რომელთა შეფასებით, პიროვნული უფლების დაცვისას ეკონომიკური ინტერესები ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართებულებაა.²⁴

იურიდიულ დოქტრინაში მსგავსი აზრთა სხვადასხვაობის გამო, საკმაოდ ლეგიტიმურად ისმის კითხვა, თუ რამდენად მკაფიოდ არის გამოკვეთილი ქართულ სამართლებრივ სივრცეში პიროვნული უფლების ეკონომიკური ღირებულება. ამ მიზნით კი ღირებულია აღნიშნული საკითხის სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემების მაგალითზე განხილვა და მათი თავსებადობის შემოწმება ქართულ მონესრიგებასთან.

პიროვნული უფლების კომერციული ღირებულების აღნიშვნა გერმანიაში სასამართლო პრაქტიკის დამსახურებაა, სადაც პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე გაჩნდა პირადი არაქონებრივი უფლებებისა და მათი ეკონომიკური ღირებულების გამიჯვნის აუცილებლობა.²⁵ გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1956 წელს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში²⁶ საიმპერიო სასამართლოს მიერ არამატერიალური სიკეთეების დაცვის დადგენილი პრაქტიკის²⁷ განვრცობით გამოსახულებაზე უფლება არამატერიალურ სიკეთედ აღიარა, თუმცა კომერციულ მოგებაზე

²¹ *Kläver M.*, Bereicherungsrechtliche Ansprüche bei einer Verletzung des allgemeinen Persönlichkeitsrecht, Hamburg, 1999, 205.

²² *Gierke O.*, Deutsches Privatrecht, Band I, Allgemeiner Teil, Leipzig, 1895, 706.

²³ *Ehmann H.*, Das allgemeine Persönlichkeitsrecht, 12, https://www.uni-trier.de/fileadmin/fb5/prof/eme001/fg_50bgh.pdf, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.05.2019, 16:51]; შდრ. *Hubmann H.*, Das Persönlichkeitsrecht, 2. Aufl., Köln, 1967, 85; *Hartl M.*, Persönlichkeitsrechte als verkehrsfähige Vermögensgüter, Dissertation, Konstanz, 2004, 110, <https://d-nb.info/975522981/34>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30.05.2019, 17:29].

²⁴ *Klüber R.*, Persönlichkeitschutz und Kommerzialisierung, Tübingen, 2007, 36.

²⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 15.

²⁶ BGH GRUR 1956, 427, 428-Paul Dahlke: აღნიშნული გადანყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ მან საფუძველი ჩაუყარა პიროვნული უფლების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების პრაქტიკას. საქმე ეხებოდა თეატრისა და კინოს მსახიობის პოლ დალკეს ფოტოების უნაბერთვო გამოყენებას რეკლამირების მიზნით, რომელიც სხვა ფოტოებთან ერთად გამოქვეყნდა ერთ-ერთ შურნალში მოპედის რეკლამირების მიზნით.

²⁷ სამმაგი ზიანის კალკულაციის თაობაზე იხ: *Alexander Ch.*, Schadenersatz und Abschöpfung im Lauterkeits- und Kartellrechts, Jena, 2010, 257; ზიანის ანაზღაურების დოგმატური საფუძვლების შესახებ იხ.: *Dreier Th.*, Kompensation und Prävention, Tübingen, 2002, 256.

ორიენტირებული ფირმის მიერ ამ უკანასკნელის სარეკლამო მიზნებისთვის პირის „ექსკლუზიური ბატონობის სფეროში“²⁸ უნებართვო ჩარევად და შესაბამისად, ქონებრივი ღირებულების მქონე უფლების დარღვევად დააკვალიფიცირა.

მოგვიანებით, 2000 წელს გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ *მარლენ დიტრიხის*²⁹ და „ცისფერი ანგელოზის“³⁰ საქმეებში დაადგინა, რომ ერთ-ერთი პროდიუსერის მიერ მსახიობის სახელისა და გამოსახულების უნებართვო გამოყენებით შეილახა ზოგადი პიროვნული უფლებისა და მისი ცალკეული გამოვლინების ორივე ასპექტი, როგორც იდეალური, ისე ეკონომიკური. სასამართლომ აღნიშნული მსჯელობა განაზოგადა და დაასკვნა, რომ პიროვნულობისა და ინდივიდუალურობის ნებისმიერი მახასიათებლის არამართლზომიერი ხელყოფის შემთხვევაში, დარღვევის ხარისხის მიუხედავად, დაცვის ღირსი ინტერესის მქონე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ გადანყვეტილებასაც არ მოჰყოლია ერთმნიშვნელოვანი შეფასებები იურიდიულ დოქტრინაში. მეცნიერების ნაწილი თვლიდა, რომ პიროვნულობის სხვადასხვა ფასეული ელემენტის გამოყენებით დარღვეული უფლების მქონე პირი უფრო მეტად ამ უფლების ქონებრივი ასპექტის შელახვას განიცდის, ვიდრე იდეალური ნაწილისას.³¹ მეცნიერების მეორე ნაწილი კი ცალსახად უარყოფით პოზიციას აფიქსირებდა როგორც პიროვნული უფლების „კომერციალიზაციის“, ისე ამ უფლების მემკვიდრეობით გადაცემადობის აღიარების მიმართ³² და ტრადიციული დოგმატური პოზიციის განვრცობით წარმოუდგენლად მიაჩნდა პიროვნულ მოვლენაში ქონებრივი ელემენტის დაშვებაც კი.³³

დღეს, თანამედროვე გერმანულ იურიდიული ლიტერატურაში³⁴ გაოცებას აღარ იწვევს დაშვება, რომ ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის ობიექტი

²⁸ „*Vermögenswertes Ausschliesslichkeitsrecht.*“

²⁹ BGH GRUR 2000, 709, 713- Marlene Dietrich- აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წამოადგენდა მარლენ დიტრიხის ქალიშვილი, ხოლო მოპასუხეს ერთ-ერთი პროდიუსერი, რომელიც ავრცელებდა სხვადასხვა სახის პროდუქციას მარლენ დიტრიხის სახელის გამოყენებით. მან ასევე ხელშეკრულებით გადასცა უფლება *Fiat Automobil AG*-ს ავტომობილის სახელწოდებად გამოყენებინა „მარლენი“.

³⁰ BGH NJW 2000, 2195; 2000, 2201- Der blaue Engel.

³¹ *Götting H.*, Persönlichkeit als Vermögenswert, Tübingen, 1995, 266; *Klüber R.*, Persönlichkeitsschutz und Kommerzialisierung, Tübingen, 2007, 40.

³² *Schack H.*, Urheber- und Urhebervertragsrecht, 8. Aufl. 2017, Tübingen, Rn. 56. *Pietzko P.*, Die Werbung mit dem Doppelgänger eines Prominenten, AfP 1988, 209 [http://landesrecht.sachsen-anhalt.de/jportal/prev/BJLU017308907\[30.08.2018, 13:23\]](http://landesrecht.sachsen-anhalt.de/jportal/prev/BJLU017308907[30.08.2018, 13:23]).

³³ *Götting H.*, *Schertz C.*, *Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 19.

³⁴ *Kläver M.*, Vermögenrechtliche Aspekte des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, ZUM 2002, 205.

არ არის მხოლოდ წმინდა პერსონალური (იდეალური) ინტერესები,³⁵ არამედ მასში თანაბრად მოიაზრება ეკონომიკური კუთხითაც ღირებული პიროვნული მახასიათებლები, რომელთა ობიექტებია როგორც ადამიანისგან განუყოფადი, ისე სუბიექტისგან ჩამოცილებასა და ობიექტივიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური სიკეთეები,³⁶ (სახელი, გამოსახულება, პერსონალური მონაცემები და სხვ),³⁷ რაც საკმაოდ წარმატებით შეიძლება გახდეს დარღვევის ობიექტი ეკონომიკური გამორჩენის მიღების მიზნითაც.

აღნიშნული მიგნების მიუხედავად, პიროვნულობის „კომერციალიზაციის“ სამართლებრივი კონსტრუქციის ჩამოყალიბებისთვის გერმანიაში მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომლებიც ძირითადად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს იურიდიული გემოვნებისა და ტექნიკის მიხედვით. ერთ-ერთი პოზიციის მიხედვით, ზოგადი პიროვნული უფლება ორმაგი ფუნქციით ხასიათდება, რომელიც, მართალია, წარმოადგენს პერსონალურ უფლებას, თუმცა ამავდროულად თავის თავში ქონებრივი ღირებულების სიკეთესაც მოიცავს.³⁸ ავტორთა მეორე ჯგუფი³⁹ კი დუალისტური კონსტრუქციის განვრცობით აღიარებს პიროვნებასთან დაკავშირებული არამატერიალური უფლების კონცეფციას თვითმყოფადი პიროვნული უფლებისგან „მატერიალიზირებადი დეტალების“ გამოყოფისა და ეკონომიკურად შეფასებაუნარიანობის დათქმით, რომლებიც ასევე ექვემდებარება სხვაზე გადაცემას.

პირველი პოზიციის მომხრე ავტორები⁴⁰ საავტორო სამართალში ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დაჯგუფების გავრცელებულ ე.წ. მონისტური თეორიის ანალოგიის გამოყენებას ემხრობიან, რომლის თანახმადაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების უკან როგორც პიროვნული, ისე ეკონომიკური ასპექტი მოიაზრება.⁴¹ ამ კუთხით საინტერესოა პარალელის გავლება საავტორო სამართალთან და სისტემური გააზრება, თუ რა თეორიული წიაღსვლებია

³⁵ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 3.*

³⁶ *ბიჭია მ.,* პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უერნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017, 9.

³⁷ იქვე.

³⁸ *Peukert A., Persönlichkeitsbezogene Immaterialgüterrecht, 2000, Berlin, 711; Götting, Persönlichkeitsrechte als Vermögensrechte, 1995, 275.*

³⁹ *Beuthien V., Schmölz, A., Persönlichkeitschutz durch Persönlichkeitsgüterrechte, Band 5, München, 1999, 12; Heitmann L., Der Schutz der materiellen Interessen an der eigenen Persönlichkeitssphäre durch subjektiv-private Rechte, Hamburg, 1963, 23.*

⁴⁰ *Rehbinder M., Peukert A., Urheberrecht, 1 Teil, 18. Auf., München, 2018, Rn. 154, 155.*

⁴¹ *Götting H., Persönlichkeit als Vermögenswert, Tübingen, 1995, 279.*

შემოთავაზებული მონათესავე სამართლებრივ დარგში იმავე საკითხის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ არც ინტელექტუალური საკუთრების სამართალში არის ავტორებს შორის ერთიანი პოზიცია, კონკრეტულად, იდეალურ ნაწილთან ერთად მოიცავს თუ არა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ეკონომიკურ ინტერესებსაც. აღნიშნული საკითხის ირგვლივ ევროპაში შემუშავებულია ორი: **მონისტური და დუალისტური** თეორიები.

დუალისტური თეორია პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირის აღიარებასთან ერთად, მათ მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან, ხოლო მონისტური თეორიის თანახმად, ავტორს გააჩნია ორად გაყოფილი, მაგრამ ერთიანი საავტორო უფლება, რომელიც ემსახურება ავტორის როგორც პიროვნული, ისე ქონებრივი უფლებების დაცვას ერთიან კონტექტში.⁴²

კონტინენტურ სამართლის ქვეყნებში, თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ პოზიციას წარმოადგენს საავტორო სამართალში არსებული მონისტური მიდგომის გაზიარებით ზოგადი პიროვნული უფლების ერთ, ძირეულ უფლებად აღიარების პათოსი,⁴³ რომელიც თავის თავში აერთიანებს იდეალურ და მატერიალურ ინტერესებს.

საერთო სამართლის ქვეყნებში სწორედ პიროვნულობის ასპექტების კომერციული დატვირთვის შედეგად აღმოცენდა უფლება საჯაროობაზე (*Right of Publicity*)⁴⁴, რომელიც იცავს პირის ექსკლუზიურ უფლებას, საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენოს და აკონტროლოს პიროვნულობის ეკონომიკური ღირებულების გამოყენების საკითხი. ინდივიდის ცალკეული პიროვნული მახასიათებლის უნებართვო კომერციული გამოყენების გავრცელებული შემთხვევების ერთგვარი რეაქცია იყო ამერიკის ცალკეულ შტატში ეკონომიკური ტიპის უფლების *Right of Publicity*-ის ფორმირება, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გვერდით პარალელურად არსებული უფლებაა⁴⁵. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, უფლება საჯაროობაზე თავისი არსით მოიცავს ორ

⁴² *საჯაია ლ.*, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2014, 21-22; შდრ. *Ulmer U.*, Urheber-und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, 1980, 116; *Rehbinder M., Peukert A.*, Urheberrecht, 1 Teil, 18. Auf., München, 2018, Rn. 154, 155- ხის მეტაფორასთან დაკავშირებით.

⁴³ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 20-21; *Persönlichkeitsrechte als Vermögensrechte*, 60; *Wagner G.*, in: Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, § 823, 7. Auflage, 2017, Rn. 367.

⁴⁴ *საჯაია ლ.*, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014, 100; *Jung A.*, Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005, 131.

⁴⁵ *Götting H.P.*, Vom Right of Privacy zum Right of Publicity: Die Anerkennung eines immaterialgüterrecht an der eigenen Person im amerikanischen Recht, GRUR Int. 1995, 656.

ასპექტს: უფლებას ნეგატიურ კონტექსტში, რომელიც კრძალავს ინდივიდუალობის ცალკეული მახასიათებლების უნებართვო გამოყენებას და პოზიტიურ უფლებამოსილებას, რომელიც აღჭურვავს მესაკუთრეს თავისი პიროვნების ექსკლუზიური განკარგვის შესაძლებლობით, რაც ამ უფლებების ეკონომიკურ ჭრილში რეალიზაციასაც გულისხმობს.⁴⁶ შეიძლება ითქვას, რომ უფლება საჯაროობაზე წარმოადგენს პირადი ცხოვრების დაცვის უფლების საპირისპირო მოვლენას, რომლისგან განსხვავებით დაცვის სამიზნეა პიროვნულობის არა იდეალური, არამედ ეკონომიკური ნაწილი. ანგლო-ამერიკულ სამართალში აღნიშნულ უნოდებენ „პიროვნულ ქონებრივ უფლებას“⁴⁷, რომელიც ძალიან ახლოს დგას არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან. პიროვნულობის დაცვის მექანიზმების ამგვარი დუალისტური დაყოფის საჭიროება გააჩინა იმან, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებამ ვერ უზრუნველყო თანამედროვე სამყაროში იდენტობის ყველა გამოვლინების ეფექტური დაცვა, მაგ. ეკონომიკურ ურთიერთობებში.

დღეს, ამერიკულ სამართალში უფლებას საჯაროობაზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია და წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სამართალში არსებულ დამოუკიდებელ ინსტიტუტს. *Right of Privacy*-ისგან განსხვავებით, რომელიც პირადი ცხოვრების დაცვის უფლება მოიცავს ცალკეული ინდივიდის მართლობაზე უფლების დაცვას, უფლება საჯაროობაზე, პირიქით, წარმოადგენს პიროვნული მახასიათებლების ეკონომიკური მიზნით უნებართვო გამოყენების აღკვეთის ეფექტურ საშუალებას.

ჩატარებულმა შედარებითსამართლებრივმა კვლევამ ცხადყო, რომ კონსტინენტურ-ევროპულ ოჯახსა და საერთო სამართლის ქვეყნებში პიროვნული უფლების ეკონომიკური ღირებულების შესახებ ფაქტობრივი მოცემულობის მიმართ ხედვები არსობრივად ემთხვევა ერთმანეთს. აღიარებული ფაქტობრივი მოცემულობაა, რომ მეტ-ნაკლებად ვერც ერთი მართლწესრიგი ვერ გაეცა ეკონომიკური ინტერესებით პიროვნული უფლებების დატვირთვის თემას. განსხვავება ამ ორ სამართლის სისტემებს შორის უმეტესად არაქონებრივი უფლების ქონებრივი ნაწილის დაცვის რეგულირების მეთოდებშია.

პიროვნულობის კონკრეტული გამოვლინებების ფაქტობრივი კომერციალიზაციის თემის ქართული სამართლებრივი ჩარჩოები უფრო მეტ

⁴⁶ *Götting H.P.*, Vom Right of Privacy zum Right of Publicity: Die Anerkennung eines immaterialgüterrecht an der eigenen Person im amerikanischen Recht, GRUR Int. 1995, 656.

⁴⁷ "Personal property right"- *Jung A.*, Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005, 131.

სიახლოვეს გერმანულ სამართლებრივ მონესრიგებასთან ავლენს მონისტური თეორიის ჭრილში. გერმანიის მსგავსად ქართველი კანონმდებლებიც ვერ ხედავს პიროვნულობის კომერციული გამოყენებისგან დაცვის დამოუკიდებელი მექანიზმის შემოტანის აუცილებლობას ცალკე ე.წ. „ეკონომიკურ უფლების“ სახით. ამასთან, იურიდიულ დოქტრინაში მკაცრი მიჯნაა გავლენული პიროვნულ უფლებებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე, რომლებსაც აქვთ ქონებრივი ღირებულება⁴⁸. სამოქალაქო კანონმდებლობით დარეგულირებულია პირადი ურთიერთობები, რომელთა ობიექტია პირისგან განცალკევებადი არამატერიალური სიკეთე. შესაბამისად, „კოდექსში არ ასახულა პირადი არაქონებრივი უფლებების ურთიერთობების რეგულირებულ და დაცულ ურთიერთობებად კლასიფიკაციის იდეა, რომელსაც ნაწილობრივ იზიარებდა ძველი რეჟიმის იურიდიულ დოქტრინა“⁴⁹ და ცალკეული პიროვნული უფლებებიც ერთიანი სახითაა დარეგულირებული სამოქალაქო კოდექსში.

საყურადღებოა ასევე, რომ სასამართლო პრაქტიკას არც ერთ გადანწყვეტილებაში არ მოუხდენია პიროვნული უფლებების „იდეალურ“ და „ეკონომიკურ“ სფეროებად გაყოფა. მეტიც, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ხდება იმ ზოგადი პოსტულატის კონსტატაცია, რომ არაქონებრივი ურთიერთობები მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს და ღირებულება არ გააჩნია.⁵⁰ შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს პირადი არაქონებრივი უფლებების კომერციალიზაციას.⁵¹ აღნიშნულ ჩანართს სასამართლო ძირითადად არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის ოდენობის შემცირების არგუმენტად იყენებს. ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლო არამატერიალური ღირებულების პრიმატს წარმოაჩენს⁵² და არაქონებრივი ზიანის სახით ფულადი ფორმით ანაზღაურების დროსაც კი მის იდეალურ მიზანზე აპელირებს. ამის პარალელურად, მაინც შეიძლება მოიძებნოს გადანწყვეტილებები, სადაც ქართულმა სასამართლოებმაც ვერ აურეს გვერდი პიროვნული უფლების „კომერციალიზაციის“ თემას. მაგ. არაქონებრივი უფლების ერთ-ერთი მახასიათებლის-საქმიანი რეპუტაციის

⁴⁸ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 135.

⁴⁹ *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უურნალი „სამართალი“, №1, 2017, 16.

⁵⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადანწყვეტილება საქმეზე №ას-1084-1034-2014.

⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის გადანწყვეტილება საქმეზე №ას-593-1241-03.

⁵² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადანწყვეტილება საქმეზე №ას-1433-1531-04.

დაცვის თაობაზე მსჯელობისას.⁵³ იგივე პათოსი შეინიშნება იურიდიულ დოქტრინაშიც, რომელიც გამოკვეთს სახელის, გამოსახულების და საქმიანის რეპუტაციის დარღვევისას „ქონებრივი ხეირის“ ანუ ეკონომიკური გამორჩენის მიღების ფაქტს.⁵⁴

დასახელებული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ რეალობაშიც არ არის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად დადგენილი აქსიომა-პირადი არაქონებრივი უფლებების წმინდა პერსონალურ უფლებებისადმი მიკუთვნების საკითხი და მათი ეფექტურად განხორციელების თავისებურების გამო, სასამართლო პრაქტიკაც და იურიდიული დოქტრინა იძულებულია აღიაროს მათში მოაზრებული ეკონომიკური ინტერესებიც, თუნდაც არაპირდაპირ. სადავო არ არის ის პოზიტიური შედეგი, რომელიც პიროვნული უფლების ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრას მოაქვს, რაც პიროვნულობის კომერციული მიზნებით არანებადართული გამოყენების აღკვეთის ეფექტურ მექანიზმებში ვლინდება. ფაქტია, რომ ქართულ სამართლებრივ რეალობაში ამერიკული დიფერენცირებისა და გერმანული დუალისტური თეორია⁵⁵ დამაკმაყოფილებლად ვერ წარმოაჩენს თითოეული არაქონებრივი უფლებისთვის დამახასიათებელ თავისებურებას, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ მთლიანობაში პიროვნულობის სამართლებრივი ბუნების განმაზოგადებელ ანალიზად. თუმცა, ერთობლივად, აღნიშნული თეორიების გაანალიზება საფუძველს იძლევა განისაზღვროს ის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოსაზრებები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ პოზიციის ავტორები, ერთ-ერთი მათგანია პიროვნული უფლების მემკვიდრეობით გადაცემადობისა და ბრუნვაუნარიანობის საკითხი.

საქართველოს რეალობაში ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა⁵⁶ და „დაუშვებელია ხელყოფის შემთხვევაში მატერიალური კომპენსაციის მოთხოვნის წარმოშობა, რადგანაც ამით შესაძლებელია ბიძგი მიეცეს

⁵³ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1084-1034-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/376-01.

⁵⁴ ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 77.

⁵⁵ Ellenberger J., in: Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, §12, 78. Aufl., München, 2019, Rn.16-გერმანია აღიარებს სახელის ქონებრივი ასპექტის მემკვიდრეობით გადაცემადობას.

⁵⁶ „გემოაღნიშნულ შემთხვევებში ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა“- ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 81;

პიროვნული უფლებების „კომერციალიზაციას“⁵⁷. მემკვიდრის მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვა და არა გარდაცვლილისგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების განხორციელება.⁵⁸ სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, პირის პირადი არაქონებრივი უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია. შინაარსობრივად იგივე დებულებას შეიცავს „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 4¹-ე მუხლიც. სსკ-ის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს გარდაცვლილის, როგორც ქონებრივი უფლებების, ისე -მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისთვის. სსკ-ის 1330-ე მუხლის მიხედვით, კი სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს.

ამგვარი მოწესრიგებით, ჩანს რომ კანონმდებელი ერთმანეთისგან არ ასხვავებს პიროვნული უფლებებიდან რომელი შეიძლება გახდეს კომერციული ელფერის მატარებელი და ყოველგვარი კონცეპტუალური გამიჯვნის გარეშე აქცევს პიროვნულობის ყველა ასპექტს ერთიან ჩარჩოში, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულობის ზოგიერთი მახასიათებელი, რეალურ ცხოვრებაში, საკმაო წარმატებით შეიძლება გახდეს ეკონომიკური მიზნით გამოყენების ობიექტი. შესაბამისად, ერთგვარ ურთიერთგამომრიცხავ მოწესრიგებად შეიძლება იქნეს მიჩნეული კანონმდებლის ერთმნიშვნელოვანი გადანყვეტილება ყველა სახის პიროვნული უფლების მემკვიდრეობით გადაცემის აკრძალვის თაობაზე და სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი ქონებრივი ზიანის მოთხოვნის გენერალური აკრძალვა.

არაქონებრივი უფლების კომერციულ ღირებულებაზე საუბრისას, შესაძლებელია დაშვება, რომ ამ უფლების მფლობელი არ არის მოკლებული შესაძლებლობას გარდაცვალებამდე მისცეს მის მემკვიდრეებს საკუთარი არაქონებრივი სფეროს კომერციული მიზნებისთვის გამოყენების უფლება, მაგ. საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნების თაობაზე. ამ შემთხვევაში, ნებადართულია სუბიექტების მიერ გარდაცვლილი პირის

⁵⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 160.

⁵⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე №3კ/754-01; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 აპრილის გადანყვეტილება საქმეზე №ას-1401-1526-04.

პირადი არაქონებრივი უფლების იდეალური ნაწილის კომერციული ღირებულების სიკეთედ გარდაქმნა, რაც აბსოლუტურად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის პრინციპებს. ამ დაშვების პარალელურად, არსებული საკანონმდებლო შეზღუდვის პირობებში, თუ პირის გარდაცვალების შემდეგ არაუფლებამოსილი მესამე პირი, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოახდენდა გარდაცვლილის არამატერიალური სიკეთის მოგების მიზნით გამოყენებას, ის უკეთეს მდგომარეობაში იქნება, რადგან დაცვის ღირსი ლეგიტიმური ინტერესის მქონე პირები მოკლებული იქნებიან ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგების ფულადი ფორმით ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას.

წარმოჩენილი დისკურსის განზოგადების შედეგად გამოსავლად გერმანული მიდგომების გაზიარება⁵⁹ და არაქონებრივი უფლებების დიფერენცირება შეიძლება იქნეს მიჩნეული მათი იდეალური და ქონებრივი ნაწილის მიხედვით. შემოთავაზებული დიფერენციაციის მოდელად შესაძლებელია საავტორო სამართალში არსებული პრინციპის გამოყენება, რომელიც ახდენს არაქონებრივი უფლებების დაყოფას პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებად. „აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს უფლებათა შორის შინაარსობრივი განსხვავება“.⁶⁰

სამოქალაქო სამართალში პიროვნების ზოგადი უფლებების ჭრილში ადამიანის ღირსების უფლებიდან მომდინარე პიროვნულობის ერთიან ცნებაში უნდა იქნეს მოაზრებული ისეთი მახასიათებლები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა უფლების მფლობელის მიერ გადანყვეტილების მიღება, შეიძლება მათი სამოქალაქო ბრუნვაში დაშვება და მემკვიდრეობით გადაცემა. ეს შესაძლებელია ეხებოდეს სახელის, საქმიანი რეპუტაციის ან პიროვნულობის სხვა მახასიათებლების, ხმის, სასცენო სახის ან იმიჯის უფლებას. აღნიშნულ უფლებებში დანახული კომერციულ ასპექტები ევროპული მიდგომების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად და მათ მიმართ მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპიც იქნეს აღიარებული გარდაცვლილის სავარაუდო და ნამდვილი ნების პრიმატის გათვალისწინებით. დიფერენცირებული მიდგომა გამართლებულია იმ არგუმენტითაც, რომ როდესაც პოტენციური სამართალდამრღვევი დაასრულებს სხვისი არაქონებრივი უფლებით დაცული სფეროს შელახვას და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ეს ფაქტი ცნობილი გარდაცვლილის მემკვიდრეებისთვის, მხოლოდ დაცვითი

⁵⁹ დეტალურად იხ. *Jung A.*, Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005, 45 და შემდგომში; *Beuthien V.*, Persönlichkeitsgüterschutz vor und nach dem Tode, 4. Band, 1. Aufl., Baden- Baden, 2002, 85 და შემდგომში.

⁶⁰ *საჯაია ლ.*, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014, 86.

უფლებების დეკლარირება პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების ეფექტურ აღდგენას, ამით კი იზრდება პიროვნულობის ეკონომიკური ნაწილის არაუფლებამოსილი მესამე პირების მიერ სანქციის შიშის გარეშე გამოყენების საფრთხე, რასაც ცალსახად ეწინააღმდეგება გარდაცვლილის ღირსების უფლებას.

უფლებათა მეორე კატეგორიად უნდა გამოიყოს ე.წ. წმინდა პიროვნული უფლებები, რომლებიც თავიანთი იდეალური ღირებულების გათვალისწინებით, წარმოშობენ მხოლოდ დაცვის უფლებას არაქონებრივი საშუალებების გამოყენების გზით, როგორცაა მოქმედებისგან თავის შეკავება, საპასუხო ცნობების გავრცელება, ინფორმაციის უარყოფა. აღნიშნული უფლებამოსილება კი პიროვნებასთან უშუალო კავშირის გამო მემკვიდრეობით არ გადადის და შესაბამისად, სწორედ ამ ნაწილის მიმართ უნდა გავრცელდეს სსკ-ის მე-19 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი აკრძალვა გარდაცვალების შემდეგ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის შესახებ. ნორმის ამგვარი გაგება თანხვედრაში მოვა სსკ-ის 1391-ე მუხლთანაც, რომელიც არ კრძალავს მემკვიდრეების მიერ მამკვიდრებლის არაქონებრივი უფლებების დაცვისა და განხორციელების უფლებას.

შესაბამისად, განუზომლად დიდია სასამართლო ხელისუფლების როლი, რომელსაც მის ხელთ არსებული სამოსამართლო სამართლის ბერკეტების ეფექტური გამოყენებით ხელეწიფება ახალი პრეცედენტების დადგენა და ნორმით დადგენილი ფარგლების ტელეოლოგიური გაფართოება. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, იქნება გონივრული ბალანსის გარანტი, რათა არ მოხდეს გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვის პოზიტიური ვალდებულების აბსოლუტური უგულებელყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული კანონმდებლობა სრულ ჰარმონიზაციაში იყოს ევროპულ მიდგომებთან, რომელიც სწორედ ამგვარი დიფერენცირებული მიდგომით პასუხობენ თანამედროვე რეალობის მზარდ მოთხოვნებს და აღიარებს პიროვნული უფლებების ეკონომიკურ ღირებულებას.

1.2 პიროვნული უფლების და პირადი არაქონებრივი უფლების მიმართება

საქართველოს კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში პიროვნული უფლებების გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვნება შეინიშნება და ისინი ნაკლებად თანმიმდევრულად გამოიყენება.⁶¹ სამოქალაქო კოდექსი იცნობს „პირადი უფლებების“ ცნებას, რომელსაც კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრისას

⁶¹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 132.

იყენებს, რასაც იურიდიულ დოქტრინაშიც ჰყავს მიმდევრები.⁶² სსკ-ის პირველ მუხლში გვხვდება ტერმინი „პირადი ურთიერთობები“, ანუ ურთიერთობები, რომლებიც არაა ქონებრივთან დაკავშირებული⁶³. „პირადი ურთიერთობების“ შინაარსობრივი ანალოგი ძველი რეჟიმის (საქართველოს სსრ) სამოქალაქო კანონმდებლობაში იყო ტერმინი „პირადი არაქონებრივი ურთიერთობები“, თუმცა მოცულობის მიხედვით, ეს ცნებები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.⁶⁴ „პირადი არაქონებრივი უფლებების“ სახელით ახდენს სსკ-ის მე-18 მუხლიც ცალკეული პიროვნული უფლებების საკანონმდებლო მონესრიგებას. სსკ იცნობს „პირადი უფლებების“ ცნებას, რომელსაც კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრისას⁶⁵ და გარდაცვლილი პირის პირადი უფლებების დაცვისას იყენებს სსკ-ის მე-19 მუხლში. სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ასევე ტერმინი „პიროვნული უფლებები“.⁶⁶ საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრება უფლებებს ხშირად „ინდივიდუალური უფლებების“ სახელწოდებითაც მოიხსენიებს.⁶⁷

წარსულში ბუნებითი სამართლის გავლენით ტერმინი „პირადის“ აღქმა დაკავშირებული იყო ადამიანის არსებიდან მომდინარე ინსტინქტთან,⁶⁸ ხოლო უფრო გვიანდელი ლიბერალური ფილოსოფია (*ჯონ ლოკი*) შეეცადა ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროების ინტერპრეტირებას პირადულ

⁶² იხ. *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 167.

⁶³ *ზოიძე ბ.*, კერძო სამართლის რეცეფუცია საქართველოში, თბ., 2005, 178.

⁶⁴ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2017, 8-9.

⁶⁵ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 132.

⁶⁶ იხ. *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, 2017, 8; *ნინიძე თ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 79; *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 132.

⁶⁷ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ცნებები: „რეალური უფლება“. პიროვნული უფლება“, სადაც ინდივიდი არა როგორც სამართლის ობიექტი, არამედ მართლწესრიგის უპირველესი სუბიექტის *qua individuum* სტატუსით წარმოჩინდება; Brockhaus-Enzyklopädie, 19. Aufl., Leipzig, Mannheim, 2006, Stichworte „Identität“, „Ich-Identität“: Soeffner, Typus und Individualität, in: Wenzel, Typus und Individualität im Mittelalter, 13-44; მიუნხენის სამართლის ლექსიკონში ცნება „ინდივიდუალობას“ არ აქვს საკუთარი იმანენტური განმარტება და მითითება ხდება ტერმინზე- „პიროვნების თავისუფალი განვითარება“- *Münchener Rechts-Lexikon*, Bd. 2., 1. Aufl. u.d.T., Stichwort-„Individualität“, München, 2001, 499.

⁶⁸ *Hubmann H.*, Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967, 82.

საქმეებად მოეხდინა, მაგ. ისეთი ტერმინით, როგორცაა საკუთარ თავთან დაკავშირებული აქტივობა (*Self-regarding activities*).⁶⁹

სიტყვა „პირადის“ განმარტება იურიდიულ-სამართლებრივ ლექსიკონებში უკავშირდება თავად პერსონას, ინდივიდს, (მის პირად სულიერ სამყაროს, შეგრძნებებს) და რაც არ არის განკუთვნილი საჯაროობისთვის.⁷⁰ ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით⁷¹ ცნება „*privacy*“ განმარტებულია, როგორც 1. განმარტებით და სხვებისგან ხელშეუხებლად ყოფნა, განცალკევებით საჯარო ინტერესისგან. 2. პირადი ან განმარტებული ადგილი (დაფარული ან საიდუმლო სივრცე. 3. საჯარო ყურადღებისგან თავისუფლად ყოფნა. 4. საჯაროობის გამორიცხვა, პირადი ან პერსონალური საქმე ან ურთიერთობა (საიდუმლოება). 5. ინტიმური, კონფიდენციალური ურთიერთობები. საჯარო ყურადღებისგან თავისუფალ მდგომარეობად განმარტავს „*Privacy*“-ის Black’s Law Dictionary-ის⁷² და ახდენს ცნების დიფერენცირებას ავტონომიურ, ინფორმაციულ და პერსონალურ სივრცეებად.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „პირადი“⁷³ განმარტებულია როგორც „ერთი პირის ინტერესების შესაბამისი, პიროვნული, პერსონალური, კერძო, ინდივიდუალური, ხოლო სიტყვა „კერძო“ (*„Privat“*) როგორც ცალკეული პირის კუთვნილი, ის, რაც არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას.⁷⁴

სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები, თავისი არსით, არამატერიალური, არაქონებრივი ხასიათისაა, რომლის დაცვის უპირველესი ობიექტია თითოეული ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული არამატერიალური ფასეულობები, სადაც ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა პიროვნული უფლებების აღსანიშნავად ტერმინ „არაქონებრივი უფლებების“ შემოტანა მოვლენის ქონებრივი სფეროსგან სრულიად საპირისპირო მოვლენაზე ხაზგასმას ემსახურებოდა,⁷⁵ რათა პიროვნულ უფლებებში ქონებრივი

⁶⁹Locke J., Second treatise of Government, 28, <https://www.earlymoderntexts.com/assets/pdfs/locke1689a.pdf>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული: 11.01.2019, 11:03].

⁷⁰ *English A.*, A Dictionary of words and phrases used in ancient and modern law, Littleton, Colorado, 1987; Duden Oxford Grosswörterbuch, Oxford University Press, Redaktionelle Leitung: Werner Scholze, Stubenrecht John Sykes, Mannheim, Wien, Zürich, 1990.

⁷¹ The Oxford English Dictionary, Oxford University Press, Volume VIII, Oxford ox2, 1978.

⁷² *Garner B.A.* (Ed), Black’s Law Dictionary, Tenth edition, USA, “Thomson Reuters”, 2014.

⁷³ გერმ.-„Persönlichkeitsrechte; ინგ.-“Personal Rights“; ფრანგ.-“droit de la Personnalite“.

⁷⁴<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>, [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული:08.01.2019, 15:36].

⁷⁵ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უერნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017, 9.

ელემენტის არარსებობა ყოფილიყო უკეთ წარმოჩენილი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ნათლად გამოჩნდა, პიროვნებასთან ახლო უშუალო კავშირის მქონე სიკეთეებშიც იქნა ქონებრივი ელემენტი დანახული, თუმცა უცვლელი დარჩა პიროვნული უფლების პირველადი დანიშნულება, რომელიც ადამიანისგან განუყოფელი და მისი პიროვნულობის განსაზღვრულობით განიმარტება, რასაც ტერმინოლოგიურად ყველაზე უკეთ გამოხატავს ცნება „პიროვნული უფლება“ და არა „პირადი არაქონებრივ უფლება“.

ამდენად, პიროვნულობის ხაზგასმისა და შინაარსობრივი არსის უკეთ გააზრების მიზნით გასაზიარებელია იურიდიული ლიტერატურაში გაუღრებელი პოზიცია, რომლის მიხედვითაც უმჯობესია სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილ სიკეთეებს ეწოდოს „პიროვნული უფლებები“⁷⁶ და არა „პირადი არაქონებრივი უფლებები“, რითაც ხაზი გაესმება, რომ საკვლევი ღირებულებები დაკავშირებულია უშუალოდ პიროვნებასთან და მისი განმსაზღვრელია. აღნიშნული ტერმინოლოგიური დაზუსტება ასევე მოხსნის იმ პრაქტიკულ უხერხულობას, რასაც პიროვნული სიკეთეების ეკონომიკური ღირებულების არსებობის დადასტურებასა და სსკ-ის მე-18 მუხლის სახელწოდებას შორის იქმნება მუხლის სათაურის ამ სახით არსებობის პირობებში.

1.3 ზოგადი პიროვნული უფლების კერძო და საჯაროსამართლებრივი ცნებების მიმართება

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების თაობაზე,⁷⁷ რომელიც სსკ-ის მე-18 მუხლის შინაარსობრივი გააზრებით ზოგადად უნდა მოიცავდეს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე მათგან გამომდინარე ცალკეულ ფასეულობებს. აღნიშნულის დასაბუთება, პირველ რიგში, საჭიროებს სამოქალაქოსამართლებრივი და კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლების ურთიერთმიმართების დადგენას. გამომდინარე იქიდან, რომ გერმანულ სამართალში პიროვნული უფლებების დაცვა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ხორციელდება ძირითად უფლებებთან მათი ურთიერთკავშირის შესაბამისად, თავდაპირველად,

⁷⁶ გამოთქმული მოსაზრებით აღნიშნული „ტერმინის უპირატესობა სწორედ პიროვნულობის ხაზგასმა“- *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 132.

⁷⁷ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 137; შდრ. *ბიჭია შ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 126.

აუცილებელია დადგინდეს, როგორ ზემოქმედებს ძირითადი უფლებები პიროვნულ სიკეთეებზე, რისთვისაც, თავის მხრივ, ღირებულა, ძირითადი უფლებების მოქმედების ფარგლების გაანალიზება კერძო სამართლებრივ განზომილებაში⁷⁸ და მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა: წარმოეშობათ თუ არა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს კონკრეტული უფლებები და მოვალეობები ძირითად უფლებებზე დაყრდნობით?

იმის მიხედვით, თუ როგორ ზემოქმედებს ძირითადი უფლებები პიროვნულ უფლებებზე, გამოიყოფა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი უფლებების უშუალოდ და არაპირდაპირი მოქმედების თეორიები.⁷⁹ კლასიკური გაგებით ძირითადი უფლებები აღიარებულია, როგორც სახელმწიფოსგან დამცავი უფლებები. შესაბამისად, ისინი კერძო პირებს ან სხვა არასახელმწიფო ორგანოთა ურთიერთობებში უშუალოდ არ გამოიყენება,⁸⁰ თუმცა „ის არ არის გულგრილი კერძო სამართლის მიმართ. კონსტიტუცია არსებითად განსაზღვრავს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია კერძო სამართლის განვითარებისთვის“.

„მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ძირითად უფლებებთან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივ დებატებში, გერმანელმა კონსტიტუციონალისტმა - *ჰანს პეტერ იჰსენმა* გამოიყენა ტერმინი „*Drittwirkung*“⁸¹ - (ითარგმნება, როგორც ძირითადი უფლებების „მოქმედება მესამე პირების მიმართ“).“⁸² ძირითადი უფლებების უშუალო ზეგავლენის შესახებ მოძღვრებას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა იურიდიულ ლიტერატურაში და უარყოფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტით, როგორცაა, მაგ.: კონსტიტუციურ დებულებათა სტრუქტურა, რაც გულისხმობს ამ უფლებებით უშუალო შეზღუდვის შესაძლებლობას ხელისუფლების სამივე შტოს მიმართ და არა კერძო სამართლებრივი სუბიექტებთან⁸³. „ფაქტია, რომ ძირითადი უფლებების პირდაპირი გამოყენება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შეუძლებელია, რადგან ამ უფლებათა ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა“⁸⁴. პირდაპირი გამოყენება არა მხოლოდ კერძო ავტონომიას შეუქმნის აბსტრაქტულ საფრთხეს, არამედ

⁷⁸ დეტალურად იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 83 და შემდგომში.

⁷⁹ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 123.

⁸⁰ *Rüfner W.*, Grundrechtsadressaten, §197, 3. Aufl., Kirchhof, 2011, Rn.83.

⁸¹ დეტალურად იხ. *Schwabe J.*, Die Sogennante Drittwirkung der Grundrechte, München, 1971, 10.

⁸² *ერქვანია თ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ჟურნ. „მართლმსჯულება და კანონი“, №4(31), თბ., 2011, 59.

⁸³ *ერქვანია თ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ჟურნ. „მართლმსჯულება და კანონი“, №4(31), თბ., 2011, 65; *Marion B. - V.*, Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 1997, 27.

⁸⁴ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 84.

განუზომლად გაათავოთვებს დამცავი ნორმის ადრესატის უფლებებს მონინალმდევე მხარის ნებისმიერი ქმედების ძირითად უფლებებთან თანხვედრის შემონმების თეორიული საშუალების მიცემის გამო. ამ შემთხვევაში ძირითადი უფლებების უშუალოდ ზემოქმედებისას აუცილებელი გახდება კერძო სამართლებრივი ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებაც, რაც სამართლებრივი სიკეთებისა და ინტერესების შეფარდების ხარჯზე უნდა იქნეს მიღწეული (თანაზომიერების პრინციპი), ეს კი კონკრეტული ნორმის შემფარდებელი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული⁸⁵, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოვა ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიის ზოგად პრინციპებთან, ასევე სამართლებრივი სტაბილურობის იდეასთან, რადგან საერთო სასამართლოს არც მანდატი და არც კომპეტენცია გააჩნია შეასრულოს ესოდენ რთული დავალება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის დისპოზიცია, განხილული თემატიკის გათვალისწინებით, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით მოიაზრებს ძირითადი უფლებებით ხელისუფლებისა და ხალხის უშუალო შემღუდვას, თუმცა აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდება სამეცნიერო ლიტერატურა და მართლმსაჯულება, რომელიც ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების თეორიას ავითარებს.⁸⁶ აღსანიშნავია, რომ მითითებული დებულების შინაარსის გარკვევა სამართლებრივი განმარტების სფეროს განეკუთვნება, რომლის სიღრმისეული შესწავლა ცდება მოცემული კვლევის ფარგლებს. შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლების არსის გასაგებად მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ძირითადი უფლებების უნივერსალურობა და კერძო სამართალშიც მისი ირიბი გავრცელების საჭიროება.

პრაქტიკულად, ძირითადი უფლებების კავშირი კერძო სამართალზე და ღირებულებათა ობიექტური წესრიგის გათვალისწინების ვალდებულება მიიღწევა ძირითადი უფლებების უშუალო ადრესატის- სახელმწიფოსა და მისი განშტოებების აქტივობით- იქნება ეს საკანონმდებლო, თუ სამოსამართლო საქმიანობის პროცესში, კონსტიტუციური ღირებულებების სამოქალაქო სამართლებრივ წყაროებში ტრანსფორმირების კუთხით. აღნიშნულის ნათელი გამოხატულებაა სსკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი სამოქალაქო კანონების განმარტებების კავშირი კონსტიტუციურ დებულებებთან, ასევე სსკ-ის მე-5 ნაწილით დადგენილი სამოსამართლო

⁸⁵ *Marion B. - V.*, Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 1997, 20.

⁸⁶ *Hubmann H.*, Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967, 112-113; *Schwabe J.*, Die Sogennante Drittwirkung der Grundrechte, München, 1971, 10; *ბიჭია შ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 123.

საქმიანობის ხერხები, რაც ერთგვარად შემზღუდველ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გარანტირებული კერძო ავტონომიისთვისაც.

საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია⁸⁷. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აკონკრეტებს სპეციალური ძირითადი უფლებებით დაუცველი ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით. უპირველეს ყოვლისა ის იცავს თავად პიროვნებას, მის ღირსებას, პატივს, საზოგადოებრივ სახეს, რეპუტაციას, იდენტობას, ინდივიდუალობას და ავტონომიურობას.⁸⁸ აღნიშნულის მიუხედავად, გასაზიარებელია პოზიცია, რომლის მიხედვითაც არ არსებობს კონსტიტუციის მე-12 მუხლში ნახსენები „ზოგადი პიროვნული უფლებისა“ და პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებების ერთმანეთთან გაიგივების საფუძველი⁸⁹.

ამდენად, სამოქალაქო სამართლებრივი პიროვნულ უფლებას თავის სამართლებრივ საფუძველში ისეთი დაცვის სტანდარტი უნდა ფარავდეს, როგორც ძირითად უფლებაშია განმტკიცებული, თუმცა მისი განსაკუთრებული ბუნების წყალობით უნდა იძლეოდეს ძირითადი უფლების პირდაპირი მოქმედების სფეროდან გასვლის საშუალებასაც. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ კანონმდებელს აქვს მოქმედების საკმაოდ ფართო დიაპაზონი კონსტიტუციით დადგენილი საზღვრების ფარგლებში. თუ კანონმდებელი ან სამართალშემამართლებელი მოსამართლე გადააჭარბებს კონსტიტუციით დადგენილ ზღვარს, კანონიც და სამოსამართლო სამართლის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებაც კონსტიტუციის საწინააღმდეგო იქნება.⁹⁰ შესაბამისად, კონსტიტუციური ღირებულებები კერძო სამართალში რელევანტურია პიროვნული უფლების დაცვის მასშტაბისა და შინაარსის, დარღვევის ხარისხის და დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის განსაზღვრისთვის, მაგრამ ის ვერ გამოდგება შეფასების საზომად, დაადგინოს, თუ რომელი კონსტიტუციურ სამართლებრივი გადაწყვეტა იქნებოდა სამოქალაქო სამართალში საუკეთესო შედეგის მომტანი.

⁸⁷ *კუბლაშვილი ვ.*, ძირითადი უფლებები, თბ., 2008, 95-96.

⁸⁸ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 115.

⁸⁹ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 123.

⁹⁰ *ob. Hager J.*, in: *Staudinger J.*, Kommentar zum BGB, §823, Berlin, 2017, Rn. C7.

ერთმანეთისგან განსხვავდება ასევე უფლებათა ბოჭვის ადრესატები, სტრუქტურა და შეზღუდვის ფარგლები. კონსტიტუციური ზოგადი პიროვნული უფლება უფლებამოსილ ალტერვატს დაცვის მინიმალური სტანდარტით, რა ფარგლებშიც წარმოეშობა სახელმწიფოს თითოეული ინდივიდის დაცვის ვალდებულება.⁹¹ აღნიშნულ, ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია იმ ზომამდე, ვიდრე ეს არ გამოიწვევს სხვა დაპირისპირებული უფლების მფლობელი პირის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების არათანაბარზომიერ შეზღუდვას.⁹² სამოქალაქო სამართლის ზოგადი პიროვნული უფლების მოქმედების ფარგლები კი გაცილებით ფართოა და მისი შეზღუდვის წინაპირობების გაცილებით მსუბუქ გარემოებებს მიემართება, ვიდრე მისი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლება წარმოდგენილია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან დამცავი ბერკეტის სახით, არამედ ამ უკანასკნელს დაცვის ვალდებულება თავად სახელმწიფოზე გადააქვს. ეს ვალდებულება ნაწილობრივ სრულდება კანონმდებლის მიერ, რომელიც პიროვნული უფლების შესაბამისი მარეგულირებელი ნორმის შემუშავებითაა დაკავებული. შესაბამისად, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლება უფრო ვიწროა, ვიდრე სამოქალაქოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება, რადგან ამ უკანასკნელით დაცულ სფეროში პიროვნულობის განვითარების შესაძლებლობის სხვა ფორმებიც შეიძლება მოიაზრებოდეს. ამასთან, ადამიანის ღირსების დაცვის უპირველეს კონსტიტუციურ პრინციპთან პირდაპირი კავშირის გამო, მას მოქმედი სამართლებრივი ნორმის ფუნქცია აქვს, რომელიც პიროვნების ღირსეული არსებობის სადარაჯოზე დგას. იდეალური ინტერესის გარდა ზოგად პიროვნულ უფლებას კომერციული ღირებულებაც გააჩნია, ღირსების დაცვის კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპი კი ადამიანის, როგორც ღირსეული სამართალსუბიექტის იდეალური ინტერესების კომერციული მიზნით გამოყენებასაც კრძალავს.⁹³ შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლების სამოქალაქო სამართლისეული გაგება ამ კუთხითაც განსხვავდება ძირითადი უფლების არსისგან.

მართალია, ზოგად პიროვნული უფლება ღირსების დაცვიდან იღებს სათავეს, თუმცა მისი დაცვის სფერო გაცილებით უფრო ფართოა. შესაბამისად, ღირსებასთან კავშირი არ ქმნის დაცულ სფეროში ჩარევისთვის

⁹¹ *Hiller V.*, Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), I Aufl., Freiberg, 2014, 34.

⁹² იქვე, 34-35.

⁹³ *Beater A.*, in: *Soergel H.T., Spickhoff A.*, §823 BGB, 13. Auf., Stuttgart, 2005, Anh I, Rz. 8

დამაბრკოლებელ გარემოებას.⁹⁴ სამოქალაქო სამართლებრივი პიროვნული უფლების შელახვისას მოსამართლეს არ აქვს ბერკეტი შეამონმოს ძირითადი უფლების დაცულ სფეროში ჩარევის ლეგიტიმურობა თანაზომიერების პრინციპის დაცვით, რისი მიზებიც სწორედ ძირითადი უფლებების პირდაპირი მოქმედების თეორიის აკრძალვაა. სამოქალაქო საქმეთა სასამართლო უფლებამოსილია შეამონმოს მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პიროვნული უფლების დარღვევის ფარგლები, რა შემთხვევაშიც ასევე ვერ ექნება ადგილი კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლების გამოყენებას. ამ უკანასკნელის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს რელევანტური, თუ ნორმის შემთარღებელი მოსამართლე ძირითადი უფლებების გამჭოლი მოქმედების პრინციპს არაჯეროვნად დაიცავს და არ მოახდენს სწორად ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი პრინციპების ინტერპრეტაციას⁹⁵ ძირითადი უფლებების შესაბამისად.

ზემოთგანხილული ცხადყოფს, რომ კერძო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება მოცულობით, შინაარსობრივი მასშტაბითა და ფარგლებით არ არის ძირითადი უფლების იდენტური. სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება არის ძირითადი უფლებებში ასახული დაცვის მიზნის მიღწევის საშუალება.⁹⁶ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ძირითადი უფლებების პროექცია კერძო სამართალში.⁹⁷ სწორედ ამიტომ, ძირითადი კანონით დაცული ღირსების უფლება ვერ გამოდგება სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის უშუალო საფუძვლად.

1.4 ზოგადი პიროვნული უფლების გავლენა სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობაზე

ზოგადი პიროვნული უფლების კერძო და საჯარო სამართლებრივი ცნებების გამიჯვნის მიუხედავად, სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების დაცვის საქმეებზე სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობისას საქართველოში სამივე ინსტანციის სასამართლო სსკ-ის მე-18 მუხლთან ერთად, უმეტესად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლსაც უთითებს, რითაც ცდილობს სამოქალაქო სამართლით დაცული პიროვნული

⁹⁴ *Hiller V.*, Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), I Aufl., Freiberg, 2014, 50.

⁹⁵ BVerfGE 101, 361 (3), *Caroline v. Monaco II*; *Hiller Vera*, Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), I Aufl. Freiberg, 2014, 35.

⁹⁶ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 49.

⁹⁷ *Neumeyer J.*, Person- Fiktion-Recht, Dissertation, Dresden, 2008, 45.

უფლებების ძირითად უფლებებთან კავშირის დასაბუთებას,⁹⁸ თუმცა არასდროს არ მოუხდენია მათ შორის ზუსტი მიმართების დადგენა.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“⁹⁹ 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, ახლებურად მოწესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა და ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების რეალიზაცია. სამოქალაქო სამართლის ზოგად ნორმებთან ერთად პიროვნული უფლებების რეგულირება შესაძლებელი გახდა სპეციალური კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად როგორც დაცვის მექანიზმები, ისე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები დაადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში გერმანიის მსგავსად, ცილისწამება რეგულირდებოდა სისხლის სამართლებრივი წესით, რომლის დეკრიმინალიზაციაც დასახელებული კანონის მიღებას უკავშირდება. საგულისხმოა, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას ემსახურება ასევე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ, დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისთვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

პირადი არაქონებრივი უფლებები ასევე აღიარებულია და დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის რეგულირების სფეროა იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივი უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონით დადგენილია პაციენტის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

⁹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-790-739-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-179-172-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1739-1720-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1545-11.

⁹⁹ მუხ. 91.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებში ძირითადი უფლებების პირდაპირი მითითებით სასამართლო თითქოსდა არღვევს ძირითადი უფლებების არაპირდაპირი მოქმედების პრინციპს, რადგან თვისობრივად სხვადასხვა კატეგორიის და მასშტაბის მქონე სამართლებრივ საფუძვლებს ერთ სიბრტყეში აერთიანებს. სასამართლო პრაქტიკის ამგვარი განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ის დოქტრინული ხარვეზი, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ძირითად უფლებებს არ აქვთ საყრდენი წერტილი სამოქალაქო სამართალთან, რის შევსებასაც ცდილობს სასამართლო დასაბუთების ნაწილში ძირითადი კანონის მუხლების მითითებით.

ამდენად, სამოქალაქო ურთიერთობებში პიროვნული უფლების დაცვის გამართული სამართლებრივი ბაზის ფორმირებისთვის, გასაზიარებელია პოზიცია¹⁰⁰, რომლის მიხედვითაც მეთოდოლოგიურ გამოსავლად სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომელიც დასახელებულ ორ სფეროს დამაკავშირებელი ხიდის როლს შეითავსებს და მყარ ადგილს დაიმკვიდრებს სამოქალაქო სამართლებრივ მოთხოვნის უფლებათა კატეგორიაში. უფლების უკეთ რეალიზაციისთვის კონსტიტუციურ პრინციპებთან კავშირს ის დადებითი გავლენა ექნება, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ვალდებული იქნება გაითვალისწინოს კონსტიტუციური პიროვნული უფლების ძირითადი პრინციპები, როგორც უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტის ზოგადი დებულებები. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სამოქალაქო სამართლებრივ საქმეზე მსჯელობისას ძირითად ნორმად საქართველოს კონსტიტუცია გამოიყენოს. დავალება, რომელსაც ძირითადი უფლებების ირიბი მოქმედების თეორიიდან გამომდინარეობს, ამ უფლებების პირდაპირი გამოყენების სფეროდან გადის და ზოგადად კონსტიტუციურ სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინების სფეროს უკავშირდება¹⁰¹. ამ დათქმით კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ ძირითადი უფლებების ირიბი გავლენის დათქმაც იქნება გათვალისწინებული, რომელიც ბოჭვის უშუალო ადრესატის- სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის ძირითად უფლებებთან თავსებადი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების ვალდებულებაში გამოვლინდება.¹⁰² ძირითადი უფლებების პირდაპირი

¹⁰⁰ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 137; შდრ. *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 128.

¹⁰¹ „ძირითადი უფლებების გამოყენება გულისხმობს მისი ღირებულებების რეალიზაციას და არა ნორმის უშუალო აღსრულებას“.

¹⁰² *Märten J. J.*, Die Vielfalt des Persönlichkeitsschutzes, 1 Auflage, Berlin, 2015, 108.

მოქმედების გამორიცხვის გამო ეს კონსტრუქცია ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს კონსტიტუციური ზოგადი პიროვნული უფლების სამოქალაქო სამართლებრივ ლეგიტიმაციას. კონსტიტუციურ სამართლებრივი პიროვნული უფლების დაცვის ადრესატი იქ, სადაც სამოქალაქო მართლწესრიგისგან ითხოვს აღიარებას (ანუ ჩვეულებრივი კერძო სამართლებრივი კანონის გამოყენების დროს), იგივეა, რაც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ანუ კერძო სამართლის სუბიექტები.¹⁰³ შესაბამისად, აღსრულების კუთხით, ამ ორი სხვადასხვა გენგისის მქონე უფლებას შორის პრინციპული სხვაობა პრაქტიკაში არ ქმნის განსაკუთრებულ დაბრკოლებას.

ზოგადი პიროვნული უფლება წარმოდგენილი იქნება პირველადი, ჩარჩო დებულების სახით¹⁰⁴, რომლიდანაც პიროვნულობის დაცვის ყველა მიმართულება შეიძლება გამომდინარეობდეს, რაც ცალკეული უფლებების სახით ფრაგმენტულად არის დღეს მონესრიგებული სხვადასხვა სამართლებრივ წყაროში¹⁰⁵. ნორმის ზოგად-აბსტრაქტული ბუნების კონკრეტიზაცია კი შემთხვევათა ცალკეული ჯგუფების გამოყოფით უნდა იქნეს მიღწეული. ამ მიდგომის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დაცვის მექანიზმის არსი წინ წამოსწევს არა იმდენად პიროვნულ ელემენტს, არამედ დარღვევის ხარისხს, რაც ზოგადი ცნების არსებობის პირობებში მოქნილი და სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა. სხვა შემთხვევაში მოსამართლე იძულებული იქნება გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია, რაც უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია.¹⁰⁶ ჩარჩო პრინციპის აღიარებით კი, ერთის მხრივ, მიღწეული იქნება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით დადგენილი ვალდებულება ძირითადი

¹⁰³ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 4.*

¹⁰⁴ „1961 წელს გერმანიაში, კარლსრუეს ფორუმზე, ტროლემა თქვა, რომ „არ ღირს გერენალურ დოგმაზე გაჩერება მხოლოდ ზოგადი ცნებების შემუშავებით და ყველა დანარჩენის კაზუსტიკაზე მინდობა. ზოგადი დებულებები არის მიმართულების მიმცემი და საჭირო ბიძგი. ჩვენი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ §823 BGB-ში ჩამოთვლილი სამართლის სფეროები დოგმატურ დონეზე განვაავითაროთ, სამართლებრივი სიკეთეები დავყოთ მატერიალურ და იდეალურ ნაწილებად და გამოვკვეთოთ, რა კატეგორიის ქმედებაა დაშვებული და რომელია მართლსაწინააღმდეგო. დადგენილი წესრიგი შეიძლება შეიცვალოს ღირებულებებისა და ურთიერთობების გადაფასების კვალდაკვალ. ამ კუთხით ჩვენ არასოდეს არ ვიქნებით სრულყოფილი და ყველა გამოწვევის დრო ვიქნებით იძულებული მოვიფიქროთ რაიმე ახალი“. იხ. *Helle J., Besondere Persönlichkeitsrechte im Privatrecht, Tübingen, 1991, 37.*

¹⁰⁵ იგივე პოზიცია იხ. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 137; ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 199; ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 17, თბ., 2002, 71.

¹⁰⁶ *Hager J., in: Staudinger J., Kommentar zum BGB, §823, Berlin, 2017, Rn. C16.*

უფლებების კერძო სამართლის სუბიექტებზე ირიბი გავრცელების თაობაზე, მეორეს მხრივ, ეს იქნება გარანტი, რომ გაუადვილდეს ნორმის შემთარღებელს სსკ-ის მე-18 მუხლის ფარგლებში ცალკეული პიროვნული უფლებების ჩამონათვალში გამორჩენილი მნიშვნელოვანი მახასიათებლების დაცვა, როგორცაა ადამიანის ხმა, სასცენო სახე, სექსუალური თვითგამორკვევა და ა.შ., რამაც სერიოზული პრობლემა შეიძლება შექმნას ამ მუხლის დღევანდელი სახით არსებობის პირობებში. გამომდინარე იქიდან, რომ პიროვნული სფერო ძალიან ფართო და ზოგადი კატეგორიაა, დაცულ სფეროთა *numerus clausus* პრინციპით შემოსაზღვრა წარმოადგენს პიროვნულობის დაცვის ბერკეტის გაუმართლებლად შეზღუდვას, რადგან სამართალშემთარღებელი მოკლებულია შესაძლებლობას, ახალი პრეცედენტების დადგენით ხელი შეუწყოს პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების დინამიურ განვითარებას, პიროვნული სფეროს დარღვევის ისეთ გამოვლინებებზე ადაპტაციას, რასაც დღევანდელ რეალობაში ვერ გაითვალისწინებდა კანონმდებელი და შესაძლოა არ იყოს ასახული სსკ-ის მე-18 მუხლში.

სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების სპეციალური მონესრიგების არქონა სასამართლო პრაქტიკაშიც იწვევს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული პიროვნული უფლების მარეგულირებელი ნორმების არასისტემურ გამოყენებას. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს არათანმიმდევრული პრაქტიკა სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 მუხლისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, როდესაც თვისობრივად იდენტური საქმის გარემოების - გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნების ფაქტზე ერთ შემთხვევაში სასამართლომ¹⁰⁷ დაასკვნა, რომ საავტორო სამართლით დაცული არაქონებრივი უფლება სპეციალურ ურთიერთობას ქმნის სამოქალაქო კოდექსის ზოგად მოთხოვნასთან მიმართებით და ნორმატიულ აქტებს შორის კონკურენციის გადანაცვების ზოგადი ფორმულით სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით საავტორო სამართალი მიიჩნია უპირატესად გამოსაყენებელ ნორმატიულ წყაროდ. აღნიშნულისგან სრულიად საპირისპიროდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მეორე

¹⁰⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-280-264-2011.

საქმეში¹⁰⁸ მკაცრი მიჯნა გაავლო ფოტოგრაფიული წესით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებასა და ფოტოსურათში საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლებას შორის, დაცვის განსხვავებული ობიექტების გამო¹⁰⁹ და განმარტა, რომ „საკუთარი გამოსახულების საჯაროდ გავრცელების უფლება მისთვის სასურველი ფორმითა და შინაარსით არის პიროვნულობის განუყოფელი ნაწილი, რაც არ განეკუთვნება ავტორის განსაკუთრებულ უფლებათა კატეგორიას¹¹⁰“. შესაბამისად, სადავო ურთიერთობაზე სავსებით მართებულად გაავრცელა სსკ-ს მე-18 მუხლის დანაწესი.

სსკ-ის მე-18 მუხლი იცავს რა ღირსებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლში დეკლარირებული საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლების კონკრეტიზაციას ახდენს ადამიანის სხვადასხვა სფეროს მიხედვით. რადგან ზოგადი პიროვნული უფლებით დაცული ობიექტი დელიქტური სამართლისგან განსხვავებით არახელშესახები და არამატერიალიზებული სიკეთეა,¹¹¹ რომლის დაცვის მრავალნაზნაგოვნებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ პირის თავისუფალი განვითარების უფლება კონფლიქტში მოდის სხვა პირის ამავე რანგის უფლებასთან. ნორმის ზოგად-აბსტრაქტული და ღია ფორმულირება კი იძლევა საშუალებას, რომ ინტერესებისა და ღირებულებების აწონ-დაწონვის შედეგად მოხდეს მისგან კონკრეტული გამოვლინებების აღმოცენება ძირითადი უფლებების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი ღირებულებათა სტანდარტის შესაბამისად. კერძო ძალაუფლება, რომელიც სამოქალაქო სამართალში კერძო ავტონომიის, ხელშეკრულებისა და საკუთრების თავისუფლებაში ჰპოვებს გამოხატულებას, სხვა პირის ღირსებისა და მოქმედების თავისუფლების ძირითადი უფლებით იზღუდება,¹¹² ხოლო ამ პროცესის სწორ სამართლებრივ ჩარჩოებში მოთავსებაზე მონიტორინგის უფლებამოსილებით ლეგიტიმური ძალაუფლების მქონე კანონმდებელი, საჭიროების შემთხვევაში კი -სასამართლო.

¹⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

¹⁰⁹ „რადგან სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის დაცვის ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა ინტელექტური შრომის შედეგად შექმნილი პროდუქტი“- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

¹¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

¹¹¹ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 10.*

¹¹² *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 108.*

ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების საკითხზე მსჯელობისას, საკანონმდებლო ნორმის ძიებისას საკითხი შეიძლება გადაწყდეს სსკ-ის სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილისა და სსკ-ის 992-ე მუხლის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართლებრივი სტაბილურობის იდეას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ავტორი §823-ის 1-ელ ნაწილით (გენერალური დელიქტის შემადგენლობა) დადგენილი მონესრიგების ანალოგიურად აყენებს სსკ-ის მე-18 მუხლის ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის კერძო სამართლებრივ საფუძვლად ქცევის იდეას, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული ღირსებისა და მე-12 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მიღმა დარჩენილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის შემთხვევებზე გენერალური დელიქტის დამფუძნებელ სსკ-ის 992-ე მუხლთან ერთად.¹¹³

მართალია, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე შეიქმნა გერმანელი და ქართველი იურისტების მონაწილეობით, თუმცა ქართული დელიქტური სამართალი, უფრო ზუსტად ბრალეულობის ზოგადი ნორმა (სსკ-ის 992) არსებითად განსხვავდება გერმანულისგან, რადგან ეს უკანასკნელი ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად, უფრო ფართო გამოყენების არეალი აქვს“¹¹⁴. სსკ-ის 992-ე მუხლი გარკვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგის სანქციონებისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა გსკ-ის §823-ისგან განსხვავებით დელიქტური სამართლის წინაპირობად ზოგადად ზიანს აწესებს, კონკრეტულად ჩამოთვლილი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციით, „დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის სუბიექტური აბსოლუტური სამოქალაქო უფლების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებისკენ“.¹¹⁵ უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტებით ხდება „ზიანის ანაზღაურების წესის დავინროება მხოლოდ აბსოლუტურ უფლებებზე, რაც ნორმის სიტყვა-სიტყვითი შინაარსიდან არ

¹¹³ იხ. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 128.

¹¹⁴ ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, №4, თბ., 2015, 24.

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 76; შდრ. ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, №4, თბ., 2015, 25.

გამომდინარეობს“.¹¹⁶ ამდენად, თეორიული თვალსაზრისით, სსკ-ის 992-ში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გარეშეც არის შესაძლებელი, გერმანული სამართლის მსგავსად, ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება, რაც ტექნიკური თვალსაზრისით შესაბამისობაშია აღნიშნულ თავში დასმულ პრობლემასთან.

სსკ-ის მე-18 და 992-ე მუხლებს ერთობლივად განხილვის შედეგად, არ იმსახურებს გაზიარებას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთმული მოსაზრება, რომელიც გენერალური დელიქტის შესახებ ზოგადი ნორმაში ყველა იმ სიკეთეს მოიაზრებს, რომელიც სსკ-ის მე-18 მუხლით არაა მოცული¹¹⁷. ამ განმარტებით, ავტორი გარკვეულწილად მიჭნავს ზოგად და განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს და მე-18 მუხლს ზოგადთან შედარებით სპეციალურად ნორმად განიხილავს, რაც არ შეესაბამება ევროპულ სამართლებრივ დოქტრინას.

ის გარემოება, რომ ცალკეული პიროვნული უფლებების გამოყენება და შეფასებაც ზოგადი პიროვნული უფლების მსგავსად კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი ღირებულებების შესაბამისად უნდა მოხდეს¹¹⁸, არღვევს მყარ კედელს ზოგად პიროვნულ უფლებასა და ცალკეულ პიროვნულ უფლებებს შორის. თეორიული განმასხვავებელი ნიშნების პოვნა აღნიშნულ ორ უფლებას შორის ფორმალურად შესაძლებელია, თუმცა პრაქტიკულად ნაკლებად რელევანტურია. საკანონმდებლო ნორმათა შორის შესაძლო კოლიზიისა და აზრთასხვადასხვაობის აცილების მიზნით კი უმჯობესია „განსაკუთრებული პიროვნული უფლებების“ ნაცლად ტერმინის „რეგულირებელი პიროვნული უფლებების“¹¹⁹ ან „ცალკეული პიროვნული უფლებების“ გამოყენება, რაც ხაზს გაუსვამს არა დაცული უფლების განსაკუთრებულ ხასიათს, არამედ ზოგადი პიროვნული უფლებისგან განსხვავებით მის ცალკე რეგლამენტაციის ფაქტს.

რეგულირებელი პიროვნული უფლებები უნდა იქნეს მიჩნეული არა პიროვნულობის შეფასების ამოსავალ და ამომწურავ რეგულაციად, არამედ როგორც საბოლოო შედეგის დადგომის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი პირველადი ორიენტირი და მიმართულების მიმცემი, ამომწურავი შინაარსის გარეშე¹²⁰. ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევა დამოუკიდებელი მასშტაბებით უნდა შეფასდეს, იმის მიუხედავად, დარღვეულია თუ არა

¹¹⁶ ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, №4, თბ., 2015, 25.

¹¹⁷ შდრ. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 129.

¹¹⁸ Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., Stuttgart, 2005, Anh I, Rz. 10.

¹¹⁹ „Benannte Persönlichkeitsrechte“- Neumeyer J., Person-Fiktion- Recht, Diss. Dresden, 2008, 53.

¹²⁰ Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., Stuttgart, 2005, Anh I, Rz. 10.

ამავდროულად განსაკუთრებული უფლებაც. თუმცა რამდენადაც აღნიშნული ორი სფერო ერთმანეთს კვეთს, შესაძლებელია განსაკუთრებული რეგულირების საკანონმდებლო შეფასებები მთლიანი ღირებულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისასაც იქნება გამოყენებული. ამ კუთხით პიროვნულობის დაცვის მომწესრიგებელ ნორმად მიჩნევა სსკ-ის 992-ე მუხლითაც შესაძლებელია, რაც გაადვილებს ერთიანი რეგულირების შესაძლებლობას ჩამოყალიბებას და ღიად დარჩენილი საკითხების მოწესრიგებას.

2. პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების განვითარება

2.1 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია საქართველოში

ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და ქართული სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით თითქმის დაუმუშავებელი საკითხია. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში- „ქართული სამართლის ისტორია“ რომელშიც ათასამდე გვერდზე ავტორი იხილავს ეროვნული სამართლის ინსტიტუტების ისტორიას უძველესი ხანიდან მოყოლებული, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის XII საუკუნემდე, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხი სპეციალურად არ განუხილავს. ერთადერთი გვერდი უძღვნა ავტორმა მხოლოდ მეფისადმი შეურაცხყოფის მიყენების დასჯალობას.¹²¹

უაღრესად საინტერესო კვლევას წარმოადგენს *გ. ნადარეიშვილის* სტატია, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვას მიმოიხილავს ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.¹²² სტატიის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში სამართლის ნორმების მემკვიდრით დაცული იყო ადამიანის პატივი და ღირსება. იკრძალებოდა როგორც ადამიანის რეალური შეურაცხყოფა, ისე მისი სიტყვიერი ხელყოფაც. აღნიშნული ეპოქა იცნობდა ცილისწამების ცნებასაც, რომელიც წინასწარი განზრახვით ცრუ და მისი პატივისა და ღირსების

¹²¹ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „ალმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 52; *ჯავახიშვილი ი.*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბ., 1929, 293.

¹²² *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „ალმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000; *ნადარეიშვილი გ.*, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, 2003, თბ., 2003, 160.

ხელმყოფი ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობდა.¹²³ მკვლევარის მოსაზრება ფეოდალურ საქართველოში პიროვნული უფლებების დაცვის თაობაზე გამოთქმულია ქართული სამართლის ცნობილი ძეგლების ანალიზის შედეგად, როგორცაა „შუშანიკის წამება“, ბექასა და ალბულას სამართლის წიგნი, „ქართლის ცხოვრება¹²⁴“, „ვეფხისტყაოსანი“, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, „ხელმწიფის კარის გარიგება“, დავით ბატონიშვილის სამართალი, ვახტანგ VI სამართლის წიგნი და ა.შ., ასევე სხვადასხვა საერო თუ საეკლესიო განაჩენების შინაარსობრივი გააზრების შემდგომ.

ფეოდალურ საქართველოში პიროვნულობის ასპექტის ცალკეული გამოვლინებები პატივისა და ღირსების სახით რელიგიურ არსს უკავშირდებოდა, თუმცა ამ პერიოდის საზოგადოებას და მის სამართალს არ შესწავლა უნარი შინაგანად არსებითად შეეთვისებინა ქრისტიანული მოძღვრება ღმერთის წინაშე წოდებრივ, ეროვნულ თუ კულტურული დონის სხვაობის უმნიშვნელო ხასიათის შესახებ.¹²⁵ მაშინდელი შეხედულებით ადამიანს ღირსებას პირადი დამსახურება კი არ ანიჭებდა, არამედ დიდგვაროვნება, აზნაურობა და საერთო წარჩინებული და ძირძველი ფეოდალური საგვარეულოს კუთვნილება.¹²⁶ მკვლევარები ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით პოულობენ გამონაკლისებსაც, როდესაც, რიგ შემთხვევებში, წოდებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიუღებლადაც ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ღირსებას.¹²⁷ აღსანიშნავია ისიც, რომ

¹²³ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „აღმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 53.

¹²⁴ მკვლევარი ანალიზებს აღნიშნულ ძეგლში ნახსენებ ტერმინ „შეხუენას“, რომელსაც შეურაცხყოფილი პირის წინაშე ბოდიშის მოხდასთან ერთად, თავშესაფრის მიცემის მნიშვნელობაც ჰქონდა.

¹²⁵ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „აღმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 58; პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით იხ. *მონიავა თ.*, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში, (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), „მერიდიანი“, თბ., 2006, 52; 69-71; *მონიავა თ.*, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, *ჟურნ. „სამართალი“*, №6-7, თბ., 2003, 21.

¹²⁶ „ფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით მის ადრეულ საფეხურზე, ადამიანის პატივი და ღირსება აისახებოდა მის სისხლში ფასში, რომელიც ან სამართლის წიგნში ან სათანადო სიგელში იყო ფიქსირებული. და ეს პატივი და ღირსება მით უფრო მაღალი იყო, რაც უფრო „დიდი“ სისხლის სდიოდა ამა თუ იმ ფეოდალურ საგვარეულოს წარმომადგენელს“ - *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „აღმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 58.

¹²⁷ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „აღმანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 63.

შუასაუკუნეების განმავლობაში კანონმდებლობას უჭირდა განესაზღვრა მიჯნა შეურაცხყოფისათვის სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას შორის.¹²⁸

პიროვნული უფლებების დაცვა, მართალია, არ ყოფილა საბჭოთა სამართლის უპირველესი მიზანი, თუმცა საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო კოდექსით¹²⁹ გათვალისწინებული იყო მოქალაქის და ორგანიზაციის ცალკეული პირადი არაქონებრივი უფლებები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის მეშვიდე მუხლით აღიარებული იყო პატივისა და ღირსების დაცვა მათი შემლახველი ცნობების გავრცელების წინააღმდეგ. თუ აღნიშნული ცნობები პრესაში იყო გავრცელებული, მათი უარყოფაც იმავე საშუალებებში უნდა მომხდარიყო, ხოლო სხვა შემთხვევაში უარყოფის წესს დაადგენდა სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილების არშესრულების შემთხვევაში კი გათვალისწინებული იყო ჯარიმის გადახდა. საბჭოთა კანონმდებლობა და იურიდიული ლიტერატურა არ იცნობდა პირადი საიდუმლოების ცნებას, თუმცა აღნიშნულის დაცვის მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა სისხლის, ადმინისტრაციული და პროცესუალური სამართლის ნორმები¹³⁰. ცნების დადგენის პირველი მცდელობა ეკუთვნის *ვ.ლ. სუხოვერხს*, როგორც „პირის ურთიერთობათა და მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დამაყოფილებსაკენ ისეთი ხერხებითა და საშუალებებით, რომელბსაც კონკრეტულ პირობებში სოციალური მნიშვნელობა არ აქვთ და არ მოიცავენ საზოგადოებრივ ინტერესებს“.¹³¹ მოქალაქის და ორგანიზაციის ინდივიდუალიზაციის მიზნით სახელის უფლება დაცული იყო ასევე საბჭოთა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და საოჯახო კანონმდებლობაში.¹³²

¹²⁸ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, *ჟურნ. „აღმზანახი“*, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000, 57.

¹²⁹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965, მუხ. 7- „მოქალაქეს და ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებს“.

¹³⁰ *ნინიძე თ.*, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, *ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“*, №1, თბ., 1977, 18- „კანონმდებლობა და ლიტერატურა პირადი საიდუმლოების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს შორის შედარებით უფრო ფართო ადგილს უთმობდა მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვას“.

¹³¹ იქვე.

¹³² *ნინიძე თ.*, სახელის უფლების შინაარსი, *ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“*, №1, თბ., 1976, 29- „საბჭოთა მოქალაქის სახელის სამწვერიანი იყო. იგი მოიცავდა საკუთრივ სახელს, გვარს და მამის სახელს. საბჭოთა მოქალაქის სახელის სამწვერიანი ფორმულა სავალდებულო სახით დადგენილი იყო ადმინისტრაციული და საოჯახო კანონმდებლობით“.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაფართოვდა კერძო ცხოვრების მოცულობა, ხოლო მე-20 საუკუნიდან ტექნოლოგიურმა განვითარებამ პიროვნების დაცვა გაცილებით აქტუალურ პრობლემად აქცია.¹³³

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას და მიზნად დაისახა რეფორმების ჩატარება როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროში და გზა გაეხსნა კერძო სამენარმეო ურთიერთობებზე გადასვლას, გაიზარდა ისეთი ღირებულებათა მნიშვნელობა, როგორიც არის მოქალაქისა და იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებები (სიკეთე).¹³⁴ აქედან გამომდინარე, კანონმდებლობაში დამკვიდრდა პრინციპულად ახალი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი პირადი არაქონებრივი უფლებების სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ამ სიკეთეებს მიაკუთვნებს პიროვნების სახელს, ღირსებას, პატივს, საქმიან რეპუტაციას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებელობას და უფლებას გამოსახულებაზე, რომელთა შინაარსზე, სამართლებრივ ნორმათა სისტემაში მათ ადგილსა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების პერიპეტეიებზე ქვემოთ იქნება დეტალური საუბარი.

2.2 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია კონტინენტურ-ევროპულ სამართალში

სამართლებრივი ტექნიკისა და იურიდიული გემოვნების თვალსაზრისით, სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობა განსხვავებულად არეგულირებს პირადი უფლებების დაცვის საკითხებს. მაგალითად, ევროპის კონტინენტზე გამოყოფენ რამდენიმე მოდელს, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება გერმანია, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი პიროვნული უფლების ერთიან ცნებას და მასში მოაზრებს პიროვნებასთან დაკავშირებით ყველა ასპექტს.¹³⁵ მეორე ჯგუფს წარმოადგენს საფრანგეთი და ბელგია, სადაც კანონმდებელი ვერ ხედავს ზოგადი პიროვნული უფლების ჩამოყალიბების აუცილებლობას, რადგან გენერალური დელიქტური ვალდებულების ბაზაზე არის უზრუნველყოფილი პიროვნულობის ფართომასშტაბიანი დაცვა.¹³⁶ სამართლებრივი მეთოდის თვალსაზრისით შემთხვევათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ავსტრიის,

¹³³ იხ. ბიჭია შ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 32.

¹³⁴ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 31.

¹³⁵ Canaris C. W., Bürgerliches Recht, München, 2000, 5.

¹³⁶ Neethlings J., Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative law, Smits J.UK, USA, 2006, 530.

ჰოლანდიისა და ლიხტენშტეინის კანონმდებლობა, სადაც ზოგადი პიროვნული უფლების ჩარჩო მოდელის პარალელურად არსებობს პერსონალური უფლებების დაცვის უფრო კონკრეტული საფუძვლები.¹³⁷

გერმანიის სამართლებრივ სივრცეში ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგია, რადგან თვით 1949 წლიდან მოქმედი ძირითადი კანონიც კი არ შეიცავდა ზუსტ ჩანაწერს ზოგადი პიროვნული უფლების შესახებ. გერმანიის საიმპერიო სასამართლოსაც არ გადაუბიჯებია მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი საზღვრებისთვის.¹³⁸ ზოგადი პიროვნული უფლების გენერალური კონცეფციის ჩამოყალიბების იდეამ მძაფრი კრიტიკა გამოიწვია, რაც ცნების ფართო და ბუნდოვანი ინტერპრეტირების შიშით იყო გამოწვეული.¹³⁹ მოწინააღმდეგეები ფიქრობდნენ, რომ ზოგადი პიროვნული უფლების უსისტემო გამოყენება გაუმართლებლად შეზღუდავდა ეკონომიკურ თავისუფლებას და საშუალებას მისცემდა სამართალშემფარდებელს, მოეხდინა ცალკეული (ჯერ კიდევ უცნობი) დეტალების კონკრეტიზაცია, რაც ასევე ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის სამენარმეო პროგრესზე.¹⁴⁰ სწორედ ამიტომ, დიდი ხნის მანძილზე გერმანიის საიმპერიო სასამართლოს პოზიციით ზოგადი პიროვნული უფლება მოქმედი სამოქალაქო უფლებების კატალოგისთვის უცხო და არათავსებად ელემენტად განიხილებოდა. პიროვნულ სფეროში განსაკუთრებით მძიმე ჩარევების აღსაკვეთად კი საიმპერიო სასამართლო დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმის-გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში- გსკ) §826-ის მუხლის გამოყენებით ცდილობდა.¹⁴¹

პიროვნულობის დაცვის დეფიციტმა მთელი სიცხადით იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ნაციონალ-სოციალისტების მიერ პიროვნული სფეროს თავისუფლების ასპექტების ხელყოფის ნიადაგზე. მზრადი ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში და თანამედროვე საზოგადოების ინფორმაციული დიაპაზონის ზრდის პარალელურად

¹³⁷ Neethlings J., Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative law, Smits J.UK, USA, 2006, 530.

¹³⁸ RG 07.11.1909-I 638/07, RGZ 69, 401, 414, m.w.Nachw.

¹³⁹ Gottwald S., Das allgemeine Persönlichkeitsrecht (Ein Zeitgeschichtliches Erklärungsmodell), Band II, Berlin, 1996, 13; RGZ 113, 413.

¹⁴⁰RGZ 69, 401, 403- Nietzsche-Briefe; Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 2.

¹⁴¹ RG, 15.11.1909- VI 382/08, RGZ 72, 175; დელიქტური დაცვა ქმელუნარიანობის შეზღუდვის მცდელობის წინააღმდეგ; RG, 19.10.1914- VI 354/14, RGZ 85, 343: „ვალდებულებითი მონობისგან“ დაცვის მიზნით ეკონომიკური მოღვაწეობის თავისუფლების განმტკიცების მოტივით; RG 13.01.1927- IV 489/26, RGZ 115, 416: წინასწარი პატიმრობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება; RG, 04.10.1933- VI 309/38, RGZ 162, 7: მედია-გამომცემლობის პასუხისმგებლობა პრესაში შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოქვეყნების გამო.

თანმდევმა ფორმებმა, მაუწყებლობის საშუალებების დახვეწამ და სხვა ტექნიკურმა საშუალებებმა პიროვნულ სფეროში თავისუფლად შეჭრის მეტი საფრთხეები გააჩინა, რასთანაც არ იყო კანონმდებლობა ადეკვატურ შესაბამისობაში.¹⁴² ამ პროცესების კვალდაკვალ აუცილებელი გახდა სასამართლო ხელისუფლების მიერ ზოგადი პიროვნული უფლების არსებობის აღიარება, რასაც გერმანიის უმაღლესი სასამართლოს 25.05.1954 წლის ფუძემდებლურმა გადაწყვეტილებამ (მკითხველის წერილები)¹⁴³ ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევა სპეციალური კოდიფიცირებული აქტის არსებობის გარეშეც მიიჩნია დაცვის ღირს ინტერესად.

აღნიშნული გადაწყვეტილების ფუძემდებლური მნიშვნელობის მიუხედავად, დღევანდელი გადმოსახედიდან ის მაინც იმსახურებს კრიტიკას ნორმის კონსტიტუციური და სამოქალაქო სამართლებრივი წინაპირობების მკვეთრად გამიჯვნის ნაკლებობის გამო. კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივი ასპექტები გერმანიის ძირითადი კანონის 1-ელ და მე-2 პარაგრაფებზე მიბმის გამო არ შეიცავდა დეტალურ დასაბუთებას, თუ რატომ იყო საჭირო კონსტიტუციაში ისედაც დაცული უფლებებისთვის სპეციალური სამოქალაქო დაცვის უზრუნველყოფა და გსკ-ის 823-ე პარაგრაფში დაცულ უფლებათა ჩამონათვალში „სხვა უფლების“ მითითება.¹⁴⁴ თუმცა უფრო გვიანდელი სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოიკვეთა ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური სფეროს სამოქალაქო სამართლებრივი მონესრიგების კონსტიტუციური დათქმებისგან გამიჯვნის დასაბუთებაც, რომლის მიხედვითაც პიროვნულობისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის ობიექტური წესრიგი კერძო

¹⁴²Alexander C., Der Einfluss des Verfassungsrechts auf die zivilrechtliche Rechtsfindung und-
fortbindung am Beispiel des Allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 2015, 66.

¹⁴³BGHZ 13, 334 *Leserbrief*-Entscheidung oder auch *Schacht*-Entscheidung genannt- მოპასუხეს წარმოადგენდა ყოველკვირეული საგაზეთო გამოცემა „სამყარო კვირას“, რომელმაც კრიტიკული საგაზეთო სტატია გამოაქვეყნა გერმანიის საიმპერიო ბანკის ყოფილი *პრეზიდენტის-ჰილმარ შახტის* მიერ საგარეო ვაჭრობის ბანკის დაფუძნების თაობაზე. სტატიაში მოთხრობილი იყო შახტის პოლიტიკური წარსული და მისი საქმიანობა ნაციონალ-სოციალისტების რეჟიმის დროს და ომის შემდგომ წლებში. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შახტის ადვოკატმა, თავისი საადვოკატო უფლებამოსილების ფარგლებში წერილობით მიმართა გაზეთის ადმინისტრაციას სტატიასთან დაკავშირებული შენიშვნების თაობაზე. დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, „მკითხველის წერილების“ საქმეში გაზეთის ადმინისტრაციამ შეცვალა წერილის შინაარსი და შემოკლებული სახით გამოქვეყნა საკითხავი წერილების რუბრიკაში. გაზეთის მიერ აღნიშნული წერილი წარმოჩენილი იყო, როგორც ადვოკატის პირადი შეხედულება.

¹⁴⁴Alexander Ch., Der Einfluss des Verfassungsrechts auf die zivilrechtliche Rechtsfindung und-
fortbindung am Beispiel des Allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 2015, 10.

სამართლებრივ ურთიერთობად გარდასახვის საშუალებას იძლეოდა¹⁴⁵. ეს პრინციპი კრძალავს დაცულ სფეროში ჩარევას არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ თავის თავში გულისხმობს დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ბერკეტის შემოღებასაც.¹⁴⁶ იურიდიულ დოქტრინაში პიროვნულობის დაცვის მხრივ დასახელებული გადანყვეტილების გვერდით მოიხსენიებენ ასევე უმაღლესი სასამართლოს კიდევ ორ გადანყვეტილებას: „Paul Dalke“ და „Herrenreiter“,¹⁴⁷ სადაც სასამართლო ასევე დადგა პიროვნული სახის დაცვის პრობლემის წინაშე¹⁴⁸. მსგავს პათოსს შედეგად მოჰყვა მთელი ტალღა სასამართლო გადანყვეტილებებისა იმავე თემაზე.

ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პირველი გადანყვეტილებიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ სორაიას საქმეში¹⁴⁹ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს (BVerfG) მოუწია უმაღლესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის კონსტიტუციურ-სამართლებრივ

¹⁴⁵ Spindeler G., Schuster F., § 823 BGB, Recht der elektronischen Medien, 3. Auflage, München, 2015, Rn. 2.

¹⁴⁶ BGH, 02.04.1957- VI ZR 9/56, BGHZ 24, 72=NJW 1957, 1146 mit Anm. Neumann-Duesburg NJW 1957, 1276.

¹⁴⁷ BGH 08.05.1956- I ZR 62/54, BGHZ 20, 345=NJW 1956, 1554=GRUR 1956, 427-Paul Dalke; BGH, 14.02.1958- I ZR 151/56, BGHZ 26, 349=NJW 1958, 827 (mit Anm. Larenz)= GRUR 1958m 408 (mit Anm. Bussmann)-Herrenreiter.

¹⁴⁸ BGH, 25.05.1954- I ZR 211/53, BGHZ 13, 334 ff.= NJW 1954m 1404= GRUR 1955m 1907 Leserbriefentscheidung; Alexander Ch., Der Einfluss des Verfassungsrechts auf die zivilrechtliche Rechtsfindung und- fortbindung am Beispiel des Allgemeinen Persönlichkeitsrechts. ისტორიასთან დაკავშირებით იხ: Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 2. სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეში პიროვნული უფლების განვითარების სხვადასხვა მიმართულების შესახებ იხ. Kötz H., Zweigert K., Einführung in die Rechtsvergleichung, §691, 3. Aufl., Tübingen, 1996.

¹⁴⁹BVerfGE 34, 269, -Soraya. 1961 -1962 აღნიშნულ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა გამოცემლობა „მსოფლიო“, რომელიც ეკუთვნოდა კონცერნ „აქსელ-შპრინგერს“ და გამოსცემდა ყოველკვირეულ ჟურნალს სახელწოდებით „სასამართლოს კვირეული სიახლეები“. 1961-2962 წლებში აღნიშნულ ჟურნალში იბეჭდებოდა ფოტომასალით ილუსტრირებული ინფორმაცია ირანის შაჰის ყოფილი მეუღლის- პრინცესა სორაიას შესახებ. 1961 წლის 29 აპრილის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა განსაკუთრებული მოხსენება სათაურით: „შაჰი აღარაფერს მწერს“. სათაურს ერთვოდა ექსკლუზიური ინტერვიუც, რომელიც ჟურნალში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცესა სორაიამ მისცა ჟურნალისტებს. ინტერვიუ მოიცავდა პრინცესას განცხადებებსა და მოსაზრებებს მისი პირადი ცხოვრების შესახებ. გამოირკვა, რომ აღნიშნული ინტერვიუ, რომელიც ჟურნალის ე.წ. თავისუფალმა თანამშრომლებმა ჟურნალს მიჰყიდა, მისივე შეთხზული და გამოგონილი იყო. ლანდის სასამართლომ დააკმაყოფილა პრინცესა სორაიას სარჩელი მისი პირადი უფლების დარღვევით წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და მოპასუხეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს პრინცესას სასარგებლოდ დააკისრა 15 000 გერმანული მარკის გადახდა. მოპასუხეთა სააპელაციო და საკასაციო საჩივრებიც არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც მათ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ პირადი უფლების დარღვევისას გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ წესრიგს და პრინციპებს.

ჭრილში გადამოწმება. სასამართლომ დადებითად შეაფასა უმაღლესი სასამართლოს მეთოდოლოგია, რითაც სათავე დაუდო ზოგადი პიროვნული უფლების განვითარებას როგორც კონსტიტუციურსამართლებრივ¹⁵⁰, ისე სამოქალაქო სამართლებრივი დონეზე. პროცესების ლოგიკური გაგრძელება იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში პიროვნულობის გამომხატველი უფლებების ცალკეულ ნორმატიულ აქტში გამოყოფა, როგორცაა სახელისა¹⁵¹ და გამოსახულების უფლებები.¹⁵²

დღეს, გერმანიის რეალობაში სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება სამოქალაქო მართლწესრიგის განუყოფელი ნაწილია.¹⁵³ სამოქალაქო სამართლებრივი დონეზე ამ ჩარჩო უფლების სამართლებრივი საფუძველია გსკ-ის §823, რომელიც სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სხეულებრივი სიმრთელის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების გვერდით დაცვის ღირს ინტერესად მოიაზრებს ე.წ. „სხვა უფლებას“.¹⁵⁴ დედა-უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პირადი სფეროს დარღვევის აკრძალვის შესაძლებლობა, რომლის განკარგვის უფლება თავად ამ უფლების მქონე სუბიექტის პრეროგატივაა.

საფრანგეთში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაც მართლმსაჯულების განვითარების შედეგია, რომელმაც ყურადღება გაამახვილა უფლების მქონე სუბიექტის თანხმობის გარეშე არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფრთხეზე და აღნიშნული ქმედება კონკრეტული უარყოფითი შედეგისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების მტკიცების გარეშე ავტომატურად მიიჩნია უმართლობად (*De Faute*).¹⁵⁵

¹⁵⁰ კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის (GG) მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილიდან: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იმ სამყაროში, რომელშიც ის არ არღვევს სხვის უფლებებს, არ ხელყოფს კონსტიტუციურ ან ზნეობრივ ნორმებს“ და 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან: „ადამიანური ღირსება ხელშეუხებელია. დაიცვა და პატივი სცე მას - მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობა“.

¹⁵¹ §12 BGB.

¹⁵² §22 KUG (Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie-Kunsturhebergesetz- კანონი სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და გამოსახულებასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების შესახებ).

¹⁵³ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 1.

¹⁵⁴ *Stern K.*, *Becker F.*, *Die Grundrechte des Grundgesetzes mit ihren europäischen Bezügen*, Art. 2, 2. Aufl., München, 2015, Rn. 3; *Sachs M.*, *Kommentar zum Grundgesetz*, Art. 2, 8. Aufl., Köln, 2018, Rn. 60, 64; NJW 1989, 857 (859).

¹⁵⁵ ტერმინი „*Droit de la personnalite*“ პირველად საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იქნა გაუღერებული იუსტიციის მინისტრთან გამართულ მოხსენებაზე 1968-1969 წლებში; *Götting H.*, *Schertz C.*, *Seitz W.*, *Handbuch des Persönlichkeitsrecht*, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1060.

პიროვნული სფეროს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები წარმოდგენილია საფრანგეთის 1789 წლის ძირითადი უფლებების კატალოგში.¹⁵⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1999 წლის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ პიროვნულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი- პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება (*“Protection de la vie privée”*) ძირითადი კანონის მე-2 მუხლით დაცული სიკეთეა.¹⁵⁷ გერმანული სამართლისგან განსხვავებით, საფრანგეთის დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმა¹⁵⁸ არ მოითხოვს უშუალოდ სუბიექტური უფლების დარღვევის ფაქტის არსებობას, რადგან ნებისმიერი, დაცვის ღირსი ინტერესის მქონე სამართლებრივი სიკეთის დარღვევა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული უფლება აფუძნებს ინტიმური სფეროს დამცავ ბერკეტს საზოგადოების ან საჯარო ხელისუფლების წინაშე.¹⁵⁹

1970 წელს საფრანგეთში პირადი ცხოვრების პატივისცემის თაობაზე სპეციალური ჩანაწერი გაჩნდა სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლში,¹⁶⁰ რომლის ძირითად მიზანი ცნობადი სახეების პირად სფეროში უხეში ჩარევების გახშირებული შემთხვევები და მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი გახდა. აღნიშნული ცვლილებით, კანონმდებელმა ხაზი გაუსვა მის განსაკუთრებულ მისწრაფებას დელიქტური სამართლისგან დამოუკიდებლად პირადი სფეროს გაუმჯობესებული დაცვის შესახებ.

კონტინენტურ-ევროპული სამართლის ქვეყნებში პიროვნული უფლებების მოწესრიგების უნივერსალური მოდელი არ არსებობს, რადგან ორივე მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ვარიანტის არსებობის პირობებში სასამართლოს აქვს მოქნილი ბერკეტი და შესაძლებლობა განავითაროს პიროვნული უფლებების დაცვის მექანიზმები სოციალური ძვრების კვალდაკვალ, აღიაროს პიროვნული უფლებების ახალი ასპექტები და მისცეს მას ფართო შინაარსი მათ შორის ისეთ რთული საკითხის გადაჭრით, რაც

¹⁵⁶ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1060; *Ondreasova E.*, Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives), Leiden, Boston 2017, 49.

¹⁵⁷ Les Cahiers du Conseil Constitutionnel, Cahier 8, 99-422 DC, Conseil Constitutionnel 23.7.1999, 2000, J. 265; *Ondreasova E.*, Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives), Leiden, Boston, 2017, 49.

¹⁵⁸ French Civil Code, 1382, https://www.trans-lex.org/601101/_/french-civil-code-2016/, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 04.07.2019, 15:45].

¹⁵⁹ *Erichsen H., Kollhosser H., Welp J.*, Recht der Persönlichkeit, Berlin, 1996, 11.

¹⁶⁰ *Dam C.V.*, European Tort Law, Oxford University Press, second edition, Oxford, 2013, 150.

წინააღმდეგობაში მოდის სხვა ლეგიტიმურ ინტერესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედმეტად მკაცრი და ხისტი ნორმატიული ბაზა არსებითად შეუზღუდავდა სასამართლოს ნორმის გამოყენების არეალს და დაუკარგავდა ცვლილებებთან ადაპტაციის უნარს, რაც არსისმიერია სამოქალაქო ბრუნვის რისკების სამართლიანი ბალანსისთვის. უარყოფით მხარედ კი- უფლების ზედმეტად ფართო ხასიათი და სამართლებრივი არაგანჭვრეტადობა უნდა იქნეს დასახელებული.

მეორეს მხრივ, ცალკეული პიროვნული უფლებების მონესრიგების მოდელი არის გარანტი იმისა, დაცულ ინტერესებს შორის გარკვეული იერაქიის არარსებობის პირობებში, ყველა უფლება განხილულ იქნას ინდივიდუალურად, ინტენსივობისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამგვარი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება დაცულ უფლებათა მკაცრი დიფერენცირების (რანგირების) პრევენცია. თავის მხრივ, ამგვარი მიდგომის უდავო ნაკლად მნიშვნელოვანი ღირებულებების ან უფლების მხედველობის მიღმა დარჩენის რისკი შეიძლება დასახელდეს, რომლის შევსებაც სწორედ ზოგადი პიროვნული უფლების არსებობით შეიძლება.

2.3 პიროვნული უფლებების კერძოსამართლებრივი რეგულირების ისტორია ანგლო-ამერიკულ სამართალში

ტრადიციული კონტინენტურ-ევროპული სისტემებისგან განსხვავებით ანგლო-ამერიკული სამართალი არ იცნობს პიროვნული უფლების დაცვის ზოგად (გენერალურ) ნორმას. ინგლისურ სასამართლო პრაქტიკა სკეპტიკურად არის განწყობილი ზოგადი პიროვნული უფლების მომნესრიგებელი ჩარჩო დებულების შემოღების მიმართ,¹⁶¹ სამოსამართლო სამართლის დაკნინების შესაძლო საფრთხის მოტივით. საერთო სამართლის სისტემაში შემავალ უმეტეს ქვეყნებში შენარჩუნებულია ტრადიციული სამოქალაქო სამართლებრივი დარღვევები *Tort*-ის სახელწოდებით, რაც გამომდინარეობს პირის მოქმედებიდან ან უმოქმედებოდან და იწვევს პიროვნების მორალური სუბსტანციის, მისი პიროვნულობის, ქონების, ეკონომიკური ინტერესების შელახვას და ანიჭებს დაზარალებულ მხარეს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.¹⁶² აღნიშნული პრინციპი მოიცავს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, არამედ თავის

¹⁶¹ Malone v Metropolitan Police Commissioner {1979} Ch. 344, 372; *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1082.

¹⁶² ABA, special committee of the tort liability system, *Towards a Jurisprudence of injury: the continuing creation of a system of substantive justice in American tort law*; *Shapo S., M.*, principles of Tort Law, second edition, Thompson West, Chicago, 2003, 3.

თავში მოიაზრებს სხვა პიროვნულ უფლებებსაც,¹⁶³ როგორცაა გამოსახულებაზე უფლება, პერსონალური მონაცემები, პირადი კომუნიკაციის უფლება და ა.შ.¹⁶⁴ პიროვნული უფლებების დაცვის მიზანს ემსახურება დელიქტური სამართლის და სარჩელთა ცალკეულ სახეთ ჩამოყალიბებული ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა *Libel* და *Slander*, რომლებიც ერთიანდებიან ერთიან კრებით ცნებაში: დიფამაცია¹⁶⁵. თავდაპირველად აღნიშნული სარჩელები ორ ძირითადად ჯგუფად იყოფოდა, რაც თანამედროვე ბრიტანულ სამართალში უკვე აღარ გამოიყენება და ორივე ტიპის სარჩელი გაერთიანებულია ცილისწამების თაობაზე ერთიან შირმაში.

პერსონალური უფლებების დაცვის იდეა პირველად ამერიკულ მართლმეცნებაში გაუღერდა და პრაქტიკული რეალიზაცია *Right of privacy*-ის აღიარებაში ჰპოვა¹⁶⁶, რაც საზოგადოებისგან განცალკევებისა და გარეგანი ჩარევის გარეშე პირადი ცხოვრების თავისუფლად განკარგვის უფლებამოსილებას გულისხმობს.¹⁶⁷ მოსამართლე *თომას კული* იყო პირველი, ვინც მარტივი ფრაზით გამოხატა პირადი ცხოვრება, როგორც უფლება მარტობაზე („*Right to be alone*“).¹⁶⁸ *Common law*-სთვის, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის შტატების კანონმდებლობას ეფუძნება, *Right of privacy*-ის ტრადიციული გაგება უცხოა.¹⁶⁹ ისტორიულად, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამერიკული სამართალი ინგლისური სამართლისგან გადმოტანილ კონცეფციებს ეფუძნებოდა და პიროვნული ასპექტების დაცვასაც საკმაოდ შეზღუდული მოცულობით ახორციელებდა.¹⁷⁰

¹⁶³ *Neethlings J.*, Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative law, Smits J.UK, USA, 2006, 531.

¹⁶⁴ *Erichsen H.*, Kollhosser H., Welp J., Recht der Persönlichkeit, Berlin, 1996, 10.

¹⁶⁵ ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „სამართალი,“ №11-12, თბ., 1997, 29.

¹⁶⁶ *Neethlings J.*, Personality Rights, in: Elgar Encyclopedia of Comparative law, Smits J.UK, USA, 2006, 531.

¹⁶⁷ *Erichse H.*, Kollhosser H., Welp J., Recht der Persönlichkeit, Berlin, 1996, 11.

¹⁶⁸ *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძღულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი,“ №4(31), თბ., 2011, 109; *Dobbs D.B.*, *Keeton R.E.*, *Owen D.G.*, Prosser and Keeron on Torts, Fifth edition, St. Paul, Minn. : West Publ. Co., 1984, 849.

¹⁶⁹ Rothman J.E., The Right of Publicity: Privacy Reimagined for a Public World, Cambridge, Harvard University Press, 2018, 11, <https://hds.hebis.de/ubffm/Record/HEB428915469> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 21.07.2018, 12:39].

¹⁷⁰ *Götting H.*, Vom Right of Privacy zum Right of Publicity, Die Anerkennung einer Immaterialgüterrechts an der eigenen Persönlichkeit im amerikanischen Recht, GRUR Int. 1996, 656, <https://beck-online.beck.de/Print/CurrentMagazine?vpath=bibdata%5Czeits%5Cgrurint%5C1995%5Ccont%5Cgrurint.1995.656.1.htm&printdialogmode=CurrentDoc>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 21.07.2018, 12:40].

პირველი ძვრები, რომელმაც პიროვნული სფეროს დაცვას დაუდო დასაბამი, გამოიწვიეს ბოსტონელმა ადვოკატებმა *სამუელ უორენმა* და *ლუის ბრანდისმა*, რომელმაც 1890 წელს *Harvard Law Review*-ში¹⁷¹ გამოაქვეყნეს სტატია სახელწოდებით *“Right to Privacy.”*¹⁷² აღნიშნულ სტატიაში პირველად იქნა გაუღერებული იმ დროისთვის რევოლუციური თეზისი, რომ საერთო სამართლის სისტემაც იცნობს *“Right to Privacy”*-ის ცნებას, რომლის არსისმიერი ნაწილი მოიცავს „უფლებას მარტობაზე“¹⁷³. *უორენმა* და *ბრანდისმა* „ინდივიდის პიროვნულობის ხელშეუხებლობის“ უნივერსალური კონცეფცია დაუკავშირეს პიროვნების მორალურ სტანდარტებს, რის გამოც მას სავსებით დამსახურებულად უწოდეს „ცვალებადი მორალური პრინციპებისგან სამართლებრივი პრინციპის განვითარების წარმატებული მცდელობა“.¹⁷⁴

პირად ცხოვრებაში ჩარევის პრევენციის კენ მიმართული სამართლებრივი დაცვის წინა პლანზე წამოწევა იყო ერთგვარი რეაქცია იმ დროისათვის სენსაციური პრესის მიერ მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანების პირად სფეროში უხეში ჩარევის შემთხვევებზე¹⁷⁵. პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე აღმოცენებულ კონცეფციას ამერიკული სასამართლო პრაქტიკაში თავდაპირველად დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია მედიათავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის შიშით¹⁷⁶. მხოლოდ, 1905

¹⁷¹ Harvard Law Review (1890), 193.

¹⁷² Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, S. 2008, 1176- პრესა ინტენსიურად აშუქებდა ქალბატონი სამუელ უორენის მიერ სახლში გამართულ წვეულებებს, ხშირად პირად, ინტიმურ დეტალებს, რომლებმაც პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ბატონი უორენის ქალიშვილის ქორწილის შესახებ ბოსტონის პრესაში უამრავი ჭორი გამოქვეყნდა.

¹⁷³ *Warren/Brandeis* 4 Harv.L. Rev. 193, 196 (1890)- ავტორებმა ინგლისისა და აშშ-ის სასამართლო პრეცედენტების გაანალიზების გზით სცადეს დამტკიცება, რომ საერთო სამართლის სისტემაც იცნობდა ტრადიციულ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც აერთიანებდა პირად ცხოვრებაში ჩარევის ყველა შემთხვევას. ეს ინსტიტუტი დაფუძნებული იყო პრინციპზე, რომელიც თითოეული ინდივიდის პირადი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართავს განამტკიცებდა.

¹⁷⁴ *Harry H., Wellington*, Common Law Rules and Constitutional Double Standards: Some Notes on Adjudication 83 Yale Law Journal 221, 1973, 249, 51; ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005, 11; *Godkin E., L.*, The Rights of Citizen IV. _ To his Own Reputation, 8 Scribner’s Magazine 58, 65 (1890)- უორენისა და ბრანდისის კონცეფციას ახლო კავშირი აქვს ასევე ბუნებითი სამართლის ფილოსოფიასთანაც, რაც სტატიაში მოყვანილი ედვინ ლორენს გოდკინის შემდეგი ციტატიტაც მტკიცდება: “ინდივიდის უფლება, თავად გადანწყვიტოს, თუ რამდენად ეცოდინება საზოგადოებას მისი პირადი ცხოვრების შესახებ, ბუნებითი უფლებაა”.

¹⁷⁵ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1176.

¹⁷⁶ პირველი შტატი, რომელიც წარმოდგენილი დოქტრინის გამოყენების გამოწვევის წინაშე დადგა, იყო ნიუ იორკი, რომლის სააპელაციო სასამართლომ 1902 წელს უარი თქვა, ელიარებინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება სამოქალაქო

წელს ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ საქმეში “*Pavesish v. New England Life Insurance Co*”¹⁷⁷ უორენისა და ბრანდისის მიერ შემოთავაზებულ თეზისზე დაყრდნობით, პირველად აღიარა პიროვნულობის დაცვის დამოუკიდებელი და თვითმყოფადი უფლების არსებობა, რომელიც ვრცელდება ფიქრებზე, გრძნობებზე და ემოციებზე, რამაც საბოლოოდ დაუდო საფუძველი საერთო სამართალში აღნიშნული უფლების დამკვიდრებას.

სამართლებრივ დოქტრინაში *Right to Privacy*-ი აღიარებულ იქნა ზოგად პრინციპად, ხოლო მასში მოაზრებული ცალკეული ელემენტების იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია ემპირიულ გამოცდილებას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას მიენდო. მოგვიანებით, იურიდიულმა დოქტრინამ მოახდინა პიროვნული უფლების სხვადასხვა ნაწილებად დიფერენციაცია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დელიქტური სამართლის ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი *პროსსერი*,¹⁷⁸ რომელმაც აღნიშნული თემატიკის ირგვლივ ვრცელი მეცნიერული კვლევა განახორციელა. 1960 წელს ცნობილ სტატიაში *პროსსერმა* მოახდინა *Right to Privacy*-ის უფლების დაყოფა ოთხ ძირითად ნაწილად, რაც სრულად იქნა გაზიარებული სასამართლო პრაქტიკის მიერაც. ესენია: პიროვნების განცალკევებულ პირად სივრცეში შეჭრა (*Intrusion cases*¹⁷⁹), პირადი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის არასასურველი ფაქტების გასაჯაროება მისი პირადი სფეროდან (*Public disclosure cases*), ინდივიდის

სამართლებრივ დელიქტად. კერძოდ, *Robertson v. Rochester folding-Box Co*-ს საქმეში პირის ნებართვის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნების აკრძალვა არ მიიჩნია მიზანშეწონილად დარღვეული უფლების მენტალური ხასიათის, საკმარისი პრეცედენტების არარსებობისა და სხვა სასამართლოების მიერ მედიათაგისუფლების გაუმართლებელი საფრთხის მოტივით.

¹⁷⁷ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1177- მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ ქალაქ ატლანტის ერთ-ერთ გაზეთში სარეკლამო განცხადება გამოაქვეყნა, სადაც მოსარჩელის ფოტო იყო გამოსახული. აღნიშნული ფოტო მოსარჩელის თანხმობის გარეშე იქნა მოპოვებული და მას არასოდეს უყიდა სადაზღვევო პოლისი მოპასუხის კომპანიისგან. მოსარჩელემ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების გამო მოითხოვა 25 000 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც ჯორჯიის უზენაესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა შემდეგი დასაბუთებით: „ინდივიდი საზოგადოების წინაშე ბევრ უფლებასა და პრივილეგიაზე ამბობს უარს, რომელთა განხორციელებაც მას მას საზოგადოების არარსებობის შემთხვევაში შეეძლებოდა, მაგრამ იგი ამ უფლებებზე უარს ამბობს საზოგადოების წევრობის სანაცვლოდ. თუმცა ინდივიდი ყველა უფლებას არ ტოვებს და შესაბამისად, საზოგადოებასაც არ გააჩნია არანაირი უფლება, შეიჭრას პირის ამ უფლებებში, რომელსაც იგი იყენებს თავისი ცხოვრების პირადი ნაწილის დასაცავად“.

¹⁷⁸ *Prosser*, 48 Cal. L. Rev. 383 (1960) გამოქვეყნებული საიტზე: <https://scholarship.law.berkeley.edu/californialawreview/vol48/iss3/1/> [უკანასკნელად იქნა გადამონმეებული: 22.07.2018, 10:57].

¹⁷⁹ “Instrosion upon the plaintiff’s seclusion or solitude, or into his private affairs”; შდრ. *Jung A.*, Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005, 131.

შესახებ საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენის შექმნა (*false light cases*) და პიროვნული მახასიათებლების (მაგ. სახელის ან გამოსახულების) არაუფლებამოსილი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის (*Appropriation*).

დღეისათვის შეერთებულ შტატებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ფართოდაა აღიარებული დელიქტურ სამართალში. იურიდიულ კონტექსტში აღნიშნული უფლება ქმნის გარკვეული უფლებების ერთობლიობას, რომელიც შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში უფლებათა იერარქიის ზედა ნაწილშია განთავსებული¹⁸⁰.

¹⁸⁰ *ოქრუაშვილი მ.*, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005, 23.

III. პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების შინაარსი

1. პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების მექანიზმი

1.1. სამოქალაქო უფლების განხორციელების არსი და მისი ელემენტები

სამოქალაქო უფლებების დაცვა ერთ-ერთ საკვანძო საკითხია იურიდიულ მეცნიერებაში, რომლის ანალიზის გარეშე შეუძლებელია სამოქალაქოსამართლებრივი სანქციების, მათი მექანიზმის, რეალიზაციის ხასიათში¹⁸¹ და დაცვის საშუალებების თავისებურებებში გარკვევა. სამოქალაქო უფლების და მისი ერთ-ერთი სახეობის- პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმზე საუბრისას მნიშვნელოვანია, უპირველესად სამოქალაქო უფლების შინაარსის, უფლებით გარანტირებული შესაძლებლობების განხორციელების (რეალიზაციის), ამ უფლების დარღვევის და შემდგომ უშუალოდ დაცვის საშუალებების თავისებურებების კვლევა.

იურიდიულ მეცნიერებაში უფლების განხორციელების და დაცვის საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია,¹⁸² რადგან სწორედ განხორციელებისას ვლინდება უფლების არსი მთელი თავისი სიცხადით. როგორც სამართლიანად მიუთითებდა *გოტლიფ ჰუფელანდი*,¹⁸³ „უფლების აღქმა ხდება არა უშუალოდ გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, არამედ მისი რეალიზაციის წყალობით“. სიტყვა „რეალიზაცია“ წარმოადგენს ლათინური „*realis*“ და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს განივთებას¹⁸⁴. ამავე მნიშვნელობისაა ტერმინი „უფლების რეალიზაცია“-სამართალი, როგორც შესაძლებლობა, ხორციელდება მოქმედებით, ადამიანის აქტიური ქცევით, მატერიალური და სულიერი ფასეულობათა სარგებლობით. „სამართალი სხვა შესაძლებლობებისგან განსხვავებით ხასიათდება რეალიზაციის მომეტებული უნარით და უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი გარანტიებით.“¹⁸⁵

სამოქალაქო უფლება ქცევის შინაარსის, იმ მოქმედებისა და აქტის სახის და ტიპის მიხედვით, რომლის ფორმასაც იგი წარმოადგენს, იყოფა უფლებამოსილებად წოდებულ ელემენტებად¹⁸⁶. იურიდიულ ლიტერატურაში

¹⁸¹ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2009, 116.

¹⁸² *Вавилин Е.В.*, Осуществление и защита гражданских прав, москва, 2016, 10; *Кутинной В. П.*, гражданскоправовая защита имущественных прав субъектов гражданских правоотношений Санкт-Петербург, 2014, 7.

¹⁸³ *Hufeland G.*, Neue Darstellung der Rechtslehre vom Besitz vorzüglich durch genauere Feststellung ihres Hauptgesichtspunkts, Giessen, 1815, 8–9.

¹⁸⁴ *ლობჯანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 2009, 376.

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ *ამირანაშვილი გ.*, სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ურნ. „მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2015, 147.

კრიტიკულადაა დანახული უფლების შემადგენლობიდან ნებისმიერი უფლებამოსილების „გამოცალკევების“¹⁸⁷ პერსპექტივები, რამეთუ სამოქალაქო უფლება მიჩნეულია არა როგორც „უფლებამოსილებათა ავტომატურ ჯამად, არამედ ექვივალენტურ შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელთა ანალიზი უნდა მოხდეს სისტემურ-სტრუქტურული მიდგომის საშუალებით“¹⁸⁸. პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელების კვლევა შეუძლებელი ხდება ზოგადად უფლების განხორციელების არსისა და ელემენტების გარკვევის გარეშე, რადგან დაცვის საშუალებების ამოქმედების საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული უფლების რეალიზაციის ხელშეშლასთან ან გართულებასთან, რაც თავის მხრივ, მოითხოვს უფლების დარღვევის შემთხვევების კლასიფიკაციას. ამდენად, კვლევის მიზნებისთვის ღირებულებია სამოქალაქო უფლების განხორციელების ელემენტების მოკლე ანალიზი.

უფლების რეალიზაცია დროში მიმდინარე რთული პროცესია. მასში მონაწილეობენ არა მარტო უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი მხარეები, არამედ სახელმწიფოც სხვადასხვა ორგანოს მეშვეობით¹⁸⁹. „უფლების განივებით დაინტერესებულია მხოლოდ ის, ვისაც აქვს უფლება, ანუ არის უფლების სუბიექტი, ყველა სხვა პირი-მოვალე მხარე, სამართალშემფარდებელი სუბიექტი-მოქმედებს საბოლოოდ უფლებამოსილების სასარგებლოდ. ამ პირებისა და ორგანოების საქმიანობა და ამ საქმიანობის მარეგულირებელი იურიდიული ნორმები ერთობლიობაში ქმნის უფლებების რეალიზაციის რთულ და მრავალასპექტიან მექანიზმს“¹⁹⁰. აღნიშნული განმარტებით, იქნება თუ არა უფლება პრაქტიკულად განხორციელებული, დიდწილად დამოკიდებულია თავად უფლებამოსილი პირის ნებაზე, თუმცა სამართლის რეგულაციური და დაცვითი ფუნქციისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ მისივე სტრუქტურებით და საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფილ წესრიგში არსებობდეს უფლების განხორციელების ეფექტური და ხარისხიანი მექანიზმი, რომელიც გარანტირებულს გახდის უფლებამოსილი პირისთვის მიერ საკუთარი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების აღდგენას.

უფლების განხორციელება თავის თავში მოიცავს მისი რეალიზაციის მექანიზმს, ტექნიკას, რაშიც სჩანს აღნიშნული ინსტიტუტის პრაქტიკული და

¹⁸⁷ Власова А.В., Структура субъективного гражданского права, Ярославль, 1998, [ელ. რესურსი], ხელმისაწვდომია <http://sbiblio.com/biblio/archive/vlasova_struktura/00.aspx>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05. 07.10.19]; Толстои Ю.К., гражданское право Учебник, Издание четвертое, переработанное и дополненное, Москва, 2000, 272.

¹⁸⁸ ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2015, 157.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 2009, 376.

ფუნქციონალური დანიშნულება. „სუბიექტური უფლების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ისინი მისი მფლობელის სრულ განკარგულებაში“¹⁹¹. ეს ნიშნავს, რომ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის მათი განხორციელების ფარგლები და მეთოდები, სარგებლობაზე უარი ან სხვა პირზე გადაცემა, უფლებამოსილი პირის ექსკლუზიური ბატონობის სფეროს განეკუთვნება.¹⁹² გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც უფლების განხორციელება დამოკიდებულია კანონის მოთხოვნაზე ან მასზე უარის თქმა იწვევს ამ უფლების გაუქმებას, მაგ. მემკვიდრეობის მიღების უფლება სამკვიდროს გახსნიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

1.2 ინდივიდუალური შემხებლობა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელების მექანიზმის ელემენტი

პიროვნული უფლების სპეციფიკური არსიდან გამომდინარეობს ინდივიდუალური დიფერენცირების მოთხოვნა, რადგან აღნიშნული უფლებით დაცული ღირებულებები- პიროვნების, მისი ღირსების, პერსონალური და სოციალური იდენტობის და საზოგადოებრივი სახის პატივისცემის უფლება, უკავშირდება პიროვნების უნიკალურ და განუმეორებელ იდენტობას. სწორედ ამგვარ უნიკალურობაში მდგომარეობს ინდივიდუალური შემხებლობისა და განსაზღვრულობის მოთხოვნა, რადგან პიროვნულობის დაცვის ფარგლები და მასშტაბიც ყველა ინდივიდისთვის განსხვავებულია. ამდენად, დაცვის ფარგლების და მოცულობის განსაზღვრაც უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ წმინდა პიროვნულ იდეალურ ღირებულებაზეა საუბარი. უმეტესად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აწყობს და წარმოაჩენს თითოეული თავის ცხოვრებას საზოგადოებაში¹⁹³ მეორეს მხრივ კი, იმაზე, თუ რამდენად აფასებს პირი საკუთარ უნარებსა და თვისებებს და აქვს თუ არა ამგვარ შეფასებას კავშირი ეკონომიკურ ღირებულებასთან. ამ კუთხით, შესაძლებელია უფლებამოსილი პირების დიფერენცირება დაცვის გაზრდილი და შემცირებული საჭიროებების მიხედვით.¹⁹⁴ შემცირებული საჭიროების მქონე პირებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც თვითონვე ხელს

¹⁹¹ Гредескул Н.А., К учению об осуществлении права. Интеллектуальный процесс, требующийся для осуществления права, Харьков, 1900, 7.

¹⁹² Толстой Ю.К., гражданское право Учебник, Издание четвертое, переработанное и дополненное, Москва, 2000, 272.

¹⁹³ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 2008, 594.

¹⁹⁴ Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 52.

უნყობენ საკუთარი პიროვნების საზოგადოებაში ასახვას ანუ საჯარო პირები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობის, პოზიციის, წარმოშობის, მიღწევების, გამორჩეული ან პირიქით დასაგმობი ქცევის გამო სხვა ადამიანებისგან განსხვავებით სოციუმის გამორჩეულად ყურადღების ცენტრში ექცევიან. საუბარია საზოგადოებისთვის ცნობილ საჯარო პირებზე. შესაბამისად, აღნიშნული პიროვნებების მიმართ მონაცემების და ფაქტების გამოქვეყნების დასაშვები ფარგლები გაცილებით დიდია და გამოქვეყნება მათი თანხმობის გარეშეც დაიშვება.¹⁹⁵ მომეტებული საჭიროების მქონე პირებად მიიჩნევიან არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადი არიან პიროვნული უფლებების დარღვევის მიმართ და უბრალოდ კერძო პირები.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი გამორიცხავს ცილისწამების თაობაზე დავას, თუ განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებადი. ამდენად, ცილისწამების თაობაზე დაცვის უფლება აქვს პირს, რომელიც არასწორი და ზიანის მიმყენებელი განცხადების უშუალოდ ადრესატია.¹⁹⁶ ცხადია, მსგავსი დანაწესი არ გულისხმობს, რომ უშუალო შემხებლობის დასადასტურებლად განცხადება სახელობით უნდა მოიხსენიებდეს პირს. შეცნობადობა იმ შემთხვევაშიც დადასტურებულია, როდესაც მკითხველის ან თუნდაც ერთი გარეშე პირის მიერ მაინც ხდება დარღვევის სამიზნე სუბიექტის ინდივიდუალიზება პუბლიკაციაში აღწერილი გარემოებების მიხედვით.

ცალკეულ პირს კოლექტიური პუბლიკაციის დროს მხოლოდ მაშინ შეუძლია იდავოს დარღვეული პიროვნული უფლების თაობაზე, თუ სხვადასხვა გარემოების მხედველობაში მიღებით შესაძლებელია ამგვარ პუბლიკაციაში კონკრეტული პირის იდენტიფიცირება. მაგ. როდესაც, ადგილობრივ ჟურნალში, რომლის გავრცელების არეალში მხოლოდ ერთი მაკლერი მუშაობს, გამოქვეყნდა მტკიცებით ფორმით ინფორმაცია, რომ ყველა მაკლერი მატყუარაა.¹⁹⁷ ზოგადი წესის თანახმად, თუ გავრცელებული ცნობა პირთა გარკვეულ ჯგუფს ეხება, იდენტიფიკაციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება (*Identification requirement*) ვერ ხერხდება,¹⁹⁸ თუმცა გამონაკლისის სახით კოლექტივში შემავალი ცალკეული პირების პიროვნული უფლებების შელახვას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური წინაპირობების არსებობისას. ესენია: არჩეულ

¹⁹⁵ BGHZ, 151, 26 (29), Marlene Dietrich.

¹⁹⁶ *Bürger U.*, Deliktischer Rechtsschutz gegenüber Presseveröffentlichungen, Band 150, Baden-Baden, 1998, 50.

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ *Olive v. New York Post*, 16 Media Law Reporter 2397 (N.Y. Sup. Ct. 1989).

აღნიშვნაში ერთმნიშვნელოვანი შეცნობადობა, მიზანმიმართულობა, შემხებლობა და ა.შ.¹⁹⁹ თუ რომელი პირები მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს და რითი განსხვავდება ეს ჯგუფი დანარჩენი პირთა სხვა გაერთიანებისგან.²⁰⁰ მაგ. პროფესიული ნიშნის (ჯარისკაცები²⁰¹), სამართლებრივი კავშირებით (ამხანაგობის ხელშეკრულება²⁰²), საერთო ბედით, მსოფლმხედველობით, ეთნიკური კუთვნილებით, პიროვნული თვისებებით, სოციალური სტატუსით და ა.შ. რაც უფრო ბუნდოვნად აღწერს ზიანის მიმყენებელი დაინტერესებულ პირთა წრეს, მით უფრო ნაკლებად იქნება შესაძლებელი ინდივიდუალური შემხებლობის დადასტურება.²⁰³ ამდენად, გათვალისწინებული უნდა იქნეს პოზიცია, რომლის მიხედვითაც კოლექტიური პიროვნული უფლების შელახვისას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განცხადების მიზანმიმართულობას ანუ უფლების დამრღვევი პირის სუბიექტურ მოტივებს. კერძოდ, ზიანის მიმყენებელი მიზნად უნდა ისახავდეს არა მთლიანი კოლექტივის, როგორც ასეთის, არამედ მასში შემავალი ცალკეული წევრების დისკრედიტაციას.

ანგლო-ამერიკულ სამართალში ჯგუფის წევრთა ინდივიდუალური სარჩელები- *libel* და *slander*- უარყოფილ იქნა, როდესაც გავრცელებული იქნა ცნობები ამერიკულ-პოლონური წარმომავლობის პირთა²⁰⁴, 600 მილიონი მუსლიმის²⁰⁵, ვაშინგტონის ტაქსის მძღოლების²⁰⁶, კალიფორნიის პროფესიული კავშირების 162 დასაქმებული მიმართ²⁰⁷. კოლექტიურ განცხადებაში მოაზრებული პირის ღირსების დაცვა პრობლემურ საკითხადაა მიჩნეული გერმანულ სამართალშიც.²⁰⁸ გაბატონებული შეხედულებით, ითვლება, რომ ოჯახი, როგორც მთლიანობა არ წარმოადგენს პიროვნული უფლების დაცვის მქონე სუბიექტს,²⁰⁹ რადგან სახეზე არ არის ზუსტად განსაზღვრული ცილისწამების სუბიექტი. თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცალკეული გარემოების გათვალისწინებით სასამართლო უშვებს პრეცედენტებს, სადაც ოჯახის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ

¹⁹⁹ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 627-628.

²⁰⁰ BGHZ 75, 160; OLG Hamburg NJW 1967, 2314.

²⁰¹ BVerfG NJW 1994, 2943-Soldaten sind Mörder.

²⁰² BGH NJW 1980, 2807, 2810-Medizinsyndikat.

²⁰³ OLG Hamburg NJW 1967, 2314; OLG Karlsruhe, 13.4.2007-14 U 11/07; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln. 52.

²⁰⁴ Mikolinski v. Burt raynolds Productions Co., 409 N.E.2d 1324 (Mass.App. Ct. 1980).

²⁰⁵ Khalid Abdulah Tariq al Mansour Faisal Fahd Al. Talal v. Fanning , 509 f. Supp. 186 (Cal. Dist.Ct,1980).

²⁰⁶ Fowler v. Curtis Publishing Co., 78 f. Supp. 303 (D.C. Dist. Ct. 1848).

²⁰⁷ Noral v. Hearst publications, Inc. 104 P.2d. 860 (Cal. Dist.Ct. 1940).

²⁰⁸ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 29.

²⁰⁹ BGH GRUR 1974, 794-Todegift.

განცხადებას ცალკეული წევრების ღირსების შელახვად აკვალიფიცირებს.²¹⁰ მაგ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება პირთა წრის ცალკეული წევრების ღირსების შელახვას კოლექტიური განცხადებით დასაშვებად მიიჩნევს, თუ დაინტერესებულ პირთა წრე განსაკუთრებული გარემოებების მიხედვით ნათლად არის გამიჯნული და იძლევა კონკრეტულის საშუალებას²¹¹.

უცხოური სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პირთა ინდივიდუალური შემხებლობა კოლექტიური ცილისწამების შემთხვევაში ჯგუფის წევრთა რაოდენობაზეცაა დამოკიდებული.²¹² რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო ნაკლებია ცალკეული პირის ცილისწამების ინდივიდუალური შემხებლობის შანსი.²¹³ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო განსხვავებულად წყვეტს „მცირე ჯგუფებში“ წევრთა რაოდენობის განსაზღვრის და მათთვის დაცვის უფლების მინიჭების საკითხს²¹⁴. მაგ. აშშ-ში სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ოცდაერთი პოლიციელისგან შემდგარი ჯგუფის შემთხვევაში, რომლის წინააღმდეგ მიმართულ პუბლიკაციაში არ იყვნენ სახელობით მოხსენიებული ცალკეული პირები, იდენტიფიკაციის შესახებ მოთხოვნა ვერ იქნებოდა მიღწეული.²¹⁵ სხვა საქმეში კი აშშ-ის სასამართლომ სამეცნიერო-საეკლესიო მიმდინარეობის საზოგადოება უფლებამოსილ პირად ცნო ცილისწამების თაობაზე სარჩელის თაობაზე ჯგუფის ყველა წევრის საერთო-მსოფლმხედველობის გამო²¹⁶.

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს, რომ იდენტიფიცირების მოთხოვნის გამორიცხვისთვის ჯგუფის წევრთა რაოდენობა ოცდახუთს არ უნდა აღემატებოდეს²¹⁷. კონკრეტულ ციფრზე აქცენტირება ყოველგვარი კონცეპტუალური გამიჯვნის გარეშე, არაერთგვაროვანი მიდგომის და კონკრეტული გარემოებების ინდივიდუალურობის მხედველობის მიღმა დატოვების საფრთხეს ქმნის, რამეთუ ამ დაშვებით, ნებისმიერი საქმე, რომელიც პირთა 25-კაცაან ჯგუფს

²¹⁰ BGH NJW 1969, 111-UFUTA 56 (1970)-281- Detektei.

²¹¹ OLG Karlsruhe NJW-RR 2007, 486 (40 000 ექიმი).

²¹² Ogren v. Employers Reinsurance Corp. . 350 N.W. 2d, 725 (Wis.Ct. App. 1983), Pedco Corp. v.CBS , Inc. 10 Media Law Reporter 1526 (Pa. Dist. Ct. 1984) aff.

²¹³ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 29.

²¹⁴ Bürger U., Deliktischer Rechtsschutz gegenüber Presseveröffentlichungen, Band 150, Baden-Baden, 1998, 50.

²¹⁵ („)“here we deal with a defamatory statement aimed at only one unidentified member of a group of 21. By no stretch of imagination can it be thought to suggest that conduct of the one is typical of all. Nothing the individual’s membership in the group does not suggest a common determinant of character so much as simply a practical reference point“-Arcand V. Evening Call Publishing Co., 567 f. 2d 1163, 1164 (1St.Cir.1877).

²¹⁶ Church of Scielntology v. Siegelman 481 f. Supp. 866 (N.Y. Dist. Ct. 1979).

²¹⁷ Barger v. Playboy Enterprises Inc. , 564 f. Supp. 1151, 1153, (Cal. Dist. Ct. 1983).

ეხება, ავტომატურად მიიჩნევა პირდაპირი და უშუალო ზიანის შემცველ გარემოებად, მაშინ როდესაც, არსებითად მსგავსი ფაბულის საქმეში, თუნდაც 1 პირით მეტი სუბიექტის მონაწილეობისას, განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგენა წინააღმდეგობაში მოვა სამართალიანობის და გონივრულობის პრინციპთან. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიყენების ხარისხი, გავრცელებული ინფორმაციის სიმძიმე და ამ ინფორმაციის შედეგად დამდგარი ზიანის მიმართება აღრესატებთან.

ინდივიდუალური შემხებლობის ჭრილში პიროვნული უფლების დამრღვევი პირის იდენტიფიცირებისას ბუნდოვნებას ბადებს ცილისწამებისას „მედიის მესაკუთრის“ პასუხისმგებლობის საკითხი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხედ უშუალოდ „მედიის მესაკუთრეს მიიჩნევს“. აღნიშნული დანაწესი შესაბამისობაში უნდა იყოს სსკ-ის 997-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობასთან, რომელიც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დამსაქმებელს აკისრებს. თუ კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილში ნახსენები პირის - „მედიის მესაკუთრის“²¹⁸ განხილვა იურიდიული პირის სტრუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდება, გამოჩნდება, რომ ეს მუხლი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ მონესრიგებას. გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 24-ე მუხლი იურიდიულ პირს დამოუკიდებელ პასუხისმგებელ სამართალსუბიექტად განიხილავს, ხოლო მედიის მესაკუთრე (თუ მედიასაშუალება რომელიმე სამართლებრივი ფორმით შექმნილი იურიდიული პირია) არის იმავე კომპანიის დამფუძნებელი, ცილისწამებისას კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით მოპასუხედ განსაზღვრულია არა თავად იურიდიული პირი, არამედ მისი მესაკუთრე, რომელიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს დამსაქმებელს სსკ-ის 997-ე მუხლის მიზნებისთვის, არამედ დამსაქმებელი იურიდიული პირის მესაკუთრეს. ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილსა და სსკ-ის 997-ე მუხლებს შორის მსგავსი წინააღმდეგობის გამო ტერმინი „მედიის მესაკუთრე“ საჭიროებს დახვეწას და მასში მხოლოდ დამსაქმებელი იურიდიული პირის მოაზრებას.

²¹⁸ ჰოზიცია იხ. *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 18, თბ., 2017, 138.

1.3 იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელების თავისებურებანი

პირთა გაერთიანება თუ „ორგანიზაციული წარმონაქმნი“ იქმნება ინდივიდთა ინტერესების ერთობლივად განსახორციელებლად, რომელიც მისი დამფუძნებლებისა თუ წევრებისგან იმიჯნება და დამოუკიდებლად იღებს მონაწილეობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომ განვითარებაში. ზოგადი წესის თანახმად, „იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთა ყველა იმ უფლებაში, რომელიც თავისებრივად არ უკავშირდება ადამიანს“²¹⁹. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

იურიდიული პირის მიმართ პირადი არაქონებრივი უფლების მოქმედების გავრცელების იდეა დოგმატურ დონეზე არასრულყოფილად და არათანმიმდევრულად განვითარდა. გერმანულ სამართალში, ზოგადი პიროვნული უფლების თაობაზე მოძღვრება ფიზიკური პირისთვის შეიქმნა პიროვნული ღირსებისა და თავისუფალი განვითარების უფლების პატივისცემის ჭრილში, თუმცა საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პარალელურად იურიდიულ ცნობიერებაში თავი იჩინა იურიდიული პირის წინაშე მიმართულმა დარღვევებმაც სოციალურ რეალობაში კონკურენტი ფირმის ან მედიის მხრიდან, რომელთა უპირველესი სამიზნე არა იურიდიული პირის დირექტორატი ან სამეთვალყურეო საბჭოა, არამედ თავად იურიდიული პირის საფირმო ნიშანი, მისი რეპუტაცია, იმიჯი და სოციალური ღირებულება იყო. ამდენად, დღეს თანამედროვე გერმანულ სამართალში იურიდიული პირის ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება აღარ წარმოადგენს პანაცეას.²²⁰ დოგმატურ დონეზე აღიარებულია, რომ ზოგადი პიროვნული უფლების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირიც, მისი არსისა და

²¹⁹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 160.

²²⁰ BGH, Urteil vom 11.3.2008-VI ZR 7.07 (OLG Köln), GRUR-RR 2008, 455=NJW 2008, 2110 (2112)- Gen-Milch, რომელიც მოგვიანებით დადასტურებულ იქნა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით- BVerfG 8.9.2010, BeckRS 2010, 53150 in GRUR- საქმე ეხებოდა ერთ-ერთი გარემოსდაცვითი გაერთიანების მიერ სამწარმოო იურიდიული პირის „Müller“, „Sachsenmilch“ და „Loose“ -ის სასაქონლო ნიშნის ქვეშ წარმოებული რძის პროდუქტებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, სადაც პროდუქტები გენეტიკურად მოდიფიცირებულად იქნა დახასიათებული. საქმის მასალებით დგინდება, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძროხებს, საიდანაც რძეს იღებდა კომპანია, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვებით ამარაგებდნენ.

დაცული სამართლებრივი სიკეთის ფუნქციების გათვალისწინებით.²²¹ ევროპულ პრაქტიკაში ე.წ. სანარმოს პიროვნული უფლება“ უმეტესად მოქმედებისგან თავის შეკავების სარჩელებთან დაკავშირებით გამოიყენება, რაც სამენარმეო საზოგადოებების მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების პრევენციას ემსახურება²²² ანუ საქმე ეხება სანარმოს საქმიანი რეპუტაციის დაცვის ეფექტურ ინსტრუმენტს.

იურიდიული პირის ზოგადი პიროვნული უფლება ანგლო-ამერიკულ სამართალში ცნობილია „*corporate right to privacy*“ ან „*right of privacy of corporations*“²²³ სახელწოდებით. გერმანიის მსგავსად, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაც სკეპტიკურად იყო განწყობილი იურიდიულ პირებზე *Right to Privacy*-ის გავრცელებასთან დაკავშირებით²²⁴. კალიფორნიის სააპელაციო სასამართლო იყო ერთ-ერთი პირველი,²²⁵ რომელმაც იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლების არსებობა აღიარა.

ამავე პოზიციას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის განმარტებით, კონვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება ყველაზე, როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე²²⁶. ევროპული პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება იურიდიული პირებიც იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით განსხვავებულად დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე ზიანი²²⁷. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ არ გაიზიარა მოდავე მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორიც „მაკდონალდსია,“

²²¹ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 634.

²²² *Koreng A.*, Das „Unternehmenspersönlichkeitsrechts“ als Element des gewerblichen Reputationsschutzes, Artikel, GRUR 2010, 1065.

²²³ *Allen A.L.*, Rethinking the rule against corporate privacy rights: some conceptual quandaries for the common law, 20 John Marshall L. Rev. 1987, 607; Black's Law dictionary, 6. Aufl., St. Paul, Minn, 1990, 1195-Privacy- rights of an individual or corporations.

²²⁴ *Meissner M.*, Persönlichkeitsschutz juristischer Personen im deutschen und US-amerikanischen recht, Band 4, Frankfurt am Main, 1998, 14- 1912 წელს აშშ-ის მისურის შტატის უფლებამოსილმა სასამართლომ განიხილა ერთ-ერთი კერძო სკოლის სარჩელი შოკოლადის მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ სახელის უნებართვო სარგებლობასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელის სახელისა და ემბლემის ნიშნის ქვეშ საკუთარი პროდუქციის გამოშვებას. მოსარჩელეს ითხოვდა კომერციული რეპუტაციის შელახვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული.

²²⁵ *H&M Associates v. City of El Centro*, 109 Cal, App. 3d 399, 167, Cal, Rptr, 392 (1980).

²²⁶ *Steel and Morrises v. United Kingdom*, ECHR, განაცხადის №68416/01, 15.02.2005.

²²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1052-1007-2014.

პრინციპულად უნდა ჩამორთმეოდა ცილისმწამებლური ბრალდებებისგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. ძლიერი კომპანიები შეგნებულად იყენებენ თავს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღიაა ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისთვის. დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებით გაცილებით ფართოა,²²⁸ თუმცა ბიზნესის პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად არსებობს კომპანიების კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის დაცვის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონდებლობის საფუძველზე დაცვის საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც აძლევს კომპანიას შესაძლებლობას, საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფთხის ქვეშ აყენებს მის რეპუტაციას და შეამციროს ზიანი.²²⁹

სსკ-ის მე-18 მუხლში გათვალისწინებული უფლებების იურიდიულ პირზე გავრცელების საკითხი არც ქართული სასამართლოებისთვის არის უცხო, თუმცა იურიდიული პირის მიმართ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების საკითხის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს მოდავე სუბიექტის კანონით დაცული ის არაქონებრივი უფლებები, რომელთა ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად უკავშირდება ადამიანს, თუმცა პიროვნულ უფლებათა ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს.²³⁰ მაგ. სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ პირზე ვერ გავრცელდება²³¹. კერძოდ, იურიდიულ პირს არ გააჩნია ამ მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, უფლება წარმოთქმულ სიტყვაზე, ასევე მორალური ზიანის

²²⁸ Fayed v. The United Kingdom, ECHR, განაცხადის №17101/90, 06.10.1994.

²²⁹ Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Gemany, ECHR, განაცხადის №10572/83, 20.11.1989.

²³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1052-1007-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016.

²³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/924-01.

ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა გააჩნია საქმიანი რეპუტაციისა და სახელწოდების დაცვის უფლება. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვა, უპირველეს ყოვლისა, მისი უფლებების დაცვაა, რათა ცნობები მისი საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მის შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.²³² იმავე მიზანს ემსახურება იურიდიული პირის სახელწოდების დაცვის უფლებაც. რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, იგი სულიერ ტკივილთან და ამ ტკივილის სუბიექტურ შეცნობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, იურიდიული პირი, როგორც ფიზიკური პირის მიერ ხელოვნურად შექმნილი სამართლის სუბიექტი, მოკლებულია აღნიშნული ტკივილისა და ტრავმის განცდის შესაძლებლობას, რასაც საქართველოს უზენაესი სასამართლოც იზიარებს.²³³ ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ყველა შემთხვევაში, იურიდიული ნონსენსია. უდავოა, რომ იურიდიულ პირს გააჩნია რიგი პიროვნული უფლებები, როგორცაა მაგ. საქმიანი რეპუტაცია, თუმცა მისი შელახვის გამო შესაძლებელია არა მორალური, არამედ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და სსკ-ის მე-18 მუხლში გათვალისწინებული დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება.

იურიდიული პირი პიროვნული უფლების მატარებელი ხდება წარმოშობისთანავე, ხოლო იურიდიული პირის ლიკვიდაციით წყდება. თუ იურიდიული პირის გადადის უფლებამონაცვლის ხელში, ამით თავდაპირველი სუბიექტი აგრძელებს არსებობას და მასთან დაკავშირებული ყველა ქონებრივი პიროვნული უფლება- სახელის, აღმნიშვნელი ნიშნის, სახელის ან რეპუტაციის უფლებაც გადადის უფლებამონაცვლეზე.²³⁴

კერძო სამართლის იურიდიული პირის პიროვნული უფლების აღიარების უპირველესი მიზანია, ამ უკანასკნელის თავდაცვითი და მატერიალური კატეგორიის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით აღჭურვა, რადგან უფლების დარღვევის ნეგატიური შედეგები უპირველეს ყოვლისა თავს მატერიალური სახის ზარალში იჩენს, როგორცაა მაგ. რეპუტაციის და იმიჯის, სოციალური შეფასების დამცრობა²³⁵. დარღვევები შეიძლება გამოიხატოს როგორც რეპუტაციის შელახვაში²³⁶, კომერციული საიდუმლოს

²³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/104-15.

²³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016.

²³⁴ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 637.

²³⁵ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 31.

²³⁶ BVerfG NJW 2006, 3769 – Babycaust.

გასაჯაროებაში, თანამშრომელთა უკანონო მიყურადებასა თუ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გაყალბებაში.

1.4 პირადი უფლების განხორციელების და სამოქალაქო უფლების განხორციელების მექანიზმების მიმართება

პირადი არაქონებრივი უფლებები, იღებს სათავეს რა ადამიანის ღირსების უფლებიდან, იცავს ინდივიდის არამატერიალურ ინტერესებს.²³⁷ უფლების შემადგენელი კომპონენტების ნაწილში, პირადი არაქონებრივი უფლებების ჭრილში, ნათლადაა გამოკვეთილი უფლებამოსილებათა პირველი კატეგორია, როგორცაა პირის უშუალო ბატონობის უფლება საკუთარ პიროვნულ სივრცეზე, სხვისი ჩარევის გარეშე. გირკე,²³⁸ რომელიც “პიროვნულ უფლებებს” უწოდებს “უფლებებს საკუთარ პიროვნებაზე”, მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის უფლებები, უნიკალური ხასიათის გამო, თავის არსით, განსხვავდებიან ყველა სხვა უფლებისგან იმით, რომ ეს უფლებები “ვლინდება სამართლებრივი წესრიგის მიერ უზრუნველყოფილ ზოგად მოთხოვნაში - იყო პიროვნება.”²³⁹

სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო მოიცავს პირადი არაქონებრივი უფლებების შემდეგ სახეობებს: პირველი, პირის ინდივიდუალიზაციის გამომხატველ პირად უფლებებს (უფლება სახელზე, საფირმო სახელწოდებაზე, საწარმოო მარკაზე, სასაქონლო ან მომსახურების ნიშანზე; პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე). მეორე, პირადი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის უფლებები (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, გამოსახულების უფლების, კერძო კომუნიკაციის და ა.შ.); მესამე, პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საიდუმლოების უზრუნველყოფის უფლებები (ბინის, პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლება, მიმონერა, სატელეფონო საუბრებისა და შეტყობინების, სამედიცინო საიდუმლოების დაცვა და ა.შ.).²⁴⁰

პირადი არაქონებრივი უფლებების ეფექტური განხორციელების მნიშვნელოვანი ასპექტია ინფორმაციული თვითგამორკვევის სფერო, რომელიც მოიცავს გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილებას, როდის და რა ვითარებაში გახდეს მისი პირადი

²³⁷ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 35.

²³⁸ Gierke O., Deutsches Privatrecht, Band I, Allgemeiner Teil, Leipzig, 1895, 260- „ობიექტების მიხედვით უფლებების იყო სამ ჯგუფად: უფლება საკუთარ პიროვნებაზე, უფლება ნივთებზე და უფლება სხვა პიროვნებაზე“.

²³⁹ საქაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014, 82.

²⁴⁰ ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995, 175.

ცხოვრება საჯარო.²⁴¹ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია საზოგადოებაში და პირადი სფეროს დაცვა საზოგადოებისგან წარმოადგენს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელ კომპონენტს, რომელიც თითოეული პიროვნული ინდივიდუალობის დაცვას განაპირობებს სხვა ადამიანების გარემოცვისგან.²⁴² ამდენად, კერძო სამართლით აღიარებული და უფლების რანგში აყვანილი პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელებაში მოიაზრება საზოგადოებისგან გამიჯნული პირადი სივრცის უზრუნველყოფაში, სადაც თითოეული ინდივიდი საჯაროობისგან, ყურადღებისგან ან მესამე თვალისგან მოშორებით პოულობს საკუთარ თავს და მოგვიანებით, მისი სურვილის შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა გადაწყვიტოს, რა მოცულობით და როდის გახადოს ეს უკანასკნელი ცნობილი საზოგადოებისთვის. უფლების განხორციელების აღნიშნული განმარტება შესაბამისობაშია *Right to Privacy*-ის ამერიკულ ფესვებთან და პიროვნული სფეროს, როგორც „მარტობაზე უფლების“ განმარტებასთან.

უფლების განხორციელება სხვა პირთა ჩარევის აბსოლუტური გამორიცხვით რთულად განხორციელებადი და ხშირად არარეალურია, რადგან უფლების მფლობელი პირი წარმოადგენს არა განცალკავებულ, იზოლირებულ, არამედ სოციუმის ფარგლებში მცხოვრებ კომუნიკაციურ არსებას, რომლის ქმედებები ბუნებრივად ახდენს გავლენას სხვა ადამიანის ან მთლიანად სოციუმის ინტერესებზე. ამდენად, სამოქალაქო უფლების განხორციელება განუყოფლად არის დაკავშირებული მესამე პირების მხრიდან ვალდებულების შესრულებასთან, თუ ამ უკანასკნელთა ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის პირადი არაქონებრივი უფლების განმარტებელი პირის ინტერესებთან და უკვე მიემართება სხვა პირთა ქმედებებს, რაც ასევე სამოქალაქო უფლების შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტია. „უფლებამოსილებას სხვის მოქმედებაზე მიეკუთვნება სიტუაცია, როდესაც ერთი პირის სუბიექტურ უფლებას შეესაბამება მეორე პირის იურიდიული მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობაც გამოიწვევს სუბიექტური უფლების განხორციელების შეუძლებლობას.“²⁴³

სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულებებიც არაერთგვაროვანია. პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ კერძოსამართლებრივ ურთერთობებში ნებისმიერი მესამე პირი ვალდებულია თავი შეიკავოს ამ უფლების უნებართვო გამოყენებისგან ან ხელი არ შეუშალოს უფლებამოსილ პირს საკუთარი უფლებების სრულად განკარგვისას.

²⁴¹ *Marion B.-V.*, Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 1997, 189.

²⁴² იქვე.

²⁴³ *ამირანაშვილი გ.*, სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, უერნ. „მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2015, 148.

მაგალითად, ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა ანუ გამოქვეყნება მხოლოდ მისი თანხმობითაა დაშვებული. შესაბამისად, ინდივიდის თავისუფლება- მისი გამოსახულება გამოტანილ იქნეს საჯაროდ ან ეჩვენოს საზოგადოებას მისთვის სასურველი ფორმით,²⁴⁴ წარმოადგენს სუბიექტური უფლებამოსილების შემადგენელ ნაწილს-უფლებამოსილებას სხვის ქმედებებზე. ამავე უფლებამოსილებას მიეკუთვნება სსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი ვალდებულება, სხვისი სახელით სარგებლობის ან სახელის მითვისების აკრძალვა, პატივის, ღირსების ან საქმიანის რეპუტაციის უფლების განხორციელებისას სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გახმაურების აკრძალვა, ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვისას დაცული სფეროდან თუნდაც ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროების აკრძალვა. ამდენად, ყველა დასახელებულ შემთხვევაში, უფლებების აბსოლუტური ხასიათის გამო, მესამე პირთა ვალდებულება პასიურ კონტექსტშია გაგებული.

მართალია, სამოქალაქო უფლებათა განხორციელების არეალი მკვეთრად გაფართოებულია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ის აბსოლუტურად შეუზღუდავია²⁴⁵. უფლების თავისუფალი განხორციელების უზრუნველყოფის გვერდით მოქმედი კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ წესებს და პრინციპებს. ეს პრინციპები, თავისი შინაარსით, განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტული პირადი არაქონებრივი უფლების ან ურთიერთობის სპეციფიკაზე,²⁴⁶ ასევე თავად პიროვნული უფლების ფართო და აბსტრაქტული განსაზღვრებებით დაცულ კონკრეტულ სფეროზე, რომელიც განაწილებულია მომიჯნავე ფაზებში და განსხვავებულია მათი ხელშეუხებლობის მასშტაბებიც. ამოსავალი წერტილი არის ის ფაქტი, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, რომლის ცხოვრება ნაწილობრივ დაცულ ანუ პირად, ხოლო ნაწილობრივ საჯარო სივრცეში მიმდინარეობს. სწორედ სფეროთა მიხედვით ხდება ჩარევის დასაშვებობის იდენტიფიცირება. შესაბამისად, აღნიშნული თემა წარმოადგენს პიროვნებასა და საზოგადოების საინფორმაციო ინტერესებს შორის გამიჯვნის კრიტერიუმს.

²⁴⁴ *კორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 65.

²⁴⁵ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2009, 118.

²⁴⁶ *Толстой Ю.К.*, Гражданское право, Учебник, Издание четвертое, Переработанное и дополненное, Москва, 2000, 288.

2. პიროვნული უფლების განხორციელების გამიჯვნა იმავე უფლების დაცვისგან

2.1 პიროვნული უფლების დაცვის ზოგადი წანამძღვრები

„სამართლის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალდარღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით“²⁴⁷. სამოქალაქო უფლებების შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფა სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპების რიცხვს განეკუთვნება. ამ პრინციპის მოქმედება მნიშვნელოვანია იმ პოზიციიდანაც, რომ გამოირიცხოს ხელოვნური დაბრკოლებები საკუთარი ინტერესების დაცვის უფლების განხორციელებისას²⁴⁸. ნორმალური სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტების გარკვეული სამოქალაქო უფლებების აღიარებას, არამედ მათ საიმედო დაცვის უზრუნველყოფასაც. „იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებების დაცვის კონცეფცია მოიცავს კანონმდებლობით დადგენილი ზომების (საშუალებების) ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს უფლებების რეალიზაციის ნორმალურ მიმდინარეობას“²⁴⁹ სამოქალაქო უფლების აღიარებას ან აღდგენას- დარღვევის ან სადავოდ ქცევის პირობებში. იგი მოიცავს არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და სხვა ხასიათის ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას²⁵⁰.

იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია სუბიექტის სამოქალაქო უფლება სხვა პირის მხრიდან, აგრეთვე, როცა, უფლება, მართალია ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს რეალურად მისი დარღვევის საფრთხე, ხოლო დარღვეული უფლება არ არის ნებაყოფლობით აღდგენილი დამრღვევის მხრიდან, წარმოიშობა ობიექტური საჭიროება, რომ ვალდებული პირის მიმართ (საპასუხო ზომად) გამოყენებულ იქნეს უფლების დაცვის კანონიერი ზომები (მექანიზმი), რომელთაც უფლების დაცვის საშუალებები ეწოდება.²⁵¹ ამდენად, უფლების დაცვის სამართლებრივ ღონისძიებებს განეკუთვნება კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვითი საშუალებების (სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების) სისტემა, რომელთა მიზანია სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის

²⁴⁷ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2015, 58.

²⁴⁸ გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2009, 117.

²⁴⁹ Толстой Ю.К., Гражданское право, Учебник, Издание четвертое, Переработанное и дополненное, Москва, 2000, 288.

²⁵⁰ იქვე.

²⁵¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015, 19.

განვითარების უზრუნველყოფა მისი ნორმალური, დაურღვეველი მდგომარეობით.²⁵²

დაცვის უფლებამოსილების დოქტრინული განმარტება დავას იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში. ტრადიციული კონცეფციის მიხედვით²⁵³, უფლებამოსილება დაცვაზე წარმოადგენს უფლების განუყოფელ ნაწილს და გათანაბრებულია საკუთარ და სხვათა ქმედებებზე უფლებამოსილებებთან. სხვა პოზიციის მიხედვით²⁵⁴, უფლებამოსილება დაცვაზე არის არა სხვა უფლებამოსილებების პარალელურად არსებული შესაძლებლობა, არამედ წარმოდგენილია განსაკუთრებული და თვითკმარი ბერკეტის სახით, რომელიც არ არის ინტეგრირებული უფლების სხვა კომპონენტებთან. აღნიშნული მსჯელობა განსაკუთრებით აქტუალურია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და რეგულირების საკითხის გამიჯვნისას. გავრცელებული პოზიციით²⁵⁵, პირადი არაქონებრივი უფლებები მოკლებულია რა ქონებრივი შინაარსს, სამოქალაქო სამართალი მხოლოდ იცავს და არ არეგულირებს მათ. აღნიშნული პოზიცია დავას იწვევს სამართლის თეორიის მკვლევარებს შორისაც, რომელთა მოსაზრებით, სამართლის რეგულაციური ფუნქცია დაცვითი და შესაბამისად იძულებითი ფუნქციითაა განმტკიცებული²⁵⁶. სამართლის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალდაღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით, რამეთუ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შეიძლება მთლიანად დაირღვეს, თუ კანონსაწინააღმდეგო ქცევა სათანადო რეაგირების გარეშე დარჩება,²⁵⁷ ხოლო დაცვის პროცესში ხდება დარღვეული უფლების აღდგენა და კვლავ ჩნდება მისი რეალიზაციის შესაძლებლობა²⁵⁸. შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება პიროვნული უფლებების დამრღვევზე არის რა დაცვის უფლების ხორცშესხმა, პრაქტიკულად, ის ამით ქმნის აღნიშნული უფლების განხორციელების პირობებს.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი მოიცავს დაზარალებული მხარის სამოქალაქო სამართლებრივი იძულების

²⁵² *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2009, 118.

²⁵³ *Маслова В. Ф., Пушкина А. А.*, Советское гражданское право, В 2-х частях. Харьков, 1983, Ч. 1, 248.

²⁵⁴ Братусь С. Н., *Юридическая ответственность и законность*, Москва, 1976, 73—74.

²⁵⁵ *ახვლედიანი ბ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჯანტურია ლ., ჯორბენაძე ს.*, (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999; *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2009, 129.

²⁵⁶ იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2015, 45-46.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ *ლობჯანიძე გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 2009, 379.

შესაძლებლობას (უფლებამოსილება დაცვაზე) და უფლებადამრღვევი პირის ვალდებულებას უფლების აღდგენაზე (აღსრულების ვალდებულება).²⁵⁹ თავის მხრივ, დაცვის თაობაზე პირის უფლება აერთიანებს შემდეგ უფლებამოსილებებს: 1. უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას გამოიყენოს კანონით ნებადართული საკუთარი ზემოქმედების საშუალება სამართალდამრღვევზე (თვითდაცვა). 2. უფლებამოსილი პირის მიერ სამართალდამრღვევზე ზემოქმედების იურიდიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა. 3. უფლებამოსილი პირის შესაძლებლობა, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანოებს განსაზღვრულ ქცევაზე ვალდებული პირის იძულების მოთხოვნით.²⁶⁰

უფლების უშუალო რეალიზაცია, ანუ უფლების განხორციელება ფაქტობრივ ქცევაში, ხდება სამი ფორმით: 1) აკრძალვის დაცვა- სადაც ხდება ამკრძალავი და დაცვითი ნორმების რეალიზაცია. 2) ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანუ უშუალოდ მავალდებულებული ნორმების რეალიზაცია. 3) უფლების გამოყენება ანუ უფლებააღმჭურველი ნორმების რეალიზაცია, რომელთა დისპოზიციაში გათვალისწინებულია პირის უფლებები.²⁶¹ ამგვარი განმარტებით ცალსახა ხდება, რომ უფლების დაცვა ორგანულადაა დაკავშირებული მის განხორციელებასთან, თუმცა ამოქმედდება თუ არა დაცვითი ბერკეტები, დამოკიდებულია იმაზე, ექმნება თუ არა საფრთხე ამ უკანასკნელის ნორმალურ ვითარებაში განხორციელებას.

დაცვის უფლებამოსილების საგანს განეკუთვნება არა მხოლოდ სამოქალაქო უფლება, არამედ კანონით დაცული ინტერესებიც, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. „ნებისმიერი სამოქალაქო უფლების ცენტრში დგას ესა თუ ის ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებისათვისაც აქვს მინიჭებული უფლებამოსილი პირის უფლება“.²⁶² იმავდროულად, უმეტეს შემთხვევებში, დაცული სამართლებრივი ინტერესები თავს იჩენს კონკრეტულ სამოქალაქო უფლებაში. ასეთ დროს, სუბიექტური უფლების დაცვის მექანიზმი ზემოაღნიშნული კანონისმიერი ინტერესის დაცვასაც მოიცავს, თუმცა არა ყველა შემთხვევაში²⁶³. ერთ-ერთი ამგვარი გამონაკლისი შემთხვევაა პირადი არაქონებრივი უფლებები, რომელთა დაცვა ხდება არა სამოქალაქო უფლებაში ტრანსფორმირების გზით, არამედ კანონით დაცული და დამოუკიდებლად არსებული ფორმით.

²⁵⁹ Karkhalev D., Protection of Rights under Russian Civil Law in a Comparative Context, BRICS Law Journal 3(1), Bashkir, 2016, 128.

²⁶⁰ ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2015, 150.

²⁶¹ იქვე.

²⁶² Толстой Ю.К., Гражданское право, Учебник, Издание четвертое, Переработанное и дополненное, Москва, 2000, 289.

²⁶³ იქვე.

2.2 უფლების დაცვის ზოგადი ელემენტების გავლენა პიროვნული უფლების დაცვაზე

უფლებების დაცვითი მექანიზმის შინაარსი და კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებადობა დამოკიდებულია მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნაზე და წარმოადგენს მატერიალური და პროცესუალური ნორმების კრებულს, რამეთუ მატერიალური ხასიათის მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა კანონით დადგენილი საპროცესო ფორმითაა უზრუნველყოფილი.²⁶⁴ ამდენად, პიროვნულ უფლებათა დაცვის საშუალებებში, ჩვეულებრივ, იგულისხმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიღწეულ იქნეს უფლების დარღვევის აღკვეთა, თავიდან აცილება, აღმოფხვრა, აღდგენა და იმ დანაკარგების კომპენსაცია, რომლებიც გამონვეულია უფლების დარღვევით²⁶⁵.

გამოყენების სფეროს მიხედვით, დაცვის საშუალებები იყოფა უნივერსალურ და სპეციალურ საშუალებებად. განსხვავება თავს იჩენს დაცვის საშუალებების გამოყენების საჭიროებაში, სოციალურ მიზნებში, ფუნქციებსა და უფლების რეალიზაციის წესებში²⁶⁶. უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რომ პასუხისმგებლობის ზომები, დაცვის ღონისძიებებისგან განსხვავებით, მიემართება უშუალოდ სუბიექტური უფლების დამრღვევს და გამოიხატება მის მიმართ დამატებითი ტვირთის დაკისრებასა და გარკვეული უფლების ჩამორთმევაში. მაგ. პასუხისმგებლობის ღონისძიებად შეიძლება იქნეს მიჩნეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო ყველა დანარჩენი წარმოადგენს უფლების დაცვის საშუალებებს. ამ კუთხით, დაცვის ღონისძიებები, მოკლებული არიან რა მატერიალურ შინაარსს, მიეკუთვნებიან უფლების დაცვის არაქონებრივ საშუალებებს, ხოლო ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქოსამართლებრივი სანქციის ბუნებიდან და მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე-ქონებრივი კატეგორიის დაცვის საშუალებას.

უნივერსალური დაცვის საშუალებები იშვიათი გამონაკლისის გარდა გამოიყენება ნებისმიერი სუბიექტური უფლების დასაცავად, ხოლო სპეციალური საშუალებები გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ სახეობათა

²⁶⁴ *Вавилин Е.В.*, Осуществление и защита гражданских прав, Москва, 2016, 56.

²⁶⁵ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2009, 122.

²⁶⁶ *Толстой Ю.К.*, Гражданское право, Учебник, Издание четвертое, Переработанное и дополненное, Москва, 2000, 293.

სამოქალაქო უფლებების ან გარკვეული დარღვევებისგან დასაცავად²⁶⁷. უფლების დაცვის უნივერსალურ საშუალებებს მიეკუთვნება: უფლების აღიარება, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან მისი დარღვევის საფრთხეს წარმოქმნის,²⁶⁸ სადავო გარიგების ბათილად ცნობა ან ბათილობის შედეგების გამოყენება, უფლების თვითდაცვა, ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდევინება, სამართალურიერთობათა შეცვლა და შეწყვეტა.²⁶⁹ ცხადია, აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, შესაძლებელია მისი გაფართოება და ერთდროულად დაცვის რამდენიმე საშუალებიც გამოყენებაც.

პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ დავა შესაძლებელია წარმოიშვას, როდესაც დარღვეულია ან სადავოდაა ქცეული პირის ზემოაღნიშნული უფლება. „ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამართალურიერთობები სადავო, გაურკვეველი ხდება, რაც ართულებს ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას“.²⁷⁰ ასეთ დროს დაცვის ოპტიმალურ საშუალებას წარმოადგენს სადავოდ ქცეული უფლების აღიარება, ხოლო უფლების დარღვევის დროს მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს უფლებადამრღვევი ქმედების აღკვეთაში. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, გამოსავლად ზიანის ანაზღაურებალა რჩება.

უფლების დაცვის სპეციალურ საშუალებებს მიეკუთვნება პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები, როგორცაა: ინფორმაციის უარყოფა, სასამართლო გადანყვეტილების გამოქვეყნება, შესწორება და განვრცობა. მათი განსაკუთრებული ბუნება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონმდებელი მათ უფლებების დასაცავად სპეციალური კანონით განამტკიცებს და ემსახურება წარსულში ჩადენილი და აწმყოშიც მოქმედი პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევების შედეგების აღმოფხვრას. სპეციალური გამოყენების სფერო გააჩნია ასევე სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ საპასუხო ცნობების გავრცელების უფლებასაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არაიურისდიქციულ და

²⁶⁷ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2009, 123.

²⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, №3, თბ., 2009, 35.

²⁶⁹ *ქერდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015, 19-21.

²⁷⁰ იქვე.

უფლების თვითდაცვის საშუალებას, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ჩანაწერი საპირისპირო ინფორმაციის გავრცელების უფლებას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე ანიჭებს. თუ ინფორმაციის განთავსებისთვის საჭირო ესა თუ ის პლატფორმა ან კონკრეტული მედიასაშუალება უარს განაცხადებს აღნიშნული დაცვითი უფლების რეალიზებაზე, პირს, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს ინფორმაციის გავრცელების დავალდებულების თხოვნით.

პიროვნული უფლებების ხელყოფა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თავის მხრივ, უკავშირდება სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილებას მოითხოვს, ხოლო პასუხისმგებლობის კონკრეტული სახე დამოკიდებულია დარღვევის ხასიათზე ან მის ინტენსივობაზე. სამოქალაქო ბრუნვის განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტების გარკვეული სამოქალაქო უფლებების აღიარებას, არამედ მათი საიმედო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფასაც.²⁷¹

მეცნიერებაში ჩამოყალიბებული ტრადიციის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფა მოიცავს მთელ იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც უფლების რეალიზაციის ნორმალურ მიმდინარეობას განაპირობებს, ხოლო საკუთრივ დაცვის სამართლებრივ ღონისძიებებს განეკუთვნება ყველა ის ფორმა, რომელთა დახმარებითაც ხდება როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების უზრუნველყოფა მისი ნორმალური, დაურღვეველი მდგომარეობით, ისე დარღველი ან შეცილებული უფლებების და ინტერესების აღდგენა.²⁷² სსკ-ის მე-18 მუხლი წარმოადგენს იძულებითი ხასიათის მატერიალურ სამართლებრივ ნორმას, რომელიც განსაზღვრული პირობების დაცვით ქმნის უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას, გამოიყენოს სამართალდაცვითი ხასიათის ღონისძიებანი დარღვეული უფლების აღიარების, აღდგენის, უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთის და დამრღვევზე ზემოქმედების მოხდენის თვალსაზრისით. თავად დაცვის ფორმაში კი იგულისხმება უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის შინაგანად შეთანხმებული ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს პირადი არაქონებრივი უფლების უშუალოდ სასამართლოს წესით დაცვის მექანიზმს და ცალ-ცალკე არეგულირებს დაცვის ღირს ინტერესებს, როგორცაა: სახელის უფლება (I

²⁷¹ გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლი“, №1, თბ., 2009, 116.

²⁷² იქვე.

ნაწილი); გამოსახულების უფლება (V ნაწილი); პატივი; ღირსება; პირადი ცხოვრების საიდუმლოება და საქმიანი რეპუტაცია (II ნაწილი). ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი იმავე მე-18 მუხლის სხვა ნაწილებში ცვლის, კერძოდ, „ავინროებს ჩამონათვალს.“²⁷³ მაგ. მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ფოკუსირებას ახდენს კონკრეტულ შემთხვევაზე, როდესაც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი პიროვნული უფლებების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და ამავე ნაწილშია რეგულირებული დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი- ინფორმაციის უარყოფა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი ყოველგვარი ლოგიკური გამიჯვნის გარეშე აკეთებს აქცენტს მხოლოდ პატივისა და ღირსების უფლების დარღვევის შემთხვევაზე და პირს ანიჭებს საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლებას ინფორმაციის იმავე საშუალებებით²⁷⁴. აღნიშნული ნაწილის ფორმულირება და მისი ცალკე მუხლად გამოყოფა აბსოლუტურად გაუგებარია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით და ასევე შინაარსობრივი კუთხითაც. აზრობრივად, მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ეხება ჩამოთვლილი პიროვნული უფლებების ქვეშ დასული სიკეთის ხელყოფის შემთხვევას და ამ კონტექსტში სავარაუდო დამრღვევის ვალდებულებას ცნობების უარყოფის შესახებ. მე-4 ნაწილი შინაარსობრივად ანალოგიურ დებულებას შეიცავს, ნორმის დისპოზიციის მიმართულია უფლების შემლახველი ცნობების გამოქვეყნებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, თუმცა ნორმის სამართლებრივი საფუძველი უფლებამოსილი პირისათვის წარმოშობს საპასუხო ცნობის გამოქვეყნების უფლებას მხოლოდ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების არსებობის შემთხვევაში. ამდენად, აბსოლუტურად გაუგებარია კანონმდებლის მიზანი და მე-4 ნაწილის დავინროება მხოლოდ პატივისა და ღირსების უფლებაზე, მაშინ როდესაც, დაცვის იმავე ხარისხს საჭიროებს მე-3 ნაწილში ჩამოთვლილი უფლებებიც. შესაბამისად, გასაზიარებელია პოზიცია²⁷⁵, რომლის მიხედვითაც უფრო ლოგიკური იქნებოდა მე-3 და მე-4 ნაწილების შინაარსობრივი გაერთიანება და იდენტური დაცვის მექანიზმის გავრცელება მე-18 მუხლში ჩამოთვლილ ყველა პიროვნულ უფლებაზე, ცალკეული, კონკრეტულ საფუძველს მოკლებული დიფერენცირების გარეშე, რამეთუ არ იკვეთება კანონმდებლის მიზანი საპასუხო ცნობების გავრცელების უფლების მხოლოდ პატივისა და

²⁷³ აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 137.

²⁷⁴ იქვე.

²⁷⁵ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 137.

ღირსების უფლებით შემოსაზღვრის თაობაზე და იწვევს სხვა ჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი თავის თავში აერთიანებს დაცვის და პასუხისმგებლობის ღონისძიებებს, რომელთაგაც დაცვით ღონისძიებებს მიეკუთვნება: უფლების აღიარება; იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან მისი დარღვევის საფრთხეს წარმოქმნის; საპასუხო ცნობების გავრცელება; ინფორმაციის უარყოფა ან შესწორება, ხოლო პასუხისმგებლობის ტიპის ღონისძიებებს მიეკუთვნება-ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, სამოქალაქო სამართალი იცნობს ზიანის ორ სახეს, სახელშეკრულებით და არასახელშეკრულებით, სადაც ეს უკანასკნელი მოიაზრება აბსოლუტური უფლებების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმად, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ამ უფლების მფლობელები ერთმანეთთან სახელშეკრულებით შებოჭვის ფარგლებში.

ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლის უპირველესი მიზანი, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაა. ამ მიზნის შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების უფლება გააჩნია პირს, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია და არა იმ პირს, რომელმაც ივარაუდა, რომ ეს ცნობები მას შეეხებოდა²⁷⁶. პიროვნული უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოსადეგობაზე საუბრისას, ამოსავალი კრიტერიუმია შედეგი, რომლისთვისაც გამიზნულია დაცვის საშუალებებთან არსენალში არსებული ფორმებიდან ერთ-ერთის და რამდენიმეს გამოყენება. ამდენად, უზრუნველყოფს თუ არა დადგენილი მართლწესრიგი ყველა იმ დასახული მიზნის მიღწევას, რასაც თეორიულად ისახავს მიზნად პიროვნული უფლებების დაცვა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ამომწურავად, დროულად და უმტკივნეულოდ ხდება დარღვევაზე რეაგირება.

2.3 პიროვნული უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადები

პირად არაქონებრივ უფლებებზე მოთხოვნის დაყენების ნაწილში ხანდაზმულობის ვადას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, კანონი არ ითვალისწინებს.²⁷⁷ არაქონებრივი უფლებები განეკუთვნება რა კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს, მათი უვადოდ დაცვის პრინციპის სწორედ ამ უფლებათა მაღალი ხარისხითაა განპირობებული.²⁷⁸ აღნიშნული დანაწესი არ გამოიყენება, თუ კანონით სხვა რამ არის

²⁷⁶ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 129.

²⁷⁷ იქვე, 144.

²⁷⁸ *კვანტალიანი ნ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.128, თბ., 2017, 725.

გათვალისწინებით. პიროვნული უფლების დაცვის შემოთავაზებული მექანიზმების მრავალფეროვნების პირობებში სხვადასხვა ნორმატიული აქტით ხანდაზმულობის ვადებიც განსხვავებულადაა რეგულირებული. კანონით დადგენილ განსხვავებულ რეგულაციას წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, რომელიც ცილისწამების თაობაზე სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადად ას დღეს განსაზღვრავს.²⁷⁹ თუ სარჩელი შეეხება პიროვნული უფლების დარღვევის იმ სახეს, რომელიც არსებითაც მცდარი და პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევას ეხება, დაცვის ნებისმიერი ბერკეტის გამოყენებისას მოსარჩელეს აქვს მოთხოვნის იძულებითი წესით რეალიზაციისთვის მხოლოდ ასი დღე, რომელიც აითვლება მის მიერ განცხადების სუბიექტური შეცნობის მომენტიდან. ამასთან, თუ არსებითაც მცდარი განცხადების გამოქვეყნება მოხდა საქართველოში ლეგალური საფუძვლებით მოქმედი მაუწყებლების სივრცეში, ხოლო დაინტერესებულ პირს სურს არააქონებრივი უფლების დაცვის ბერკეტად შესწორების ან უარყოფის გამოყენება, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი²⁸⁰ თვითრეგულირების მექანიზმის სახით აწესებს სპეციალურ დათქმას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მოთხოვნის უფლება არსებობს შესაბამისი მაუწყებლის სანცის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის მიმართ ფაქტის მოყვანიდან ათი დღის ვადაში. ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს არა სარჩელის შეტანის, არამედ თავად მოპასუხის წინაშე მოთხოვნის დაყენების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებზე. შესაბამისად, მოცემულ სიტუციაშიც სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას სპეციალურ ნორმას ვკლავ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი უნდა წარმოადგენდეს.

განსხვავებული ვადაა დადგენილი ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებზეც, რომელიც სსკ-ის 1008-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად სამწლიან ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება, რადგან დასახელებული მოთხოვნები დელიქტური ვალდებულების ნაწილად უნდა იქნეს განხილული, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც ამ თავიდან უნდა იქნეს აღებული.

²⁷⁹ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის“ მე-19 მუხლი.

²⁸⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება, სსმ, 32, 18.03.2009, 300.010.000.17.010.012.895.

IV. სახელის, გამოსახულების, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაცვის არაქონებრივი საშუალებები

1. სახელის უფლების ცნება

1.1 სახელის უფლების შინაარსი

„სახელის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა“²⁸¹ და ადამიანისგან, მისი პიროვნებისგან განუყოფელია.²⁸² იგი წარმოადგენს ანბანის ასოებისგან შემდგარ სიტყვას, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოში პირის იდენტიფიცირების მიზნით და განასხვავებს მას სხვა პირებისგან²⁸³.

„სახელი სოციალური მოვლენაა, საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას“²⁸⁴. უპირველეს ყოვლისა, სახელი იცავს პერსონალურ ინტერესებს, რამდენადაც ადგენს და შესაბამისად, ასხვავებს პიროვნების იდენტობასა და ინდივიდუალობას.²⁸⁵ სახელის მეშვეობით ხორციელდება ადამიანის ინდივიდუალიზება ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელით ადამიანი ერთგვარად დაცულია სოციალური უგულებელყოფისაგან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია²⁸⁶ და მას ყოველთვის უკავშირდება დადებითი ან უარყოფითი ასოციაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სახელის გარდა, პირის ინდივიდუალურიზაციის მიზანს ემსახურება კანონით დაცული სხვა სამართლებრივი სიკეთეებიც, როგორცაა პატივი, ღირსება, რეპუტაცია და ა.შ., სახელის უფლებას, როგორც პირის ინდივიდუალურიზაციითვის მოწოდებულ სიკეთეს, მოქმედების დამოუკიდებელი სფერო აქვს და არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი თითოეული მათგანის თვითმყოფადი სამართლებრივი დაცვა.²⁸⁷

„თანამედროვე ქართულ სახელში ეროვნული ანთროპონიმიკის ისტორიაში გაბატონებული ორწევრიანი სისტემა აისახა“²⁸⁸ რაც თავის მხრივ,

²⁸¹ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ., 17, თბ., 2017, 91.

²⁸² *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 142.

²⁸³ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, 91.

²⁸⁴ *ნინიძე თ.*, სახელის უფლების შინაარსი, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1976, 29.

²⁸⁵ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 7; *Hubmann H.*, Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967, 268, 276 და შემდგომში.

²⁸⁶ *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, უურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(31), თბ., 2011, 110; *ჯორბენაძე ს.*, ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, თბ., 1999, 52.

²⁸⁷ *ნინიძე თ.*, სახელის უფლების შინაარსი, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1976, 29.

²⁸⁸ *ჯორბენაძე ს.*, *ახვლედიანი ზ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 52.

„ქრისტიანულ ტრადიციებს შეესაბამება.“²⁸⁹ აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, რომელიც სახელის უფლების შინაარსში სახელს და გვარს მოიაზრებს. ნიშანდობლივია, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების ეფექტურად დაცვის ჭრილში სახელის უფლების შემოსაზღვრა მხოლოდ პირის სახელითა და გვარით, ცალსახად ვერ უზრუნველყოფს პიროვნულობის ყველა ასპექტის ზედმინვენიტ რეალიზაციას, რადგან პირის იდენტიფიცირება პიროვნული მახასიათებლის ბევრი სხვა ნიშნითაა შესაძლებელია²⁹⁰, რომელიც არაპირდაპირ უკავშირება პირის სახელს ზოგადად, თუმცა შესაძლოა არ ემთხვეოდეს ვინაობა ამ უკანასკნელის სახელს და გვარს. ამდენად, გასაზიარებელია პოზიცია²⁹¹, რომლის მიხედვითაც სსკ-ის მე-18 მუხლში გარანტირებული სახელის უფლების გაგება არ უნდა მოხდეს ვინაობა, მხოლოდ მე-17 მუხლით დადგენილი სიტყვა-სიტყვითი ფორმულირებით, რათა პიროვნების იდენტობასთან და მის ნებისმიერ მაიდენტიფიცირებელ მონაცემთან დაკავშირებით არსებობდეს ეფექტური დაცვის მექანიზმი.

ზოგიერთი ავტორი სახელის შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევს ხელმოწერასაც.²⁹² ნებისმიერი სახის აკადემიური ტიტული ან პროფესიის აღმნიშვნელი წოდება „არ წარმოადგენს სამოქალაქო სახელის შემადგენელ ნაწილს“²⁹³ და არ მოიაზრება სსკ-ის მე-18 მუხლის დაცულ სფეროში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, სტატუსის განსაზღვრის მიზნით, სახელის წინ დოქტორის აკადემიური სტატუსის მინიშნება დაშვებული პრაქტიკაა.²⁹⁴ ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში არაერთმნიშვნელოვნად არის გადანყვეტილი საკითხი, უნდა მოხდეს თუ არა აკადემიური სტატუსის რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის განსაზღვრელ რეესტრში,²⁹⁵ თუმცა სახელის უფლების დაცვის ჭრილში მისი ჩართვა, ცალსახად დასაშვებია.

²⁸⁹ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 195; *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 93.

²⁹⁰ იხ. *ჯორბენაძე ს.*, სახელის უფლების ფართო განმარტება, თბ., 2018, ხელმისაწვდომია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.library.court.ge/upload/saxelisufleba.pdf>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.2010, 16:07].

²⁹¹ იქვე.

²⁹² *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი № 4(31), თბ., 2011, 110; *Маленна М.Н.*, Личные неимущественные права граждан понятие, осуществление, защита, М., 2011, 111.

²⁹³ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 95; შდრ. *Leyendecker-Langner B.*, in: *Gersdorf H., Paal B.*, Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 5.

²⁹⁴ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 95.

²⁹⁵ *Leyendecker-Langner B.*, in: *Gersdorf H., Paal B.*, Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 5.

პირის ინდივიდუალიზების მნიშვნელოვანი და გავრცელებული საშუალებაა ფსევდონიმი, თუმცა სამოქალაქო კოდექსი მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს.²⁹⁶ აღიარებული შეხედულების თანახმად, ფსევდონიმიც ისეთივე სამოქალაქოსამართლებრივ დაცვას იმსახურებს, როგორც სამოქალაქო სახელი, თუკი იგი საზოგადოებაში გამოიყენება კონკრეტული პიროვნების აღსანიშნავად.²⁹⁷ ასეთ შემთხვევაში, აღარ არის აუცილებელი სამოქალაქო სახელზე მითითება და ლოგიკურია, რომ დაცვის წინაპირობად საზოგადოებრივი აღიარებაა მოთხოვნილი. ამგვარი დათქმის მიზანია იმ პირის ინტერესების დაცვა, რომლის სახელიც იქნება კონკრეტული პიროვნების მიერ ფსევდონიმად გამოყენებული. სამოქალაქო სახელისგან განსხვავებით, ფსევდონიმის დაცვის პერიოდი მთავრდება იმ საქმიანობის დასრულებასთან ერთად, სადაც პიროვნება ამ უკანასკნელით ახდენდა საკუთარი ინდივიდუალობის დადასტურებას.²⁹⁸

ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებად ხშირად გამოიყენება სამოქალაქო სახელის შემოკლებული ფორმა ან ზედმეტსახელი, რაც ასევე მოიაზრება სახელით დაცულ უფლებათა სფეროში.²⁹⁹ გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ ურთიერთობებში მეტსახელს პიროვნება უმეტესად მესამე პირისგან იღებს, დარღვევის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი კომპონენტი-საზოგადოებრივი აღიარება ამ შემთხვევაში უპრობლემოდაა მოცემული.³⁰⁰ აღნიშნულის საპირისპირო ვითარებას ქმნის ინკოგნიტოდ დარჩენის

²⁹⁶ *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, *ჟურნ.* „მართლმსაჯულება და კანონი“, № 4(31), თბ., 2011, 111.

²⁹⁷ *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, *ჟურნ.* „მართლმსაჯულება და კანონი“, № 4(31), თბ., 2011, 111; *ჭანტურია ლ.*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 1997, 167; *Leyendecker-Langner B.*, in: *Gersdorf H., Paal B.*, Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 5; საბჭოთა ეპოქაშიც ფსევდონი დაცვის ისეთივე გარანტიით სარგებლობდა, როგორც ავტორის ნამდვილი სახელი, თუმცა გამოთქმული იყო მოსაზრება, „რომელიც მიიჩნევდა, რომ ვინაიდან აღარ არსებობს ის მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ავტორებს მიმართონ ფსევდონიმებს, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს მათი გამოყენება“- იხ. *ნინიძე თ.*, სახელის უფლების შინაარსი, *ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“*, №1, თბ., 1976, 33.

²⁹⁸ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 28.

²⁹⁹ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 28; *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 11.

³⁰⁰ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, 11.

სურვილი,³⁰¹ სანამ საზოგადოებაში არ მოხდება დაფარული სახელის ქვეშ მოქმედი სუბიექტის რომელიმე პირთან იდენტიფიცირება. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც გამომცემელი ერთი და იმავე დაფარული სახელით სხვადასხვა ავტორის პუბლიკაციას ავრცელებს.³⁰² ასეთის არსებობისას, უფლების დაცვა ხდება ფიზიკური პირის ფსევდონიმის ტარების სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.³⁰³

სახელის უფლების დაცვა თითქმის იდენტურად არის მონესრიგებული უმეტეს ევროპულ ქვეყნებში. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლში, იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლში, ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 43-ე და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 პარაგრაფებში,³⁰⁴ თუმცა ცალკეულ მონესრიგებებს შორის შეინიშნება განსხვავებებიც. მაგალითად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში სახელის ცნებას გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ანგლო-ამერიკულ სისტემაში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილვისას იურისტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი სიტყვა ან აღნიშვნა, რომელიც განასხვავებს ერთ პირს მეორისგან, მათ შორის გვარი, ნათლობის სახელი და ფსევდონიმი, დაცულია სამოქალაქო კოდექსით.³⁰⁵ გსკ-ის მე-12 პარაგრაფით დაცულია არა მხოლოდ ფიზიკური პირის სამოქალაქო სახელი, არამედ კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, იურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანებების, რელიგიური კავშირების თუ სხვა წარმონაქმნების განმასხვავებელი ნიშნები და სახელწოდებები.³⁰⁶

უკანასკნელ წლებში გსკ-ის მე-12 პარაგრაფი ასევე გავრცელდა პირთა და საწარმოთა სახელების რეგისტრაციაზე ინტერნეტდომენის სახელებზე³⁰⁷. შესაბამისად, ვებ-გვერდის სახელწოდება, როგორც ინტერნეტ სივრცეში პირის ინდივიდუალობის განსაზღვრელი სიმბოლო, გსკ-ის მე-12 პარაგრაფით რეგულირდება³⁰⁸. ეს უფლება თანაბრად ვრცელდება როგორც

³⁰¹ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar*, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 28.

³⁰² OLG Hamm, GRUR 1967, 260- Irene von Velden.

³⁰³ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 94.

³⁰⁴ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 142.

³⁰⁵ *საჯაია ლ.*, ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, №1, თბ., 2013, 237.

³⁰⁶ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht*, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; *Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB*, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, 14.

³⁰⁷ *საჯაია ლ.*, ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, №1, თბ., 2013, 237; *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht*, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2.

³⁰⁸ *Prütting H, Wegen G., Weinreich G., Kommentar zum BGB*, § 12, 13. Aufl., Luchterhand, 2018, Rn. 7.

ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზეც³⁰⁹. აღნიშნულისგან განსხვავებით, სსკ-ის მე-17 მუხლით დაცული სახელის უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირის სამოქალაქო სახელს მოიაზრებს, ხოლო სსკ-ის მე-18 მუხლი არ ახდენს სახელის უფლებით დაცული სიკეთის შემზღვევას მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლი თავისუფლად შეიძლება იქნეს გავრცელებული „კონკრეტული ბრუნვაუნარიანი პროდუქტის, ასევე კონკრეტულ სფეროში არსებული ობიექტის გამიჯვნის საშუალებად“.³¹⁰

1.2 სახელის უფლების დუალისტური ბუნება

დოგმატური თვალსაზრისით სადავო საკითხს წარმოადგენს თემა, სახელის უფლება წმინდა პიროვნული უფლებაა თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი არაქონებრივი და აბსოლუტური უფლებაა,³¹¹ „რომლის არაქონებრივი ხასიათიც მისი დაცვის სამართლებრივი მექანიზმიდან გამომდინარეობს“³¹² და მიზნად ისახავს ინდივიდის პიროვნული სფეროს დაცვას³¹³. ამდენად, სახელის უფლება, როგორც განსაკუთრებული პიროვნული უფლება, ყოველთვის კონკრეტულ პიროვნებას გამოხატავს მაშინაც კი, როდესაც პირთა სახელები ემთხვევა ერთმანეთს,³¹⁴ რადგან სახელი წარმოადგენს ადამიანის იდენტიფიცირების საშუალებას და მჭიდროდაა დაკავშირებული სახელის მფლობელის პიროვნებასთან.³¹⁵ ამის პარალელურად, იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობაც³¹⁶ სამოქალაქო სახელსა და კომერციულ სახელს შორის და ამდენად, სახელის უფლების კომერციულ ღირებულებაზე ხაზგასმა.

სახელის უფლების წმინდა პერსონალურ ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კანონმდებლის მიზანმიმართული გადაწყვეტილებით, ეს

³⁰⁹ BGH WRP 07, 76.

³¹⁰ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 92.

³¹¹ *საჯაია ლ.*, ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, №1, თბ., 2013, 236; *ჯორბენაძე ს.*, *ახვლედიანი ზ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *ჭანტურია ლ.*, *საქართველოს* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 52; *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 199; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 14.

³¹² *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 99.

³¹³ BGH 17, 209 (214); BGH 143, 214 (218)- Marlene Dietrich.

³¹⁴ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 201.

³¹⁵ *Heinrich I.*, in: *Soergel H.T.*, Allgemeiner Teil, §12 BGB, 13. Aufl., 2005, Stuttgart, Rn. 20.

³¹⁶ *საჯაია ლ.*, ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, №1, თბ., 2013, 237; *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 200.

უკანასკნელი სსკ-ის მე-18 მუხლში სხვა პირად არაქონებრივ უფლებებს შორისაა რეგულირებული, რომლის გასხვისება სხვა პირზე დაუშვებელია ადამიანის ღირსებასთან ახლო კავშირის მოტივით. მიუხედავად ამისა, კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როდესაც სახელის უფლების მქონე სუბიექტი მესამე პირს გადასცემს სახელით სარგებლობის უფლებას,³¹⁷ რაც გულისხმობს სავაჭრო ურთიერთობებში საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად კონკრეტული პირის სახელის გამოყენებას. ამ დროს სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, სანარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება მისი განხილვა არამატერიალურ ქონებრივ უფლებად³¹⁸. „ასეთ შემთხვევაში პირის მიერ სხვა პირისადმი ხდება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებისათვის იქნება შესაბამისი გამოყენების მნიშვნელობის მქონე.“³¹⁹ გერმანიისგან განსხვავებით, სადაც საფირმო სახელწოდების დაცვის უფლება წარმოიშობა სამენარმეო ბრუნვაში ამ უკანასკნელის რეალური გამოყენების გზით,³²⁰ საქართველოში ამგვარი უფლების მოპოვება რეგისტრაციის ფაქტს უკავშირდება, რადგან „მენარმეთა შესახებ“ კანონით სავალდებულოდ მოითხოვება საფირმოს სახელწოდების რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში.³²¹

მაშასადამე, „სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომელიც ვერ გახდება საქონელგაცვლის საგანი და ვერ გადაეცემა სხვა პირებს, ვერც რაიმე საფუძველზე შეწყდება“,³²² ხოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გამოყენების უფლების გადაცემაც სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია ვალდებულებით სამართლებრივი ე.წ. სალიცენზიო გარიგების მეშვეობით³²³. ამასთან, საფირმო სახელწოდება

³¹⁷ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 77.*

³¹⁸ *ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 201.*

³¹⁹ *ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017, 99.*

³²⁰ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 54.*

³²¹ *ხუბაშვილი თ., საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 164.*

³²² *ბარაბაძე ნ., სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი №4(31), თბ., 2011, 108; ვალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ურნალი, თსუ, №1, თბ., 2009, 122; Prütting H, Wegen G., Weinreich G., Kommentar zum BGB, § 12, 13. Aufl., Luchterhand, 2018, Rn. 12.*

³²³ *Leyendecker-Langner B., in: Gersdorf H., Paal B., Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 3;*

და საწარმოს აღმნიშვნელი სიმბოლო აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე საწარმოსთან ერთად გადაეცემა მესამე პირებს და ასევე გადადის მემკვიდრეობით.³²⁴ ამ დროს სახელი საწარმოს იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება და ემსახურება სამენარმეო, საზოგადოებრივ და სავაჭრო ურთიერთობებში იმ პირის იდენტიფიცირებას, რომლის აღსანიშნავადაც იგი გამოიყენება.³²⁵ შესაბამისად, სახელის ამგვარი გადაცემით სახელის მატარებელი ფიზიკური პირი არ კარგავს სამოქალაქო სახელზე უფლებას³²⁶ და ლოგიკურად, ლიცენზიის მფლობელიც ვერ მოიპოვებს აბსოლუტურ უფლებას სახელზე ანუ ამგვარ გადაცემას არ მოსდეს სანივთო სამართლებრივი შედეგები³²⁷. ასეთ შემთხვევაშიც კი, სახელის უფლების მფლობელს ლეგიტიმურად წარმოეშობა მესამე პირის მხრიდან საკუთარი სამოქალაქო სახელის კომერციული მიზნით გამოყენების აღკვეთის უფლება, რაც უფლებამოსილი პირის როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ (იდეალურ) ინტერესებს მოიზრებს³²⁸. ეს ნიშნავს, რომ უფლების გადაცემის თაობაზე გარიგების შინაარსი მკაცრად ლიმიტირებულია და დაუშვებელია უფლებამოსილი პირის სახელის სავალდებულო წესით სოციალურ-კულტურული გამოყენების იძულება³²⁹. მაგალითად, თუ ცნობილმა სპორტსმენმა კომერციულ ორგანიზაციას გადასცა სახელის გამოყენების უფლება პროდუქციის რეკლამისთვის, ეს არ ართმევს უფლებას სპორტსმენს გამოიყენოს საკუთარი სახელი სხვა კონკურენტულ გარემოში. ამგვარი მიგნების მიუხედავად, სახელის უფლების დოგმატური კლასიფიკაცია და მისი, როგორც აბსტრაქტული ცნების განხილვა, ცალსახად მხოლოდ წმინდა პერსონალურ ან მხოლოდ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ, უკიდურესად რთული და არაპრაქტიკულია. დოქტრინალურ დონეზე უფრო მნიშვნელოვან საკითხს

³²⁴ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 59; BGH NJW 1951, 521 (522)-Pierfein.

³²⁵ Prütting H., Wegen G., Weinreich G., Kommentar zum BGB, § 12, 13. Aufl., Luchterhand, 2018, Rn. 12.

³²⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 202.

³²⁷ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, 77- გერმანიის ფედერალურ სასამართლოს აქამდე არ მისცემია შესაძლებლობა ემსჯელა სახელის უფლების გადაცემის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივი გარიგების განსხვავებაზე, თუმცა *Nena-Entscheidung*-ში ზოგადი პიროვნული უფლების სხვა გამოვლინებებზე- კერძოდ, გამოსახულების უფლებაზე მსჯელობისას მან კატეგორიულად გამორიცხა სანივთო სამართლებრივი გარიგების შედეგები.

³²⁸ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46. Aufl., München, 2018, Rn. 88.

³²⁹ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 79.

წარმოადგენს განისაზღვროს, სახელის უფლების შემადგენელი რომელი კომპონენტი რა მოცულობით შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს გამოყენების უფლებით, რაც თავის მხრივ, პიროვნულ უფლებაში ქონებრივი ელემენტის გამოყოფასთან და შესაბამისად მის საქონელგაცვლის საგნად ქცევასთან აქვს კავშირი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სახელის უფლებით დაცულ ინტერესებს ინდივიდუალობისა და იდენტურობის დაცვის გარდა, ეკონომიკურ და საჯარო ინტერესებსაც მიაწერენ.³³⁰ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოც სახელის უფლებას ზოგადი პიროვნული უფლების სპეციალურ შემთხვევად განიხილავს.³³¹ თუ კონკრეტულ სიტუაციაში დაცვას საჭიროებს ცალკეული პიროვნება, ამ შემთხვევაში წინა პლანზე დგება ფიზიკური პირის სახელის უფლება, როგორც პიროვნების ინდივიდუალობის გამომხატველი ღირებულება, ხოლო თუ სახელის დაცვის უფლება მიემართება კომერციულ და კონკურენციულ ურთიერთობებში სანარმოს იდენტობის ინტერესს, გსკ-ის მე-12 პარაგრაფის ნორმის დაცვის მიზანი ეკონომიკური ხასიათისაა.³³² ამას გარდა, მოიძებნება შემთხვევები, სადაც სახელის უფლება არაკომერციული ხასიათის გაერთიანებების დაცვასაც მოიაზრებს. ამდენად, გერმანიის სასამართლოს პრაქტიკის მიერ სახელის უფლების გაფართოებული გამოყენება მის მხოლოდ პირად არაქონებრივ ხასიათს იმთავითვე გამორიცხავს და სახელის ორმაგ (დუალისტურ) ბუნებას უსვამს ხაზს, რაც საქართველოს რეალობაშიც უნდა იქნეს გაზიარებული. მიუხედავად ამისა, ამგვარი დაშვება მაინც არ ნიშნავს, რომ სახელის უფლება, ამერიკული სამართლებრივი მოძღვრების მსგავსად, ორ სხვადასხვა- პერსონალურ (*“Right of privacy”*) და არამატერიალურ ქონებრივ (*“Right of publicity”*) უფლებებად უნდა იქნეს დაყოფილი, არამედ კონსტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემის ტრადიციის მსგავსად ამ

³³⁰ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 9.

³³¹ იხ. Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 1; BGH 143, 214= GRUR 2000, 709 (712) - Marlene Dietrich; BGHZ 119, 237 (242)= GRUR 1993, 151- Universitätseblem; შდრ. BGHZ 32, 103 (111), GRUR 1960, 490 (491)- Vogeler; BGH GRUR 1959, 430 (431)- Caterina Valente.

³³² Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 2; გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ სახელის უფლების კომერციულ ღირებულება პირველად მარლენ დიტრიხის საქმეში წამოსწია, რამაც თავადაპირველად მძაფრი კრიტიკა გამოიწვია იურიდიულ ლიტერატურაში. კრიტიკოსები შიშობდნენ, რომ სახელის უფლების მზარდი კომერციალიზაცია ხელ-ფეხს გაუსწიდა სახელის პერსონალური ნაწილის მესამე პირებზე თავისუფლად მინდობის პრაქტიკას, რაც სახელის მიკუთვნების საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის რეალიზებას შეუშლიდა ხელს. იხ. Helle J., Besondere Persönlichkeitsrechte im Privatrecht, Tübingen, 1991, 51; Leyendecker-Langner B., in: Gersdorf H., Paal B., Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn.2.

შემთხვევაშიც საქმე ეხება ერთიანი უფლების ორ სხვადასხვა კომპონენტ-იდელურს და მატერიალურს.

გამომდინარე იქიდან, რომ გერმანიის სამართლებრივი სისტემა იცნობს ზოგადი პიროვნული უფლების ჩარჩო დებულებას, რომელიც სახელის უფლების მსგავსად ადამიანის ინდივიდუალურობის დაცვას ეხება, გერმანელი იურისტები ამ ორი სამართლებრივი საფუძვლის მიმართებას შემდეგნაირად აღგენენ: სახელის უფლება წარმოადგენს რა პიროვნების გარეგნულ მახასიათებელს და სხვებისგან განმასხვავებელ ნიშანს, სახელის უფლების მარეგულირებელი საფუძვლის გამოყენების საჭიროება დგება მაშინ, როცა სახეზეა იდენტობის აღრევის საშიშროება ან სადავოდაა ქცეული სახელის ანუ ინდივიდუალიზაციის საშუალების გამოყენების მართლზომიერება³³³. სხვა შემთხვევაში კი, როცა ადგილი არ აქვს ამგვარ შემთხვევას, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ზოგადი პიროვნული უფლება უნდა იყოს.³³⁴ იურიდიულ ლიტერატურაში არის გამოთქმული სხვა პოზიციაც, რომელიც სახელის უფლებას ზოგად პიროვნულ უფლებასთან შედარებით სპეციალურ *lex specialis* და უპირატესად გამოსაყენებელ ნორმად აკვალიფიცირებს.³³⁵ აღნიშნული მსჯელობა ღირებული იქნება ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც, მას შემდეგ, რაც მოხდება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება.

2. სახელის უფლების ხელყოფის ხერხები

2.1 ფიზიკური პირის სახელის უფლების დარღვევის შემთხვევები

სსკ-ის მე-18 მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს ორ შემთხვევას, რომლებიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სახელის უფლების დაცვის შესახებ სასარჩელო მოთხოვნებს. პირველი, როცა ფიზიკურ პირს სახელს ეცილებიან³³⁶ და მეორე, როცა ფიზიკური პირის სახელით ან ფსევდონიმით სხვა უნებართვოდ საგებლობს³³⁷. შევიღებებში იგულისხმება უფლებამოსილი პირის სახელის გამოხატული ან კონკლუდენტურად ნაგულისხმევი (დუმილით) არაღიარება ნორმალურ სამოქალაქო ურთიერთობასა და

³³³ Hager J., in: Staudinger J., Kommentar zum BGB, §823, Berlin, 2017, Rn. C 149; Palandt O., Sprau H., Band 7, BGB, §823, 76. Auf., München, 2017, Rn. 85; Heinrich I, in: Soergel H.T., Allgemeiner Teil, §12 BGB, 13. Auf., 2005, Stuttgart, Rn. 176.

³³⁴ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 5; BGH GRUR 1959, 430 (431)- Caterina Valente.

³³⁵ Prütting H, Wegen G., Weinreich G., Kommentar zum BGB, § 12, 13. Aufl., Luchterhand, 2018, Rn. 8.

³³⁶ "Anmassung des Namensgebrauchs".

³³⁷ „Zuordnungsverwirrung“-ქორბენაძე ს., ახვლედიანი მ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ. 2002, 58; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №3კ-41-02.

ეკონომიკურ ბრუნვაში³³⁸ ანუ როდესაც მესამე პირი სადავოდ ხდის სახელის უფლების არსებობის ფაქტს. ნორმის დაცვის მიზანია სახელის უფლების გამოყენება სამოქალაქო ურთიერთობებში საკუთარი პიროვნების აღსანიშნავად.

სახელის უფლების დარღვევა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება სახეზეა მაშინაც, როდესაც მესამე პირის მხრიდან ხდება სხვისი სახელის გამოყენება სათანადო უფლებამოსილების გარეშე. მაგალითად, მესამე პირი მონაწილეობს საზოგადოებრივ თუ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელით, რომელიც მას არ ეკუთვნის. არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი სარგებლობა უკავშირდებოდეს მოგების ან რაიმე სხვა სარგებლის მიღებას.³³⁹ დარღვევის კვალიფიკაციისთვის საკმარისია, რომ სახელის ტარებაზე უფლებამოსილი პირის ასოცირება ხდებოდეს იმ სუბიექტთან, ვისთანაც რეალურად არანაირი შემხებლობა არ გააჩნია,³⁴⁰ ან მესამე პირს აქვს მცდარი განცდა, რომ უფლებამოსილმა პირმა რეალურად მოიწონა მისი სახელის ამგვარი გამოყენება ანუ სახეზე უნდა იყოს უფლების მფლობელის პირის იდენტობის ხელშეშლა.³⁴¹

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ავტორები სავსებით სამართლიანად ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან იმაზე, რომ სახელის პიროვნული უფლების ხელყოფად არ ითვლება სახელის „დასახელება“ თუნდაც უფლებამოსილი პირისათვის არასასურველ ურთიერთკავშირში³⁴². მაგალითად, მისი მითითება გარკვეული საქონლის რეკლამისას, სატელეფონო წიგნში, პროფესიულ თუ დარგობრივ ჩამონათვალში და ა.შ.³⁴³ თუმცა ასეთი დასახელება შესაძლებელია გახდეს სხვა პიროვნული უფლების - პირის არასწორი საზოგადოებრივი სახის შექმნის ან თუნდაც პატივის ხელყოფის საფუძველი.³⁴⁴ იგივე ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც სახელის დასახელების ნაცვლად, პიროვნული მაიდენტიფიცირებელი ნიშნების მითითებას აქვს ადგილი ან ხდება ცნობილი პირის გამოგონილი სახელის დასახელება.

³³⁸ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 71; *Dreier Th., Schulze G.*, Urheberrechtsgesetz, KUG §22, 6. Aufl., München, 2018, Rn. 17.

³³⁹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 142.

³⁴⁰ *Palandt O., Ellenberg J.*, BGB, §12, 74. Auflage, München, 2014, Rn. 23.

³⁴¹ *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 72.

³⁴² *Palandt O., Ellenberg J.*, BGB, §12, 74. Auflage, München, 2014, Rn. 23; *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R.*, Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 74.

³⁴³ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 142.

³⁴⁴ იქვე.

2.2. იურიდიული პირის სახელწოდების დარღვევის შემთხვევები

„დღევანდელი ეკონომიკის განვითარების პირობებში, როდესაც ბიზნესსუბიექტები აქტიურად არიან ჩართულნი კონკურენტულ გარემოში, საფირმო სახელწოდების, მისი როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლების როლი აქტიურად წამოიწია წინა პლანზე“.³⁴⁵ იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების დარღვევის შემთხვევები საქართველოში განხილვის საგანია როგორც ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი, ისე სამოქალაქო კოდექსისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. აღნიშნული კანონების დაცვის მიზანია მესამე პირის შეცდომაში შეყვანის აკრძალვა ან იურიდიული პირის ფორმის თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან აცილება³⁴⁶. აღსანიშნავია, რომ საფირმო სახელწოდება, როგორც სასაქონლო ნიშანი დაცვას ექვემდებარება მხოლოდ შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული კანონი ვერ ამოქმედდება. ამასთან, არც „კონკურენციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების ჩამონათვალში საფირმო სახელწოდების გამოყენებას. შესაბამისად, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული პოზიცია³⁴⁷, რომ სხვისი სახელის უნებართვო გამოყენების საფუძვლით შესაძლებელია როგორც საფირმო სახელწოდებისა და სასაქონლო ნიშნის, ისე ინტელექტუალური ხასიათის სხვა ობიექტის დაცვა, როდესაც სახეზეა ამ უკანასკნელთა უკანონო გამოყენება. მაგ. თუ საფირმო სახელწოდება არ არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სახით, ამ შემთხვევაში გამოსაყენებელ ერთადერთ ნორმად კვლავ სახელის უფლება რჩება. ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლი წარმოადგენს ზოგად და გენერალურ მონესრიგებას იურიდიული პირის სახელწოდების დაცვის უფლების ჭრილშიც.

სწორედ თავისუფალი კონკურენციის მოპოვებული საქმიანი რეპუტაციის³⁴⁸ დაცვით მიზნით იყენებენ ანგლო-ამერიკულ სამართალში

³⁴⁵ ხუბაშვილი თ., საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 160.

³⁴⁶ იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, 240.000.000.05.001.000.087, 28/10/1994) მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები; „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (სსმ, 5(12), 24/02/1999, 050.050.000.05.001.000.487, 05/02/1999) 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

³⁴⁷ ხუბაშვილი თ., საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 169.

³⁴⁸ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1090.

passing off-ის სარჩელს, რომელიც ემსახურება საფირმო სახელწოდების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი საბაზრო ნიშან-თვისებების უნებართვო გამოყენების აღკვეთას. ამ ტიპის სარჩელის არსებობა გამართლებულია იმ არგუმენტით, რომ ის ემსახურება სწორედ სასაქონლო ნიშნის სახით არღარეგისტრირებული სახელწოდების დაცვის დეფიციტის შევსებას³⁴⁹. კონტინენტურ-ევროპულ სამართალშიც, გერმანული მონესრიგების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სახელწოდების მარეგულირებელი კანონმდებლობა მიემართება სამენარმეო ბრუნვის ფარგლებში სუბიექტის ბიზნესინტერესების დაცვას, რომლის დარღვევა გამოიხატება სახელწოდებათა აღრევის საშიშროებაში ან კარგი რეპუტაციის შელახვაში³⁵⁰. უფლება დაცულია სამენარმეო ბრუნვის მიღმაც და მოიცავს პიროვნულ, იდეალურ, ეკონომიკურ ან საჯარო ინტერესებს.

სსკ-ის მე-18 მუხლის მსგავსად, ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთ შემთხვევად განიხილავს სხვა იურიდიული პირის სახელწოდების მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას, ხოლო საკუთრივ მე-18 მუხლით დადგენილი სახელის უფლების დარღვევის მეორე შემთხვევა-შეცილება, ფიზიკური პირის მსგავსად იურიდიული პირის შემთხვევაშიც უნდა იქნეს აღქმული დარღვევის დამოუკიდებელ სახედ. იურიდიული პირის სახელწოდების უფლების დარღვევის ორივე შემთხვევისას განსაკუთრებით თვალსშისაცემია დარღვევის მიზანი და მისი ეკონომიკური ხასიათი, რადგან საფირმო სახელწოდება უშუალოდ უკავშირდება კონკრეტული პირის მიერ საქმიანობის გარკვეულ სფეროში მოპოვებულ რეპუტაციას და შესაბამისად ეკონომიკურ სარგებლიანობასაც. ამდენად, დაცვის უპირველესი მიზანია საფირმო სახელწოდების აღრევის გამორიცხვა.³⁵¹ გერმანული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება ითქვას³⁵², რომ დარღვევის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის უშუალოდ ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა, საკმარისია საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან გამოიწვიოს აღრევის

³⁴⁹ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1090- “*Passing off*” სარჩელისთვის აუცილებელად უნდა არსებობდეს 3 წინაპირობა: მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მან საქმიანობის კონკრეტულ სფეროში მოიპოვა რეპუტაცია და იმიჯი, რომელიც მოპასუხის ქმედების შედეგად ილახება. ხოლო მესამე აუცილებელი კომპონენტია გაცნობიერებულობა, ანუ “*Misrepresentation*”- მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა.

³⁵⁰ *Leyendecker-Langner B.*, in: *Gersdorf H., Paal B.*, Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 37.

³⁵¹ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 147.

³⁵² *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 109; იხ. BGH GRUR 2002, 917, 237, 919- Düsseldorf Stadtappen.

აბსტრაქტული საფრთხე. აღნიშნული მიგნება თავისუფლად შეიძლება იქნეს გადმოტანილი ქართულ რეალობაშიც, რადგან სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის გრამატიკული ფორმულირება არ იძლევა ნორმის სხვაგვარად წაკითხვის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის სახით წარმოადგენს ამკრძალავ ნორმას ახალი სუბიექტის წარმოშობისას უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენების მხრივ, რაც პრიორიტეტულობის პრინციპით ადგენს სახელწოდების უფლების დაცვის დამატებით გარანტიას, თუმცა ანალოგიურ ნორმას არ შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი,³⁵³ რომელიც სამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებით უფრო სპეციალური კანონია. ამდენად, სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებისა და სახელწოდების უფლების დაცვის სტანდარტის ამალღების მიზნით, მიზანშეწონლია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლსაც დაემატოს შინაარსობრივად სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსი ნორმატიული შინაარსი.

უნებართვო გამოყენებად ითვლება ასევე მესამე პირის მიერ სხვა იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენება საკუთარი პროდუქციის ან განეული მომსახურების აღსანიშნავად, რა შემთხვევაშიც არსებობს საფრთხე, რომ მომხმარებელი ერთმანეთთან გააიგივებს სახელწოდების კანონიერ მფლობელსა და სამართალდამრღვევს.³⁵⁴ ამგვარი აღრევის საშიშროების დასადგენად სასამართლო სხვადასხვა კრიტერიუმს იყენებს. მხედველობაში მიიღება როგორც საქმიანობის სფერო, ისე ადგილობრივი კონტექსტი. რაც უფრო ახლოსაა ორი მოდავე პირის საქმიანობის სფეროები და უფრო გამომსახველია გამოყენებული სახელწოდება, აღრევის საშიშროება მით უფრო მაღალია.³⁵⁵ სასაქონლო ნიშნების მსგავსად, იმის დასადგენად, თუ რამდენად იწვევს საფრთხო სახელწოდება აღრევას, შეფასება ხდება „საშუალო მომხმარებლის“ მიხედვით ანუ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რამდენად აღქმადი იქნება და რამდენადაა მიმსგავსებული გამოყენებული სახელწოდება.³⁵⁶

იურიდიული დოქტრინა ერთმანეთისგან ასხვავებს აღრევის საშიშროებას ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. ვიწრო მნიშვნელობით აღრევის

³⁵³ შდრ. ხუბაშვილი თ., საფრთხო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 166.

³⁵⁴ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 97.

³⁵⁵ BGH GRUR 2005, 61 (63)- CompuNet II.

³⁵⁶ ხუბაშვილი თ., საფრთხო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 172.

საშიშროება სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ან მსგავსი ნიშნების გამოყენებისას მომხმარებელი ერთმანეთთან აიგივებს კონკრეტულ ფორმებს³⁵⁷. აღრევის საშიშროება ფართო მნიშვნელობით არსებობს მაშინ, როდესაც სამოქალაქო ბრუნვა, მართალია, „ახდენს სახელწოდებების შესაბამის იდენტიფიცირებას, თუმცა სახელწოდებებს შორის მსგავსების გამო მათ ერთსა და იმავე სუბიექტს მიანერს, თვლის რა, რომ საქმე ეხება უფლებამოსილი პირის მეორადი სახელწოდების ენობრივ, ტექნიკურ ან ეკონომიკურ განვითარებას,³⁵⁸ პერსონალურ ან ორგანიზაციულ კავშირს ორ სამართალსუბიექტს შორის ან უფლებამოსილი პირის მიერ სახელწოდების გამოყენების თაობაზე ნებართვის მინიჭებას,³⁵⁹ რეალურად კი უფლებამოსილ პირს არ გააჩნია შემხებლობა დასახელებულ სფეროსთან³⁶⁰. ამდენად, სახელწოდების უნებართვო გამოყენება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და დარღვევის კვალიფიკაციისთვის არ უნდა იყოს მოთხოვნილი აბსოლუტურად იდენტური სახელწოდების გამოყენება. საკმარისია სახელწოდების ცალკეული ნაწილები, გრაფიკული ან ენობრივი კომპონენტები, განსაკუთრებით კი არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალები ემთხვეოდეს ერთმანეთს. საფირმო სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის ჩვეულებრივი გამოყენება სამეწარმეო ბრუნვის ფარგლებში ან მის გარეთ ზოგად ენობრივ კონტექსტში არ წარმოადგენს სახელწოდების უფლების დარღვევას, რადგან ეს არ ქმნის ნიშნის არასწორ პირთან მიკუთვნების საფრთხეს, არამედ ზრდის უფლებამოსილი პირისათვის ნიშნის „არ მიკუთვნების“ რისკს, რაც სახელწოდების დარღვევად ვერ დაკვალიფიცირდება.

3. გამოსახულების უფლების არსი

3.1 გამოსახულების უფლების დაცვის მნიშვნელობა

გამოსახულებაზე პირის უფლება მისი დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა, რომელიც ვრცელდება გამოსახვის ნებისმიერ საშუალებაზე, რაც ახდენს კონკრეტული პიროვნების ვიზუალიზაციას სხვა პირის თვალში³⁶¹. სახელის მსგავსად, გამოსახულებაც პიროვნებასთან უშუალოდ

³⁵⁷ *Leyendecker-Langner B.*, in: *Gersdorf H., Paal B.*, Informations und Medienrecht, BGB §12, 21. Aufl., München, 2016, Rn. 37.1.

³⁵⁸ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 98.

³⁵⁹ *Palandt O., Ellenberg J.*, BGB, §12, 74. Auflage, München, 2014, Rn. 33.

³⁶⁰ BGHZ 30, 7, 10- Caterina Valente; BGH GRUR 1964, 38, 40- Dortmund grüsst.

³⁶¹ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 211.

დაკავშირებული სიკეთეა, რომელშიც ამ უკანასკნელის ინდივიდუალობა კვლავ ასახვას.

გამოსახულების ქვეშ იგულისხმება მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში თუ ვიდეოფილმში, კარიკატურები, სამგანზომილებიანი ფიგურები, რომლებიც რეალური პირის სახის ნაკვთებითაა შექმნილი³⁶² და სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება³⁶³. ფანტაზიით გამოგონილი პერსონაჟი, ლანდშაფტი ან პეიზაჟი არ თავსდება დაცულ უფლებათა სფეროში³⁶⁴ პიროვნული უფლების მატარებლის დაცვის ლეგიტიმური ინტერესის არარსებობის გამო. მნიშვნელოვანია, რომ დაცული სფეროს გამოკვეთისათვის არ მოხდეს პორტრეტის ვინაობის მნიშვნელობით განმარტება, არამედ მასში მოიაზრებოდეს ცოცხალი ან თუნდაც გარდაცვლილი პირის გამოსახულების ნებისმიერი საშუალებით გამოსახვა მატერიალურ თუ ელექტრონულ პლატფორმაზე³⁶⁵. ამ მიზნების მიზანია, წარმოჩინდეს, რომ გამოსახულების უფლება ახლო კავშირშია პიროვნების ღირსებასთან და პიროვნულობის განსაზღვრელ სხვა იდეალურ ღირებულებებთან, რომელიც გარდაცვალების შემდგომაც განაგრძობს არსებობას.

იურიდიულ დოქტრინაში სადავო საკითხს წარმოადგენს, ექცევა თუ არა გამოსახულების უფლების დაცვის ქვეშ მსახიობის მიერ განსახიერებელი ცნობილი პირის სასცენო როლი³⁶⁶. მოწინააღმდეგე მხარეთა აზრით, ამგვარი გაგება ზოგადი პიროვნული უფლების შემოღებამდე არსებობდა, ხოლო თანამედროვე რეალობაში აღარ არის მსგავსი დაცვის განხორციელების საჭიროება³⁶⁷. გაზიარებას იმსახურებს პოზიცია³⁶⁸, რომლის მიხედვითაც „გამოსახულების“ ცნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, პირი სახვითი ხელოვნების ან ფოტოგრაფიის, თუ უესტიკულაციის, მიმიკებისა და ნიღბებით

³⁶² *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 211.

³⁶³ *ჯორბენაძე ს., ახლედიანი მ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 65.

³⁶⁴ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 211.

³⁶⁵ *Heitmann L.*, Der Schutz der materiellen Interessen an der eigenen Persönlichkeitssphäre durch subjektiv-private Rechte, Diss., Hamburg, 1963, 50.

³⁶⁶ *Klein St.*, Der zivilrechtliche Schutz des einzelnen vor Persönlichkeitsrechtsverletzungen durch die Sensationspresse, Europäische Hochschulschriften, Frankfurt am Main, 2000, 51.

³⁶⁷ *Wenzel V., Strobel A.*, Wort und Bildberichterstattung, Kap. 7, Rn. 18- მითითებულია: *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 211.

³⁶⁸ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 211.

გამოყენებით იქნება განსახიერებული. ლებახის საქმეში³⁶⁹ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსახულებაზე უფლება ფართო განმარტების გზით გაავრცელა მსახიობის მიერ სცენაზე სხვა პიროვნების გარდასახვის შემთხვევაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით მოხდა პიროვნების ჩვენება საზოგადოებაში. აღნიშნული განსაკუთრებით ინტენსიურია დოკუმენტური ფილმების შემთხვევაში, რეალურ მოვლენებთან ახლო კავშირის გამო. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი უფლების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად აღქმადობა/შეცნობადობის დადგენა. შეცნობადობის მასშტაბის შეფასებისთვის გერმანიის სასამართლო პრაქტიკა სანაცნობო წრეებში იდენტიფიცირების შესაძლებლობის ხარისხს უთითებს, რაც საქართველოს რეალობაშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული. გამოსახულების განმარტებისას გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ დაცული უფლების ცნების ქვეშ მოიაზრა „იმგვარი ასახვა, რომელიც განსაზღვრულია და გამოდგება პიროვნების ცხოვრებისეული გარეგნული იერსახის მაყურებელთა თვალწინ გადმოტანისთვის, სადაც ხდება პიროვნებისთვის დამახასიათებელი და სხვა ადამიანებისგან განმასხვავებელი იერსახის მატერიალურ საგანზე დატანა და საიდან ასახული პიროვნება ამოცნობადია მესამე პირების მხრიდან³⁷⁰. ამ გაგებით, გამოსახულების ცნება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და მასში მოიაზრებოდეს ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებში შექმნილი პერსონაჟიც,

³⁶⁹ BverfGE 35, 202- Lebach- ორი პირი თავს დაესხა ფედერალურ არმიას და 4 მძინარი ჯარისკაცი მოკლა. ორივე მათგანს მიესაჯა სამუდამო თავისუფლების აღკვეთა. ორი წლის შემდეგ, 1972 წელს ZDF-მა გადაიღო დოკუმენტური ფილმი დანაშაულის მომზადების და აღსრულების თაობაზე, რომელიც მოსარჩელის ფოტოთი იწყებოდა, ხოლო სხვა ეპიზოდში რამდენიმეჯერ გაუღერდა მსახიობის მიერ მოსარჩელის სახელი. მოსარჩელე თავდაპირველად, სასამართლოს გარეშე ცდილობდა კომპანიის დარწმუნებას და ფილმის გასაჯაროების აკრძალვას, თუმცა უშედეგოდ. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიო მიჯნა გაავლო ზოგად პიროვნულ უფლებასთან და განმარტა, რომ ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევაზე გავლენა აღნიშნულ საქმეში გამომდინარეობდა ფილმის დოკუმენტური ფორმატიდან. სატელევიზიო მაუწყებლობა გამოსახულების და ხმის კომბინაციის გამო განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა და მაყურებელთა ფართო სპექტრის მოზიდვას ისახავს მიზნად. ზოგადად მკვლევლებზე ფილმის გადაღება დაშვებულია, თუმცა კონკრეტულ საქმეში დაუშვებელია, რადგან სამსახიობო ასახვა ძალიან ახლოს იყო რეალობასთან, შეიცავდა პიროვნებებისა და ადგილმდებარეობის სახელებს, რის გამოც ფილმი დიდი დოზით ავლენდა რეალობასთან მსგავსებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს კრიტიკა გამოიწვია დამნაშავის რესოციალიზაციის უფლებამაც, რაც კონსტიტუციურ სამართლებრივი დანაწესია. ადამიანი, მისი უაღრესად ანტისაზოლოდობრივი ქმედების მიუხედავად, რჩება საზოგადოების წევრად და აქვს პიროვნული იდენტობის დაცვის უფლება, რაზეც უარყოფით გავლენას მოახდენდა დამნაშავის გათავისუფლების მცირე პერიოდში მისი პიროვნების იდენტიფიცირებადი ფართოტირაჟიანი ფილმის გავრცელება საზოგადოებაში.

³⁷⁰ BGH NJW 1965, 2148, 2149-Spielgefährtin.

რამდენადაც აღწერილი სიუჟეტი იძლევა კონკრეტულ პიროვნებასთან ასოცირების საშუალებას.

სამართლებრივად უმნიშვნელოა, გამოსახულება კარგად წარმოაჩენს თუ ამახინჯებს პიროვნების გარეგნულ იერსახეს. ასევე არარელევანტურია რამდენად დიდია ორიგინალთან მსგავსება, განმსაზღვრელია მხოლოდ პიროვნების შეცნობადობის ხარისხი³⁷¹. არაარსებითია ასევე თუ რამდენი ადამიანის მიერ იქნა ამოცნობილი გამოსახული პირი, საკმარისია დაკმაყოფილებული იყოს აღქმადობის კრიტერიუმი, თუნდაც მცირე მოცულობის ნაცნობების წრის მხრიდან³⁷². შეცნობადობის კუთხით ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახის ნაკვეთებს, თუმცა გარეგნული იერსახის სხვა მახასიათებლებიც შეიძლება გახდეს მაკვალიფიცირებელი გარემოება პიროვნების დაცულს სფეროში ჩარევის დასადასტურებლად.³⁷³

„გამოსახულება უნდა განვასხვავოთ ფოტოგრაფიული ან სხვა სახით შექმნილი ნაწარმოებისგან“.³⁷⁴ საავტორო სამართლის მოქმედების ფარგლებში შექმნილი ნაწარმოები იძენს დამოუკიდებელი ობიექტის სტატუსს და არაქონებრივი უფლებებისგან განსხვავებით, უფლებამოსილ პირთა ორგანული კავშირის არარსებობის გამო, ქონებრივი კატეგორიის და შესაბამისად გასხვისებად სიკეთედ ტრანსფორმირდება³⁷⁵. გამოსახულების და საავტორო უფლებას შორის გამიჯვნის თაობაზე მსჯელობა განავითარა გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გადამწყვეტილებაში „Paul Dalke“³⁷⁶ სადაც მან პიროვნული უფლების დარღვევად დააკვალიფიცირა ცნობილი პიროვნების ფოტოს გამოყენება პროდუქტების რეკლამირებისთვის ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე და სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ პიროვნების უფლება, გადამწყვეტოს გახდება თუ არა ცნობილი მისი გამოსახულება საზოგადოებისთვის და რა მოცულობით, წარმოადგენს არა საავტორო უფლებით დაცულ სფეროს, არამედ პიროვნულ სივრცეს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესი

³⁷¹ Hiller V., Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), Technische Universität Bergakademie Freiberg, I Aufl., Freiberg, 2014, S76.

³⁷² Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 62.

³⁷³ BGH NJW 2000, 2201, Der blaue Engel (შეცნობადობა მარლენ დიტრიხის დგომის მანერით იქნა დადასტურებული); GRUR 1979, 732, Fussballtor (შეცნობადობა დადასტურებულ იქნა აღნაგობით, ვარცხნილობით და დგომის მანერით).

³⁷⁴ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 131; შდრ. Peukert A., Persönlichkeitsbezogene Immaterialgüterrechte, Berlin, 2000, Rn. 714.

³⁷⁵ Peukert A., Persönlichkeitsbezogene Immaterialgüterrechte, Berlin, 2000, Rn. 714.

³⁷⁶ BGH 08.05.1956- I ZR 62/54, BGHZ 20, 345=NJW 1956, 1554=GRUR 1956, 427, 428-Paul Dalke; კომენტარი იხ. Jung A., Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005, 112.

სასამართლოც თავის პრაქტიკაში მყარად ავითარებს მსგავს მიდგომას³⁷⁷. საავტორო უფლება ქონებრივი უფლებათა კატეგორიაა, ხოლო აღბეჭდილი პირის უფლება საკუთარი გამოსახულების გასაჯაროების ანუ პირთა განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი წრის წინაშე გავრცელებული სახით წარდგენისათვის, პირადი არაქონებრივი უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება. საავტორო უფლებისგან მკვეთრი მიჯნის პარალელურად, საკუთარ გამოსახულებაზე უფლებით დაცული სფერო მოიცავს პიროვნულობის არა მხოლოდ იდეალურ ნაწილს, არამედ პირის უფლებას, გამოიყენოს ან გადასცეს სხვა პირებს საკუთარი გამოსახულება კომერციული მიზნებისთვის ანუ სახელის უფლების მსგავსად აქაც საქმე ეხება გამოსახულების ორმაგ ბუნებას.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით უფლება გამოსახულებაზე განსხვავებულად არის მოწესრიგებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა შინაარსობრივი რეგულირება თითქმის იდენტურია. სპეციალურ საკანონმდებლო ნორმის სახით არის განმტკიცებული უფლება გამოსახულებაზე გერმანიაში, ესპანეთსა და ნაწილობრივ ავსტრიაში, სადაც ეს უკანასკნელი უფლება საავტორო უფლების შემადგენელი ნაწილია.³⁷⁸ გამოსახულებაზე უფლებას გერმანიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მას შემდეგ, რაც ურნალისტებმა *ოტო ბისმარკის* ცხედრის ფოტოები ფარულად გადაიღეს და გაასაჯაროეს, ხოლო საიმპერიო სასამართლოს³⁷⁹ კონკრეტული საკანონმდებლო ნორმის არარსებობის პირობებში გაუჭირდა სამართლებრივი შედეგის დადგენა და იძულებული გახდა აღნიშნული ქმედება კერძო მფლობელობის დარღვევად დაეკვალიფიცებინა. საკუთარი გამოსახულების უფლების დაცვის სპეციალურ საკანონმდებლო ნორმად ჩამოყალიბება მხოლოდ 1907 წელს მოხდა „სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და გამოსახულებასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე პარაგრაფში.³⁸⁰ სპეციალური ნორმის შემოღება ემსახურებოდა საკანონმდებლო ხარვეზის შევსებას და გამოსახულებაზე უფლების, როგორც თვითმყოფადი

³⁷⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013- საკასაციო სასამართლომ სავსებით სწორად გამიჯნა ერთმანეთისგან საავტორო სამართლისა და გამოსახულების უფლების დაცვის ასპექტები და დაასკვნა, რომ „გამოსახულების უფლების დაცვის ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოები“.

³⁷⁸ §578, 87 (2) Urheberrechtsgesetz Österreich, <https://www.jusline.at/gesetz/urhg/paragraf/78>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 09.01.2019, 17:15].

³⁷⁹ RGZ 45, 170-Bismarck.

³⁸⁰ იხ. §22, KUG (Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie-Kunsturhebergesetz- კანონი სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და გამოსახულებასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების შესახებ).

ღირებულების დაცვის სტანდარტის ამალღებას. უფლება საკუთარ გამოსახულებაზე განიხილება განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებად, რომლითაც ხდება ზოგადი პიროვნული უფლების განვრცობა.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთსა და შვეიცარიაში არ არსებობს სპეციალური საკანონდებლო მონესრიგება და აღნიშნული უფლების დაცვა სასამართლოს ინტერპრეტაციაზეა მინდობილი³⁸¹ არსებული პიროვნული უფლების მარეგულირებელი ნორმის ფარგლებში. ინგლისში გამოსახულების უფლება დაცულია სპეციალური სარჩელებით როგორცაა *Breach of Confidence* ან *Trespass*, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალური აქტით საპატენტო და საავტორო უფლებების შესახებ.³⁸² ინგლისის პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად³⁸³ შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ აშშ-ისგან განსხვავებით პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტის გამოსახულების უფლების დარღვევა არ წარმოადგენს სარჩელის შეტანის საერთო და ყოვლისმომცველ საფუძველს. დასახელებული სისტემებისგან სრულიად განსხვავდება შვედური³⁸⁴, რომელშიც გამოსახულების უფლების დაცვა სისხლის სამართლით რეგულირდება.

3.2. გამოსახულების უფლების დარღვევის ხერხები

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გამოსახულების უფლების დარღვევად კვალიფიცირდება მისი გამოქვეყნება უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე. „საკუთარი გამოსახულების ფოტოსურათზე, კინოფილმში, ვიდეოფილმსა და ა.შ. გასაჯაროების თაობაზე პირის თანხმობა მისი გამოვლენილი ნებით უნდა დასტურდებოდეს“.³⁸⁵ ამ კონტექსტში ნახსენები თანხმობის იურიდიულ შემადგენლობის უკეთ განხილვის შედეგად დგინდება, რომ სსკ-ის მე-100 მუხლის თანახმად, ის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ნების გამოვლენაა, რომელიც სამართლებრივი შედეგის დადგომამდე მიმართული ანუ ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა. ამასთან, თანხმობა პუბლიკაციაზე შეიძლება გამოქვეყნდეს როგორც ცალმხრივი ნებართვის, ისე ხელშეკრულების

³⁸¹ *Ondreasova E.*, *Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives)*, Leiden, Boston, 2017, 65.

³⁸² Art., 86 Copyright Designs and Patents Act. 1988, UK., <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1988/48/contents>.

³⁸³ *Douglas v. Hello!* [2003] EWHC 786 (CH) A v. B (a company); *MGN* [2004] UKHL 22, §74, 75 per Lord Hoffman, UK- ორივე განხილულ საქმეში ცნობადი სახის ფოტოსურათების გამოქვეყნება არ ჩაითვალა დაცულ სფეროში ჩარევად.

³⁸⁴ *Brüggenier G., Colombi Ciacchi A., O'Callaghan P.*, *Personality Rights in European Tort Law*, New York, Cambridge University Press, (1 ed), 2010, 571.

³⁸⁵ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 131.

ელემენტის სახით,³⁸⁶ რაც ნიშნავს, რომ გამოხატვის ფორმა, ნამდვილობა თუ ნების გამოთხოვა სამოქალაქო კოდექსით გარიგებებისათვის გათვალისწინებული ზოგადი წესებით უნდა დარეგულირდეს. ის შესაძლებელია გაიცეს შეუზღუდავი სახით ან მიმართული იქნეს კონკრეტული სახის პუბლიკაციაზე. თანხმობა უნდა იყოს ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი და გააზრებული. ეს ნიშნავს, რომ მაგ. კონკლუდენტური ფორმით გაცემული თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი უნდა იყოს მისი გამოსახულების გამოყენების შემდგომი ბედი.³⁸⁷

გამოსახულების უფლების გამოქვეყნებისას დასახელებული ნორმის ნორმატიული შინაარსი მავალდებულებელი ხასიათისაა პოტენციური უფლებადამრღვევის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი ვალდებულია გამოიჩინოს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი აუცილებელი გულისხმიერება მოსარჩელის თანხმობის არსებობის გადამოწმების მიზნით. ევროპული სასამართლო პრაქტიკა³⁸⁸ იცნობს შემთხვევებს, როდესაც სხვისი გამოსახულების სარეკლამო მიზნებით გამოქვეყნებისას მოპასუხემ სადავოდ გახადა უფლების დარღვევის ფაქტი იმ მოტივით, რომ მას თავად არ დაუმზადებია გამოსახულება და შეუკვეთა ერთ-ერთ ცნობილ და სანდო კომპანიას, შეკვეთისას კი ჰქონდა კანონიერი მოლოდინი, რომ პლაკატის დამზადებით მესამე პირის უფლებები არ შეილახებოდა. აღნიშნული არგუმენტი სავსებით მართებულიად არ იქნა გათვალისწინებული სასამართლოს მიერ.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გერმანიის სპეციალური კანონის 22-ე და 23-ე პარაგრაფების მსგავსად, უფლებამოსილი პირის თანხმობის საჭიროება მხოლოდ გამოსახულების გამოქვეყნების შემთხვევაზე ვრცელდება და მატერიალური პროდუქტის არაუფლებამოსილი შექმნა ან გადაკეთება არ ექვევა უფლებით დაცულ სფეროში. ამდენად, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტება პირდაპირ არ იძლევა პასუხს კითხვაზე

³⁸⁶ ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 66.

³⁸⁷ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 66.*

³⁸⁸ BGH, 14.02.1958- I ZR 151/56, BGHZ 26, 349=NJW 1958, 827 (mit Anm. *Larenz*)= GRUR 1958m 408 (mit Anm. *Bussmann*)-*Herrenreiter*-მოსარჩელეს წარმოდგენდა ერთ-ერთი ლუდსახარმის მფლობელი ცხენოსანი, ხოლო მოპასუხეს სამედიცინო პრეპარატ „ოკასას“ დამამზადებელი კომპანია. აღნიშნულმა კომპანიამ საცხენოსნო ტურნირზე გადაღებული მოსარჩელის ფოტო გამოიყენა პრეპარატის სარეკლამო პლაკატზე და მისი ნებართვის გარეშე გაავრცელა საზოგადოებაში, რაც მოსარჩელემ არ მოიწონა და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, პლაკატის გამოყენების აკრძალვა და ბრუნვიდან ამოღება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა 10 000 გერმანული მარკის გადახდა

დაშვებულია თუ არა და რა ვითარებაში პირის გამოსახულების უნებართვო დამზადება გამოქვეყნების გარეშე?

გამოქვეყნებაში იგულისხმება ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა³⁸⁹ ან საზოგადოებისათვის ჩვენება, ისე რომ პუბლიკას არ ჰქონდეს გამოსახულების განკარგვის უფლება. მაგ. გამოსახულების გამოყენება ფილმში, ტელევიზიით ან ინტერნეტსივრცეში.³⁹⁰ გამოსახულების უფლების დარღვევის კვალიფიკაციისთვის არ არის აუცილებელი ეკონომიკური სარგებლობის არსებობის ფაქტი³⁹¹. ამ განმარტებით, გამოსახულების უფლების დაცვის ქვეშ ვერ მოექცევა მაგალითად, უფლებამოსილი პირის გამოსახულების უბრალოდ გადაცემა პრესის სააგენტოსთვის, თუ ამ უკანასკნელმა გამოსახულება საჯაროდ არ გაავრცელა, ასევე ტექნიკური მონყობილობების გამოყენებით ორი ცნობილი პიროვნების სახის ნახევრების შეერთებით სურათების გამოფენების მოსაწვევის დამზადება, თუ არ მოხდა ამ მოსაწვევების საჯარო გავრცელება. უფლებამოსილი პირის ნებართვის არაარსებობისა და ამგვარი ქმედებით გამოწვეული უარყოფითი განცდების მიუხედავად, მოქმედებისგან თავის შეკავების ან ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელს არ ექნება წარმატების პერსპექტივა, რადგან არ არსებობს საჯაროდ გავრცელების კრიტერიუმი. ნებისმიერი ამგვარი ქმედება სამართლებრივი დაცვის მიღმა შეიძლება აღმოჩნდეს, თუ უფლებამოსილი პირი არ დაამტკიცებს, რომ სახეზეა ერთის მხრივ, კანონით დადგენილი საჯაროდ გავრცელების იმპერატიული მოთხოვნა დაკმაყოფილებული. გამოსახულებაზე უფლების მქონე პირი იძულებული იქნება ამტკიცოს, რომ სახეზეა სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე სხვა უფლების: მაგ. ღირსების ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევა. ამგვარი მიდგომა კი გაუმართლებლად ავიწროებს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების არეალს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს ზოგადი პიროვნული უფლების ცნებას, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ვერც სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენება შეცვლის ვითარებას, რადგან ამ შემთხვევაშიც პირი სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის სპეციალური დანაწესით იქნება შებოჭილი. ამასთან, ვალდებული იქნება ამტკიცოს 992-ე მუხლით დადგენილი გენერალური დელიქტის ზოგადი წინაპირობები, მათ შორის ზიანის მიყენების ფაქტის არსებობაც.

³⁸⁹ ჯორბენაძე ს., ახელედიანი მ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 66; Gersdorf H., Paal B., Informations und Medienrecht, KunstUrhG §22, 21. Aufl., München, 2018, Rn. 11.

³⁹⁰ Ahlberg H.A., Götting H.-P., KunstUrhG §22, 21. Aufl., München, 2018, Rn. 54.

³⁹¹ Gersdorf H., Paal B., Informations und Medienrecht, KunstUrhG §22, 21. Aufl., München, 2018, Rn. 11.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონი სახვითი კანონი ხელოვნების ნიმუშებსა და გამოსახულებასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების შესახებ 22-ე მუხლში დაცულ სფეროში ხვდება მხოლოდ გამოქვეყნებული ან საჯარო გაცნობისთვის განკუთვნილი ფოტოსურათები. ამდენად, ფოტოს დამზადება და ან მისი სახეცვლილება არც ამ პარაგრაფის მოქმედების არეალში არ ხვდება³⁹². გერმანულ სამართალში აღნიშნული ვაკუუმის შევსება ზოგადი პიროვნული უფლების მარეგულირებელ §823-ის გამოყენებით ხდება,³⁹³ რა დროსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისთვის მოსამართლე მხედველობაში იღებს მონაწილე პირების კანონით დაცულ ყველა ინტერესს. სწორედ ამ საფუძვლით დიუსელდორფის ზედა ინსტანციის სასამართლომ კერძო სფეროში უხემ ჩარევად და შესაბამისად ზოგადი პიროვნული უფლების შელახვად მიიჩნია მესაკუთრის ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობის ფოტოზე ასახვა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ ჰქონია ფოტოების გავრცელებას³⁹⁴. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში გამოსახულების დამზადება იმ მოცულობითაა დაშვებული, რა მოცულობითაც ექნებოდა მის დამამზადებელს პროდუქტის გავრცელების უფლება.³⁹⁵ ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლება წარმოადგენს უნებართვო და მალული ფოტოგადაღებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ სამოქალაქო სამართლებრივ ბერკეტს.

ამგვარი მიგნების მართებულობის წარმოსაჩენად არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი: სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი ბლანკეტური შემადგენლობის ნორმაა და დარღვეული ან სადავო უფლების აღდგენის ფორმად ითვალისწინებს როგორც უფლების დარღვევის აღკვეთის არაქონებრივ საშუალებებს (მოქმედების შეწყვეტას ან უარის თქმას), ისე პასუხისმგებლობის ზომებს ზიანის ანაზღაურების სახით. მინიჭებული უფლების ეფექტური აღსრულების კუთხით, გამოსახული პირისთვის დაცვითი ბერკეტების გამოყენებას უფრო მამინ ექნება აზრი, თუ მისი ფოტო ჯერ არ იქნებოდა გავრცელებული საზოგადოებაში და მოქმედებისგან თავის შეკავება პირისთვის სამომავლო ზიანის მიყენების გამორიცხვის წინაპირობა იქნებოდა. ხოლო, როდესაც გამოსახულების გამოქვეყნება პრესასა და

³⁹² *Ahlberg H.A., Götting H.-P.*, KunstUrhG §22, 21. Aufl., München, 2018, Rn. 55; *Dreier Th., Schulze G.*, Urheberrechtsgesetz, KUG §22, 6. Aufl., München, 2018, Rn. 11.

³⁹³ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 213-215; BGH NJW 1957, 1315, 1316- Spätheimkerer; BGH NJW 1966, 2353- Vor unserer eigenen Tür.

³⁹⁴ OLG Düsseldorf, NJW 1994, 1971.

³⁹⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 213.

ინტერნეტ პორტალებში ხდება, ფოტოს დამუშავების ან შექმნის პროცესი უკვე ვერ იქნება ნორმით დაცული სფეროსგან განყენებული და ლოგიკურია, რომ სამომავლოდ მსგავსი ქმედების განმეორების საშიშროების გამო დაცვის საშუალებებმა არ უნდა დაკარგოს აქტუალობა. ნორმის დღევანდელი ფორმით არსებობის შემთხვევაში, მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელს გამოყენების სფერო პრაქტიკულად აღარ რჩება, რადგან უკვე გავრცელებული გამოსახულების შემთხვევაზე უფლებამოსილი პირის უფლებების დაცვისას ზიანის ანაზღაურებალა რჩება, რაც არ უნდა იყოს კანონმდებლის გააზრებული გადაწყვეტილება.

პიროვნული უფლებების დაცვის საშუალებების გამოყენების არეალის ამგვარი შეკვეცის თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია, მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნორმატიულ შემადგენლობას დაემატოს „გამოსახულების უნებართვო დამზადება/შექმნა/გადაკეთება,“ ხოლო უკვე შექმნილი გამოსახულების „გამოქვეყნებისა“ და შესაბამისად „საჯაროდ გატანის“ ცნება სასამართლოს მიერ ფართოდ იქნეს განმარტებული. მასში უნდა მოიაზრებოდეს გასაჯაროება არა მხოლოდ პირთა ფართო ჯგუფის, არამედ ნებისმიერი მესამე პირის წინაშე. ასევე „ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისთვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს,“³⁹⁶ თუნდაც სოციალურ ქსელში. თუმცა ფოტოს შექმნის ან დამუშავების ან შექმნის ეტაპი ავტომატურად არ უნდა ქმნიდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამ შემთხვევაშიც უფლების დარღვევის დადასტურება ყველა კონკრეტული შემთხვევის დეტალური ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს, სადაც მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ფოტოს შექმნის ვითარება და ის სფერო, რომელსაც შექმნილი გამოსახულება აშუქებს. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად აამაღლებდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სტანდარტს და მოხსნის იმ სამართლებრივ წინააღმდეგობას, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ და მე-5 ნაწილების მოქმედი რედაქციის არსებობა ქმნის დღევანდელ ვითარებაში.

4. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის წარმოშობის წანამძღვრები

4.1 პირადი ცხოვრების ცნება

„პიროვნების თავისუფლების ცნება მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინდივიდუალურ თავისუფლებას. თუ სოციალურ-

³⁹⁶ სოციალური ქსელის საჯარო პლატფორმად განხილვის თაობაზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1559-1462-2010.

ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების შინაარსი ორგანულად უკავშირდება პიროვნების აქტიურ ურთიერთობას საზოგადოებასთან, ინდივიდუალური თავისუფლება გულისხმობს პიროვნების ერთგვარ თვითგამორვევას, განცალკევებას საზოგადოებაში³⁹⁷. ამ თავისუფლების ნათელი გამოხატულებაა პირადი საიდუმლოების დაცვის მყარი სამართლებრივი გარანტიების არსებობა, რაც არსებითად უკავშირდება პირადი ცხოვრებისა და პირადი ხელშეუხებლობის ცნებების სამოქალაქო-სამართლებრივი მოცულობების განსაზღვრავს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი ვალდებულებებით. ერთის მხრივ, ეს არის სახელმწიფოს „პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებებისა და შეზღუდვების უგულებელყოფას, მეორეს მხრივ, კი სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისგან“.³⁹⁸

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით და ევროკონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ პირადი ცხოვრების უფლება არის პირის უფლება, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს და დაცული იყოს საჯაროობისგან³⁹⁹. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს პირადი ცხოვრების ზუსტი და ამომწურავი დეფინიცია და ვერც იურიდიულ დოქტრინაში მოიძებნება ცნების ერთგვაროვანი განმარტება, რადგან უზრუნველყოფილი უფლების ცენტრალური რაობა მოიაზრებს პირის სრულ ავტონომიას, რაც ზოგადი, მრავალშრიანი და ამოუწურავი სფეროა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მსგავსად ცალკე გამოჰყოფს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, ხოლო მეორე პუნქტი, სსკ-ის მე-18 მუხლისგან განსხვავებით, მართალია, ცალკე არ გამოჰყოფს პირადი ხელშეუხებლობის კონსტრუქციას, თუმცა დაცულ ღირებულებებში მოიაზრებს პირად სივრცეს

³⁹⁷ ნინიძე თ., პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1977, 18.

³⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/519.

³⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-1240-02.

და კომუნიკაციას, პიროვნული ხელშეუხებლობის ერთ-ერთ კომპონენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული. პირადი ცხოვრებაც და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები უშუალო კავშირშია ინდივიდუალურ თავისუფლებასთან და შესაბამისად, თანაბრად მოიცავს კონსტიტუციის მე-15 მუხლში გაერთიანებულ ორივე ასპექტს. შეიძლება ითქვას, რომ პირადი ხელშეუხებლობა პირის ფიზიკურ ჯანმრთელობასაც მოიაზრებს, თუმცა საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე იგი მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების ჭრილში იქნება განხილული.

საინტერესოა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე საუბრობს. ამ კანონის მიხედვით, ინფორმაციის პირადი საიდუმლოებისთვის მიკუთვნებისთვის კონკრეტული კრიტერიუმია კანონის მიერ მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და ის, რომ ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს. პირად საიდუმლოდ მიჩნევის ზოგად კრიტერიუმს კი ის წარმოადგენს, რომ ინფორმაციასთან ან გარემოებასთან დაკავშირებით, პირს უნდა ჰქონდეს „კერძო ცხოვრების“ ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი⁴⁰⁰. მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს კონსტიტუციით აღნიშნული ცნება „პირადი ცხოვრების საიდუმლოებად“ არის მოხსენიებული.

აღსანიშნავია, სსკ-ის მე-18¹ მუხლის დანაწესიც, რომელიც პირის ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას კერძო და არა პიროვნულ საკითხად განიხილავს. ამის საპირისპიროდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან კონსტიტუციის ძველი რედაქციის 41-ე მუხლისგან განსხვავებით „პირად საიდუმლოებად“ მიიჩნევს. საკონსტიტუციო სასამართლომ კი, კონსტიტუციის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში პირადი ცხოვრების საიდუმლოების განსამარტად საგადასახადო ტიპის საიდუმლოებაზე მსჯელობისას ისევ „კერძო ცხოვრების“ საიდუმლოების ცნების შინაარსი გამოიყენა. სასამართლოს მსჯელობისას იკვეთება მიდგომა, რომ იგი „კერძო სფეროს“ გაცილებით ფართო ცნებად მოიაზრებს, რომელიც გარდა არამეტიალურისა, მატერიალურ მხარეებსაც მოიცავს.⁴⁰¹ შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებას პირადი ცხოვრების

⁴⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406/408.

⁴⁰¹ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 108; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406/408.

ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში განიხილვას, რაც, თავის მხრივ, კერძო სფეროს დაცვის სურვილით აიხსნება.

პარადოქსია, რომ კერძო სფეროსა და პირადი ცხოვრების აბსოლუტურად გაიგივების და სინონიმური მნიშვნელობით გადმოცემის მცდელობა შეინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ პირადი ცხოვრება განმარტა, როგორც „ინდივიდის შესაძლებლობა, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი „კერძო ცხოვრება“, ხოლო მეორეს მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის „კერძო სფეროში“ სახელმწიფოს, ისევე ნებისმიერი სხვა პირის ჩარევისგან.“⁴⁰² ამგვარი მსჯელობა წინააღმდეგობაში მოდის პიროვნული უფლებების დაცვის თაობაზე შემუშავებულ სფეროთა თეორიასთან, რომელიც ცნებას დაცულობის ხარისხის და ინტენსივობის მიხედვით ჰყოფს ინტიმურ, საიდუმლო/პირად და სოციალურ სფეროებად.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზეც, რომელმაც მაგალითად, პირის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება „პირადი საოჯახო ცხოვრების საუდუმლოების“ დარღვევად მიიჩნია იმ დასაბუთებით, რომ ის არ ეხებოდა პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნული იყო პირთა განსაზღვრული წრისთვის,⁴⁰³ მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს პირადი და საოჯახო ცხოვრების გაერთიანების პრეცედენტს. ამასთან, აღნიშნული მსჯელობით სასამართლომ პირადი ცხოვრების ცნების განმარტება საჯარო სფეროსგან გამიჯვნის გზით სცადა, რაც ასევე ყურადღების მიღმა ტოვებს თავად პირად სფეროში არსებულ სხვა ქვესფეროებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციასა და ევროსასამართლოს პრაქტიკასთან პარალელის გავლების გზით იკვეთება, რომ აღნიშნული საქმე არა პირადი ცხოვრების, არამედ ამავე მუხლის მეორე შინაარსობრივი კომპონენტის-საოჯახო ცხოვრების ქვეშ იქნებოდა გააზრებული. ასევე სადავოა ოჯახის წევრის თაობაზე ინფორმაციის „პირადი ცხოვრების“ ცნების ქვეშ მოაზრების საკითხი, მაშინ, როდესაც იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით „საოჯახო ცხოვრების“ ცნებაში ერთიანდება⁴⁰⁴. „კერძო ცხოვრების“ ცნების ქვეშ მოიაზრებს უზენაესი სასამართლო პირადი ცხოვრების ისეთი საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდის

⁴⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407.

⁴⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-1240-02.

⁴⁰⁴ *Schubert C.*, in: Münchener Kommentar zur STPO, EMRK Art.8, Recht auf Achtung der Privat und Familienlebens, 1. Aufl., München, 2018, Rn. 14.

თაობაზე საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებას, როგორცაა დაზარალებულის გაუპატიურების მცდელობის ფაქტი.⁴⁰⁵

იურიდიულ დოქტრინაში პირადი საიდუმლოება განმარტებულია „როგორც პირის ურთიერთობათა და მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ ისეთი ხერხებითა და საშუალებებით, რომლებსაც კონკრეტულ პირობებში სოციალური მნიშვნელობა არ აქვთ და არ მოიცავენ საზოგადოებრივ ინტერესებს.“⁴⁰⁶ აღნიშნული განმარტებითაც პირადი საიდუმლოება გამოირიცხავს სოციალურ სფეროს, თუმცა არ ახდენს დაცულობის მიხედვით გრადაციას დარჩენილ: ინტიმურ, კერძო და პირად სფეროს შრეებს შორის.

რაც შეეხება ეროვნული მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთობის საკითხს, 1959-2017 წლებს შორის პერიოდში კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა 6 საქმე⁴⁰⁷. ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინება, რომელიც პატივისა და ღირსების შელახვას უკავშირდება, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ხელყოფად დააკვალიფიცირა.⁴⁰⁸ საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე „ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც გამოსახულების უფლება გამოიკვეთა.⁴⁰⁹ აღნიშნულს მოჰყვა საქმე, რომელიც ეხებოდა პირადი ცხოვრების ერთ-ერთ გამოვლინებას-შვილად აყვანის საიდუმლოებას⁴¹⁰ და ა.შ. საგულისხმოა, რომ ყველა დასახელებული ცალკეული პიროვნული უფლების დარღვევა ევროსასამართლომ „პირადი ცხოვრების“ გენერალურ კონცეფციაში გააერთიანა, რადგან კონვენციის

⁴⁰⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-593-1241-03.

⁴⁰⁶ *ნინიძე თ.*, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, უურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1977, 18.

⁴⁰⁷ Violations by article and by states : https://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2017_ENG.pdf?fbclid=IwAR3lx5veoaRSU6Kep7EJYS66ZXRSHTLkfzO3VYrRlvFAfArFQ3myduXO6I [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 11.12.2018, 15:40].

⁴⁰⁸ გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება (განაცხადის № 71678/01) (საბოლოო 17/01.2007), <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gurgenidze.pdf>. [09.12.2018, 18:46].

⁴⁰⁹ ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება, განაცხადი № 37048/04). <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/BROSHURA-%20adamianis%20uflebata.pdf>. [09.12.2018, 13:22]

⁴¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2კ-141.

ტესტი ცალკეული უფლებების დაცვას პირდაპირ არ ითვალისწინებს და ნებისმიერი ამგვარ დარღვევას „პირადი ცხოვრების“ უფლების ჭრილში განიხილავს.

განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ საკვლევი საკითხის სპეციფიკა და შინაარსობრივი მოცულობა ჯერ კიდევ არ არის ნათლად გააზრებული არც საკანონდებლო და არც სასამართლო პრაქტიკაში. სწორედ ამაზე მეტყველებს ტერმინოლოგიური უზუსტობები და სხვადასხვა დროს ერთი და იმავე შინაარსის მქონე ფაქტის „კერძო“, „პირად“ „პიროვნულ“ და „საოჯახო პირად“ ცნებებად მოხსენიების ფაქტი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა დასახელებული ცნებას იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში სხვადასხვა შინაარსი გააჩნია. მაგ. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს აზრით⁴¹¹ პირის ქონების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოადგენს კერძო სფეროს, ხოლო ჰამბურგის საოლქო სასამართლომ⁴¹², ინფორმაცია პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, სოციალური რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია პირის გაკოტრების შესახებ, მის პირად სფეროს მიაკუთვნა და ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებად აღიარა იმ დასაბუთებით, რომ ამგვარი ინფორმაცია დაკავშირებულია პიროვნების განსაკუთრების მგრძობიარე სფეროსთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად ინფორმაცია ქონებრივი ხასიათისაა. სოციალურ და იურიდიულ მეცნიერების ჭრილში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, თუ რამდენად რელატიურია პირადი ცხოვრების და ზოგადად პიროვნებასთან დაკავშირებული სფეროთა გამომხატველი ცნებები. თუნდაც, პიროვნების უფლება მარტოობაზე, ონტოლოგიური მაქსიმით იქნეს აღიარებული, ამ მოთხოვნის შინაარსი და საზღვრები მაინც ადგილობრივ კონტექსტზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და ტაბიურებულ აღქმებზე იქნება დამოკიდებული. პირადი ცხოვრება, ცხადია, ა პრიორი არ გულისხმობს მხოლოდ ადამიანის ცხოვრების ფაქტობრივ მოცემულობას და გასათვალისწინებელია სოციალური ფაქტორებიც, რომლის სამართლებრივი აღიარება და განვითარება კანონმდებლის და სასამართლო პრაქტიკის დახმარებით უნდა მოხდეს⁴¹³. ამდენად,

⁴¹¹ Cass, 28.5.1991, D. 1992, Jus. 213.

⁴¹² OLG Hamburg, Urt. V.20.5.1992, 1 U 20/92, AfP 1992, 376.

⁴¹³ იურგენ ჰაბერმანმა კავშირი მულტიკულტურულ საზოგადოებასა და პირადი სფეროს ლიბერალური თეორიის შორის შემდეგნაირად აღწერა: *“The boundaries between public and private spheres are historically in flux. It must be up to citizens themselves to debate and deliberate in public, and to have parliaments democratically decide, on the kind of rights they regard a necessary for the protection of both private liberties and public participation. There are no legitimate “gag rules” for keeping issues of the agenda that could be taken as “ontologically private”. Rather,*

პრაქტიკული თვალსაზრით უპრიანია მისი შინაარსობრივი განვრცობა ისეთ სივრცეებზე მითითებით, როგორცაა ინტიმური ცხოვრება, უკიდურესად პიროვნული, საოჯახო, განსაკუთრებით მგრძობიარე ფაქტები ცხოვრებიდან, რომელთა გამჟღავნება მტკივნეული იქნება ინდივიდისთვის.

შედარებითსამართლებრივი ანალიზის შედეგად ცნებების განსაზღვრელი ტერმინების წარმოშობისა და სისწორის ანალიზის მაგივრად უფრო ღირებულ შედეგად შინაარსობრივი გრადაცია გამოვლინდა. აღნიშნული მიგნება საინტერესო უნდა იყოს ქართული სამართლებრივი სისტემისთვის, რომლის უდავო ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული ცნებათა გაუზრებელი გამოყენება შინაარსობრივი წვდომის გარეშე, საოჯახო და პირადი ფაქტების ერთმანეთში აღრევა, პირად, კერძო, ინტიმურ და სოციალურ სფეროებს შორის მყარი მიჯნის არარსებობა, რაც პიროვნულობასთან დაკავშირებულ უამრავ ასპექტს ტოვებს ყურადღების მიღმა.

4.2 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი დაცვის ღირს სიკეთედ განამტკიცებს პირად („*Privaleben*“; „*la vie privée*“) და ოჯახურ ცხოვრებას („*La vie familiale*“; „*Family life*“), ასევე ადამიანის საცხოვრებელსა და კომუნიკაციას (კორესპონდენციას). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს პირადი ცხოვრების უფლების სრულყოფილი განმარტების შეუძლებლობაზე. მაგ. საქმეში- ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ (*Niemitz v. Germany*)⁴¹⁴- „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად და აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია“. შესაბამისად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, ნებისმიერი ქმედება ან ღონისძიება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს პირის სულიერ ან სხეულებრივ ინტეგრაციაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე მიუთითებს. ამგვარი რეგულირების უპირველესი დაცვის სამიზნე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაა.

ევროპის სასამართლოს პრაქტიკამ დაამკვიდრა პირადი ცხოვრების ფართო გაგება⁴¹⁵. უმეტესად ხდება ცალკეულ საქმეებზე მითითება მომიჯნავე ტერმინების გამოყენების ხარჯზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული

which kind of regulation will keep the right balance between private discretion and public inspection depends on the specific historical circumstances”-Habermann, 47 Stan, L. Rev. 849, 851 (1995).

⁴¹⁴ Niemietz v. Germany, ECHR, განაცხადის №13710/88, 16.12.1992.

⁴¹⁵ Meyer-Ladewig J., Nettesheim M., von Raumer, Europäische Menschenrechtskonvention, 4. Auflage, 2017, Rn. 7.

კონკრეტიკა. ამგვარი მიდგომის მიზანია ერთი მხრივ, ეროვნულ კანონმდებლობაში შესაძლო საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება და მეორეს მხრივ, პირადი სფეროს დარღვევის ნებისმიერ ახალ გამოვლინებაზე ადეკვატური რეაქციის ქონის შესაძლებლობა. მიდგომის პრაქტიკულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სწორედ მე-8 მუხლში მოხდა პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის ინტეგრირება მაშინ, როდესაც კონვენციის მე-8 მუხლის სიტყვასიტყვითი შინაარსი ექსპლიციტურად არ ითვალისწინებს მსგავს ფორმულირებას დაცულ უფლებათა ჩამონათვალში.

პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირის უფლებას, დაამყაროს და ჰქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მესამე პირის, მათ შორის სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.⁴¹⁶ შესაბამისად, სხეულებრივი და სოციალური იდენტობის ასპექტების თავისუფლად ხვდება „პირადი ცხოვრებით“ დაცული უფლების ფარგლებში,⁴¹⁷ რადგან ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შესაძლოა, მის მიერ არჩეული წესის შესაბამისად სრულად გამორიცხავდეს გარესამყაროსთან კონტაქტს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მესამე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში შედის. დაცულ სფეროში მოსახვედრად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოითხოვს ადამიანის „პიროვნების განხორციელებასთან“ განსაკუთრებული სიახლოვის დასაბუთებას⁴¹⁸.

განსახილველი მუხლის ძირითადი მიზანია, დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევისგან, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულებაც, შეიმუშაონ აღნიშნული დაცვის უზრუნველყოფი ადეკვატური მექანიზმები, მათ შორის კერძო პირებს შორის ურთიერთობისას⁴¹⁹. შედეგობრივი

⁴¹⁶ *კორკელია ვ.*, პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, №7, თბ., 2004-1, 80.

⁴¹⁷ *Hoffman in: Kluth W., Heusch A., BeckOk Online-Kommentar zum EMRK, Art. 8, Recht auf Achtung des Privat und Familienlebens*, 20. Edition, München, 2018, Rn. 20.

⁴¹⁸ *Friend u. Countryside Alliance u.a.*, ECHR, განაცხადის №16072/06; 27809/08, 24.11.2009- აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაასკვნა, რომ „ნადირობა არ ხვდება პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში საჯარო ხასიათის გამო. შესაბამისად, ნადირობასთან დაკავშირებული ადამიანებს შორის ურთიერთობები არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს „პირადი ცხოვრების“ ცნების არსებობის დასადასტურებლად. მონადირეთა ასოციაცია არ წარმოადგენს არც ეთნიკურ ან ნაციონალურ უმცირესობას, არ ასახავს ცხოვრების კონკრეტულ სტილს, პიროვნების იდენტობის განსაზღვრისთვის რომ იყოს სასიცოცხლოდ აუცილებელი“.

⁴¹⁹ *Hannover v. Germany*, ECHR, განაცხადის №59320/00, 24.09.2004; იხ. *Balthasar St.*, *Der Schutz der Privatsphäre im Zivilrecht*, Tübingen, 2006, 154- აღნიშნული ჰორიზონტალური მოქმედების ეფექტი საკმაო წარმატებით იქნა გამოყენებული ინგლისური სასამართლოების მიერ შემდეგ საქმეებში: *Douglas v. Hello!* [2001] 2 all E.R.289, CA; *Douglas v. Hello!* [2003] EWHC 786 (CH); ეროვნულ კანონმდებლობასთან კონვენციისა და ევროსასამართლოს პრეცედენტული

თვალსაზრისით ეს დათქმა ნიშნავს, რომ სამოქალაქო ინსტანციის ადგილობრივი სასამართლოები კერძო პირებს შორის დავის განხილვისას ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ კონვენციით დადგენილი მინიმალური სტანდარტი ანუ საუბარია კონვენციის ჰორიზონტალური მოქმედების ეფექტზე.

ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის, მე-8 მუხლთან მიმართებით ზუსტ განსაზღვრებას არ მოითხოვს, რადგან ამ მხრივ მოქმედი პრინციპები მაინც შედარებითია. ევროპის სასამართლოს მართლმსაჯულების მიხედვით, სახელმწიფოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვისას გააჩნია გარკვეული შეფასების ფარგლები. ამ ფარგლებში მან უნდა განსაზღვროს, არსებული ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობა, ასევე ჩარევის სახე და ინტენსივობა.⁴²⁰ ორივე შემთხვევაში საჭიროა ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესების სამართლიანი ბალანსირება, რათა პირადი ცხოვრების დაცვა პროპორციული იყოს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებასთან⁴²¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შინაარსობრივად შესაძლებელია დაიყოს სამ მსხვილ ჯგუფად: (1) პიროვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ინტეგრაცია, (2) მისი პირადი ცხოვრება და (3) იდენტობა⁴²². იურიდიულ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ასევე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რომელიც თავის გამოვლინებას პერსონალური ცხოვრების წარმართვის შესაძლებლობაში ჰპოვებს და წინაპირობად მოითხოვს როგორც პირად სფეროზე, ისე სხეულზე სრული ბატონოს უფლების პატივისცემას⁴²³. თითოეული ჯგუფი საკმაოდ ფართო ქვეკატეგორიებს აერთიანებს. მაგ. ფიზიკური და მენტალური მთლიანობის დაცვის ჯგუფში მოიაზრება ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვა⁴²⁴, რეპროდუქციული უფლებები⁴²⁵, იძულებითი

სამართლის მოქმედების შესახებ დეტალურად იხ. *Hoffman in: Kluth W., Heusch A., Beck* Online-Kommentar zum EMRK, Art. 8, Recht auf Achtung des Privat und Familienlebens, 20.

⁴²⁰ *ოქრუაშვილი მ.*, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005, 49.

⁴²¹ *Minelli v. Switzerland*, ECtHR, განაცხადის №14991/02, 14.06.2005.

⁴²² *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights*, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 18. https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf [11.12.2018, 17:25].

⁴²³ *Grabenwarter Ch., Pabel K.*, Europäische Menschenrechtskonvention, Ein Studienbuch, 6. Auflage, München, 2016, Rn. 6.

⁴²⁴ *Jankovic v. Croatia*, ECtHR, განაცხადის №38478/05, საბოლოო გადაწყვეტილება 14.09.2009.

⁴²⁵ *A, B and C v. Ireland*, ECtHR, განაცხადის №25579/05, 16.12.2010.

სამედიცინო მკურნალობა და სავალდებულო სამედიცინო პროცედურები⁴²⁶, მენტალური ჯანმრთელობის დაცვა⁴²⁷, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა,⁴²⁸ პირის უფლება- გადაწყვეტოს საკუთარი სიცოცხლის დასასრული⁴²⁹, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები⁴³⁰, პირის უკანასკნელ გზაზე გაცილების საკითხები,⁴³¹ გარემოსდაცვითი საკითხები⁴³², სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება⁴³³ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის სასამართლო პრაქტიკამ გაათავოთოვა პირადი ცხოვრების დაცვის მოცულობა და ამ კატეგორიაში ასევე მოაქცია სამსახურეობრივი და პროფესიული ურთიერთობებიც.⁴³⁴ თავის მხრივ, ტერმინი „პირადი ცხოვრება“ მოიცავს პიროვნულ იდენტობას⁴³⁵, როგორცაა გენდერული იდენტიფიკაცია და სექსუალური ორიენტაცია, სახელი ან პიროვნების იმიჯთან დაკავშირებული სხვა ელემენტები⁴³⁶, თვითგამორკვევის უფლების ასპექტი, რომელიც მოიცავს პირის ლეგიტიმურ უფლებას, მიიღოს საჭირო ინფორმაცია საკუთარი წარმომავლობისა და მშობლების შესახებ.⁴³⁷

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად ასევე დგინდება, რომ ეს უკანასკნელი „პირადი ცხოვრების“ ცნებაში მოიაზრებს ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს⁴³⁸, წვდომას პერსონალურ ინფორმაციაზე, როგორცაა საკუთარი წარმომავლობა,

⁴²⁶ *Acmanne and Others v. Belgium*, ECtHR, განაცხადის №10435/83, 10.12.1984.

⁴²⁷ *Bensaid v. The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №44599/98, 6.2.2001.

⁴²⁸ *Vasileva v. Bulgaria*, ECtHR, განაცხადის №23796/10, 17.3.2016.

⁴²⁹ *Pretty v. The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №2346/02, 29.07.2002.

⁴³⁰ *Zehnalava and Zehnal v. The Czech Republic*, ECtHR, განაცხადის №38621/97, 14.5.2002.

⁴³¹ *Lazavye v. Russia*, ECtHR, განაცხადის №4587/09, 24.04.2018.

⁴³² *Hatton and Others v. The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №36022/97, 8.07.2003.

⁴³³ *B.v.France*, ECtHR, განაცხადის №13343/87, 25.03.1992.

⁴³⁴ *Niemietz v. Germany*, ECtHR, განაცხადის №13710/88, 16.12.1992; *Jankauskas v. Lithuania*, ECtHR, განაცხადის 50446/09, 13.11.2017.

⁴³⁵ *BVerfGE NJW 201, 36, 43, Rn. 37-46*: გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში იდენტობის დაცვის უფლებაც პირადი ცხოვრების ნაწილად მიიჩნია და ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში გაიყვანა. „სქესობრივი იდენტობისა და თვითგამორკვევის უფლება გარანტირებული უნდა იყოს მათთვისაც, ვინც განგრძობითად არც მდებარებით და არც მამრობით სქესს არ მიაკუთვნებს საკუთარ თავს. შესაბამისად, სქესის ნიშნით დისკრიმინაციას აქვს ადგილი, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სამსახური აიძულებს ასეთ პირს საკუთარი თავი რომელიმე ზემოხსენებულ სქესს მიაკუთვნოს“.

⁴³⁶ *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights*, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 29 https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 11.12.2018, 17:25}.

⁴³⁷ ECtHR NJW 2003, 2145-მითითებულია: *Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar*, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 219.

⁴³⁸ *Rotaru v. Romania*, ECtHR, განაცხადის №28341/95, 04.05.2000.

მშობლების, ბავშვობის ან აღრეული განვითარების შესახებ გარემოებები,⁴³⁹ ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ,⁴⁴⁰ ასევე ფაილურ მონაცემს ან ინფორმაციას, რომელიც შეგროვებულ იქნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ან სხვა საჯარო სტრუქტურის მიერ.⁴⁴¹ ინდივიდუალური საქმის გარემოების მიხედვით სასამართლო ასკვნის, რომ პიროვნების სატელეფონო საუბრებსა და კერძო კომუნიკაციის საპოლიციო მიყურადება პირადი ცხოვრების ცნებითაა დაფარული და დაცულ უფლებათა სფეროში ხვდება⁴⁴². ამავე კონტექსტში განიხილა ევროპულმა სასამართლომ პოლიციის მიერ კონკრეტული გონივრული ეჭვის გარეშე პირის გაჩერება და გაჩხრევა საჯარო ადგილას და პირის სხვა ადამიანებთან ინტერაქციაც „პირადი ცხოვრებით“ დაცულ სფეროში გაიყვანა⁴⁴³.

კონვენციის მე-8 მუხლი წარმოადგენს გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმას გენდერული თუ ეთნიკური იდენტობის სპეციალურ შემთხვევებზე⁴⁴⁴, ასევე სქესის შეცვლის ოპერაციაზე ხელმისაწვდომობისა⁴⁴⁵ და გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარებაზე ტრანსგენდერ პირებთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ამ უკანასკნელთ სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება⁴⁴⁶. სქესის შეცვლასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს „სამოქალაქო აქტების შესახებ“, კანონი, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანას სახელის/გვარის საკითხთან დაკავშირებით სქესის შეცვლის საფუძვლით. ამ უფლებით სარგებლობისთვის პირს მოეთხოვება სქესის შეცვლის თაობაზე სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენა, ვინაიდან ისეთი სახელის ქონა, რომელიც არ შეესაბამება პირის სქესს, შეიძლება პრობლემური გახდეს პირისთვის, რომელმაც შეიცვალა იგი.⁴⁴⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ცალკე ქვეკატეგორიადაა გაერთიანებული პირის იდენტობისა და ავტონომიურობის ასპექტები, რომელიც იცავს პიროვნების იმ სფეროს ჩარევისგან, სადაც ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს და სრულყოს თავისი

⁴³⁹ Mikulic v. Croatia, ECtHR, განაცხადის №53176/99, 07.02.2002.

⁴⁴⁰ Mockute v. Lithuania, ECtHR, განაცხადის №66490/09, 27.02.2018.

⁴⁴¹ Klass and others v. Germany, ECtHR, განაცხადის №5029/71, 06.09.1978.

⁴⁴² Halford v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №20605/92, 25.06.1997.

⁴⁴³ Gillan and Quinton v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №4158/05, 28.06.2010.

⁴⁴⁴ Härmäläinen v. Finland, ECtHR, განაცხადის №37359/09, 16.07.2014.

⁴⁴⁵ Schlumpf v. Switzerland, ECtHR, განაცხადის №29002/06, 05.06.2009.

⁴⁴⁶ A.P. Garcaon and Nicot v. France, ECtHR, განაცხადის №79885/12, 06.04.2017.

⁴⁴⁷ *კორკელია კ.*, პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა, №7, თბ., 2004-1, 90.

პიროვნება⁴⁴⁸. აღნიშნული ჯგუფი, თავის მხრივ, აერთიანებს: პიროვნების უფლებას გამოიკვლიოს და მიიღოს ინფორმაცია საკუთარი წარმომავლობის შესახებ,⁴⁴⁹ თუმცა სასამართლომ ვერ აკვალიფიცირებს პირადი ცხოვრების შელახვას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ბავშვის პიროვნულ განვითარებასა და საკუთარი წარმომავლობის შესახებ ცოდნის ლეგიტიმურ მიზნებს შორის კოლიზია, ასევე დედის უფლება, დაიცვას საკუთარი ვინაობა გამჟღავნებისგან.⁴⁵⁰ იდენტობისა და ავტონომიურობის დაცვის უფლებაში მოიაზრება, ასევე რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. სასამართლოს აზრით რელიგიური და ფილოსოფიური პერსონალური შეხედულებების გამჟღავნება პირადი ცხოვრების ინტიმურ ასპექტს წარმოადგენს.⁴⁵¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამავე ქვეკატეგორიაში გააერთიანა ინდივიდის სურვილი მისთვის სასურველი ფორმით გამოჩნდეს საჯარო თუ კერძო სივრცეში, რადგან მსგავსი არჩევანი უკავშირდება მისი პერსონალურობის გამომსახველობას და პირადი ცხოვრებით დაცულ სივრცეში იკავებს კუთვნილ ადგილს⁴⁵². აღნიშნული მოიცავს როგორც თმის ვარცხნილობის⁴⁵³ სურვილისამებრ არჩევას, ისე უნივერსიტეტში წვერის ტარების აკრძალვას⁴⁵⁴, რელიგიური მოტივით სახის თავსაბურავით სიარულს საჯარო ადგილებში⁴⁵⁵ ან სიშიშვლეს იმავე ადგილებში⁴⁵⁶. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დასახელებულ საქმეში სასამართლომ შეზღუდვა პროპორციულად შეაფასა, თუმცა ციხეში წვერის ტარების აბსოლუტური აკრძალვა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად მიიჩნია, რადგან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო სოციალური საჭიროების დასაბუთება, რაც დაცულ სფეროში ჩარევის გამამართლებელი საფუძველი იქნებოდა.⁴⁵⁷

⁴⁴⁸ A.- M.V.v. Finland, ECtHR, განაცხადის №53251/13, 23.06.2017.

⁴⁴⁹ საქმეში Mikulic v. Croatia, ECtHR, განაცხადის №53176/99, 07.02.2002, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის არ არის სავალდებულო სავარაუდო მამობის დადგენისას გამოიყენონ მხოლოდ DNA-ის ტესტი, თუმცა სამართლებრივმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული საშუალებები, რითაც უფლებამოსილი და დამოუკიდებელი ორგანო შეძლებს, ეფექტურ დროში გადაწყვიტოს მამობასთან დაკავშირებული საკითხები“.

⁴⁵⁰ Odievre v. France, ECtHR, განაცხადის №42326/98, 13.02.2003- სასამართლომ უარი თქვა განმცხადებელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც ითხოვდა ბიოლოგიური და-ძმის შესახებ ინფორმაციას სპეციალური პროცედურული წესის არსებობით, რომელიც უფლებას ანიჭებდა დედას დარჩენილიყო ანონიმურად.

⁴⁵¹ Odievre v. France, ECtHR, განაცხადის №42326/98, 29.06.2007.

⁴⁵² Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 41 https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf [23.12.2018, 20:36].

⁴⁵³ Papa v. Romania, ECtHR, განაცხადის №4233/09, 17.07.2013.

⁴⁵⁴ Tig v. Turkey, ECtHR, განაცხადის №816503, 24.05.2005.

⁴⁵⁵ S.A.S.v.France, ECtHR, განაცხადის №43835/11, 01.07.2014.

⁴⁵⁶ Gough v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №49327/11, 28.10.2014.

⁴⁵⁷ Birzietis v. Lithuania, ECtHR, განაცხადის №49304/09, 14.09.2016.

მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხებიც, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში მოაქცია.⁴⁵⁸ ევროსასამართლოს ამგვარი მიგნება ეხმიანება პირადი ცხოვრების დაცვის უფლების ზოგად და აბსტრაქტულ მონესრიგებას, რაც იძლევა საშუალებას, კონვენციის ტექსტში პირდაპირ გათვალისწინებელი უფლებაც ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებად იქნას ინტერპრეტირებული. შესაბამისად, სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება საქმეები, სადაც მოქალაქეობის დაკარგვა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევად იქნა დაკვალიფიცირებული⁴⁵⁹. სასამართლომ ამ ტიპის საქმეების მიმართ შეიმუშავა განსხვავებული მიდგომა. კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის განსაზღვრისათვის აუცილებელია პასუხი გაეცეს ორ კითხვას: მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შემთხვევითი (უნებლიე) ქმედება იყო თუ განზრახი (მკაცრი პასუხისმგებლობის სტანდარტი) და რა მოჰყვა შედეგად ამ გადაწყვეტილებას განცხადებლისთვის,⁴⁶⁰ რაც შეიძლება გამოიხატებოდეს საფრთხის შემცველ გარემოში დატოვებასა⁴⁶¹ და ქვეყნიდან გამოძევებაში.⁴⁶²

მოქალაქეობის მსგავსად პირადი ცხოვრების უფლებაშივე გააერთიანა ევროსასამართლომ ქორწინებისა და მშობლის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რამეთუ მაგ. ქორწინების რეგისტრაცია⁴⁶³, მშობლის უფლების დადგენასთან დაკავშირებული პროცედურები⁴⁶⁴, მამობის აღიარებისა თუ შვილად აყვანის საკითხები⁴⁶⁵ უკავშირდება პიროვნების სამართლებრივი სტატუსს, ანუ უდავოდ ხვდება კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ სფეროში.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ერთნაირი და იდენტური დაცვის მექანიზმების შემუშავებას, ამავდროულად არ ახდენს მონესრიგების სფეროს კონკრეტულ და დეტალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას. თუმცა, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის,

⁴⁵⁸ *Genovese v. Malta*, ECtHR, განაცხადის №53124/09, 11.01.2012.

⁴⁵⁹ *Ramadan v. Malta*, ECtHR, განაცხადის №76136/12, 17.10.2016; *K2 v. The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №42387/13, 07.02.2017.

⁴⁶⁰ *Ramadan v. Malta*, ECtHR, განაცხადის №76136/12, 17.10.2016; *K2 v. The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №42387/13, 07.02.2017; *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights*, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 44.

⁴⁶¹ *Hoti v. Croatia*, ECtHR, განაცხადის №63311/14, 26.07.2018.

⁴⁶² *Kuric and Others v. Slovenia*, ECtHR, განაცხადის №26828/06, 26.06.2012.

⁴⁶³ *Dadouch v. Malta*, ECtHR, განაცხადის №38816/07, 20.10.2010.

⁴⁶⁴ *Rasmussen v. Denmark*, ECtHR, განაცხადის №8777/79, 28.11.1984.

⁴⁶⁵ *A.H. and Others v. Russia*, ECtHR, განაცხადის №6033/13, 03.07.2017.

როგორც სამართლებრივი დაცვის ჰარმონიზების ინდიკატორზე საუბრისას, საგულისხმოა, რომ კოლიდირებული ინტერესების ანონ-დანონვის მხრივ მის მიერ შემუშავებული პრინციპი- გასაჯაროებული ინფორმაციის გამოსადეგობა საჯარო ინტერესის მქონე დისკუსიისთვის- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. ეს ნიშნავს, რომ პირადი სფეროს დაცვის სფეროში კონვენციის მე-8 მუხლი ვერ ასრულებს ჰარმონიზაციის ფუნქციას და შემოიფარგლება მხოლოდ „მინიმალური სტანდარტის“ განმტკიცებით⁴⁶⁶, რათა კერძო სამართლის განსხვავებული ისტორიისა და ტრადიციის მქონე ქვეყნებში მოიძებნოს პიროვნული უფლებების დაცვის საერთო საფუძვლები.⁴⁶⁷ ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1970 წლის 428-ე რეზოლუციას⁴⁶⁸ მასობრივი მედიისა და ძირითადი უფლებების მიმართების თაობაზე და 1998 წლის 1165-ე რეზოლუციას⁴⁶⁹ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შესახებ.

4.3 პირადი ხელშეუხებლობა

„პიროვნების ხელშეუხებლობაში იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური ხელყოფისგან დაცვის სავალდებულობა. მასში მოიაზრება თავისუფლება“⁴⁷⁰ რომლის განმარტება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მისი შინაარსობრივი მასშტაბი თავად უფლების მქონე პირის აღქმის

⁴⁶⁶ აღსანიშნავია, რომ ევროპის პარლამენტმა და მინისტრთა კომიტეტმა 2000 წლის 7 დეკემბერს მიიღო ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია (CFR), რომელიც ასევე იცავს პიროვნულ უფლებებს, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 08.01.2018, 20:45].

⁴⁶⁷ სამართლის ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის პროცესში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მკვლევარებს, რომლებმაც შეიმუშავეს ევროპის მასშტაბით მოქმედი ზოგადი (ჩარჩო) პრინციპები. ესენია: Principles of European Tort Law (PETL) და Draft Common Frame of Reference (DCFR). PETL-ის 2:102 (2) მუხლი დაცულ სიკეთედ აღიარებს პიროვნების პატივს და თავისუფლებას, როგორც ფართო და კონტურების არმქონე სიკეთეს, ხოლო DCFR (Art. VI-2:203) პირდაპირ უთითებს, რომ თავისუფლების, პატივის ან პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

⁴⁶⁸ Declaration on mass communication media and Human Rights, Parliamentary Assembly, Council of Europe, Doc. 2687, Resolution 428, 23.01.1970, 18 th Sitting, <http://semantic-pace.net/tools/pdf.aspx?doc=aHR0cDovL2Fzc2VtYmx5LmNvZS5pbmQvbnNveG1sL1hSZWYvWDJlLURXLWV4dHIuYXNwP2ZpbGVpZD0xNTg0MiZsYW5nPUVO&xsl=aHR0cDovL3NlbnFudGljGFjZS5uZXQvWHNsdC9QZGYvWFJlZi1XRC1BVC1YUwYUERGlnhzbA==&xsltparams=ZmlsZWlkPTE1ODQy> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.01.2019, 20:45]

⁴⁶⁹ Resolution 1165, Right to Privacy, Parliamentary Assembly, Council of Europe, Doc. 8130, 26.06.1998, 24 th Sitting, <http://semantic-pace.net/tools/pdf.aspx?doc=aHR0cDovL2Fzc2VtYmx5LmNvZS5pbmQvbnNveG1sL1hSZWYvWDJlLURXLWV4dHIuYXNwP2ZpbGVpZD0xNjY0MSZsYW5nPUVO&xsl=aHR0cDovL3NlbnFudGljGFjZS5uZXQvWHNsdC9QZGYvWFJlZi1XRC1BVC1YUwYUERGlnhzbA==&xsltparams=ZmlsZWlkPTE2NjQx> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.01.2019, 21:33].

⁴⁷⁰ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 119.

საგანია. პირადი ხელშეუხებლობა საკმაოდ ფართო უფლებაა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს როგორც ფიზიკურ, ისე პიროვნულ (სულიერ) ხელშეუხებლობას. პიროვნული უფლებების ჭრილში პირადი ხელშეუხებლობის განხილვა უპრიანია პირადი საიდუმლოების უფლების კვალდაკვალ, როგორც პიროვნული თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებისა და პირადი ცხოვრების უფლების ერთგვარი დანამატისა. დაცული სფეროს განმარტებისა და მასში ჩარევის დაშვებადობის ზღვრის შეფასებისათვის იურიდიულ დოქტრინაში განვითარდა ე.წ. „სფეროთა თეორია“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჰუმბანმა.⁴⁷¹ თავდაპირველად აღნიშნული იდეა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული,⁴⁷² ხოლო შემდგომ იგივე დაყოფა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც გამოიყენა⁴⁷³. სფეროთა თეორიამ დიდი მონონება დაიმსახურა იურიდიულ ლიტერატურაშიც და კრიტიკული პოზიციების მიუხედავად დღემდე მაინც ინარჩუნებს პრაქტიკული ინსტრუმენტის სტატუსს, რომელიც ცალკეულ შემთხვევათა ზღვაში ახდენს მათ სტრუქტურირებას და ამ გზით შექმნილ ბაზაზე ხდება სხვა შემთხვევათა დაშენება. ამდენად, პირადი ხელშეუხებლობის, როგორც პიროვნების თავისუფლების მასშტაბის შეფასებისას უმჯობესია მსჯელობა განვითარდეს არა თეორიულად, დეფინიციური დოგმების შემუშავებით, არამედ ემპირიული გამოცდილების გათვალისწინებით, რათა გამოიკვეთოს სხვადასხვა, სამოსამართლო სამართლის შედეგად განვითარებული და კანონმდებლობაში პირდაპირ არასახული პირადი თავისუფლების და ამ ცნებაში მოაზრებული თითოეულ სფეროს შემადგენელი კომპონენტები დაცვის განსხვავებული მასშტაბებით. სხვადასხვა ტერმინოლოგიით იურიდიულ დოქტრინაში ამ მეთოდის გამოყენებით განასხვავებენ ხელშეუხებელ ინტიმურ, საიდუმლო/პირად და სოციალურ სფეროებს.

⁴⁷¹ Hubmann H., Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967, 268.

⁴⁷² BGHZ 13, 334 (338)-Leserbrief.

⁴⁷³ Epping V., Hillgruber C., BeckOK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, 2018, Rn. 36- კონსტიტუციურ სამართალში, დოგმატური თვალსაზრისით, სფეროთა თეორია განიხილება მართლზომიერების პრინციპის სპეციალურ გამოვლინებად, ანუ ზღვრის ზღვარის კონსტრუქციად, რომელიც გამოიყენება ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის საზღვრების გამოსაკვეთად. სფეროთა თეორიის უკან დგას მართლზომიერების პრინციპი, ანუ საფუძვრების გარეშე არსებული შკალა, რომლის დაცვის ხარისხის პიროვნულ ბირთვთან მიახლოების პირდაპირპროპორციულად იმატებს. ამდენად, აღნიშნული ორი პრინციპი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ სფეროთა თეორია ემსახურება მართლზომიერების პრინციპის განვრცობას შემთხვევათა ცალკეული ჯგუფების ზოგად-აბსტრაქტული ანალიზის გზით, მართლზომიერების ტესტი კი განსაზღვრავს ცალკეულ შემთხვევებს შესაბამისი დაცვის ინტენსივობით.

4.3.1 ინტიმური სფერო

პიროვნების ბიოლოგიური და სულიერ-ზნეობრივი ინტიმური სფერო ხელშეუხებელ სივრცედაა აღიარებული⁴⁷⁴ და მოიცავს პიროვნებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, რომელთა შესახებ უფლებამოსილს პირს არ სურს კომუნიკაცია ან მესამე პირებისთვის გაცნობა.⁴⁷⁵ ინტიმური სფეროს სიტყვა-სიტყვითი განმარტება არ მოიძებნება, თუმცა ადამიანის ღირსებასთან მისი განსაკუთრებული სიახლოვის გამო, ის პიროვნულობის აბსოლუტურად დაცულ ბირთვს განეკუთვნება, რომლის დარღვევაც თვით საზოგადო ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი არ არის გამართლებული⁴⁷⁶. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდანაც⁴⁷⁷ იკვეთება, რომ ეს უკანასკნელიც პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ფარგლებზე მსჯელობისას ხშირად ახსენებს პირადი ხელშეუხებლობის უფლებაში მოაზრებულ სფეროებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით ინტიმურ სფეროს აბსოლუტურად დაცულ და ხელშეუხებელ სივრცედ განიხილავს.

უფრო მდიდარი ევროპული სასამართლო პრაქტიკით ინტიმურ სფეროში ექცევა პირადი მიმონერა, სქესობრივი ცხოვრების ამსახველ დეტალები,⁴⁷⁸ შიშველი ფოტოები,⁴⁷⁹ ჯვრისწერის ცერემონიის დროს გადაღებული ფოტოები⁴⁸⁰, მეუღლეებს შორის სექსუალური ხასიათის საუბრები,⁴⁸¹ პიროვნულობის ამსახველი გამოსახულებები და ა.შ. მიუხედავად ამისა, ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას ართულებს აბსოლუტურად დაცული ბირთვისა და ინტიმური სფეროს გაერთიანების პრობლემა, რაც იწვევს არათანმიმდევრული, ერთგვარად სუბიექტურ შეფასებაზე დაფუძნებული და ნაკლებად განჭვრეტადი სამართლებრივი შედეგის მქონე სისტემის ჩამოყალიბებას. ამ პრობლემის პრაქტიკულობის დასადასტურებლად

⁴⁷⁴ Hiller V., Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), Technische Universität Bergakademie Freiberg, I Aufl. 2014, S.59.

⁴⁷⁵ Epping V., Hillgruber C., BeckOK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, 2018, Rn. 39.

⁴⁷⁶ იქვე.

⁴⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-290-276-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1054-994-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1337-1375-2014.

⁴⁷⁸ Fechner N., Wahrnehmung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente, Frankfurt am Main, 2010, 33.

⁴⁷⁹ BGH NJW 1985, 1617, 1618.

⁴⁸⁰ Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., Stuttgart, 2005, Anh I, Rz. 33, S. 321.

⁴⁸¹ BGW NJW 1988, 1984, 1985.

შეიძლება მოყვანილ იქნეს დღიურთან გაიგივებული პირადი ჩანაწერის რომელიმე კონკრეტულ სფეროსთან მიკუთვნების საკითხი. მაგ. გერმანის უმაღლესი სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ცრუ ჩვენების საქმეზე სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას ბრალდებულის მიერ განხორციელებული შინაარსის მქონე დღიურის გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე პიროვნული უფლების შემადგენელი ინტიმური სფეროს დარღვევად მიიჩნია და ამორიცხა მტკიცებულებათა სიიდან.⁴⁸² ამის საპირისპიროდ, იმავე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში⁴⁸³ გვხვდება საქმეებიც, სადაც სასამართლომ გადანყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტად მიიჩნია ჩანაწერის დიფერენციაცია შინაარსობრივი მხარის მიხედვით, შეათვასა რა მისი კავშირი უშუალოდ დანაშაულებრივ ქმედებასთან და დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით ამორიცხა პირადი ჩანაწერი პირადი ხელშეუხებლობის აბსოლუტურად დაცული სფეროდან.⁴⁸⁴ აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ეს პოზიცია არ ყოფილა ერთადერთი და ამავე საქმეზე განსხვავებული პოზიციის მქონე სენატის სხვა წევრების აზრით, პირადი ჩანაწერები აბსოლუტურად დაცულ ინტიმურ სფეროს განეკუთვნება და მისი გამოყენება პროცესის მიზნებისთვის, წარმოადგენს ძირითადი კანონით გარანტირებული ღირსების უფლებისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შელახვას⁴⁸⁵. მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ პიროვნებამ ჩანაწერები ფურცელზე განახორციელა, არ ქმნის მის აბსოლუტურად დაცული სფეროდან ამორიცხვის საფუძველს და ჭეშმარიტად იმსახურებს კრიტიკას, რადგან სასამართლოს ამ ნაწილში არ

⁴⁸² BGH, Urteil vom 21. 2. 1964 - 4 StR 519/63 (LG Hagen).

⁴⁸³ BVerfG, 80, 367, (373), Beschluß vom 14-09-1989 - 2 BvR 1062/870- Tagebuchentscheidung- აღნიშნულ საქმეში საოლქო სასამართლომ განიხილა მკვლელობის საქმე და შეუფარდა მსჯავრდებულს სამუდამო თავისუფლების აღკვეთა 1985 წელს ერთ-ერთი ქალბატონის მკვლელობის საქმეზე. მკვლელობამდე მსჯავრებული აწარმოებდა პირადი ხასიათის ჩანაწერებს, რომელშიც სინანულით აღწერდა დაბრკოლებებს ქალებთან უთიერთობისას. ჩანაწერებიდან ერთ-ერთი გამოყენებულ იქნა სასამართლოში ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად. სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავ ორგანოებს ხელში ჩაუვარდათ მკვლელობამდე ბრალდებულის მიერ განხორციელებული პირადი ჩანაწერები, სადაც ის აღწერდა საკუთარ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობს. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პირადი ჩანაწერი არ მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროს და მისი გამოყენება დასაშვებია საზოგადოებისთვის აუცილებელი და აღმატებული ლეგიტიმური მიზნის არსებობისას თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, როგორცაა მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

⁴⁸⁴ BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 - 2 BvR 1062/87-სენატში გადანყვეტილების მიღებისას ხმები თანაბრად გაიყო, თუმცა მოსამართლეების- *Träger, Kruis* და *Kirschhof*-ის ციტირებული მოსაზრება დაედო საფუძვლად გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

⁴⁸⁵ BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 - 2 BvR 1062/87.

წარმოუდგენია მყარი არგუმენტი, რაც მაგ. გამოსახულების და პირადი დღიურის სხვადასხვა სფეროში მოხვედრას გაამართლებდა.

მეორე საქმე, რომელიც ანალოგიური შინაარსის გამო იმსახურებს ყურადღებას ჰამბურგის სამხარეო ზედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა,⁴⁸⁶ სადაც სასამართლომ თავისუფალ საზოგადოებაში პიროვნული უფლებების განმტკიცების მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად, პიროვნების სექსუალური სახის ქცევა არ მიაკუთვნა აბსოლუტურად დაცულ სფეროს და მასში ჩარევის ალბათობაც დაუშვა თანაზომიერების პრინციპისა და ქცევის სოციალური გავლენის შეფასების გათვალისწინებით. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის სექსუალური ურთიერთობის არსებობის შესახებ ფაქტი, გავლენას ახდენდა სხვა ადამიანზე და მათ შორის საზოგადოებაზეც. შესაბამისად, კითხვა ჰქონდა თუ არა მომჩივანს სექსუალური კავშირი კონკრეტულ პიროვნებასთან და იყო თუ არა ეს უკანასკნელი ამ ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვის მამა, პიროვნების არა ინტიმურ, არამედ კერძო სფეროს მიაკუთვნა. ამგვარი დაშვებით კი ლანდის სასამართლომ ფაქტობრივად წაშალა დოგმატური ზღვარი თეორიულად აღიარებულ სფეროთა თეორიის კერძო და ინტიმურ სფეროს შორის, მაშინ, როდესაც კონცეფციას გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა პირადი ხელშეუხებლობის ამ ორი სფეროს გამიჯვნაში.

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პირადი თავისუფლების უფლებასთან. ამასთან, ადამიანის დღიური, როგორც წესი, განეკუთვნება ინტიმურ სფეროს, ხოლო სხვა ტიპის პირადი ჩანაწერები - კერძო სფეროს⁴⁸⁷. დღიურთან გაიგივებული ჩანაწერები, რომელიც დაკავშირებულია ავტორის პიროვნულ სფეროსთან, არ შეიძლება სასამართლოში გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად ავტორის ნების საწინააღმდეგოდ, გარდა ჩარევის გამამართლებელი განსაკუთრებული საფუძვლის არსებობისა⁴⁸⁸. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადი ჩანაწერის

⁴⁸⁶ OLG Hamburg, NJW-RR 1991, 98 ff, Urteil vom 13-09-1990 - 3 U 129/90-Berichterstattung über Intimbeziehung.

⁴⁸⁷ *კობახიძე ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 20, თბ., 2013, 180-181.

⁴⁸⁸ BGH, Urteil vom 21. 2. 1964 - 4 StR 519/63 (LG Hagen)- აღნიშნულ საქმეში ბრალდებულს წარმოადგენს საჯარო სკოლის მასწავლებელი, რომელიც გასამართლებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით. ეს უკანასკნელი სასიყვარულო ურთიერთობაში იყო მის მეზობლად მცხოვრებ ქორწინებაში მყოფ პედაგოგთან და რეგულარად აწარმოებდა ჩანაწერებსა და შეხვედრის კალენდარს. მასწავლებლის მიმართ, რომელიც მოგვიანებით სკოლის დირექტორი გახდა, დაიწყო დისციპლინური საქმის წარმოება, სადაც მოწმის სახით დაიკითხა ქალბატონიც, მან ცრუ ჩვენება მისცა რექტორის მიმართ და უარყო მასთან ყველანაირი ინტიმური ურთიერთობა. მომდევნო პარტნიორს ხელში ჩაუვარდა ქალბატონის სასიყვარულო ჩანაწერები, რომლის მეუღლემაც გადასცა სამართალდამცავ ორგანოებს. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის ბრალდებულის პირადი ჩანაწერი ინტიმური ურთიერთობის შესახებ, ავტორის ნებართვის გარეშე არ უნდა იქნა გამოყენებული სასამართლო მტკიცებულებად.

გახორციელებისას, ავტორს ექნება მუდმივი შიში, რომ ეს უკანასკნელი მისი ნებართვის გარეშე შეიძლება გახდეს განხილვის საგანი, რაც საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას გამოიწვევს.

4.3.2 კერძო სფერო

პირადი სივრცის უზრუნველყოფილი დაცვა წარმოადგენს თავად თავისუფლების იდეის და პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეუქცევად ნაწილს. კერძო სფერო უკავშირდება ადამიანის ცხოვრების პიროვნულ კუთხეს, სადაც ყველას უნდა გააჩდეს საჯარო კონტროლის და შეზღუდვის გარეშე ცხოვრების უფლება, რანგის, სოციალური მდგომარეობის თუ პოზიციის მიუხედავად.⁴⁸⁹ კერძო სფერო საკმაოდ ფართო სივრცეა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, განასხვავებენ 1. ინფორმაციული კერძო ცხოვრებას (პერსონალური მონაცემების დაცვა). 2. საკომუნიკაციო თავისუფლებას. 3. სივრცის ხელშეუხებლობას.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კერძო სფეროს საგნობრივად დაცულ მასშტაბს მიეკუთვნება ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი ინფორმაციული შემცველობის გამო, მიჩნეულია ტიპურად „პირადად“, ვინაიდან „მათი საზოგადო განხილვა და წარდგენა ითვლება უხერხულად, სამარცხვინოდ ან იწვევს გარშემომყოფთა უარყოფით რეაქციებს და დამამცირებლად წარმოაჩენს ინდივიდს საზოგადოების თვალში“⁴⁹⁰. გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ პირველად ცნობილ *Leserbriefentscheidung*-ში⁴⁹¹ განავითარა მსჯელობა „ხელშეუხებელ კერძო სფეროზე“, სადაც სასამართლომ მოახდინა დიფერენცირება კერძო და მის ანტიპოდ- „საზოგადო სფეროს“ შორის.

ევროპული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება დადგინდეს, რომ კერძო სფერო მოიცავს საცხოვრებელ, საოჯახო ან სხვა, საზოგადოებისგან განცალკევებად ტერიტორიას⁴⁹², ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას,⁴⁹³ პირად მიმონერას მეუღლეებს შორის⁴⁹⁴, სექსუალური ცხოვრების დეტალებს⁴⁹⁵, სოციალურად გაკიცხვად

⁴⁸⁹ BverfGE 101, 361 (382), Caroline v. Monaco II.

⁴⁹⁰ Hiller V., Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), Technische Universität Bergakademie, Freiberg, I Aufl. 2014, 61.

⁴⁹¹ BGHZ 13, 334 (338, 339).

⁴⁹² Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., Kommentar zum BGB, §823, 13. Auf., Stuttgart, 2005, Anh I, Rz. 44, 321.

⁴⁹³ BGH NJW 1996, 984, 985.

⁴⁹⁴ BverfGE 27, 344, Ehescheidungsakten, zur geschützten Kommunikation innerhalb der Familie.

⁴⁹⁵ BverfGE 47, 46; 49; 286, Geschlechtsumwandlung.

საქციელს,⁴⁹⁶ ელექტრონული შეტყობინების შინაარსს⁴⁹⁷, ან ქონებრივი სახის ურთიერთობებს პირებს შორის, მაგ. პირის მიერ ქონების დაკარგვა, როგორც სოციალური პრესტიჟის დამამცირებელი გარემოება⁴⁹⁸.

ამდენად, ცალკეული პიროვნული უფლებისგან განსხვავებით, კერძო სფერო, მართალია, ასევე აღმოცენდება ზოგადი პიროვნული უფლების წიაღიდან, თუმცა ის იცავს არა სპეციალურად რომელიმე კონკრეტულ უფლებას, არამედ თემატურად და სივრცობრივად განსაზღვრულ სხვა ღირებულებებსაც,⁴⁹⁹ რაც ვერ იქნება ამომწურავად აღწერილი სსკ-ის მე-18 მუხლში. ის ზოგადად მოიცავს ყველა ვითარებას, რაც ობიექტური შეფასებით „კერძოობის“ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

კერძო სფეროს დაცვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ნაწილს განეკუთვნება ქორწინება და ოჯახი.⁵⁰⁰ ოჯახური კონფლიქტების ან სხვაგვარი უსიამოვნო დეტალების შემცველი ინფორმაცია, თუნდაც ეს უკანასკნელი სიმართლეს შეესაბამებოდეს, არ უნდა იქნეს გასაჯაროებული უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.⁵⁰¹ პიროვნულობის დაცვის გაძლიერებული საჭიროება არსებობს, როდესაც ოჯახური ისტორიის თაობაზე საგაზეთო სტატია ოჯახის არასრულწლოვან წევრებზე ახდენს გავლენას.⁵⁰² აღნიშნული წესიდან გამონაკლისს ქმნის ვითარება, როდესაც

⁴⁹⁶ BVerfGE 44, 353, Suchtkrankenberatungsstelle.

⁴⁹⁷ BGH GRUR 2015, 92.

⁴⁹⁸ Bremen MDR 1992, 1033.

⁴⁹⁹ BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9.

⁵⁰⁰ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 190.

⁵⁰¹ BGH, Urteil vom 05.03.1974 - VI ZR 89/73 (OLG Köln)- მოსარჩელეს წარმოადგენდნენ 1971 წელს გარდაცვლილი ბავშვის მშობლები, რომელიც ბონის საავადმყოფოში დაიღუპა ნარკოტიკული საშუალების დიდი დოზის გამოყენების გამო, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა სამხარეო საავადმყოფოში ხელმისაწვდომი. საავადმყოფოში ბავშვი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო იქნა გამწესებული სასამართლოს მიერ. საავადმყოფოში მას მეორე მოზარდის დახმარებით ხელში ჩაუვარდა სახანძრო მონყობილობა, რომელშიც გაზის ნაცვლად ჰეროინი ინახებოდა. ზედმეტი დოზის გამოყენების შედეგად ბავშვი გარდაიცვალა. ამავე წელს ბონის ექსპრეს გამოცემაში დაინერა სტატია აღნიშნული ინციდენტის შესახებ, რომელიც გარდაცვლილი ბავშვისა და ოჯახური ფოტოთი იყო ილუსტრირებული. სტატია იუწყებოდა გარდაცვალებამდე ბავშვის მიერ რამდენიმე აფთიაქის გაქურდვის ამბის შესახებაც. მშობლებმა ამ ფაქტის შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის სახით მოითხოვეს გამომცემლობისგან 10 000 გერმანული მარკის გადახდა, რომლის დაკმაყოფილებაზეც სამივე ინსტანციის სასამართლომ უარი განაცხადა. სასამართლომ, მართალია, ჩათვალა, რომ სახეზე იყო ზოგადი პიროვნული უფლების მართლსაწინააღმდეგო შელახვა, თუმცა გამოსახულებაზე უფლებამოსილი პირის გარდაცვალების გამო უარი თქვა მის მაგივრად სხვა პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

⁵⁰² BVerfG (1. Kammer des Ersten Senats), Beschluß vom 22. 3. 2007 - 1 BvR 2007/02.

პირი მაღალ პოზიციას იკავებს საჯარო ცხოვრებაში და ეს ფაქტი საზოგადოებრივი ინტერესის აქტიურ სფეროს განეკუთვნება.⁵⁰³

სსკ-ის მე-18 მუხლში დაცული პირადი ხელშეუხებლობის უფლება ყველას, მათ შორის საჯარო პირებსაც აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი ცხოვრება სხვების არასასურველი ყურადღებისგან, არ გაასაჯაროვოს ისეთი დეტალები, რომელიც უკავშირდება მის ჯანმრთელობას, პირად ურთიერთობებს და ა.შ.

4.3.3 კერძო სფეროს სივრცითი ფარგლები

სივრცობრივი თვალსაზრისით კერძო სფერო მოიცავს უპირატესად საცხოვრებელი სადგომის შიდა ტერიტორიას ან თავად საცხოვრებელ ფართს, თუმცა ადამიანის პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ეს სფერო თავიდანვე შეიზღუდოს საცხოვრისით. პირადი სფეროს დაცვის მასშტაბის მხოლოდ სახლის და მიმდებარე მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე გავრცელებით⁵⁰⁴ მნიშვნელოვნად დავიწროვდებოდა პიროვნულობის დაცვის ფარგლები. ამდენად, კერძო სივრცეს შეიძლება განეკუთვნებოდეს ასევე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ადგილებიც, როდესაც დაინტერესებული პირი განმარტოების მიზნით აირჩევს,⁵⁰⁵ რადგან პირადი ხელშეუხებლობის უფლებით დაცული კერძო სფერო აძლევს უფლებას პირს სხვა, ობიექტურად გამოყოფილ ადგილებზეც შეინარჩუნოს „მარტობა“ საინფორმაციო საშუალებების მიერ გაშუქების შიშის გარეშე.⁵⁰⁶ აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება ფოტო თუ ვიდეოგადაღებების ისეთ ტექნიკაზე, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც ტერიტორიული დისტანცია პრობლემას არ წარმოადგენს და ობიექტივის სამიზნეს არც კი ძალუძს ყოველივეს შემჩნევა.⁵⁰⁷

⁵⁰³ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 190.

⁵⁰⁴ BVerfGE NJW 2008, 822 (826), Online Durchsuehung; BVerfGE 101, 383, Caroline v. Monaco II.

⁵⁰⁵ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 183.

⁵⁰⁶ BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9- „Der Einzelne muss grundsätzlich die Möglichkeit haben, sich auch an anderen, erkennbar abgeschiedenen Orten von Bildberichterstattung unbehelligt zu bewegen“.

⁵⁰⁷ BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9; BGH (Ermittlungsrichter), Beschluß vom 14.03.1997 - 1 BGs 65/97- სასამართლომ დაადგინა, რომ მიწის ნაკვეთის ნაწილი სავალ გზასა და სახლის შემოსასვლელს შორის „სივრცულ კერძო სფეროს“ განეკუთვნება. გადანწყვეტილების მიღებისათვის საკმარისია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტერიტორია ინდივიდუალური ცხოვრების უფლების შემადგენელი სივრცეა. ამ განმარტებით გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ საცხოვრებელი სახლის ბაღის წინა ნაწილში არასაჯარო გარემოში წარმოთქმულ სიტყვაზე უფლება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში გაიყვანა, როდესაც საუბრის მონაწილეები არ იყვნენ ინფორმირებული საუბრის ჩანერის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით „სახლის“ ცნების განმარტებისას აღნიშნავს, რომ ცნება „Home“-ს უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი მნიშვნელობა შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპებისგან განყენებულად⁵⁰⁸. ცნების ინგლისურენოვან ტერმინი უნდა განიმარტოს ფრანგული ანალოგის- „domicile“-სგან შედარებით ფართოდ⁵⁰⁹ და არ უნდა მოხდეს შეზღუდვა საკუთრების იმ ობიექტით, სადაც განცხადებელი მხოლოდ მესაკუთრედ ან დამქირავებლად გვევლინება. ის უნდა გავრცელდეს გრძელვადიანი პერიოდით დაკავებულ ადგილზე, მაშინაც კი, თუ სახლი ინდივიდის ნათესავის საკუთრებაშია⁵¹⁰. სახლის ცნებაზე საუბრისას ევროსასამართლო ასევე არ ახდენს მის შემოსაზღვრას მხოლოდ ტრადიციული საცხოვრისის ელემენტებით და ქარავანს ან სხვა არათიქსირებულ, არატრადიციულ სამყოფელსაც საქმის გარემოების მიხედვით „სახლის“ დეფინიციამი აქცევს⁵¹¹.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი ძირითადი უფლების რანგში განამტკიცებს საცხოვრებელი ფართის და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებას და კრძალავს სასამართლოს გადაწყვეტილების ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ბინაში შეღწევას ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი დანაშაულად აკვალიფიცირებს იმავე ქმედებას. კერძო მფლობელობა ყველაზე ახლოს დგას ადამიანის ღირსების დაცვის ზღვართან. მართალია, აღნიშნული სივრცე არ განეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროს, თუმცა აბსოლუტურად დაცვას იმსახურებს ამ სივრცეში განხორციელებული პიროვნების ისეთი ქმედებები, რომლებიც თავის ბუნებით და შინაარსით პიროვნების შინაგან სამყაროსთან ყველაზე ახლოსაა.⁵¹² ამ თვალსაზრისით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს კერძო მფლობელობის დაცვისა და სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის გახსნის ლეგიტიმური მიზნის ურთიერთმიმართების დადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ბალის ეს კუთხე ქუჩის საერთო სივრციდან ორი მეტრით იყო დამორეზული.

⁵⁰⁸ Chiragac and Others v. Armenia, ECHR, განაცხადის №13216/05, 16.06.2015, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-155353%22%5D%7D>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 26.12.2018, 14:23]; Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 62, https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 11.12.2018, 17:25].

⁵⁰⁹ Niemietz v. Germany, ECHR, განაცხადის №13710/88, 16.12.1992.

⁵¹⁰ Mentés and Others v. Turkey, ECHR, განაცხადის №58/1996/677/867, 28.11.1997.

⁵¹¹ Chapman v. The United Kingdom, ECHR, განაცხადის №27238/95, 18.01.2001.

⁵¹² BVerfG, Urteil vom 3.3.2004 - 1 BvR 2378/98 u. 1 BvR 1084/99.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი ანალოგიურად კრძალავს მფლობელ პირთა ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობაში შეღწევას, ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტი აწესებს გამონაკლისის სახით აღნიშნული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შესაძლებლობას დანაშაულის გამოძიების მიზნით. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდგომ⁵¹³ აკრძალულია კერძო მფლობელობაში არა მხოლოდ ფიზიკური შეღწევა, არამედ მოსასმენი აპარატის დამონტაჟება, გარდა დანაშაულის გახსნის ლეგიტიმური მიზნის არსებობისა.

ის ფაქტი, რომ ინტიმური სფეროსგან განსხვავებით კერძო სფერო არ არის აბსოლუტურად დაცული და ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში დასაშვებია მისი შელახვა საქართველოს კანონმდებლობითაც არის აღიარებული. აღნიშნულის მაგალითია „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შესაძლებელია ვიდეო თვალთვალის გამოყენება და მაქსიმალურად მიმართულია კერძო სივრცის დაცვაზე ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ისეთ ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, როგორცაა ეროვნული უშიშროება ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უწესრიგობისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისა და სხვა პირთა უფლებების/ინტერესების დაცვის მიზნით, დასაშვებად მიიჩნევა კერძო სფეროს ფარგლებში ელექტრონული თვალყურის დევნებას ტექნიკური საშუალების გამოყენებით. აღსანიშნავია, ასევე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთ სახედ აწესებს ვიზუალურ კონტროლის მექანიზმს კანონით ნათლად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

⁵¹³ 1 BvR 1611/96, 1 BvR 805/98, Art. 13 Abs. 3 bis 6 GG in der Fassung von; Art. 1 Nr. 1 des Gesetzes zur Änderung des GG (Art. 13) v. 26.3.1998; Art. 2 Nr. 2 Buchstabe a und Nr. 5 des Gesetzes zur Verbesserung der Bekämpfung der Organisierten Kriminalität v. 4.5.1998- ახალი რედაქციის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის ვარაუდის საშუალებას, რომ სახეზეა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი, შესაძლებელია დანაშაულის გამოძიების მიზნითა და სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე კერძო მფლობელობაში დამონტაჟებულ იქნეს აკუსტიკური მოსმენის საშუალება, სადაც საუბრად იმყოფება ეჭვმიტანილი, თუ საქმის გამოძიება სხვა გზით შეუძლებელია ან მნიშვნელოვნადაა გართულებული. აღნიშნული ღონისძიება დროებითი სახისაა და განიხილავს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. გადაუდებელი აუცილებლობისას დაშვებულია გამონაკლისის დადგენილების გამოტანა ერთი მოსამართლის მიერაც.

ამდენად, სივრცის კერძოდ მიჩნევის თაობაზე გადანაცვებების მიღება მხოლოდდამხოლოდ სივრცის სიტუაციურ ანალიზზეც ვერ იქნება დამოკიდებული, რადგან ერთი და იმავე ადგილზე სხვადასხვა პიროვნება შესაძლებელია თავს სხვადასხვაგვარად გრძნობდეს. აქ მთავარია პირმა იპოვოს და შექმნას ისეთი ვითარება, სადაც მას ექნება გონივრული და ლოგიკური ვარაუდის შესაძლებლობა, რომ იგი თავისუფალია საზოგადოების მეთვალყურეობისგან, რაც ასევე შესამჩნევია მესამე პირებისთვის⁵¹⁴. ასეთი ვარაუდის უფლება პირს არ ექნება, თუ პირი ამისათვის შეარჩევს ხალხმრავალ ადგილს. გერმანიის ძირითადი კანონით განსაზღვრული ზოგადი პიროვნული უფლებით ხალხმრავალი ადგილები თავიდანვე გამოირიცხება პირადი სფეროდან, ვინაიდან არ მიიჩნევა მოცემულად იზოლირებისა და განმარტოების მოთხოვნილება და შესაბამისად, არც მისი დაცვის საჭიროება. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ლოგიკურად კერძო სივრცედ უნდა იქნეს მიჩნეული თავისუფალი ქცევა საზოგადოებაში, თავისუფალ დროს საყიდლებზე სიარული ან კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა. ამ კუთხით დაცვა ვრცელდება ნებისმიერი ადამიანზე, მათ შორის საჯარო პირებზეც და ამ უფლების შეზღუდვის გამართლებად არ გამოდგება არც საზოგადოების ინტერესი და არც მედია საშუალებების სურვილი სენსაციურ ინფორმაციის მოპოვებაზე.

თუ პიროვნებამ თავის ნებით ხელი შეუწყო ან დაუშვა საკუთარი პირადი სივრციდან ინფორმაციის გასაჯაროება, პირადი სფეროს დაცვის შესაძლებლობა მცირდება ან გამოირიცხება.⁵¹⁵ მოცემული ფაქტობრივი გარემოების პირადი სივრცისადმი მიკუთვნების და შესაბამისად ხელშეუხებელ სფეროდ აღიარების საკითხის გადანაცვება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, ეს გარემოება თავისი პერსონიფიცირებული ბუნებიდან გამომდინარე იმსახურებს თუ არა უპირატეს მდგომარეობას და რა სახეობის ან ინტენსივობის შემხებლობა აქვს ამ უკანასკნელს სხვის ან საჯარო სფეროებთან.

4.3.4 კერძო კომუნიკაციის დაცვა

პიროვნული სივრცის დაცვის უფლების შემადგენელი ნაწილია პირის უფლება არ იქნეს თვალყურის დევნების ობიექტი, არ მოხდეს მასზე

⁵¹⁴ BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9-ქართული თარგმანი იხ. შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანაცვებები, თბ., 2011, 35.

⁵¹⁵ BVerfGE NJW 2006, 3406 (3408), Bildberichterstattung über Privatperson ohne hervorgehobene Prominenz.

ვიზუალური დაკვირვება, მიყურადება, ფარული ჩანერა და. ა.შ.⁵¹⁶ პრინციპულად მართლსაწინააღმდეგო ქმედებას განეკუთვნება საუბრის ფარული ჩანერა, თუნდაც ეკონომიკური ან სამსახურეობრივი მიზნით.⁵¹⁷

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მყარი პრაქტიკით კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა ეფუძნება ზოგად პიროვნულ უფლებას და წარმოადგენს საკუთარ ხმაზე უფლების კონკრეტულ შემთხვევას. ამ უფლების დაცვა მოიცავს კომუნიკაციისას საკუთარი შეხედულებების შესაბამისი მოქმედებისა და საუბრის შესაბამის პარტნიორზე მორგების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობას, მხოლოდ საუბრის მონაწილისთვის უნდა გახდეს ცნობილი კომუნიკაციის შინაარსი, თუ ასევე - პირთა გარკვეული ჯგუფის ან საზოგადოებისთვის⁵¹⁸.

სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილ უფლებებში არ მოიაზრება სპეციალური უფლება საკუთარ ხმაზე, რაც კანონის სერიოზულ ნაკლად შეიძლება იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, კერძო სფეროს შემადგენელი ამ უმნიშვნელოვანესი და პრაქტიკაში აქტუალური საკითხის განხილვაც პირადი ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში უნდა მოხდეს. კერძო კომუნიკაციის ფარული ჩანერისას მოპოვებული მტკიცებულების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალწარმოების სტადიაზე, სადაც ერთგვარი დიფერენცირებული მიდგომა არსებობს იმის მიხედვით, თუ რომელი დარგის პროცესში ხდება ამ მტკიცებულების გამოყენება-სისხლის თუ სამოქალაქო პროცესში.

კერძო კომუნიკაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელების ფაქტები⁵¹⁹ აქტუალურ თემას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებაში. კერძო სფეროს შემადგენელი ე.წ. საიდუმლო სივრცე სპეციალურ სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-160-ე მუხლებით, სადაც დანაშაულის ცალკე შემადგენლობადაა განსაზღვრული პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ხელყოფა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, კერძო კომუნიკაციის დარღვევა, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის

⁵¹⁶ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 188.

⁵¹⁷ BVerfGE 34, 238, 243= NJW 1973, 891; BGH NJW 1982, 277- Tohnbadaufnahme II; BGHZ 27, 284= NJW 1959, 1344; OLG Köln NJW 1979, 661.

⁵¹⁸ BGH, Urteil vom 8. 2. 1957 - 1 StR 375/56 (SchwG Weiden)- Zulässigkeit von Rundfunkaufnahmen; BVerfG, Beschluß vom 3. 6. 1980 - 1 BvR 185/77-Verletzung des Persönlichkeitsrechts durch Unterstellung tatsächlich nicht gemachter Äusserungen- იბ. შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, თბ., 2011, 39.

⁵¹⁹ http://pog.gov.ge/geo/news?info_id=485 [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.09.2018, 18:05].

ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კერძო საუბრის უნებართვო ჩანერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემების უნებართვო მოპოვება. „მაუნყებელთა ქცევის კოდექსის“⁵²⁰ 35-ე მუხლის მე-14 ნაწილი ჩამოთვლის ფარული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის გამამართლებელ გარემოებებს. ესენია: როდესაც მოვლენა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ახალი მტკიცებულებები იქნება მოპოვებული და ეს აუცილებელია პროგრამის სიზუსტის უზრუნველსაყოფად; საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხებზე, კომედიური და გასართობი პროგრამების მოსამზადებლად, ხოლო ამავე მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე ფარული ჩანერა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით, მათ შორის საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოქალაქოსამართლებრივ საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის იურიდიული ბედის თაობაზე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც.⁵²¹ საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო წარმოადგენს თუ არა ორი ფიზიკური პირის პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული ჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებას აღნიშნულ პირთა შორის სამოქალაქო დავის პროცესში, სადაც 2015 წელს სასამართლომ პირადი შეხვედრებისას განხორციელებული საუბრების ფარული აუდიოჩანაწერი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დამამტკიცებელი მტკიცებულება, სასამართლომ კანონდარღვევით მოპოვებულ და შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია.⁵²² აღნიშნულ საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინტიმური სფეროსგან განსხვავებით, კერძო სფერო არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს

⁵²⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება „მაუნყებელთა ქცევის კოდექსის“ დადგენის შესახებ, სსმ, 32, 18/03/2009, 300.010.000.17.010.012.895.

⁵²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014.

⁵²² *კობახიძე ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, თბ., 2013, 181.

უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით.⁵²³ ამგვარი ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს თვითდახმარების და „თვითდახმარებასთან მიახლოებულ“ ფარგლებში მოქმედება, როდესაც ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად⁵²⁴ ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზის მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.

ამდენად, თუ პირზე ხორციელდება შანტაჟი, ზენოლა, მუქარა, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა⁵²⁵, თუმცა აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შექმნას ემსახურება.⁵²⁶ ამასთან, სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტალური- შეჭიბრებითობის პრინციპის დარღვევით ამგვარი ჩარევა საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობების კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულებების შექმნაზე. შესაბამისად, მხოლოდდამხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დამტკიცებისთვის მტკიცებულების შექმნის პირადი ინტერესი ვერ უქმნის კანონიერ საფუძვლებს სხვისი საუბრის ჩანწერით ზოგადი პიროვნული უფლების შელახვას.⁵²⁷

აღსანიშნავია, რომ დასახელებული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო შემდგომში უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას, რომელმაც არა სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების, არამედ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე, ასევე

⁵²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014.

⁵²⁴ BGH, Urteil vom 20.05.1958 - VI ZR 104/57 (OLG Köln)-Tohnaufnahmen- აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა ერთ-ერთი დანესებულების დირექტორი, რომელსაც სამსახურებრივი კონფლიქტი ჰქონდა თანამშრომელთან მრავალწლიანი სასამართლო დავებით. 1954 წელს მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინაშე შეურაცხყოფის თაობაზე, სადაც მან მტკიცებულებად წარადგინა საკუთარ ბინაში შემდგარი საუბრის ჩანაწერი.

⁵²⁵ BGH GRUR 1988, 339.

⁵²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014; იგივე დასაბუთება იხ. BGH NJW 1982, 277- Thonaufnahme II.

⁵²⁷ BGHZ 27, 284 (286)=NJW 1958, 1344- Thonaufnahme I, Urteil vom 20. 5. 1958 - VI ZR 104/57 (Köln)- „მხოლოდ ზოგადი პიროვნული უფლების მფლობელის პრეროგატივას განეკუთვნება საკითხი, გადაწყვიტოს მისი სიტყვა ვისთვის გახადოს ხელმისაწვდომი, მხოლოდ კომუნიკაციის პარტნიორის თუ პირთა განსაზღვრული წრის წინაშე“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165-ე რეზოლუციაზე⁵²⁸ დაყრდნობით ხელი შეუწყო პირადი სფეროს დაცვას.⁵²⁹

ამგვარი პრაქტიკა სრულად შეესაბამება გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიერ დადგენილ მიდგომას, რომელიც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს საუბრის უნებართვო და ფარული ჩანაწერის გამოყენებას სასამართლო მტკიცებულებად ზოგად კონტექსტში⁵³⁰ და ასევე საუბრის ფარული ჩანაწერის განმარტებით მესამე პირის მიერ მიცემულ ჩვენებასაც კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულ მტკიცებულებად მიიჩნევს⁵³¹, თუ სახეზე არ არის აღმატებული ლეგიტიმური ინტერესი. გერმანული მართლმსაჯულება აღნიშნულ ფაქტს ზოგადი პიროვნული უფლების ჭრილში განიხილავს და კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთარ სიტყვაზე უფლების დარღვევად აკვალიფიცირებს. მიუხედავად ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის დეტალური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კერძო კომუნიკაციის სასამართლო მტკიცებულებად გამოყენების საკითხი არაერთმნიშვნელოვნადაა გადაწყვეტილი. გერმანიის ძირითადი კანონი და განსაკუთრებით 20-ე მუხლის მე-3 პუნქტით დამკვიდრებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა სისხლისსამართლებრივი დევნისა და დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის დიდი მნიშვნელობა და ასევე საზოგადოების ინტერესი სისხლის სამართლის პროცესში შეძლებისდაგვარად სრულყოფილი ჭეშმარიტების გამორკვევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი- მძიმე

⁵²⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუცია Right to Privacy (1998) <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta98/ERES1165.htm>.

⁵²⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1337-1375-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1054-994-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-290-276-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-238-226-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-842-786-2017.

⁵³⁰ OLG Köln, NJW 1979, 661;

⁵³¹ LG Frankfurt, Urteil vom 02-02-1982 - 2/16 S 225/81- ფრანკფურტის საოლქო სასამართლო განმარტებით, კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც უნივერსალური და ზედამატებული სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპი, სამოქალაქო პროცესშიც ინტენსიურია, რაც პროცესის ყველა მონაწილეს ავალდებულებს, მტკიცებულების ხელოვნურად შექმნის მიზნით არ გამოიყენოს არამართლზომიერი მეთოდები- იხ. BGH, Urteil vom 17-02-1982 - VIII ZR 29/81 (KG).

დანაშაულთა ეფექტური გამოძიებისა და გახსნის მიმართ.⁵³² პრაქტიკა არ უარყოფს საუბრის მონაწილის უფლებას წარმოთქმულ სიტყვაზე და მის მნიშვნელობას პიროვნულობის დაცვის სარჩელებში, თუმცა დაცულ სფეროში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს აღმატებული კერძო ან საჯარო ინტერესების დაპირისპირებისას,⁵³³ რომელიც ნათლად ვლინდება სისხლის სამართლის საქმეზე ეფექტური გამოძიების წარმართვის, დამნაშავის დასჯისა და უდანაშაულოს გათავისუფლების ინტერესებში. კონკრეტულ საქმეში აღნიშნული ინტერესები უნდა აღემატებოდეს დარღვეული ძირითადი უფლების მნიშვნელობას და ჩარევა ფორმის, შინაარსისა და თანმხლები გარემოებების გათვალისწინებით გამოსადეგი და ვარგისი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სწორედ ამგვარი აღმატებული საჯარო ინტერესის არსებობისას პირის ლეგიტიმურმა ინტერესმა-ინფორმირების გარეშე არ მოხდეს მისი კერძო საუბრის ჩაწერა და გამოყენება- შესაძლებელია უკან დაიხიოს.

4.3.5 სოციალური სფერო

სოციალური სფერო, რომელსაც ხშირად საჯარო ან საზოგადო სფეროს სახელწოდებით მოიხსენიებენ,⁵³⁴ მოიცავს ცალკეული პირის ჩართულობას საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში, ადამიანის, როგორც სოციალური არსების თვითრეალიზების შესაძლებლობას გარესამყაროსა და საჯარო სივრცეში. სოციალური სივრცე სფეროთა მოდელეებში გარეგან გარსს წარმოადგენს და ყველაზე მეტადაა დაშორებული პიროვნულ ბირთვთან. ამ სფეროში ჩარევა მიზერული წინაპირობები დაცვითაა შესაძლებელი⁵³⁵. ამის კარგი მაგალითია მედიასაშუალებებით მიწოდებული სწორი გამონათქვამი, რომელიც პიროვნების სოციალურ სფეროს ეხება, მაშინაც კი დაშვებულია, როდესაც ის ადრესატისთვის ზიანის მომტან ცნობას შეიცავს, თუმცა თუ ხელყოფის ზემოქმედების ხარისხი პიროვნულ სიღრმეებზე

⁵³²BverfGE 34, 238 [248]; 80, 367 [375]- ქართული თარგმანი იხ. შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, 42; ასევე იხ. BVerfG, Beschluß vom 15. 12. 1965 - 1 BvR 513/65- Haftverschonung bei Verbrechen wider das Leben; BVerfG, Beschluß vom 3. 5. 1966 - 1 BvR 58/66-Dauer der Untersuchungsschaft; BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 - 2 BvR 28/71-Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten; BVerfG, Beschluß vom 13. 10. 1970 - 1 BvR 226/70-Rücklieferung eines Deutschen ins Ausland nach vorangegangener vorläufiger Auslieferung.

⁵³³BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 - 2 BvR 454/71- Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahme.

⁵³⁴ Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., 2005, Stuttgart, Anh I, Rz. 45.

⁵³⁵ Hiller V., Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), I Aufl., Freiberg, 2014, 63; Beater A., in: Soergel H.T., Spickhoff A., §823 BGB, 13. Auf., 2005, Stuttgart, Anh I, Rz. 45; Hubmann H., Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967, 269.

საკმაოდ მაღალია, ამ შემთხვევაში მსგავს გამოხატულებებს უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.⁵³⁶

5. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დარღვევა

5.1 არსებითად ჭეშმარიტი ფაქტების გავრცელება, როგორც პირადი ცხოვრების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევა

არც ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში და არც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში არ არის ცალკე გამოყოფილი პიროვნული უფლებების დარღვევის შემთხვევა რეალურად მომხდარი ანუ ჭეშმარიტი ფაქტების გავრცელების სახით. პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, თუნდაც ინფორმაცია არ იყოს „არსებითად მცდარი“, რასაც ცილისწამების საკანონმდებლო შემადგენლობა უთითებს, კერძო სფეროსთან არსებითი კავშირის გამო ის მაინც უნდა იმსახურებდეს გასაჯაროებისგან დაცვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელების შემთხვევაზე და დაცვის კონკრეტულ მექანიზმად ამავე მუხლში ითვალისწინებს ინფორმაციის უარყოფას. ასევე კონკრეტულად საუბრობს ორგანიზაციის მიერ გაცემულ საბუთზე, რომელიც სავარაუდოდ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შელახვას ეხება. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი „შემლახველი ცნობების“ კონტექსტში პირადი ცხოვრების საიდუმლოებას პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან აიგივებს. რეალურად კი, თუ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის რეგულირებისას კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვისას საქმე ეხება სრულიად საპირისპირო მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პიროვნება დაინტერესებული იყოს მისი გახმაურებისგან დაცვით,⁵³⁷ რადგან კანონი უშუალოდ პირადი ცხოვრების საიდუმლოებას ანუ ობიექტს კი არ იცავს, არამედ იცავს სუბიექტს,

⁵³⁶ *Hiller V.*, Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), Technische Universität Bergakademie, I Aufl., Freiberg, 2014, 63.

⁵³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-1240-02.

პიროვნებას პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფისას⁵³⁸. ამდენად, პირადი ცხოვრებიდან არსებითად ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროების დაცვის ბერკეტად თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით დავინროებული ინფორმაციის უარყოფა, არამედ მოქმედების შეწყვეტა, თავის შეკავება და ზიანის ანაზღაურებაც, თუ „შემლახველი ცნობა“ არსებითად ჭეშმარიტ ფაქტებს მოიცავს. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან „პირადი ხელშეუხებლობის“ უფლების გამოტოვებაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ეს უკანასკნელი დაცული სფეროების მიხედვით ისევე იმსახურებს დაცვას არსებითად ჭეშმარიტი ან მცდარი ცნობების გავრცელებისგან, როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოება, აღნიშნული ორი უფლების თვისობრივი და შინაარსობრივი მსგავსების გამო.

პირადი ცხოვრების და პირადი ხელშეუხებლობის სფეროდან ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროების დაცვის გარანტიები ძვეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლი იძლევა კერძო საკითხთა წრის განსაზღვრისთვის საორიენტაციო განმარტებას, რომელიც მთლიანად ეხება საიდუმლოების გამხელისთვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც, თავის მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹, 27² და 27³-ე მუხლების შესაბამისად არის დაყოფილი- კომერციულ, პროფესიულ და სახელმწიფო საიდუმლოებად. მეტად პროგრესულად უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ 2011 წელს საქართველომ მიიღო სპეციალური კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების ანუ პიროვნების თაობაზე ჭეშმარიტი ინფორმაციის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

ამდენად, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა დაცული სფეროების მიხედვით, მოიცავს ისეთ დეტალებს პირის ცხოვრებიდან, რომელიც სინამდვილეში მოხდა, მაგრამ მხოლოდ ინდივიდის საკუთრებას წარმოადგენს და მისივე სურვილის შესაბამისად, ხელშეუხებელია სხვა პირთაგან⁵³⁹. დასახელებული უფლებების დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, არამედ გარანტირებულს ხდის პირის უფლებას, თავად გადანყვიტოს, პიროვნული სფეროსთან დაკავშირებით თუ რა ინფორმაციას გახდის საჯაროს.

⁵³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის გადანყვიტოება საქმეზე №593-1241-03.

⁵³⁹ იქვე.

ჭეშმარიტი ინფორმაციის გასაჯაროებისგან დაცვას (“*Indiskretionsschutz*”) გერმანულ სამართალში ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების ნაწილად განიხილავენ.⁵⁴⁰ აღნიშნული ნაწილის დაცვას საფუძველი ჩაუყარა 1954 წელს გერმანიის უმაღლესი სასამართლოს ორმა გადაწყვეტილებამ: პირველში საქმე ეხებოდა ყასბის შვილის თაობაზე დაავადების გავრცელების ფაქტს⁵⁴¹, ხოლო მეორე ინფორმაციის გავრცელებას კონკრეტული პირის ვაკოტრების შესახებ⁵⁴². საერთო სამართლის სისტემაში არსებობს სარჩელის სპეციალური სახე *Breach of confidence*, რომელიც საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროებისგან დაცვას უზრუნველყოფს.⁵⁴³ დღევანდელ ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში, ეკონომიკური ინფორმაციის კონფიდენციალურობის გარდა, პირადი ხასიათის ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის საჭიროებაც აღიარებულია. აღნიშნული სარჩელის გამოყენებისას არსებობს შემდეგი წინაპირობები: 1. ინფორმაცია უნდა იყოს საიდუმლო ხასიათის. 2. გავრცელებული უნდა იყოს საჯაროდ ან განდობილი მესამე პირზე. 3. ინფორმაციის გამოყენება უნდა მოხდეს არაუფლებამოსილი პირის მიერ დაინტერესებული პირის საზიანოდ⁵⁴⁴. ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში საიდუმლოების დაცვის კუთხით ყურადღებას იმსახურებს საქმე *Stephens v. Avery*,⁵⁴⁵ სადაც საქმე ეხებოდა დაქორწინებულ მამაკაცსა და მეგობარ გოგონას შორის სექსუალური დეტალების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებას გაზეთში, გოგონას მკვლელობის შემდეგ. სასამართლომ დაასკვნა, რომ *Breach of confidence*-ს წინაპირობები მაშინაც კი იკვეთება, როდესაც სახეზე არ არის სამართლებრივად აღიარებული ორდინალური ურთიერთობები, თუმცა ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვის პირობით იქნა გადაცემული. აღნიშნული საქმე კრიტიკის ობიექტად იქცა ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში, რადგან ის საერთო სამართლით დადგენილი პრინციპების საწინააღმდეგოდ მორალის და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს არღვევდა.⁵⁴⁶

⁵⁴⁰ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 332.

⁵⁴¹ BGH, Urt. V. 20.2.1954, LM, §826.

⁵⁴² BGH, Urt. V.31.3.1954.

⁵⁴³ Halfmeier A., Die Veröffentlichung privater Tatsachen als unerlaubte Handlung, Frankfurt am Main, 2000, 168; ინგლისში აღნიშნულ სარჩელს საფუძველი ჩაეყარა საქმეში: Argyll (Duchess) v. Argyll (Duke), [1967] 1 Ch. 302, სადაც საქმე ეხებოდა ჰერცოგინიას სარჩელს ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ. რადგან ამ უკანასკნელმა საგაზეთო სტატიაში გაასაჯაროვა ქორწინების ფაქტი.

⁵⁴⁴ Halfmeier A., Die Veröffentlichung privater Tatsachen als unerlaubte Handlung, Frankfurt am Main, 2000, 169.

⁵⁴⁵ Stephens v. Avery, [1988]. 1 Ch. 449, 457.

⁵⁴⁶ ჰდრ. Halfmeier A., Die Veröffentlichung privater Tatsachen als unerlaubte Handlung, Frankfurt am Main, 2000, 171.

1998 წელს ადამიანის უფლებათა აქტის მიღებით არსებითად შეიცვალა ინგლისის სასამართლოების მიდგომა და გადანაცვლებათა უმეტესობა *Right of Privacy*-ს დაეფუძნა.⁵⁴⁷ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რასაც ყურადღება ექცევა, პირადი სფეროს დაცულობის გონივრული მოლოდინის არსებობაა.

5.2 პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის ფარგლები

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი მხოლოდ არსებითად მცდარი ფაქტების სანქცირებით შემოიფარგლება, თუმცა სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული პიროვნული უფლებები და განსაკუთრებით მგრძობიარე პირადი სივრცე განხილული ინტერესებისა და სფეროების დაცულობის ინტენსივობით უნდა იქნას გამოყენებული ამ სფეროებიდან არსებითად სწორი ფაქტების გავრცელებისგან დაცვის აღსაკვეთადაც, რადგან გარდა არასწორი ფაქტებისა, რეალური ინფორმაციის გავრცელებაც შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, (გამონაკლისის სახით), თუ ისინი განსაკუთრებით დაცულ სფეროებს ეხებიან და ფაქტების გამოვლენის საჭარო ინტერესი არ გადასწონის მათი გასაჯაროების მიზანს.

ცალსახაა, რომ აშკარად ცხადი და სხვა პირისთვის ზიანის მომტანი ფაქტის გასაჯაროება, არ შეიძლება იქნეს დაცული გამოხატვის თავისუფლებით აბსოლუტური სიკეთის რანგში აყვანილი მეორე მნიშვნელოვან უფლებასთან წინააღმდეგობის გამო. აღნიშნული თეზისის განმარტება უნდა მოხდეს საექვო ფაქტებთან მიმართებითაც, როდესაც შეუძლებელი ან უკიდურესად რთულია მტკიცება მათი ნამდვილობის შესახებ. ამ შემთხვევაში, „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიც მტკიცების ტვირთის გადანაწილებისას სიმძიმის ცენტრს ყოველთვის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ ხრის, რაც თავისთავად გამორიცხულია აშკარად მცდარ ფაქტებთან მიმართებით. სწორი ინფორმაციის გამოხატვა კი, მართალია, ასევე შედის გამოხატვის თავისუფლების სფეროში, თუმცა ჩარევის შეფასებისას ისევე მოითხოვს დაპირისპირებულ ინტერესთან ანგარიშგანევას, როგორც მცდარი ფაქტების დროს. გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი სხვა გაგება უკიდურესად შეავიწროვებდა პიროვნული უფლებების დაცულობის სტანდარტს.

⁵⁴⁷ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1095.

6. სახელის, გამოსახულების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის არაქონებრივი საშუალებები

6.1 ფიზიკური პირის სახელის უნებართვო გამოყენების აღკვეთა

ფიზიკური პირის სახელის უნებართვო გამოყენებისას დაცვის გავრცელებული საშუალებაა უფლების დარღვევამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამრღვევი მოქმედების ან უფლების დარღვევის საფრთხის შემქმნელი მოქმედების აღკვეთა ან შემდგომში ასეთი მოქმედებისგან თავის შეკავება (*Unterlassungsanspruch; Beseitigung; Injunction*).⁵⁴⁸ მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი აღნიშნული ბერკეტის გამოყენების უფლებას მხოლოდ სახელის უფლებაზე განამტკიცებს, მიზანშეწონილია ამ ნაწილის ფართოდ განმარტება და სხვა პიროვნულ უფლებებზეც გავრცელება, რადგან მაგ. პირის შესახებ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი არასწორი ფაქტების პერმანენტული გავრცელებისას, შესაძლოა, დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს დარღვევის წყაროს ლიკვიდაციის ლეგიტიმური ინტერესი, რომლის რეალიზებაც სწორედ მოქმედების აღკვეთის შესახებ სარჩელის შეტანითაა შესაძლებელი. იგი შეიძლება ითქვას პირადი ცხოვრებიდან არსებითად ჭეშმარიტი ფაქტების მართლსაწინააღმდეგოდ გავრცელების შესახებ. შესაბამისად, დაცვის ბერკეტების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის გავრცელება ყველა პიროვნულ უფლებაზე.

უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, როგორც დაცვის დამოუკიდებელი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა სამართალდარღვევის შედეგად დარღვეული სამოქალაქო უფლება არ წყვეტს არსებობას და შეიძლება რეალურად იქნეს აღდგენილი სამართალდარღვევის შედეგების აღმოფხვრის გზით.⁵⁴⁹ დოკუმტური თვალსაზრისით აღნიშნული ტიპის სარჩელი წარმოადგენს კვაზინეგატორულ სარჩელს და ხასიათდება უფრო სწრაფი და ეფექტური მოქმედებით⁵⁵⁰. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს აღნიშნული სარჩელის სახეს. შესაბამისად, ანალოგიით გამოიყენება გსკ-ის §12 სახელის უფლება და §1004 (ვინდიკაციური სარჩელი

⁵⁴⁸ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2009, 127.

⁵⁴⁹ იქვე, 126.

⁵⁵⁰ *Hinterregger M.*, The Protection of Personality Rights in Private law: Remedies in: The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives), Leiden, Boston, 2017, 83.

სანივთო სამართალში)⁵⁵¹. სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას აღდგენს არა რაიმე ახალ უფლებას (ანესებს, ცვლის, წყვეტს და სხვა), არამედ მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად ახდენს სამოქალაქო უფლებების სწორი რეალიზაციის წესის განსაზღვრას.⁵⁵²

მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების უპირველესი მიზანია სამართლებრივი სიკეთებისა და დაცული სფეროების დარღვევის სამომავლო თავიდან აცილება, ხოლო უკვე არსებული ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნისას პირი მოკლებულია იმ უფლებამოსილებათა სრულფასოვნად განხორციელების საშუალებას, რასაც მისი კუთვნილი უფლება ანიჭებს, რადგან სხვა პირი თავისი ქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას. ამდენად, დასახელებული მოთხოვნა მიზნად ისახავს უფლების ხელყოფისგან გათავისუფლებას და დაცვის შემდგომი გარანტიების შექმნას. კანონმდებლობა აღნიშნული მოთხოვნის განხორციელებისთვის არ მოითხოვს ბრალის არსებობას, აუცილებელია დასაბუთებულ იქნეს მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი. მოთხოვნის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც დაცვის იურისდიქციული, ისე არაიურისდიქციული წესების გამოყენებით⁵⁵³. თუ დავის საგანი სამოქალაქო სახელია, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც სახელის შექმნის კანონიერ ტიტულს ადასტურებენ. თუ დავა ეხება ფსევდონიმს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამის სფეროში მან სწორედ აღნიშნული ფსევდონიმით შეიძინა ინდივიდუალობა. თუ სადავოა არაოფიციალური სახელი, მტკიცებულებად შეიძლება მოგვევლინოს მისი ტარება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.⁵⁵⁴

უფლების დაცვის მითითებული ფორმა იძლევა საშუალებას, სწრაფად და ეფექტურად მოხდეს რეაგირება დარღვევაზე და განსაკუთრებით აქტუალურად გამოიყენება მედიასივრცეში ჩადენილი პიროვნული დარღვევების ლიკვიდაციისას.⁵⁵⁵ იურისდიქციული მეთოდის გამოყენებისას მოსარჩელეს აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით

⁵⁵¹ *Bamberger H.G., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 342; Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, §12, 8. Aufl., 2018, München, Rn. 271.*

⁵⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-469-437-2017.

⁵⁵³ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2009, 126.

⁵⁵⁴ *ბარბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, № 4(31), თბ., 2011, 111.

⁵⁵⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 738.*

დადგენილი საშუალება, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება, თუ დაასაბუთებს, რომ აღნიშნული ღონისძიების წინსწრებით გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე გამოიწვევს მისთვის გამოუსწორებელ ზიანს.

მოთხოვნის უფლების მქონე პირი არის სახელის უფლების ტარებაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო თუ საქმე ეხება საოჯახო სახელის უნებართვო გამოყენებას, მოთხოვნის უფლება გააჩნია ამ სახელის ტარებაზე ყველა უფლებამოსილ პირს, ვისაც აქვს დაცვის ღირსი კანონიერი ინტერესი.⁵⁵⁶ გამომდინარე იქიდან, რომ ფიზიკური პირის სახელი პიროვნული უფლებაა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდის პიროვნებასთან, დარღვევისას დაცვის არაქონებრივი საშუალების სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია.⁵⁵⁷

თუ ფიზიკური პირის სახელის უნებართვო გამოყენება წარსულში ჩადენილი დარღვევაა, რომელიც აწმყოშიც განგრძობადი პროცესია, მავალდებულებელი სასარჩელო მოთხოვნა უნდა ეხებოდეს აღნიშნული მოქმედების შეწყვეტას, ხოლო თუ არსებობს სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება- მოთხოვნა უნდა ეხებოდეს მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას სამომავლოდ, ერთგვარი პროფილაქტიკური ეფექტით. განმეორების საშიშროების დასამტკიცებლად საკმარისია სახელის უფლების ერთჯერადი დარღვევის ფაქტის არსებობა, როდესაც დარღვევის სახე და ინტენსივობა შემდგომი განმეორების საშიშროებასაც წარმოშობს, ან მოჰასუხე დარწმუნებულია, რომ მას არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

არ არის აუცილებელი, რომ უფლების გამოყენების აკრძალვა პირდაპირ ეხებოდეს იდენტური დარღვევის აღკვეთას. მისი გავრცელება შესაძლებელია ისეთ ქმედებებზეც, რაც თვისობრივად შეესაბამება დარღვევის უკვე იდენტიფიცირებად სახეს,⁵⁵⁸ თუმცა არსებითად არ იმეორებს სამართლებრივ შემადგენლობას. ასეთ დროს გასათვალისწინებელია სწორი ბალანსის შენარჩუნება, რათა უფლების დაცვის საშუალებამ არ გადააჭარბოს სახელის უფლების დაცვის მიზანს.

⁵⁵⁶ *Ellenberger J., in: Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, §12, 78. Aufl., München, 2019, Rn. 35.*

⁵⁵⁷ *Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, 197.*

⁵⁵⁸ *Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 160.*

6.2 ფიზიკური პირის სახელის უფლების აღიარება

უფლების აღიარების, როგორც პიროვნული უფლების დაცვის არაქონებრივი საშუალების გამოყენების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა ფიზიკური პირისთვის სახელის უფლების არსებობა დგება ეჭვქვეშ ან ადგილი აქვს მისი სახელის კუთვნილების უარყოფას, რადგან, ხშირად, უფლების გაურკვეველობა იწვევს მისი გამოყენების შეუძლებლობას ან უკიდურესად აძნელებს ასეთ გამოყენებას.⁵⁵⁹ უფლების აღიარება, როგორც, დაცვის საშუალება, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იურისდიქციული (სასამართლო) წესით, მაგრამ არა მოსარჩელის მიერ რაიმე დამოუკიდებელი ცალმხრივი მოქმედებით.⁵⁶⁰

სარჩელის ეს ტიპი - აღიარებითი სარჩელი რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით, რომლის სამართლებრივ ბუნებას საქართველოს საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს. აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.⁵⁶¹ ამიტომ, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ⁵⁶².

რაც შეეხება იურიდიულ ინტერესს, ეს უკანასკნელი განპირობებული უნდა იყოს არა ზოგადად მხარის სუბიექტური სურვილით, არამედ მატერიალურსამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. ამ „დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს“⁵⁶³. ამდენად, სახელის უფლების კონტექსტში იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ სახელის უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დაცვის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს. კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად

⁵⁵⁹ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2009, 125.

⁵⁶⁰ იქვე.

⁵⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1568-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-851-795-2017.

⁵⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1089-1009-2017.

⁵⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1059-2019.

გარკვეული შედეგი უნდა ღვებოდეს მხარისთვის და შესაბამისად, უნდა ქმნიდეს უფლების განსაზღვრულობას.⁵⁶⁴ ფიზიკური პირის სახელის შეცილებისას მკაცრად უნდა შემონმდეს უფლებადარღვეული პირის მიერ საკუთარი პიროვნული უფლების დარღვევის მასშტაბები, ასევე ზიანის მიმყენებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუ რამდენად იკვეთება მისი ქმედებიდან, რომ სახელის უფლების გამოყენებისას ის არ აღიარებს სახელის უფლების მესამე პირზე კუთვნილების ფაქტს.⁵⁶⁵ აღნიშნული ქცევა შესაძლებელია გამოხატულ იქნეს კონკლუდენტურად, დუმილით, მესამე პირებთან ურთიერთობისას ან რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში შესაბამისი სამართლებრივი ქმედების განხორციელებისას. მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მსგავსად აქაც არ არის აუცილებელი მოპასუხის ქმედებაში ბრალის არსებობის მტკიცება.

სახელის შეცილების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოსარჩელის კუთვნილი სახელის აღიარება.⁵⁶⁶ კერძოდ, შესაფერის შემთხვევებში, მოსარჩელე უნდა იხსენებოდეს კუთვნილი სახელით.⁵⁶⁷ სასარჩელო მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შემდგომ საფუძვლებს: ა) სადავო სახელი უნდა ეკუთვნოდეს მოსარჩელეს და ბ) მოპასუხე უნდა უარყოფდეს, რომ სადავო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს. მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს წარმოადგენს უშუალოდ უფლებადარღვეული პირი.⁵⁶⁸

დავა შეიძლება ეხებოდეს როგორც სამოქალაქო სახელს, ისე ფსევდონიმს ან არაოფიციალურ სახელს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის უფლების აღიარების შესახებ, მიმართულია არა მოპასუხისადმი, არამედ სასამართლოსადმი, რომელმაც ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, აქვს თუ არა მოსარჩელეს საცილო უფლება⁵⁶⁹ ხელმყოფის ბრალეულობის მიუხედავად.

⁵⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1568-2018.

⁵⁶⁵ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 125.

⁵⁶⁶ *ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს.*, (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 59.

⁵⁶⁷ *ბარაბაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ ალძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი № 4(31), თბ., 2011, 111.

⁵⁶⁸ *Palandt O., Ellenberg J.*, BGB, §12, 74. Auflage, München, 2014, Rn. 35.

⁵⁶⁹ *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2009, 125.

6.3 იურიდიული პირის დაცვა სახელწოდების უნებართვო გამოყენებისგან

იურიდიული პირის სახელწოდების უნებართვო გამოყენების აღსაკვეთად იურიდიული პირი, როგორც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი აღჭურვილია ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც ფიზიკური პირის სახელის უფლების დარღვევის შემთხვევებზე გამოიკვეთა იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც იურიდიული პირის სახელწოდების დარღვევის შემთხვევებში შეინიშნებოდა. იურიდიული პირის სახელწოდება წარმოადგენს რა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, უფლების დაცვის თუნდაც არაქონებრივი საშუალების სხვა პირზე გადაცემა დაშვებულია იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ დარღვევას შესაძლოა ჰქონდეს ქონებრივი კატეგორიის უარყოფითი შედეგი უფლებამოსილი პირისთვის.

ამასთან, რადგან იურიდიული პირის სახელწოდება საქმიან სფეროს უკავშირდება, დარღვევის აღკვეთის მოთხოვნაც უმეტესად აღნიშნულ არეალზე უნდა იყოს გათვლილი⁵⁷⁰. მაგ. თუ კონკრეტული იურიდიული პირის ინტერნეტდომენი გამოყენებულ იქნა უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე, მოთხოვნის უფლება შესაძლებელია ეხებოდეს აღნიშნული დომენის წაშლას. თუ იურიდიული პირის სახელწოდების უნებართვო გამოყენებას ადგილი აქვს კონკურენტი სამენარმეო იურიდიული პირის მიერ, უფლების დარღვევის განმეორების საშიშროების დასაბუთება ამ შემთხვევაში უფრო მარტივია, თუ კონკრეტული ფირმა აგრძელებს საქმიანობის იმავე სეგმენტში ოპერირებას.

სახელწოდების გამოყენების აკრძალვის უფლება მოიცავს მისი მფლობელის უფლებას, ხელი შეუშალოს მესამე პირთა მიერ საფირმო სახელწოდების ნებისმიერ გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუ საფირმო სახელწოდება დარეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნის სახით, გამოსაყენებელ სპეციალურ ნორმას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი წარმოადგენს, ყველა სხვა შემთხვევაში კი - სსკ-ის მე-18 მუხლი. მართალია, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სსკ-ის 27-ე მუხლისგან განსხვავებით, იდენტური საფირმო სახელწოდებით სუბიექტის რეგისტრაციის საშუალებას იძლევა,⁵⁷¹ თუმცა სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაცვის საშუალება სწორედ ამ შემთხვევაზე იქნება სახელწოდების უფლების დაცვის მყარი ბერკეტი, რაც შესაძლებელია გამოიხატოს ქმედების განხორციელების აკრძალვაში ანუ მარეგისტრირებელი ორგანოში შემდგომში რეგისტრირებული სახელწოდების წაშლაში.

⁵⁷⁰ Palandt O., Ellenberg J., BGB, §12, 74. Auflage, München, 2014, Rn. 36.

⁵⁷¹ იხ. ხუბაშვილი თ., საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, ჟურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014, 173.

თუ ერთი და იმავე ან არსებითად მსგავს სახელწოდებას ეკონომიკურ ბრუნვაში იყენებს ორი იურიდიული პირი, მოქმედებს პრიორიტეტულობის პრინციპი,⁵⁷² რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკურ ბრუნვაში სახელწოდების პირველად გამოყენებელს ენიჭება უპირატესობა შემდგომთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემდგომში გამოყენებული სახელწოდებით იურიდიული პირი არ იჭრება პირველადი სახელის სივრცით ნაწილში.⁵⁷³ თუ პრიორიტეტის მქონე იურიდიული პირი წყვეტს საქმიანობის კონკრეტულ სეგმენტში იდენტიფიცირებადი სახელწოდებით ოპერირებას, ამით ეს უკანასკნელი კარგავს პრიორიტეტულობის პრივილეგიას.

6.4 იურიდიული პირის სახელწოდების უფლების აღიარება

სახელწოდების შეცვლების შემთხვევაში იურიდიულ პირს ფიზიკური პირის სახელის უფლების მსგავსად აქვს უფლების აღიარების მოთხოვნის უფლება, რომელიც უმეტეს შემთხვევებში დაცვის სხვა საშუალების გამოყენების უცილობელი წანამძღვარია.⁵⁷⁴ მაგალითად, თუ სახელწოდების უფლების მფლობელი კომერციული იურიდიული პირია და მას ედავებიან უფლების კუთვნილებას, დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისათვის ან მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია დამტკიცდეს, რომ სწორედ ის წარმოადგენს სახელწოდებაზე პირველადი სარგებლობის უფლებით აღჭურვილ პირს, საქმიანობის ამ სეგმენტში მას აქვს მოპოვებული რეპუტაცია აღნიშნული სახელწოდების ქვეშ და შესაბამისად, სხვა პირის მიერ ხდება აღნიშნული კუთვნილების სადავო ქცევა. სახელწოდების უფლების აღიარებისას იურიდიული პირის აქვს იურიდიული ინტერესის დასაბუთების ვალდებულება, რაც, ძირითადად ეკონომიკურ ინტერესებთან ან აღრევის საშიშროების გამორიცხვასთან არის დაკავშირებული.

6.5 გამოსახულების უფლების დაცვის არაქონებრივი საშუალებები

გამოსახულების უფლების უნებართვო გამოყენებისას დაცვის არაქონებრივი საშუალებებიდან აღსანიშნავია სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნის წინაპირობაა გამოსახულების უფლების დარღვევის პირველად ჩადენის ან უკვე ჩადენილი ქმედების განმეორების

⁵⁷² Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck'scher Online-Kommentar zum BGB §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 81.

⁵⁷³ იქვე.

⁵⁷⁴ გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2009, 125.

საშიშროება⁵⁷⁵. მართლსაწინააღმდეგო ქმედების პირველადი ჩადენის საშიშროების დასაბუთება შესაძლებელია კონკრეტული და ხელშესახები რისკების გამოკვეთით, რაც საკმაოდ რთულად დასაბუთებელ და პრაქტიკაში იშვიათად განხორციელებად შემთხვევას წარმოადგენს. მაგ. ფილმის გადაღების თაობაზე უტყუარი ინფორმაციის დასაბუთება,⁵⁷⁶ თუმცა არა უბრალოდ ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებისას მოგროვებული ფოტომასალა.⁵⁷⁷ იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც უკვე დაწყებულია ფილმის გადაღებები, თუმცა უცნობია როდის გამოვა კონკრეტული გამოსახულება ეკრანზე. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ვარაუდის გაჩენის საშუალებას იძლევა ასევე ფოტოსურათის ან სხვა სახის გამოსახულების უნებართვო დამზადება, რომელიც ქმნის მისი შემდგომი გამოქვეყნების საშიშროებასაც⁵⁷⁸. ამგვარი საშიშროება ქარწყლდება, თუ პირმა ნებაყოფლობით აღმოფხვრა უფლების დარღვევის ფაქტი.⁵⁷⁹ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კომუნიკაციის თავისუფლებაც და საზოგადოებრივი ინტერესი, როგორც უკანონოდ მოპოვებული გამოსახულების გასაჯაროების დასაშვებობის ლეგიტიმური მიზანი, რაც გამორიცხავს გამოსახულების გამოქვეყნების სამომავლო, ისე კონკრეტული დარღვევის იდენტიური შემთხვევის აკრძალვას⁵⁸⁰. მაგ. ცნობილი მსახიობის არასრულწლოვანი შვილების ფოტოს გამოქვეყნების აკრძალვა მათ სრულწლოვნებამდე. უფლების დარღვევის განმეორების საშიშროების ვარაუდი არსებობს პირველად დარღვევისას, თუმცა არა იმ შემთხვევაში, თუ დაცულ სფეროში ჩარევას ჰქონდა გამამართლებელი საფუძველი.

გამოსახულების უფლების დარღვევისგან თავის შეკავების და მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ხასიათი და მიმართული იყოს ზუსტად იდენტიფიცირებად დარღვევაზე. გამოსახულების გასაჯაროება სიტყვიერი რეპორტაჟის დროს წარმოადგენს უფლების დარღვევის სპეციფიკურ შემთხვევას, როდესაც აკრძალვა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ რეპორტაჟსა და გამოსახულებას შორის

⁵⁷⁵ Wandtke A.-A., Bullinger W., Praxiskommentar zum Urheberrecht, § 22 KunstUrhG, 4. Aufl., München, 2014, Rn. 23; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 282; *Pashke M.*, Medienrecht, Vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 397.

⁵⁷⁶ BGH GRUR, 1992, 404, 405-Systemunterschiede.

⁵⁷⁷ *ob.* OLG Frankfurt a.M., Urteil vom 20. 2. 2002 - 23 U 212/01.

⁵⁷⁸ Wandtke A.-A., Bullinger W., Praxiskommentar zum Urheberrecht, § 22 KunstUrhG, 4. Aufl., München, 2014, Rn. 23; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 283.

⁵⁷⁹ *Pashke M.*, Medienrecht, Vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 397.

⁵⁸⁰ *ob.* BGH, Urteil vom 6.10.2009- VI ZR 314/08 (OLG Hamburg) - Kinder eines ehemaligen Fussballprofis- სასამართლომ დაასკვნა, რომ საზოგადოებისთვის ცნობადი პირის არასრულწლოვანი შვილების ფოტოს გამოქვეყნების გენერალური აკრძალვა მათ სრულწლოვნებამდე ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას.

კავშირის კონტექსტში, რადგან სადავო ფოტოს გამოქვეყნებას სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ჰქონდეს გამართლების ლეგიტიმური საფუძველი.⁵⁸¹ ინდივიდუალური შემხებლობის დასაბუთებისას არ არის აუცილებელი გამოსახულება იყოს გამოქვეყნებული, საკმარისია მისი არაუფლებამოსილი პირის მიერ დამზადების ფაქტის არსებობაც.

იმ შემთხვევაში, თუ გამოსახულებას თან ერთვის პიროვნების თაობაზე არსებითად უსწორო ფაქტების გამოქვეყნებაც, რომელიც დამახინჯებულ წარმოდგენას უქმნის საზოგადოებას დაინტერესებული პირის თაობაზე, შესაძლებელია, დღის წესრიგში დადგეს საპასუხო ცნობების გავრცელების მოთხოვნაც, რასაც ხანდახან ვიზუალური გაფორმებაც სჭირდება, თუ ეს უკანასკნელი საპასუხო ცნობების აღქმისთვის გარდაუვლად აუცილებელია.

გამოსახულების უფლების დაცვის არააქონებრივი საშუალებები აუცილებლად უნდა მოიცავდეს უკანონოდ დამზადებული ან საჯაროდ გავრცელებული გამოსახულების შემცველი მასალების ან რეპროდუქციების განადგურების⁵⁸² ან მოსარჩელესთვის გადაცემის⁵⁸³ ვალდებულებას. აღნიშნული მოთხოვნის წინაპირობაა, რომ გამოსახულების უფლების მატარებელი საგნები მოპასუხის მფლობელობაში იმყოფებოდეს. ჰამბურგის ზედა საოლქო ინსტანციის სასამართლოს აზრით⁵⁸⁴, გამოსახულების გამოთხოვის უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს წარმატების პერსპექტივა, თუ გასაჯაროება სამუდამოდ დაუშვებელ ქმედებად იქნება მიჩნეული. მართალია, აღნიშნული მოთხოვნის უფლებები პირდაპირ არ არის განსაზღვრული სსკ-ის მე-18 მუხლში, თუმცა ცალკეული გარემოების სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელია მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების ნეგატორული მოთხოვნის ფართოდ განმარტება და საჭიროებისამებრ მასში აღნიშნული მოთხოვნების მოაზრებაც. ამასთან, გამოთხოვის უფლების განხორციელებისას არ არის აუცილებელი უკანონოდ დამზადებული გამოსახულება საჯაროდ იყოს გავრცელებული, საკმარისია მოპასუხის მიერ ამ უკანასკნელთა ფლობის ფაქტიც კი რამდენადაც აღნიშნულ ქვემოთხოვნას შესაძლოა კავშირი ჰქონდეს მოსარჩელის მიერ მთავარი მოთხოვნის უფლების

⁵⁸¹ BGH, Urteil vom 23. 6. 2009 - VI ZR 232/08 (OLG Hamburg) Wilde Frisur des Andrea Casiraghi-ცნობილი პირის ფოტოს სატელევიზო რეპორტაჟთან ერთად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

⁵⁸² BGH, Urteil vom 17.11.1960 - I ZR 87/59 (OLG Hamburg)- Familie Schölermann- სასამართლომ დაასკვნა, რომ მსახიობის სასცენო ფოტოების უნებართვო გამოქვეყნება სარეკლამო პროსპექტების სახით დაუშვებელია, მაშინაც, კი, თუ მსახიობი საზოგადოებისთვის ცნობილ სახეს წარმოადგენს.

⁵⁸³ OLG München, Urteil vom 31-03-1995 - 21 U 3377/94.

⁵⁸⁴ Urteil des Oberlandesgerichts Hamburg vom 25. Juni 1996 – 7 U 177/95.

ფორმირებასთან.⁵⁸⁵ აღნიშნული მოთხოვნის მიზანი თავის მხრივ, დაკავშირებულია მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის დაზუსტების საჭიროებასთან. კერძოდ, სამომავლო მოთხოვნის ფორმირებისას, მას შესაძლებელია გაუჭირდეს დასაბუთება, თუ რა მოცულობით და მასშტაბით იქნა გავრცელებული გამოსახულება, მაშინ, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია გაცილებით კარგადაა ცნობილი ზიანის მიმყენებლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის მოცულობა პროპორციულად შეესაბამებოდეს მთავარი მოთხოვნის (ზიანის ანაზღაურების; უსაფუძვლო გამდიდრების; მიღებული მოგების ჩამორთმევის) ფარგლებს⁵⁸⁶ და არ იწვევდეს მოპასუხისთვის არათანაბარზომიერი ხარჯების დაკისრებას, ასევე გაუმართლებლად არ ლახავდეს პრესის თავისუფლებას, რომელთა შეფასებაც კონკრეტული საქმის გარემოების მიხედვით სასამართლოს პრეროგატივაა.

6.6 გამოსახულების უფლების დაცვის ფარგლები

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დამოუკიდებელ არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტს განეკუთვნება პირის უფლება არ დაუშვას საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, როდესაც ამგვარი თანხმობა არ არის საჭირო⁵⁸⁷. ერთ-ერთ ასეთ საფუძვლად მიჩნეულია საზოგადოებრივი აღიარება. ასეთ დროს პირის ნებართვის გარეშე გამოსახულების გამოქვეყნებასა და გამოსახული პირის ინტერესებს შორის წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. ამ კონფლიქტის განხილვის დროს სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს პირთა სტატუსს და საზოგადო როლს. საკითხის გადაჭრის მიზნით *ნოიმან დუესბერგმა* გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიმუშავა დიფერენცირებული მიდგომა ე.წ. „აბსოლუტურ“ და „რელატიურ“ საზოგადო პირებთან დაკავშირებით,⁵⁸⁸ რაც მოგვიანებით გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერაც იქნა გაზიარებული. თეორიის მიხედვით, თანამედროვე ისტორიის აბსოლუტურ საზოგადო პირებად განიხილებიან სუბიექტები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობის, პოზიციის, წარმოშობის, მიღწევების, გამორჩეული ან პირიქით დასაგმობი ქცევის გამო სხვა

⁵⁸⁵ Urteil des Landgerichts München I vom 19. Mai 2005–7 O 22025/04–nicht rechtskräftig; *Wandtke A.-A., Bullinger W.*, Praxiskommentar zum Urheberrecht, § 22 KunstUrhG, 4. Aufl., München, 2014, Rn. 39.

⁵⁸⁶ იქვე.

⁵⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-280-264-2011.

⁵⁸⁸ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 220.

ადამიანებისგან განსხვავებით სოციუმის ყურადღების ცენტრში ექცევიან.⁵⁸⁹ ცნობადობის და პოპულარობის საზომი კი უნდა იყოს საზოგადოებრივი ინტერესი პირის მიმართ ლეგიტიმურ ჩარჩოებში. აღნიშნული პიროვნებების მიმართ გამოსახულების გამოქვეყნების დასაშვები ფარგლები გაცილებით დიდია და გამოქვეყნება მათი თანხმობის გარეშეც დაიშვება.⁵⁹⁰

რაც შეეხება რელატიურ საზოგადო პირებს, ამ კატეგორიის პირთა წრეს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც ხშირად მათი სურვილის საწინააღმდეგოდ კი აღმოჩნდებიან საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ კონკრეტულ მოვლენასთან კავშირში და საზოგადოებრივი შეფასების ინტერესი ამ პიროვნების მიმართ შეზღუდულია კონკრეტული მოვლენით.⁵⁹¹ ამ კატეგორიას მიეკუთვნება გახმაურებულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემული ან ეჭვმიტანილი პირები. მათ მიმართ გამოსახულების გასაჯაროებისთვის დაშვებადობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოვლენის აქტუალობის და საზოგადო ინტერესის ხარისხს.⁵⁹² „მოვლენა“ ამ შემთხვევაში კანონის მიზნებიდან გამომდინარე ფართოდ განიშარტება. მასში თავისუფლად მოიაზრება ასევე ე.წ. აბსოლუტურ პირებთან მჭიდრო კავშირის ქონაც.⁵⁹³ სწორედ ამგვარი თანმდევი პირების შემთხვევაში, რომლებიც საზოგადოებაში ჩნდებიან აბსოლუტური პირების გვერდით, გამოსახულების გამოქვეყნება, გამონაკლისის სახით, თანხმობის გარეშეა შესაძლებელი, რაც აბსოლუტური პირების მიმართ მძაფრი საზოგადო ინტერესით აიხსნება,⁵⁹⁴ თუმცა სავალდებულოა, რომ სახეზე იყოს მყარი და განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აბსოლუტურ პირებთან, როგორცაა მაგალითად ქორწინება ან პარტნიორობა ან სხვა განსაკუთრებული ოჯახური კავშირი. მოჩვენებითი კავშირები აბსოლუტურ პირთან და სპეკულაცია მოვლენის აქტუალობის შესახებ ვერ უქმნის თანხმობის პირის ფოტოს გამოქვეყნებას ლეგიტიმურ საფუძველს.⁵⁹⁵

თანამედროვე ისტორიის აბსოლუტური პირის კერძო ცხოვრების ამსახველის ფოტოს უნებართვო გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გერმანიის

⁵⁸⁹ *Hiller V.*, Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, (Unter besonderer Berücksichtigung des Rechts am eigenen Bild), Technische Universität Bergakademie Freiberg, I Aufl., Freiberg, 2014, 83.

⁵⁹⁰ BGHZ, 151, 26 (29), Marlene Dietrich.

⁵⁹¹ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 220.

⁵⁹² *Helle J.*, Besondere Persönlichkeitstrechte im Privatrecht, Tübingen, 1991, 146.

⁵⁹³ BVerfGE NJW, 2001, 1921 (1923), Ernst v.Hannover.

⁵⁹⁴ KG NJW 2005, 603 (604)-საქმე ეხებოდა ერთ-ერთი პოპულარული მომღერლის თანხმობის პირის ფოტოს გამოქვეყნებას.

⁵⁹⁵ BVerfGE NJW 2001, 1921, Erns August v.Hannover.

საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი პრაქტიკით⁵⁹⁶ დადგენილი იყო, რომ საზოგადოების აღმატებული ლეგიტიმური ინტერესის არსებობის გამო თანამედროვეობისთვის რელევანტურ პიროვნებას უნდა მოეთმინა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოს გასაჯაროება, თუნდაც ეს უკანასკნელი იმ კონკრეტულ მომენტში საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებით არ ყოფილიყო დაკავებული. დაპირისპირებულ ინტერესთა ბალანსის კუთხით ყურადღებას იმსახურებს მონაკოს პრინცესა კაროლინას საქმე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ მოახდინა დადგენილი მიდგომის გადაფასება და მოუწოდა გერმანიის სასამართლოებს შეფასების ახალი მასშტაბის დაწესებისკენ.⁵⁹⁷ საქმე ეხებოდა პრინცესას პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გავრცელებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოების ინფორმირების მოთხოვნის მნიშვნელობას, თუმცა კერძო ცხოვრებასთან სამართლიანი ბალანსის დადგენისას განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნია გამოქვეყნებული ფოტოს მნიშვნელობა საჯარო ინტერესის რეალიზებასთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ გამოქვეყნებული ფოტოები არ ასახავდა აპლიკანტს საჯარო ფუნქციის შესრულებისას, ლეგიტიმურ ინტერესად ვერ იქნებოდა მიჩნეული საჯარო ცნობისმოყვარეობა, იცოდეს, თუ როგორ იქცევა თანამედროვეობის აბსოლუტური პიროვნება ყოველდღიურ (არასაჯარო) ვითარებაში, თუნდაც ის კონკრეტულ შემთხვევაში იმყოფებოდეს ადგილზე, რომელიც არ აკმაყოფილებს აბსოლუტურად „განმარტოებულის“ კრიტერიუმს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება გასაზიარებელია საქართველოს რეალობაშიც, რადგან ეს უკანასკნელი განმსაზღვრელი აღმოჩნდა ევროპაში ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე პირადი ცხოვრების და მისი შემადგენელი ერთ-ერთი ასპექტის-გამოსახულების უფლების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისთვის არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო პირებთან მიმართებითაც.⁵⁹⁸

გამოსახულების გასაჯაროება დაშვებულ ქმედებად მიიჩნევა ასევე, როდესაც პირი ვინმეს შემხვედრი მოვალეობის შესრულების პირობით აქცევს საკუთარ პიროვნულ მახასიათებელს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად, რაც საკმაოდ წარმატებით გამოიყენება პროფესიული

⁵⁹⁶ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 221.

⁵⁹⁷ *Hannover v. Germany*, ECHR, განაცხადის №59320/00, 24.06.2004.

⁵⁹⁸ შდრ. ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განაჩენი (განაცხადი №37048/04).

ფოტომოდელის პრაქტიკაში. ამ დროს, ორმხრივი ინტერესების გაანალიზებისას მხედველობაში მიიღება გამოსახული გარემოებისა და პიროვნების საინფორმაციო ღირებულება, რაც კონკრეტული შემთხვევის ცალკეული დეტალების ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს. მაგალითად, თანხმობის კონტექსტში განმარტებას საჭიროებს მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი გამოთქმის, როდესაც პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური. დასაზუსტებელია კანონის ტექსტის მიხედვით, გულისხმობს თუ არა პოზირებისთვის საზღაურის აღების შემთხვევა იმას, რომ პირი თანახმაა ეს ფოტოები საზოგადოების ნებისმიერი წრის წინაშეც გახადოს ცნობილი. აღნიშნულ კითხვაზე სავსებით მართებულად აღნიშნა უზენაესმა სასამართლომ, რომ პირს გააჩნია პოზირების უფლება და თავისი გამოსახულების გავრცელების უფლება,⁵⁹⁹ რაც აპრიორი „არ ნიშნავს მისი გამოსახულების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე თანხმობას“⁶⁰⁰. ეს გარემოება წარმოშობს მხოლოდ ვარაუდს, რომ პირმა თანხმობა განაცხადა თავისი გამოსახულების „კონკრეტული, ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან მისგან უშუალოდ გამომდინარე სახით გამოყენებაზე“⁶⁰¹. ამ ლოგიკის განვრცობით, სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ საცდელ ფოტოსესიაზე გადაღებული ფოტოების გამოყენება წარმოადგენს გამოსახული პირის უფლებას და მხოლოდ გამოქვეყნებაზე თანხმობის მიცემის ან საზღაურის მიღების შემთხვევაში იქნებოდა ამ სახის პროდუქცია საზოგადოების ფართო წრისთვის განკუთვნილი. ევროპული სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევას, როდესაც მაგ. უფლებამოსილი პირის მიერ გამოსახულების უფლების კომერციული გარიგების საგნად ქცევის ფაქტის გამო ინგლისის სასამართლომ⁶⁰² არ დააკმაყოფილა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი

⁵⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

⁶⁰⁰ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 145.

⁶⁰¹ *კერესელიძე დ.*, პიროვნული უფლებები (ანალიზი და დასკვნა), <http://newvision.ge/ge/content/vi-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90> [30.12.2019, 10:51].

⁶⁰² *Douglas v Hello!* [2007]UKHL 21-აღნიშნული ქორნილის ფოტოგადაღების ექსკლუზიური უფლებით აღჭურვილი იყო მხოლოდ ჟურნალი OK!. კონკურენტი ჟურნალის ხელში პაპარაცების მიერ გადაღებული ფოტოების მოხვედრა და გამოქვეყნება ინგლისის

წყვილის ქორწილის ამსახველი ფოტოსურათების უნებართვო გამოყენების აკრძალვის თაობაზე სარჩელი. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეების სადავო უფლებების დიდი ნაწილი კომერციული გარიგებების საგნად იქცა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსარჩელეებს უფლება ჰქონდათ, კონტრაქტორი უურნალის რეპორტიორების მიერ გადაღებული ფოტოებიდან შეერჩიათ გამოსაქვეყნებელი მასალა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ ეს „მონარჩენი“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან არ არის საკმარისი მოპასუხისათვის ფოტოების გამოქვეყნების ასაკრძალად. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა პარადოქსულია, რადგან მან პიროვნული უფლების კომერციულ გარიგებად ქცევის ფაქტის გამო უფლებამოსილ პირს მთლიანად აღუკვეთა საკუთარი უფლების ეფექტური დაცვის შესაძლებლობა.

სსკ-ის მე-18 მუხლში ცალკეა გამოყოფილი მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოსახულების გამოქვეყნება და „იგი სამართლებრივი ნორმის დაცვის მიზნისკენაა მიმართული, რადგან სახელმწიფო ინტერესებმა შესაძლებელია კერძო ინტერესები გადასწონოს“⁶⁰³. სისხლის სამართლებრივი დანაშაულის შედეგად გარდაცვლილ მსხვერპლთა ფოტოების გასაჯაროების საკითხიც გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსჯელობის საგანი *Hachette Filipacchi Associes*-გადანწყვეტილებაში. ევროსასამართლომ მოკლული პრეფექტის ფოტოს გამოქვეყნება ფრანგულ ადგილობრივ პრესაში პირადი ცხოვრების დარღვევად მიიჩნია.⁶⁰⁴ აღნიშნული გადანწყვეტილება ყურადღებას იმსახურებს გარდაცვლილის ნათესავების უფლების დაცვის ჭრილშიც, რადგან საქმე ეხება არა გარდაცვლილი პირის პირადი სფეროს *post mortem*, არამედ გარდაცვლილის ნათესავების პერსონალურ გრძნობებს, რადგან ღირსების შემლახავი ფოტოს ჩვენებით მათ განიცადეს ტრამვა. ამდენად, გარდაცვლილი პირის ნათესავების საკუთარი უფლების შელახვით აღიარებით ევროსასამართლო გაემიჯნა გერმანული სასამართლოების მიერ დადგენილ მიდგომას, რომლებიც ნათესავების დაცვის ღირს უფლებას მხოლოდ მაშინ წარმოაჩენს, თუ საქმე ეხება პერსონალური სფეროდან გამომდინარე ინფორმაციის გასაჯაროებას.⁶⁰⁵ მსგავსი მიდგომით, ევროსასამართლომ, პრაქტიკულად, გარდაცვლილი

სასამართლოს აზრით Breach of confidence-ს სარჩელით უნდა ყოფილიყო განხილული, რადგან common law პირდაპირ არ ითვალისწინებს უფლებას საკუთარ გამოსახულებაზე.

⁶⁰³ *ჯორბენადე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 132.

⁶⁰⁴ *Hachette Filipacchi Associes v. France*, ECHR, განაცხადის №7111/01, 14.6.2007.

⁶⁰⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1044.

პირის გამოსახულების გასაჯაროება მხოლოდ ნათესავების თანხმობით მიიჩნია დაშვებულად.

ამდენად, გამოსახულების უფლება, როგორც ცალკეული პიროვნული უფლება, ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, რადგან მას მომიჯნავე უფლების სტატუსი გააჩნია და უმეტეს შემთხვევებში კავშირი აქვს როგორც პიროვნების რეპუტაციასთან და სახელის უფლებასთან, ისე პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროებასთან. კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არ არის საჭირო გამოსახული პირის თანხმობა, საკმაოდ ზოგადი ცნებებია და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს, რათა გონივრულ ურთიერთმიმართებაში იყოს გამოსახული პირის დაცვის ღირსი ინტერესი მე-18 მუხლის მე-5 ნაწილში ჩამოთვლილი შემთხვევების ლეგიტიმურ მიზნებთან.

6.7 პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებები

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი მონესრიგების მიხედვით, პირადი ცხოვრების საიდუმლოების „შემლახველი ცნობების“ გავრცელებისთვის გათვალისწინებული დაცვის არაქონებრივი საშუალება-ინფორმაციის უარყოფა გათანაბრებულია პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის უფლებებთან, მაშინ, როდესაც დარღვევის შემთხვევების მიხედვით, პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შესაძლებელია შეილახოს უმეტესად არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნებით (ცილისწამება), ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოების შელახვა ამ უფლებით დაცული რომელიმე სფეროდან (ინტიმური; კერძო; პირადი) რეალურად მომხდარი ფაქტის ან კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის გასაჯაროებითაცაა დასაშვები, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის უარყოფა ვერ იქნება დაცვის ერთადერთი საშუალება. ინფორმაციის უარყოფა შესაძლებელია გავრცელდეს პირადი ცხოვრებიდან ან ხელშეუხებელი პიროვნული სფეროდან არასწორი ფაქტის გასაჯაროებისას, ხოლო თუ ფაქტი ობიექტურად ჭეშმარიტია, თუმცა უფლებამოსილი პირი მართლზომიერადაა დაინტერესებული მათი გასაჯაროებისგან დაცვით პიროვნულ სფეროსთან არსებითი კავშირის გამო, უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებად კვლავ მოქმედების შეწყვეტა ან თავის შეკავება რჩება. აღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს დასახელებული მოთხოვნების მხოლოდ ჭეშმარიტ ფაქტებზე გავრცელებას და ის თავისუფლად მიემართება პირადი ცხოვრებიდან არასწორი ინფორმაციის გასაჯაროებასაც. ამდენად, შინაარსობრივი თვალსაზრისით სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი საჭიროებს დაზუსტებას, რათა მოხდეს სხვა პიროვნულ

უფლებებთან ერთად მასში გაერთიანებული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის საშუალებების გაფართოება და მასში სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმაც იქნეს მოაზრებული. ტექნიკურ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ ასევე ამავე მუხლის მესამე ნაწილში პირადი ხელშეუხებლობის უფლების გამოტოვებაც, რაზეც თავისუფლად უნდა გავრცელდეს ზემოთგამოთქმული კრიტიკა.

გამოსახულებისა და სახელის უფლების მსგავსად, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ან პირადი ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევაში ყალბი ან ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროებისას უფლებამოსილი პირის მიერ მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც სამომავლოდ პრევენციული ეფექტი, ისე ეხებოდეს უკვე მომხდარ დარღვევას და ამ სამართალდარღვევის განმეორების საშიშროებას,⁶⁰⁶ რომლის მტკიცების ტვირთი ძირითადად მოსარჩელეზეა,⁶⁰⁷ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვალდებულმა პირმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ მეორე პირი გონივრულად მოელის საკუთარი პირადი სფეროს პატივისცემას.⁶⁰⁸ სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ათვისებს აღნიშნული საშიშროების ალბათობას. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უფლების დამრღვევი პირის ქცევის კვლევას. საფრთხის არსებობა ივარაუდება, როდესაც კონკრეტული ინფორმაცია პირის პირადი ცხოვრების შესახებ ერთხელ უკვე გავრცელდა და არსებობს მისი განმეორების საშიშროება, ან უფლების დამრღვევმა უკანასკნელი გამოსვლისას დაანონსა განმეორების საფრთხე, ან მხარეები ერთმანეთის კონკურენტებს წარმოადგენენ და მომავალშიც არსებობს სამართლებრივი სიკეთის დარღვევის რისკები, ასევე თუ პრესაში, ტელევიზიით ან რადიოში გამოქვეყნებული ინფორმაცია ეხება კომპლექსურ საკითხს, რომლის ცალკეული დეტალის მოგვიანებით განხილვა ისევ აქტუალური იქნება⁶⁰⁹. თუ აღნიშნული საფრთხე ივარაუდება, მისი გაქარწყლებაც უნდა მოხდეს წონადი არგუმენტებით. საკმარისი არ არის მხოლოდ იდენტური ქმედების

⁶⁰⁶ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 342; *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, §12, 8. Aufl., 2018, München, Rn. 273; BGH NJW 2005, 2844-პიროვნული უფლების დარღვევის გამო აიკრძალა მთლიანი რომანის გამოქვეყნება.

⁶⁰⁷ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, 8. Aufl., 2018, München, Rn. 273; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1559-1462-2012.

⁶⁰⁸ *A v B plc (Flitcroft v MGN Ltd)*, Court of Appeal, [2002] EWCA Civ 337; [2003] QB 195; [2002] EMLR 371; [2002] 3 WLR 542; [2002] 2 All ER 545.

⁶⁰⁹ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 345; BGH NJW 1967, 675- Spezialsalz I.

განმეორების საფრთხის გამორიცხვა,⁶¹⁰ არც მოპასუხის დამაზიანებელი ქმედების იმდროინდელი შეწყვეტა.⁶¹¹ სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ სულ მცირე ბოლო განხილვის დროს აღნიშნული საფრთხე უკვე გაქარწყლებულია.⁶¹²

მოქმედების შეწყვეტის თაობაზე სარჩელი გამოირიცხება იმ ზოგადი დასაშვები კრიტიკის მასშტაბით, რაც გამოხატვის თავისუფლებითა დადგენილი. ამდენად, დაპირისპირებულ უფლებებს შორის სწორი ბალანსის ძიების საკითხი ამ ტიპის სარჩელის შემთხვევაშიც აქტუალურია, განსაკუთრებით კი აზრის გამოხატვის შემთხვევაში. თუ საქმე ეხება უსწორო ფაქტების გავრცელებას, ხოლო მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი უმეტესად სამომავლო დაზიანებისგან იცავს დაცულ სფეროს, არავის არ ექნება მოგვიანებით ფაქტების გავრცელების ლეგიტიმური ინტერესი, რომლის არანამდვილობაც უკვე დადასტურებულია.

სამართალდარღვევის საფრთხის გარდა, პირადი ცხოვრების უფლების დაცვის შემთხვევაში აქტუალობას არ კარგავს ე.წ. პრევენციული ეფექტის მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი, როდესაც არსებობს უფლების დაზიანების პირველადი საშიშროება.⁶¹³ ეს შემთხვევა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე შემთხვევას და შესაბამისად, საჭიროა საპირისპირო მხარეს თანაბარზომიერი დაცვის ღირსი ინტერესი.⁶¹⁴ აღნიშნული საშიშროება რამდენჯერმე გამოკვეთა თავის პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომაც⁶¹⁵, თუმცა ამ ტიპის სარჩელის გამოყენება

⁶¹⁰ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 343; *Pashke M.*, Medienrecht, Vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 395.

⁶¹¹ OLG Frankfurt am Main, GRUR-RR 2016, 212.

⁶¹² *Herrler S.*, in: *Palandt O.*, Kommentar zum BGB, §1004, 78. Aufl., München, 2019, Rn. 32; *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 345.

⁶¹³ *Herrler S.*, in: *Palandt O.*, Kommentar zum BGB, §1004, 78. Aufl., München, 2019, Rn. 32.

⁶¹⁴ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 741.

⁶¹⁵ საქმეზე *MGN Limited v The United Kingdom*, ECtHR, განაცხადის №39401/04, 18.1.2011; (გასაჩივრებელი გადაწყვეტილება *Campbell v MGN* [2004] 2 AC 457)- 2001 წელს გაზეთმა "Mirror"-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ მკურნალობდა ნაომი კემპბელი „ანონიმურ ნარკომანთა ჯგუფში.“ სტატიას ერთვოდა მოდელის ფოტო, სადაც ნაომი, ყოველდღიურ ჯინსებში გამოწყობილი, კლინიკის შესასვლელთან იდგა. მოდელის მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ იმავე გაზეთმა გამოაქვეყნა სტატიების ციკლი, რომელიც შეურაცხყოფელი და ცინიკური ფორმით მოიხსენიებდა ნაომის აღნიშნულ ქცევას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქმე ეხებოდა საჯარო ინტერესსა და პირადი სფეროს დაცვის უფლებას შორის ბალანსის პოვნას. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ მოდელის ფოტოს გამოქვეყნებით არაპროპორციულად შეილახა მოდელის პირადი ცხოვრება. მართალია, გაზეთის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებულად იქნა მიჩნეული

კონვენციის მე-10 მუხლიდან თავსებადად შეათვასა⁶¹⁶. შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდა პროცედურული წესების ფართო და დაცვით და ყველა შესაძლო რისკის მაღალი პასუხისმგებლობით გაანალიზების შემდგომ დაედგინათ მოცემული სანქცია⁶¹⁷. ხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევა, რადგან ადგილობრივმა სასამართლოებმა პუბლიკაციების მუდმივი აკრძალვისას არ მიაქციეს სათანადო ყურადღება საპირწონე ინტერესებს და პროპორციულ დამოკიდებულებებს ამ ორ ღირებულებას შორის⁶¹⁸. ამგვარ შემთხვევებში, სასამართლოს როლი გაცილებით მაღალია და სარჩელის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია სახეზე იყოს კონკრეტული ფაქტები, რომელიც უფლების დაზიანების პირველად, უშუალო და პირდაპირ რისკს დაადასტურებს. მედიასაშუალებების მონაწილეობის შემთხვევაში, აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, როდესაც დაინტერესებულ პირს აქვს კონკრეტული ინფორმაცია პუბლიკაციის ტექსტის არსებობის შესახებ და სასამართლოს წარუდგენს აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი უნდა ეხებოდეს კონკრეტულად ზიანის მიმყენებელ განცხადებას⁶¹⁹ და არა განზოგადებებს. თუმცა გამონაკლისის სახით, აკრძალვა შეიძლება შეეხოს კონკრეტული გამონათქვამის მიღმა არსებულ განცხადებასაც, თუ ამის გარეშე შეუძლებელია გამოთქმის შინაარსის წვდომა. სიტყვიერი გაცხადების შემთხვევაში შესაძლებელია მთლიანი კორესპონდენციის აკრძალვაც, თუ ეს აუცილებელია პიროვნული უფლების დასაცავად.⁶²⁰ ამასთან, თუ პუბლიკაცია შედგება კომპლექსურად ტექსტების ერთობლიობისგან, საიდანაც მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი აზიანებს პიროვნულ უფლებას, შესაძლებელია

დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა ადეკვატურად მომხდარიყო ამ უკანასკნელის უფლებების დაცვა. თუმცა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაკისრებული ჯარიმის მაღალ ოდენობაზე და პრესის თავისუფლებასთან მიმართებით მის უარყოფით „მსუსხავ“ ეფექტზე.

⁶¹⁶ The Observer and the Guardian v. United Kingdom, ECtHR, განაცხადის №13585/88, 26.11.1991.

⁶¹⁷ იხ. Cumhutiyyt Vakgi and Others v. Turkey, ECtHR, განაცხადის №28255/07, 08.10.2013.

⁶¹⁸ Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft m.b.H. (No.3) v. Austria, ECtHR, განაცხადის №15653/02, 13.12.2005; New Verlags GmbH&Co.KG v. Austria, ECtHR, განაცხადის №34315/96, 26.05.2002.

⁶¹⁹ BGH GRUR 1976, 210, 212- Geist von Oberzell.

⁶²⁰ Bamberger H.G., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 343; Rixecker R., in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 274.

აკრძალვა მთლიან პუბლიკაციასაც შეეხოს,⁶²¹ თუ ცალკეული ტექსტების გამოქვეყნების აკრძალვით სასურველი მიზნის მიღწევა შეუძლებელი ან განსაკუთრებით გართულებულია.

⁶²¹ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 274.

V. პატივის, ღირსებისა და საქმიანის რეპუტაციის დაცვის არაქონებრივი საშუალებები

1. პატივის ცნება

ევროპის უმეტეს ქვეყნებში პიროვნული უფლების განმტკიცება პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის უფლებას უკავშირდება,⁶²² რაც რომის სამართალში სამართლებრივად დაცულ ცნებების- „*Dignitas*“ და „*fama*“-ს ფესვებით აიხსნება.⁶²³ პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური და სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. „ესაა პირის შეხედულება, თუ როგორ აღიქმება საზოგადოების თვალში და ის, თუ როგორ შეაფასებს თავად პიროვნება საკუთარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას“.⁶²⁴ პატივი არ წარმოადგენს ადამიანური პიროვნულობის ორგანულ ნაწილს, რადგან ღირსებისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანად არსებობის ფაქტს უკავშირდება, პატივი ინდივიდის თვისებების, მდგომარეობისა და დამახასიათებელი ნიშნების შეფასებაა საზოგადოების მიერ.⁶²⁵

იურისპრუდენციაში პატივი⁶²⁶ გაგებულია როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც ეხება პირის აღიარებისა და პატივისცემის მოთხოვნის უფლებას მესამე პირების წინაშე.⁶²⁷ თუმცა ნორმატიული გაგებით, პატივი პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული ადამიანის შინაგანი ღირსებაა,⁶²⁸ მაგრამ ღირსების თვთმყოფადი ხასიათისგან განსხვავებით პატივის განსაკუთრებული ინტეგრირებული ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ის პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ შეფასებას ანუ პიროვნების თაობაზე სხვა ადამიანების „განაჩენს“⁶²⁹. სწორედ დადებითი რეპუტაციის მოპოვების მცდელობა გასდევს წითელ ხაზად ნებისმიერ ადამიანურ ქცევას,

⁶²² Brüggenier G., Colombi Ciacchi A., O'Callaghan P., *Personality Rights in European Tort Law*, New York, Cambridge University Press, (1 ed), 2010, 571.

⁶²³ Ondreasova E., *Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives)*, Leiden, Boston 2017, 51.

⁶²⁴ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 119.

⁶²⁵ Helle E., *Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht*, 2. Aufl., Tübingen, 1969, 7.

⁶²⁶ გერმანულად „Ruf“ (ადრე ღირსების შეფასება- „Wertschätzung“), ინგ. „Reputation“, ფრანგ. „Notoriété“, Pashke M., *Medienrecht, Vollst. überarb. Aufl.*, Hamburg, 2014, 310; *Medienrecht*, 7. Aufl., 2013, Wiesbaden, 120.

⁶²⁷ Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., *Beck'scher Online-Kommentar*, §12, 46 Auf., München, 2018, Rn. 172.

⁶²⁸ ბიჭია მ., ღირსების საქაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, ჟურნ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბ., 2014, 48.

⁶²⁹ Helle E., *Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht*, 2. Aufl., 1969, Tübingen, 7.

რადგან საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს სოციუმში ინტეგრაციის მთავარ კომპონენტს. საზოგადოებრივ შეფასებაზე ამგვარი დამოკიდებულებითი კავშირი პიროვნების პატივს მონყვლად სიკეთედ აქცევს და მისი, ინდივიდუალური და სოციალური მნიშვნელობის გამო, ის დაცვის შედარებით მაღალ სტანდარტს საჭიროებს.

ერთმანეთისგან განსხვავდება „შინაგანი“ და „გარეგანი“ პატივი. შინაგანი პატივის ქვეშ იგულისხმება „თვითშეფასება“, რომლის მოქმედების არეალი იწყება თვით ადამიანის პიროვნებაში, ხოლო გარეშე პირების მხრიდან დარღვევას ვერ დაეჭვებდებარება.⁶³⁰ რაც შეეხება „გარეგან“ პატივს, *შოპენჰაუერის* აზრით, მასში „იგულისხმება სხვა ადამიანების ობიექტური შეფასება პიროვნების ღირსების შესახებ, ხოლო სუბიექტურად პიროვნების მიში ამ შეფასების მიმართ“⁶³¹. სწორედ ამგვარ ორგვაროვან ბუნებას ეფუძნება პატივის ინდივიდუალური და სოციალური მნიშვნელობა. სამართლებრივი თვალსაზრისით საკვლევ თემას წარმოადგენს გარეგანი პატივი, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ხდება პირებს შორის დავის საგანი.

2. ღირსების ცნება

ღირსების უფლება ადამიანისგან განუყოფელი არაქონებრივი უფლებაა, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა⁶³² და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საფუძველს, როგორც ღვთისგან ბოძებულ რაობას.⁶³³ ღირსება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეების თავში დგას, როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძველი, დაცვის უპირველესი მიზანი და ადამიანის თანაარსისგან განუყოფელი ფასეულობა.

სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ⁶³⁴. ღირსება ეს არის არა ადამიანური არსების ერთი კონკრეტული ნაწილი, არამედ ინდივიდის მთლიანი არსის განმსაზღვრელი საწყისი, პირის თვისობრივი უნიკალურობით, უნარებით და დამახასიათებელი შტრიხებით⁶³⁵.

⁶³⁰ Helle E., Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht, 2. Aufl., 1969, Tübingen, 7.

⁶³¹ Schopenhauer A., Aphorismen zur Lebensweisheit, IV -მითითებულია: Helle E., Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht, 2. Aufl., Tübingen, 1969, 6.

⁶³² *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 119.

⁶³³ *ბიჭია მ.*, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, *ჟურნ. „სამართალი“*, თბ., №2, თბ., 2014, 7.

⁶³⁴ *ჯორბენაძე ს.*, *ახვლედიანი მ.*, *მოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I., მუხ. 17, თბ., 2002, 60.

⁶³⁵ Helle E., Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht, Tübingen, 1969, 7.

ღირსების დაცვის გარანტია გულისხმობს ელემენტარული პიროვნული არსებობის აღიარებას, რომელიც ხელშეუხებელ და პიროვნულობის ყველაზე ღრმა სფეროშია ინტეგრირებული. ამდენად, მისი ჩამორთმევა შეუძლებელია, დარღვევას ექვემდებარება მხოლოდ მისი პატივისცემის მოთხოვნის უფლების ჭრილში⁶³⁶. ღირსება შეფასებითი კატეგორიაა, რადგან სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული პიროვნების ღირსების, როგორც ღირებულების შეფასების უნარი თვით უფლებამოსილ პირს აქვს, ვინც თავისი ღირსების დაცვას მოითხოვს.⁶³⁷

ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების რაობა შესაბამისობაშია თავად ღირსების დეფინიციასთან, რომელიც თავისი უნივერსალური და ფუნდამენტალური ხასიათის გამო ადამიანად ყოფნის ფაქტს უკავშირდება. ღირსება თანდაყოლილი და არა ნაწარმოები უფლებაა, რომელიც გააჩნია ნებისმიერ პირს, მხოლოდ ადამიანად ყოფნის გამო. შესაბამისად, ის გააჩნია როგორც ნაყოფს, ისე გარდაცვლილ ადამიანს.⁶³⁸ მაშასადამე, ღირსება უფლება არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, შესწევს თუ არა უფლებამოსილ პირს საკუთარი ღირსების მოცულობის გაანალიზების და შეფასების უნარი, გამიჯნულია პირის სულიერი და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობებისგან, ცხოვრების სტილისა თუ საკუთარი პიროვნების წარმატებული ფორმირების ფაქტისგან⁶³⁹. ამ განმარტებას ლოგიკურად შეესაბამება დასკვნა, რომ უფლების დაცვის მოთხოვნის უფლებაც უფლებამოსილი პირის თვითშეფასების შედეგს უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა მისი ფართო და უნივერსალური ბუნების გამო მხოლოდ პიროვნების სურვილზეც არ უნდა იყოს დამოკიდებული და სწორება ობიექტურ შეფასებაზე უნდა მოხდეს.

2.1 პატივისა და ღირსების კონსტიტუციური და კერძოსამართლებრივი ცნებების მიმართება

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. პატივისა და ღირსების კერძოსამართლებრივი ცნების მოცულობაზე საუბრისას ბუნებრივად იკვეთება მათი კონსტიტუციურსამართლებრივი განსაზღვრებების ჩამოყალიბებისა და გამიჯვნის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ემიჯნება ღირსების სუბიექტურ სიკეთედ მიჩნევის პერსპექტივას. ასეთი გაგება

⁶³⁶ Schmidt I., Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, 19. Aufl., München, 2018, Rn. 7.

⁶³⁷ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, ჟურნ. „სამართალი“, თბ., №2, 2014, 19.

⁶³⁸ Maunz T., Dürig G., Grundgesetzkommentar, 83. Aufl., 2018, München, 2018, Rn. 52.

⁶³⁹ იქვე, Rn. 53.

წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, რადგან „უფლებად“ ვერ ჩაითვლება ის სიკეთე, რომლის ფარგლები განსხვავებული იქნება სხვადასხვა ადამიანისთვის მათი სუბიექტური შეხედულების გამო⁶⁴⁰ და ვერ დააკმაყოფილებს უნივერსალურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს. აღნიშნულ პოზიციას იზიარებენ გერმანელი იურისტებიც.⁶⁴¹

ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნება განსხვავდება მისი სამოქალაქოსამართლებრივი გაგებისგან, რაც დაკავშირებულია ღირსების როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ ღირებულებად მიჩნევასთან. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს ერთიანი პოზიცია.⁶⁴² ობიექტური და სუბიექტური უფლების ცნებების დიფერენცირების მცდელობა უკავშირდება ზოგიერთი ქვეყნის იურიდიულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულ გამიჯვნის კრიტერიუმების არარსებობას. მაგ. გერმანული ენა, ისევე, როგორც რუსული ენა, არ იცნობს სამართლისა და უფლების ცნებათა სახელწოდებების გამიჯვნას. შესაბამისად, გერმანულ ენაში ტერმინების- „სუბიექტური“ და „ობიექტური“- გამოყენებით ერთმანეთისგან სამართლისა და უფლების ცნებების გამიჯვნა მიიღწევა.⁶⁴³

უფლება აბსტრაქტულია იმ გაგებით, რომ იგი კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირებული არ არის და განსაზღვრავს სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს.⁶⁴⁴ აღნიშნული განმარტებით, სუბიექტური უფლების ცნება პირთა შორის დამყარებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უფლებებისა და მოვალეობების მონაცვლეობით იმიჯნება, სადაც სუბიექტური უფლება კანონმდებლის მიერ

⁶⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3//421/422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2.3.4.

⁶⁴¹ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 95; *Pashke M.*, Medienrecht, 5. vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 310.

⁶⁴² *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი, თბ., 1997, 98; შდრ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 76-77.

⁶⁴³ *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი, თბ., 1997, 98; *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 78.

⁶⁴⁴ შდრ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 76; სხვა განმარტების მიხედვით, „სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით“- *ჭანტურია ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი, თბ., 1997, 98; *Schmidt I.*, Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, 18. Aufl. München, 2018, Rn. 3.

დადგენილი უფლების წარმოშობის ობიექტური შესაძლებლობის სუბიექტური რეალიზაციის შედეგია ანუ საუბარია უფლებისა და მოთხოვნის უფლების გამიჯვნის პრინციპზე. ღირსების უფლების კონტექსტში დისკუსია რელევანტურია თავად უფლების აბსტრაქტული გენეზისის გამო მოთხოვნის უფლებად კონკრეტიზაციის კონტექსტში.

აღსანიშნავია, რომ პატივისა და ღირსების ცნებების განმარტების სამოქალაქოსამართლებრივი საფუძველი უარყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებით,⁶⁴⁵ როდესაც ამ უკანასკნელმა პატივისა და ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი განმარტებითა და სამოქალაქოსამართლებრივი გაგებისგან მისი გამიჯვებით შეცვალა ადრინდელი მიდგომა.⁶⁴⁶ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პატივის და ღირსების განმარტებას შეეცადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების გზით და დაასკვნა, რომ „ღირსება არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ამავე დროს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები. ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“⁶⁴⁷. აღსანიშნავია, რომ ღირსების უფლებასთან დაკავშირებული მსგავსი პოზიცია თანმიმდევრულად იქნა განვითარებული საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაშიც.⁶⁴⁸

ღირსებისგან განსხვავებით, ეთიკური და ნორმატიული გაგებით, მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლების ნორმატიული კონსტრუქცია იძლევა საშუალებას, ადამიანები, რომლებსაც ფაქტობრივად არათანაბარი პატივი აქვთ, განიხილებოდნენ თანასწორად. თუმცა სამართლებრივი

⁶⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; იხ. ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 87.

⁶⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წის 29 აპრილის №2/76/1 გადაწყვეტილება საქმეზე- ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁶⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე- საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁶⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2, პ.2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2.3.4.

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და დაცვას ექვემდებარება ინდივიდის ის თვითშეფასება, რომელიც ასე თუ ისე ემთხვევა მის საზოგადოებრივ შეფასებას.⁶⁴⁹ ამდენად, სამართლისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რას ფიქრობს ადამიანი საკუთარ თავზე, როგორ აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე არ დადგინდება საზოგადოების შეფასებასთან თვითშეფასების შესაბამისობა. სწორედ თანხვედრის ეს ხარისხი ექვემდებარება დაცვას, მათ შორის სასამართლო წესით დაცვას⁶⁵⁰.

გასათვალისწინებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ღირსებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მიდგომა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული „ღირსება“ სრულად იქნეს გამორიცხული საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცული სფეროდან.⁶⁵¹ აღნიშნული პოზიცია უდავოდ შესაძლებელია იქნეს დიკუსიის საგანი, თუმცა ფაქტია, რომ პიროვნული ღირსება და პატივი ღირებულებათა წესრიგის დადგენისას სახელმძღვანელო პრინციპის როლს ასრულებს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი სხვა უფლების წაკითხვა ამ უმთავრესი პოსტულატის ჭრილში უნდა მოხდეს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პიროვნების ინდივიდუალობის, იდენტობისა და ინტეგრაციის დაცვას არა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვითი უფლების რანგში, არამედ კოლიდირებული ინტერესების ნებისმიერი სხვა აწონ-დანონისას.

3. საქმიანი რეპუტაციის არსი სამოქალაქო ბრუნვაში

3.1 საქმიანი რეპუტაციის ცნება

საქმიანი რეპუტაცია (ინგ. “Reputation”; ფრანგ. “Notoriete”; გერ. “Ruf”), ისევე როგორც ღირსება, ინდივიდის შეფასების შედეგია. შეფასების პროცესში, რომელიც გონებაში ხდება, ადამიანებს საქმე აქვთ არა საგნებთან და მოვლენებთან, არამედ ინფორმაციასთან მათ შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციას პირის შესახებ უპირისპირდება ინფორმაცია საზოგადოებრივი მოთხოვნის, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრის შესახებ, რამეთუ რეპუტაცია მოპოვებული საზოგადოებრივი შეფასება და შექმნილი საერთო აზრია ვინმეს ან რაიმის თვისების, ღირსებათა ან ნაკლის შესახებ, რომელიც ყალიბდება ობიექტის შესახებ. პირის საქმიანი

⁶⁴⁹ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017, 10.

⁶⁵⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/696-13. <http://www.library.court.ge/judgements/19522014-08-15.pdf>.

⁶⁵¹ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 88.

რეპუტაცია კი არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი,⁶⁵² რომელთაგანაც მათი მატარებელი ასოცირდება თავისი სახელშეკრულებო პარტნიორების, კლიენტების, მომხმარებლების, კოლეგების, თაყვანისმცემლების (შოუ-ბიზნესში), ამომრჩეველთა (არჩევითი თანამდებობისთვის) შეგნებაში და პერსონიფიცირდება ამ დარგის სხვა პროფესიონალთა შორის.⁶⁵³

საქმიანი რეპუტაციის უზენაესი სასამართლოსეული განმარტება შემდეგი შინაარსისაა: „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია კი არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში.⁶⁵⁴ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება ფიზიკური პირის მსგავსად იურიდიულ პირსაც წარმოეშობა. ამდენად, აღნიშნული უფლების იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“ ან კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობაში მარცხს განაცდევინებს.⁶⁵⁵

პატივისა და ღირსების მსგავსად, საქმიანის რეპუტაციის უფლების საპირწონედ გამოხატვის თავისუფლება მოიაზრება, რომელიც ყალიბდება ინფორმაციის გაცვლისა და კრიტიკის მეშვეობით მუდმივად ცვალებად საქმიან-პროფესიულ სამყაროში. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის ბაზრის მოთამაშეებს დამოუკიდებელი სანარმოები წარმოადგენენ, რომლებიც მოთხოვნა-მიწოდებისა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა პრინციპების მიხედვით ოპერირებენ ბაზარზე. მათ შესახებ საკუთარი პასუხისმგებლობით მიღებული უამრავი გადაწყვეტილებისა თუ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებების

⁶⁵² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/696-13. <http://www.library.court.ge/judgements/19522014-08-15.pdf>.

⁶⁵³ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიურ ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2012, 113.

⁶⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/კ376-01; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1084-1034-2014.

⁶⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1052-1007-2014.

ცოდნას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრუნვის მონაწილის რეპუტაციასთან. ამ გარემოების ცოდნა თვითსასარგებლო ინფორმაციაა ბაზრის სხვა მონაწილისთვისაც, რადგან თვითონვე დაინტერესებული ამ ინფორმაციის მოპოვებით შემდგომი სამოქმედო ნაბიჯის დასაგეგმად. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში⁶⁵⁶, რომელშიც საქმე ეხებოდა სოციალურ ქსელში მესამე პირისადმი პირადი შეტყობინების სახით მიწერილ ინფორმაციას მოსარჩელის პიროვნების შესახებ პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორთან, სადაც ეს უკანასკნელი გაფრთხილებულ იქნა მოსარჩელესთან საქმიანი ურთიერთობის სარისკო ხასიათზე, უნდა მას „ქერდი“ და „არამზადა,“ სავსებით სწორად იმსჯელა საქმიანი რეპუტაციის უფლების დაცვასთან დაკავშირებით, რადგან გავრცელებული ინფორმაცია სწორედ კონტრაჰენტებს შორის ურთიერთობაში წარმოჩინდა და ამავე საქმიან სფეროში მოღვაწე მესამე პირის მიმართ იქნა განდობილი, რასაც უშუალო კავშირი ჰქონდა პირის საქმიანი რეპუტაციის დამცრობასთან. ამდენად, საქმიანი რეპუტაციის ცნების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ პირის პიროვნული თვისებები ან მიღწევები, არამედ ბევრი სხვა ობიექტური გარემოებაც, როგორცაა პროფესიული შესაძლებლობები, თავდაჯერებულობა, კაპიტალი, სამენარმეო კავშირები, ორგანიზაციული მონყობა, დამზადებული პროდუქციის ხარისხი და ფასი და ა.შ.

3.2 საქმიანი რეპუტაციის მიმართება პატივსა და ღირსებასთან

იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად შეინიშნება პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის ცნებების გაიგივების მცდელობები და სამივე უფლება განმარტებულია როგორც „ფიზიკური პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ“.⁶⁵⁷ ერთი შეხედვით „პატივი პიროვნების ობიექტური შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ, ღირსება- ამ პიროვნების მიერ საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებაა, ხოლო საქმიან რეპუტაციაში იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება“⁶⁵⁸. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ცნება შეფასებითია,

⁶⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-103-98-2014.

⁶⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1545-11.

⁶⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-448-775-05.

ხოლო პატივიც და საქმიანი რეპუტაციაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც ინფორმაციის და კრიტიკის მეშვეობით ყალიბდება, პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ღირსება სრულადაა გამიჯნული პიროვნული უნარების, თვისებებისა თუ მიღწევებისგან, ასევე საზოგადოებრივი შეფასებისგან და პიროვნებასთან უშუალო კავშირის მქონე ერთგვარ თვითმყოფად და თვითკმარ სიკეთედ წარმოჩინდება. რაც შეეხება პატივსა და საქმიან რეპუტაციას, მათი ჩამოყალიბება მეტწილად დაკავშირებულია სწორედ პიროვნების თვისებებთან, ხასიათთან ან საქმიან გარემოებებთან.

გავრცელებული განცხადების მიმართ აქტიური ინფორმაციული ინტერესი განასხვავებს საქმიანის რეპუტაციის თაობაზე ინფორმაციის აღრესატს ზოგადი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის მიმღებ პირთა წრისგან, რაც თავის მხრივ, უფრო ფართოა, ვიდრე საქმიანი რეპუტაციის შემთხვევაში და ინფორმაციის გადამონმებისა და კრიტიკული ანალიზის მეტ მოლოდინის ავლენს, ვიდრე პიროვნული ღირსებისა და პატივის შემთხვევაში. არსებობს უამრავი გარემოება, რომელიც შესაძლებელია საქმიანი რეპუტაციისთვის განსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე იყოს და კავშირი საერთოდ არ ჰქონდეს პირის პატივსა და ღირსებასთან.⁶⁵⁹ ტერმინი „რეპუტაცია“ მოიაზრებს ადამიანის სტატუსს საზოგადოებაში და მის შესახებ არსებულ წარმოდგენებს კონკრეტულ შედარებით ვიწრო სეგმენტში, ხოლო პატივი გაცილებით ფართო კატეგორიაა.

გარდა ამისა, პატივი და ღირსება ადამიანის შინაგანი და გარეგანი ღირებულებების ერთობლიობაა, რომელიც ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური რაობაა და ემსახურება თითოეული ინდივიდის ინტეგრაციას საზოგადოებაში. ეს არის ის ღირებულებები, რომლებიც აბსოლუტურად გამიჯნულია პიროვნების ცალკეული უნარების, თვისებებისა და ზოგადი დამსახურებისგან, ხოლო საქმიანი რეპუტაცია ემსახურება არა იმდენად პიროვნების ზოგად ინტეგრაციას სოციუმში, არამედ განსაზღვრავს პირის კონკრეტულ ადგილს ცალკეულ სეგმენტში, უკავშირდება არა პიროვნების ზოგად თვისებებს, არამედ აფასებს სუბიექტს მისი განსაკუთრებული თვისებების, უნარებისა და მიღწევების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, სამივე უფლებაზე საუბრისას მსჯელობა ღირებულებათა ჭრილში გადადის და ხაზს უსვამს ძირითად ნიშანს- ინდივიდუალობას, რაც ასევე შეფასებით ხასიათს ატარებს. ამდენად, დასახელებული მსგავსებები პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას შორის მიუთითებს რომ სამივე უფლება

⁶⁵⁹ Helle E., Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht, 2. Aufl., 1969, Tübingen, 9.

ერთდღიანადვე სამართლებრივ დაცვას საჭიროებს, ხოლო წარმოჩენილი სხვაობები დაცვის მეთოდებსა და მოცულობებში ჰპოვებს რეალიზებას.

4. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ხერხები

4.1 არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება, როგორც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა (ცილისწამება)

პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლებისგან განსხვავებით პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევა პრაქტიკულად დასახელებული ღირებულებების თაობაზე არასწორი ფაქტების და შეურაცხმყოფელი მოსაზრებების გავრცელებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ამ შემთხვევების მიმართ კანონმდებლის მიდგომა ერთნაირი ვერ იქნება სხვადასხვა ასპექტის გამო. მაგ. “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ახდენს არასწორი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევის სანქცირებას “ცილისწამების” საკანონმდებლო დეფინიციის სახით, მაშინ, როდესაც მოსაზრების გავრცელება აბსოლუტური პრივილეგიითაა დაცული. თავად ცილისწამება ეს არის არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. აღნიშნული კანონი ტერმინოლოგიურად ერთმანეთისგან ასხვავებს ასევე შეურაცხყოფასა და უხამსობას, თუმცა არ ახდენს მათ შორის შინაარსობრივ დიფერენცირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ტერმინი სასამართლო პრაქტიკაში ხშირად მოიხსენიება როგორც „დიფამაცია“, მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობისთვის ეს უკანასკნელი უცხოა და მიზანშეწონილია სასამართლოებმა დარღვევა დააკვალიფიცირონ არა „დიფამაციის“, არამედ „ცილისწამების“ ტერმინით. პრაქტიკულად, ნაკლებად არის წარმოჩენილი განსხვავება ასევე ცილისწამებასა⁶⁶⁰ და შეურაცხყოფას⁶⁶¹ შორისაც, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ცნებათა აღრევას ან თითოეული მათგანის არასათანადო განმარტებას. აღსანიშნავია, რომ 2004 წლამდე საქართველოში ცილისწამება სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი

⁶⁶⁰ “Defamation- “Inaccurate assertion of facts”; The bringing of ill fame or dishonor upon any one; disgrace, shame; The action of defaming, or attacking any one’s good fame; the fact of being defamed or slandered; an act or instance of defaming- The Oxford English Dictionary, Oxford University Press, Volume VIII, Oxford ox2, First published 1933, reprinted 1961, 1970, 1978.

⁶⁶¹ “insult”- harmful, rude and/or untruthful words; 1. Manifest arrogant or scornful delight by speech or behavior; to exult proudly or contemptuously; to host, brag, vaunt, glory, triumph. 2. To assail with offensively dishonouring or contemptuous speech or action; to treat with scornful abuse or offensive disrespect; to offer indignity- The Oxford English Dictionary, Oxford University Press, Volume VIII, Oxford ox2, First published 1933, reprinted 1961, 1970, 1978.

ქმედება იყო,⁶⁶² რომლის დეკრიმინალიზაცია სწორედ დასახელებული სპეციალური აქტის მიღების შემდგომ მოხდა.

არც ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციას და არც ევროსასამართლოს არ მოუხდენია ცილისწამების ლეგალური დეფინიცია, თუმცა სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან ცხადი ხდება, რომ ცილისწამების ცენტრში ძირითადად რეპუტაციის დარღვევის ტიპის დელიქტები ხვდება⁶⁶³. თავად ცნების განმარტება ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალ ნებაზე მინდობილი, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ასევე თავს იკავებს ცნების ამომწურავი დეფინიციის შემუშავებისგან.

ცილისწამების რეგულირებისას მნიშვნელოვანია დაცვის სამიზნე ობიექტის განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის გზით მისი არასწორი გამოყენება ან ზედმეტად ფართო განმარტება. ცილისწამების, როგორც სიმართლის დაცვის მექანიზმის უმთავრესი მიზანია პიროვნული უფლებების დაცვა, პირის რეპუტაციაზე და სახელზე არამართლზომიერი შეტევის შეკავება ან დარღვევის შედეგების ლიკვიდაცია.⁶⁶⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის ცილისწამების შესახებ კანონმდებლობის უპირველეს დაცვის ღირს ინტერესს შორის მოიაზრებს წმინდა პიროვნულ უფლებებს (რომლის ცენტრშიც დგას პირადი ღირსება და პატივი), თუმცა ყურადღების მიღმა არ ტოვებს აღნიშნული უფლებების ეკონომიკურ ღირებულებასაც ანუ ანგარიშს უწევს საწარმო, კორპორატიულ რეპუტაციასაც⁶⁶⁵ (საქმიანი რეპუტაცია- სსკ-ის მე-18 და 993-ე

⁶⁶² ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ 2005 წლის 27 აპრილს გააფრცვლა დოკუმენტი, რომელიც ეხება ცილისწამების დეკრიმინალიზაციის საკითხს, სადაც მოცემულია აღნიშნული საკითხის სამოქალაქოსამართლებრივი წესით რეგულირების უპირატესობა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფალი სიტყვის გამოხატვის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით- <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=11036&lang=EN>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 12.01.2019, 13:59], რომელიც თავის მხრივ, შესაბამისობაშია ევროპის მინისტრთა კაბინეტის 2004 წლის თებერვლის დეკლარაციასთან მედიასივრცეში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ.

⁶⁶³ სასამართლო პრაქტიკის ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა რეპუტაციის დაცვის ჭრილში იხ. https://www.echr.coe.int/Documents/FS_Reputation_ENG.pdf, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 17.01.2019, 16:20].

⁶⁶⁴ Study on the alignment of laws and practices concerning defamation with relevant case-law of European Court of Human Rights on freedom of expression, particularly with regard to the principle of proportionality, CDMSI(2012)Misc11Rev2, 5, <https://www.coe.int/en/web/media-freedom/resources>, accessed 6 May 2016, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 16.01.2019, 12:10].

⁶⁶⁵ იხ. *UJ v. Hungary*, ECTHR, განაცხადის №23954/10, 19.07.2011- საქმე ეხებოდა 2008 წელს გამქვეყნებულ სტატიას, რომელიც მოიცავდა ცნობილი უნგრული ღვინის სახელმწიფო საწარმოს უარყოფით შეფასებას. განცხადებელი აკრიტიკებდა საწარმოს ხარისხს და ხალხის ნდობას აღნიშნული საწარმოს მიმართ გადაჭარბებულად მიიჩნევდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ღია დებატებზე საჯარო ინტერესის პარალელურად არსებობს კოლიდირებული უფლება

მუხლები). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, გარდა იმისა, რომ ცნება „ცილისწამება“ ხშირად გამოიყენება კანონმდებლობისთვის უცხო ტერმინ „დიფამაციას“⁶⁶⁶, სავსებით არასწორად არის მოაზრებული მასში მხოლოდ პატივისა და ღირსების შელახვა.

ევროპული სასამართლო ცილისწამებას საკმაოდ ფართოდ განმარტავს, როგორც კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტის-რეპუტაციის უფლების დარღვევას ინდივიდებს შორის ურთიერთობისას, რომელსაც აქვს სამოქალაქო უმართლობის/დელიქტის (Tort or Delict)-ის სახე.⁶⁶⁷ უმართლობის განხორციელება ხდება არასწორი ან ყალბი ინფორმაციის გავრცელების გზით, რომელიც შედეგად უნდა იწვევდეს პირის რეპუტაციაზე⁶⁶⁸ ან კარგ სახელზე ზიანის მიყენებას ან ნებისმიერ უარყოფით ეფექტს საზოგადოების გონივრული წევრების თვალში. განცხადების გავრცელება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ვერბალურად, ან ქმედებით, წერილობითი ფორმით, ვიზუალური გამოსახულების, აუდიო, მიმიკური ან სხვა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით, მათ შორის რადიო -ტელემაუწყებლობის, ინტერნეტის ან სხვა ნებისმიერი ელექტრონული ფორმით⁶⁶⁹ და უნდა შეიცავდეს ბრალდებას ან მტკიცებას სამიზნე პიროვნების წინააღმდეგ.

სასამართლო ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტად მოიაზრებს სინამდვილესთან შეუსაბამო, არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო კომპენსაციის განსაზღვრისას ამომავალ კრიტერიუმად, შემლახავი ცნობების გავრცელების არეალს მიიჩნევს.⁶⁷⁰ თუ ფაქტი რეალურია, თუნდაც ის იყოს პიროვნებისთვის მძიმე დარტყმის მიმყენებელი და სახელის გამტეხი, მხარეს მაინც არ გააჩნია მისი

კომერციული წარმატების დაცვასა და სანარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაზე, არა მხოლოდ პარტნიორების და დასაქმებული პირების, არამედ ეკონომიკური სიკეთის შენარჩუნების სასარგებლოდ. ასევე იხ. *Steel and Morris v The United Kingdom*, ECHR, განაცხადის №68416/01, 16.02.2005.

⁶⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/376-01; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-337-02; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-322-605-04.

⁶⁶⁷ *MCGonagle T.*, Freedom of Expression and Defamation, A Study of case Law of European Court of Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2016, 14, ხელმისაწვდომია საიტზე: <https://book.coe.int/eur/en/human-rights-and-democracy/7072-freedom-of-expression-and-defamation.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 16.01.2019, 12:10];

⁶⁶⁸ ამ კონტექსტში რეპუტაცია განიხილება არა თვითშეფასების, არამედ გარეგანი შეფასების, გარეგანი პატივის კონტექსტში.

⁶⁶⁹ *MCGonagle T.*, Freedom of Expression and Defamation, A Study of case Law of European Court of Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2016, 14, ხელმისაწვდომია საიტზე: <https://book.coe.int/eur/en/human-rights-and-democracy/7072-freedom-of-expression-and-defamation.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 16.01.2019, 12:10];

⁶⁷⁰ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 18, თბ., 2017, 123.

სიმართლესთან შეუსაბამობის მტკიცების საფუძველი. შესაბამისად, ასეთი განცხადება ცილისწამებლური არ არის და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც არ წარმოიშობა.⁶⁷¹ ამგვარი მონესრიგების არსი მდგომარეობს თავად პატივისა და ღირსების განსაზღვრებაში, რომელიც მხოლოდ რეალობას უნდა ეფუძნებოდეს. ამდენად, მოთხოვნის უფლებას წარმოშობს მხოლოდ ყალბი ან ჭეშმარიტად მცდარი განცხადება ან ფაქტი სხვა პირის შესახებ.

პასუხისმგებლობის დადგომისთვის შემდეგი მაკვალიცირებელი ელემენტი არის ის, რომ ცილისწამებას უნდა ჰქონდეს განცხადების⁶⁷² სახე, რომელიც დასახელებული კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განიმარტება, როგორც ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გაანდო.⁶⁷³ გერმანული მონესრიგებისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა ცილისწამების კვალიფიკაციისას ალტერნატივის სახით არ ითვალისწინებს ფაქტების მტკიცებას (*“Behaupten”*), როდესაც განმცხადებელი როგორც საკუთარი ან მესამე პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას წარმოადგენს, როგორც საკუთარ შეხედულებას.⁶⁷⁴ გავრცელებისთვის საკმარისია ინფორმაციის თუნდაც ერთ პირზე მიწოდება, ისე, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს მისი გაცნობის ობიექტური საშუალება.

პასუხისმგებლობის დადგომისათვის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 და მე-14 მუხლები გარდა ზემოაღნიშნულისა, კუმულატიურ წინაპირობად განსაზღვრავს მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს. ამდენად, პასუხისმგებლობა ცილისწამების შესახებ სარჩელიდან გამომდინარე ვერ დადგება, თუ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია, მაგრამ არ ახდენს პირის რეპუტაციის დამცირებას სხვების თვალში.⁶⁷⁵ პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის შემდეგი წინაპირობაა ის, რომ განცხადება უნდა იძლეოდეს დაზარალებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას, რაც დაკმაყოფილებად ითვლება, თუ მინიმუმ საზოგადოებრივი მცირე და შედარებით ახლო ჯგუფი ახდენს განცხადების

⁶⁷¹ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 18, თბ., 2017, 124; ევროპული სასამართლო იცნობს პრეცედენტებს, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა კომენტარს მიეცეს ცილისწამების კვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის გამყარებული ფაქტით და არც რაიმე კონკრეტულ ფაქტს ეყრდნობოდეს. მაგ. საქმე მოსკოვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებებთან დაკავშირებით- *Reznik v Russia*, ECTHT, განაცხადის №4977/05, 09.09.2013.

⁶⁷² ევროსასამართლო იყენებს ტერმინ- *“Statement”*-ს.

⁶⁷³ გერმანული მონესრიგება საუბრობს მტკიცებაზე (*“Behaupten”*) და გავრცელებაზე (*“Verbreiten”*).

⁶⁷⁴ *Wilhelmi R.*, in: *Ermann W.*, *Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen*, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 21; BGH NJW 1970, 187 (188)-Hormoncreme.

⁶⁷⁵ *Amelung U.*, *Der Schutz der Privatheit im Zivilrecht*, Tübingen, 2002, 112.

ადრესატის იდენტიფიცირებას⁶⁷⁶. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებელი არ აკონკრეტებს ზიანის სახეს, თუმცა სასამართლო პრაქტიკა რატომღაც მხოლოდ ქონებრივი ზიანის არსებობაზე ახდენს ხაზგასმას,⁶⁷⁷ რაც არ შეესაბამება კანონმდებლის ჩანაფიქრს. მე-13 და მე-14 მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ზიანის ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, თავისუფლად უნდა მოიაზრდებოდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი. ეს შესაძლოა გამოიხატოს პიროვნების სოციალურ შეფასების დამცრობაში, მისი ბიოგრაფიისა და ცხოვრებისეული გზის დეგრადაციაში, ყალბი წარმოდგენების შექმნით პიროვნების თაობაზე, სულიერ და მორალურ ტრავმაში და ა.შ.

არსებობს შინაარსობრივად ნეიტრალური არასწორი ფაქტები, რომლებიც არ აზიანებს პიროვნულ უფლებებს. ასეთი ფაქტები არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას.⁶⁷⁸ ამასთან, მხოლოდ პიროვნული ვარაუდები და სუბიექტური აღქმა არ არის საკმარისი განცხადებასა და მიყენებულ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრიობის დასამტკიცებლად. ცალკეული საქმის გარემოებით უნდა დგინდებოდეს რაიმე გარემოება, რომელიც დამოუკიდებელ და ობიექტურ მკითხველს დააჯერებდა აღნიშნული კავშირის არსებობის თაობაზე.⁶⁷⁹

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო, პრესაში გამოქვეყნებას და სხვაგვარ პუბლიკაციას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი ამ პუბლიკაციაში კამათია არა საგნის გამო, არამედ მიზნად ისახავს მოსარჩელის პიროვნების დამცირებას,⁶⁸⁰ ანუ მიმართულია გარკვეული უარყოფითი შედეგის დადგომისკენ. აღნიშნულის პარალელურად, უზენაესი სასამართლოს მსჯელობიდან⁶⁸¹ შეინიშნება გარკვეული უზუსტობებიც, როდესაც ეს უკანასკნელი უსწორო ცნობების გავრცელებას ა პრიორი თვლის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად.

ცილისწამება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონიდან გამომდინარე ორ ასპექტში შეიძლება იქნეს განხილული: ა)

⁶⁷⁶ Morgan v Oldhams Press Ltd [1971] 1 WLR 1239.

⁶⁷⁷ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-438-410-2017.

⁶⁷⁸ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 373.

⁶⁷⁹ Reznik v Russia, ECHR, განაცხადის №4977/05, 09.09.2013.

⁶⁸⁰ ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, უერნ. „სამართალი,“ №11-12, თბ., 1997, 26-27.

⁶⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება №ას-790-739-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-335-319-2013.

კერძო პირის და საჯარო პირის ცილისწამება. სპეციალური კანონიდან გამომდინარე, კერძო პირს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო ან ადმინისტრაციული ორგანო.⁶⁸² საჯარო პირის ცილისწამების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით მაღალია, ვიდრე კერძო პირის მიმართ. აღნიშნულზე მეტყველებს განსხვავება სპეციალური კანონის მე-13 და მე-14 მუხლებს შორის, სადაც კერძო პირი ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ბრალის არსებობა არ არის წინაპირობა⁶⁸³, მაშინ, როდესაც საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ 1) მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს;⁶⁸⁴ 2) მოსარჩელეს ამ განცხადებით მიაღდა ზიანი; 3) მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადების გავრცელება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღების დროს კანონმდებლების პრინციპული გადაწყვეტილება იყო ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. ამდენად, არასწორი ინფორმაციის გავრცელების წინაშე პირი დაცვის სამართლებრივი საფუძვლები უნდა მოიძებნოს როგორც გსკ-ის ზოგადი პიროვნული უფლების განმსაზღვრელ §823-ში, ისე სისხლის სამართლის კოდექსის §186⁶⁸⁵-სა და §187⁶⁸⁶-ში, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებს შეურაცხყოფას, არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და ცილისწამებას. განსხვავება დასახელებულ მუხლებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ცილისწამებისას არასწორი მტკიცება ან გავრცელება წარმოადგენს ნორმის

⁶⁸² *კორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 18, თბ., 2017, 125.

⁶⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-103-98-2014.

⁶⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-928-868-2017.

⁶⁸⁵ STGB § 186, Verkündungsblatt ausgewertet bis 31.12.2018], Text gilt seit 01.01.2000, Üble Nachrede: „ვინც სხვა პირის თაობაზე ამტკიცებს ან ავრცელებს ამ პიროვნების თაობაზე ინფორმაციას, რომელიც ემსახურება პირის დამცირებას და მის შესახებ საზოგადოების აზრის უარყოფითად შეცვლას, თუ აღმოჩნდება, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, გამოიწვევს პასუხისმგებლობას ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის ან ჯარიმის სახით, ხოლო თუ ქმედება ჩადენილია წერილობითი ინფორმაციის გავრცელებით, მაშინ თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით ან ჯარიმით“; *Kindhäuser U., Neumann U., Paeffgen H.-U.*, Nomoskommentar zum Strafgesetzbuch, 5. Aufl, Baden-Baden, 2017, Rn.2.

⁶⁸⁶ STGB § 187, Verkündungsblatt ausgewertet bis 31.12.2018, Text gilt seit 01.01.2000, ცილისწამება: „ვინც არასწორ ინფორმაციას ავრცელებს ან ამტკიცებს სხვა პირის შესახებ, ისე, რომ იცის, ინფორმაციის უსწორობის თაბაზე, ხოლო ინფორმაციის გავრცელება იწვევს პირის დამცირებას ან საზოგადოებრივი აზრის შეცვლას უარყოფით კონტექსტში, ან კრედიტუნარიანობისადმი ნდობის გაუარესებას, ისჯება თავისუფლებით აღკვეთით 2 წლამდე ვადით ან ჯარიმით, ხოლო თუ ინფორმაცია გავრცელდა საჯარო პუბლიკაციის გზით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით“.

ობიექტურ შემადგენლობას და ბრალის სახედ აუცილებელია სახეზე იყოს - განზრახვა.⁶⁸⁷ §186 მართალია ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ემთხვევა §187-ს, თუმცა განსხვავებულია ბრალის ხარისხი. ამდენად, თუ ზიანის მიმყენებელი სუბიექტურად დარწმუნებულია ინფორმაციის სისწორეში, პასუხისმგებლობა §187-ის მიხედვით გამოირიცხება. ამასთან, რადგან ინფორმაციის სისწორე მტკიცების საგანი შეიძლება იყოს, ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მოქმედებს - “*in dubio pro reo*“-ს პრინციპი და საქმის განხილვა §186-ით გრძელდება.

ცილისწამებისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა გამოირიცხება, თუ არასწორი ინფორმაციის გავრცელება ლეგიტიმური უფლებების დაცვის თვარგლებში განხორციელდა, §193-ე მუხლის მიხედვით, რომელიც დეტალურად აღწერს ამგვარი გამართლების საფუძვლებს.⁶⁸⁸ ესენია: სამეცნიერო, სახელოვნებო და კომერციული მიღწევების თაობაზე უარყოფითი შეფასებები; განცხადებები, რომლებიც გავრცელდა ლეგიტიმური ინტერესების და უფლებების დაცვის ან განხორციელების მიზნით; სუბორდინაციის წესით გაცემული შენიშვნები და მითითებები დაქვემდებარებულზე, სამსახურეობრივი განცხადებები და საჯარო მოხელეების მხრიდან განხორციელებული შეფასებები მხოლოდ იმ ოდენობით ექვემდებარება სანქცირებას, რამდენადაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს პიროვნების შეურაცხყოფას.

აღნიშნული დათქმებიდან საქართველოს რეალობისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული შეფასებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის ჭრილში, რამდენადაც არც აღნიშნული კანონი და არც გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს მსგავს ჩანაწერს. შესაბამისად უზენაეს სასამართლოს მოუწია ერთ-ერთ შრომით დავაში მოხსენებით ბარათში დასაქმებულის ქცევის სტანდარტთან მიმართებით ბარათში გამოთქმული დასაქმებულის სავარაუდო გადაცდომებთან დაკავშირებით ზემდგომი რგოლის შეფასებების⁶⁸⁹ ცილისწამების კონტექსტში განხილვა. უზენაესმა სასამართლომ⁶⁹⁰ სავსებით სწორად გამორიცხა ცილისწამების არსებობის ფაქტი, რადგან მან მოპასუხის სუბიექტური შეფასების გამომხატველი სადავო

⁶⁸⁷ *Regge Ph., Pegel Ch.*, in: Münchener Kommentar zum STGB, §187, 3. Aufl., München, 2017, Rn. 2.

⁶⁸⁸ §193 STGB, Verkündungsblatt ausgewertet bis 31.12.2018] § 193: Text gilt seit 01.01.2000.

⁶⁸⁹ „დესტრუქციული, არაპუნქტუალური; „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“; „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“; „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“

⁶⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1304-1242-2014.

გამონათქვამი, მიუხედავად მისი შეურაცხმყოფელი, მტკივნეული და გარკვეული დისკომფორტის შემქმნელი ბუნებისა, შეფასებად დააკვალიფიცირა, რაც გამორიცხავს ცილისწამების გამო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ შესაძლებლობას. ღირებული იქნებოდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლში გსკ-ის §193-ის მსგავსი ჩანაწერის გაჩენა, რომელიც ჩამოთვლიდა კვალიფიციური პრივილეგიის ცალკეულ შემთხვევებს. ჩამონათვალის სრულყოფის მიზნით უპრიანი იქნებოდა სამსახურეობრივი შეფასების ფარგლებში განხორციელებული განცხადებებზე აღნიშნული პრივილეგიის გავრცელება, რითაც სრულად მოვიდოდა შესაბამისობაში გამოხატვის თავისუფლება საჯარო სამსახურის საერთაშორისო სტანდარტებთან.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკას იმსახურებს ასევე §193-ის დანაწესი, რომელიც პრივილეგიას აწესებს არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის, თუ ეს აუცილებელია საკუთარი ლეგიტიმური უფლებების დასაცავად, რაც დღის წესრიგში შეიძლება დადგეს, თუ ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში ცილს სწამებს მონმეს. გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი საგამონაკლისო ვითარება ისედაც დაკულია აუცილებელი მოგერიების მუხლით (§34 StGb *Rechtsfertigen Notstand*), ხოლო არასწორი ინფორმაციის გავრცელება გერმანიის ძირითადი კანონის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფი მე-5 მუხლითაც არ არის დაკული, იურიდიული დოქტრინა⁶⁹¹ სავსებით მართებულად მიიჩნევს გადაჭარბებულად არასწორი ინფორმაციის გავრცელების წამახალისებელ კიდევ ერთ ნორმას §193-ის სახით, რადგან ეს უკანასკნელი ისედაც იქნებოდა გამართლებული უკიდურესი აუცილებლობის მუხლით.

ამგვარი დისკურსი საინტერესოა საქართველოსთვის, რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი კვალიფიციურ პრივილეგიას აწესებს მხოლოდ საპასუხო განცხადების გავრცელების შემთხვევაში, თუმცა არაფერს ამბობს საკუთარი უფლებების დაცვის საჭიროებაზე, რაც სსკ-ის 116-ე მუხლის გამოყენებით შეიძლება იქნეს დაბალანსებული და არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამართლების საფუძვლად საკუთარი ლეგიტიმური ინტერესების დაცვა უნდა მოაზრებოდეს.

ინგლისში ცილისწამებას არეგულურებს ცილისწამების შესახებ აქტი,⁶⁹² რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მცდარი და დამამცირებელი

⁶⁹¹ Regge Ph., Pegel Ch., in: Münchener Kommentar zum STGB, §187, 3. Aufl., München, 2017, Rn. 18.

⁶⁹² “Act of Defamation“, საიდანაც მომდინარეობს დელიქტის სპეციალური სახე- tort of defamation.

ინფორმაციის გავრცელებისთვის.⁶⁹³ მცდარი ინფორმაცია აუცილებლად უნდა ეხებოდეს რეპუტაციას, რაც განასხვავებს მას ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისგან⁶⁹⁴ და ტენდენციურად მიმართული უნდა იყოს დაზარალებულის კარგი რეპუტაციისა შერყევისა და საზოგადოების სხვა წევრების თვალში დამცირებისკენ.⁶⁹⁵ ამდენად, პასუხისმგებლობა ცილისწამების შესახებ სარჩელიდან გამომდინარე ვერ დადგება, თუ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია, მაგრამ არ ახდენს პირის რეპუტაციის დამცირებას სხვების თვალში.⁶⁹⁶ პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის შემდეგი წინაპირობაა ის, რომ განცხადება უნდა იძლეოდეს დაზარალებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას, რაც დაკმაყოფილებად ითვლება, თუ მინიმუმ საზოგადოებრივი მცირე და შედარებით ახლო ჯგუფი ახდენს განცხადების აღრესატის იდენტიფიცირებას⁶⁹⁷. გერმანიისგან განსხვავებით ინგლისში პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე დგება, რადგან არ არის აუცილებელი ზიანის მიმყენებელმა იცოდეს ან იაზრებდეს განცხადების ცილისმწამებლურ ხასიათს.

ამერიკაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან დაცვა წარმოადგენს *Right to privacy*-ის გენერალური ცნების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს- “*False light cases*”-ის სახელწოდებით. აღნიშნული სარჩელი უპირველეს ყოვლისა იცავს არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან ამ პირის თაობაზე არასწორი შთაბეჭდილების შექმნას, თუმცა სავალდებულო წესით არ მოითხოვს ღირსების შემლახავი ეფექტის არსებობას.⁶⁹⁸ ამდენად, სარჩელის ქვეშ მოაზრებული შემთხვევათა ჯგუფი, პირველ რიგში, იცავს ადამიანის ღირსებას ვიწრო გაგებით, თუმცა კომპლექსური და ნაკლებად განჭვრეტადი წესების გამო ხშირად ვერ ხერხდება მისი გამიჯვნა კლასიკური ცილისწამებისგან.

4.2 აზრისა და ფაქტების გამიჯვნის პრობლემა

პიროვნული უფლებების უსწორობისგან დაცვის სამართლებრივი კონტექსტის ანალიზისას და დარღვევის სწორად კვალიფიკაციისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა წარმოჩინდა. სირთულე განპირობებული „იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ

⁶⁹³ „(...) to lower him in the estimation of right-thinking members of society”.

⁶⁹⁴ სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, ჟურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2012, 149.

⁶⁹⁵ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1085.

⁶⁹⁶ Amelung U., Der Schutz der Privatheit im Zivilrecht, Tübingen, 2002, 112.

⁶⁹⁷ Morgan v Oldhams Press Ltd [1971] 1 WLR 1239.

⁶⁹⁸ “Publicity wick places the plaintiff in false light in the public eye”.

ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიციერების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება⁶⁹⁹. შესაბამისად, აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა.

ფაქტები, შეფასებებისგან განსხვავებით, გამომდინარეობს ობიექტური გარემოებიდან და არა სუბიექტურიდან, არის ზოგადი ხასიათის⁷⁰⁰ და შესაძლებელია მათი სისწორის გადამოწმება და მისი სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა.⁷⁰¹ ფაქტი ზოგადად რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და ასახავს მდგომარეობას ან პროცესს წარსულიდან და აწმყოდან, რომლის აღქმა ადამიანის გონებას შეუძლია ან შესაძლებელია მისი დამტკიცება სხვაგვარი სახით⁷⁰². ფაქტებს გააჩნია დესკრიფციული შინაარსი და ყოველთვის მიმართულია განსაზღვრული ისტორიული ხდომილებისკენ,⁷⁰³ ანუ არსებობს გავრცელებულსა და რეალობას შორის ობიექტური კავშირი⁷⁰⁴. ამ განმარტებით, სამომავლო მოვლენები ვერ მოექცევა ფაქტის დეფინიციაში, რადგან ის მხოლოდ დაპირებას შეიცავს და ვერ დაექვემდებარება მტკიცებას.

აზრის დეფინიცია პიროვნული უფლებების დაცვის ჭრილში მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, „აზრის არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახის ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. „სიტყვა „აზრი“ ფართო განმარტებისას გულისხმობს განსჯას,

⁶⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/1129-12.

⁷⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-179-2012.

⁷⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-790-739-2017; BVerfGE 9, 1 (8)= NJW 1996, 1529-DGHS; BVerfGE NJW 2008, 358 (359); *Wilhelmi R.*, in: *Ermann W.*, Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 2; *Beater A.*, in: *Soergel W.*, Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 9.

⁷⁰² BGH NJW1998, 1223- “Ein konkreter auch innerer Vorgänge und Zustände aus Vergangenheit und Gegenwart, die sinnlich wahrgenommen werden können oder auf andere Weise beweisbar sind“.

⁷⁰³ *Beater A.*, in: *Soergel W.*, Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 9.

⁷⁰⁴ *Föster Ch.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R.*, Kommentar zum BGB, 4. Aufl., München, 2019, Rn. 11.

დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე“;⁷⁰⁵ ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას.

გამიჯვნის კრიტერიუმის დასადგენად გამოდგება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც აწესებს მინიმალურ სტანდარტს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისთვის ჭეშმარიტების დამტკიცებადობის სახით. იმავე პოზიციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელმაც თავისი პრინციპული პოზიცია ასახა ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში (*Lingence v. Austria*, 08.07.1986):⁷⁰⁶ „ფაქტებისგან განსხვავებით დადასტურება შესაძლებელია, ხოლო „მოსაზრების“ დადასტურება შეუძლებელია, რადგან აღნიშნულის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე“. ამდენად, ევროპული სასამართლოს მიდგომა, ქართული მონესრიგების მსგავსად, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის კუთხით მათ დამტკიცებაუნარიანობის პრინციპზეა აგებული:

სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისთვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისგან შედგება გამონათქვამი არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიან სისტემაში“.⁷⁰⁷ გარდა შინაარსისა, სასამართლოს გამიჯვნის ეტაპზე მოეთხოვება ყურადღება მიაქციოს პუბლიკაციის ადრესატების წრის გონივრული აღქმადობის სტანდარტს ობიექტურ ჭრილში და არა ცალკეული ინფორმაციის გამავრცელებლის სუბიექტურ დამოკიდებულებას⁷⁰⁸. სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ობიექტური შეფასების პრინციპი კრიტიკას იწვევს თანამედროვე დასავლურ იურიდიულ დოქტრინაში,⁷⁰⁹ იმ მოტივით, რომ ამა თუ იმ ობიექტურ მოცემულობას თითოეული ადამიანი მაინც სუბიექტურად აღიქვამს და ასევე სუბიექტური

⁷⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011; მრავალთა შორის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-179-172-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016.

⁷⁰⁶ *Lingens v. Austria*, ECHR, განაცხადის №9815/82, 08.07.1986; *Bladet Tromsø in Stensaas v. Norvegia*, ECHR, განაცხადის №21980/93, 20.5.1999.

⁷⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011.

⁷⁰⁸ *Föster Ch.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R.*, *Kommentar zum BGB*, 4. Aufl., München, 2019, Rn. 11.

⁷⁰⁹ *Wagner G., R.*, in: *Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824*, 7. Aufl., München, 2017, Rn. 17.

წარმოდგენით გადასცემს სხვასაც. შესაბამისად, კრიტიკის უპირველესი სამიზნე არის გამიჯვნის ფორმულის ცირკულაცია ფაქტსა და მის მტკიცებულებაზე, ხოლო შერეული ფორმით წარმოდგენილ განცხადებებში განსაკუთრებული ყურადღება არა ობიექტურ, არამედ სუბიექტური აღქმის ფაქტორებს უნდა მიექცეს.

დოქტრინალურ დონეზე კრიტიკას იწვევს ასევე ის ფაქტიც,⁷¹⁰ რომ გამიჯვნის პროცესი მჭიდროდაა დამოკიდებული ცალკეული საქმის დეტალებზე და მონაწილე სუბიექტებზე, რაც სამართლებრივი სიცხადის კუთხით ნაკლებად განჭვრეტადს ხდის სამომავლო პროგნოზებს. კრიტიკის მიუხედავად, იურიდიულ დოქტრინა არ გვთავაზობს უკეთეს ვერსიას⁷¹¹ და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც თითქმის ასი წელია გამიჯვნის ზემოთმოყვანილ კრიტერიუმს იყენებს, რომლის მიხედვითაც, ფაქტი არის ის, რაზეც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას სწორია თუ არა, ხოლო მოსაზრების სისწორეზე საუბარი- სამართლებრივი ნონსენსი.

გერმანული სასამართლოების მოსაზრებით, თუ აზრის გამოხატვის ფუძე მაინც კონკრეტულ ფაქტს ეფუძნება, ან აზრი აღრესატების მიმართ იწვევს კონკრეტულ მოვლენასთან ან ფაქტთან ასოცირებას, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ფაქტის გავრცელებას,⁷¹² ხოლო, თუ გავრცელებული ობიექტი გადამწყვეტი კონცენტრაციით შეიცავს აზრს ან შეფასების ელემენტებს, რომლის გარეშეც ფაქტობრივი მოცემულობა არაფრის მომცემი და უმინაარსო ხდება, საერთო ჯამში აზრის გამოხატვად განიშარტება.⁷¹³ შერეული გამონათქვამის კვალიფიკაციას მრავალჯერ შეეხო თავის პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოც,⁷¹⁴ რომელმაც ასევე გაამახვილა ყურადღება გამონათქვამში ფაქტების კონცენტრაციის ხარისხზე. ამ პრინციპით, სასამართლომ ჟურნალისტის მიერ პოლიტიკოსის ქონებრივი დეკლარაციის თაობაზე წარმოთქმული პროვოკაციული მოსაზრებები სუბიექტურ შეფასებად მიიჩნია და გაუმართლებად ჩათვალა

⁷¹⁰ Föster Ch., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R., Kommentar zum BGB, 4. Aufl., München, 2019, Rn. 14.

⁷¹¹ *Wilhelmi R.*, in: *Ermann W.*, Kommwntar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 3.

⁷¹² BGHZ 132m 13 (21)= NJW 1996, 1131 (1133)- BGH, Urteil vom 30-01-1996 - VI ZR 386/94 (Karlsruhe)- აღნიშნულ საქმეში პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის თაობაზე ერთ-ერთი წიგნში მოთხრობილი ისტორია ავტორის შთაბეჭდილებებისა და აზრების ფონზე ფაქტების გავრცელებად ჩათვალა, რადგან მას არსებითი კავშირი ჰქონდა რეალურ მოვლენებთან.

⁷¹³ *Wagner G., R.*, in: *Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV*, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 16; BVerfGE 61 (9)= NJW 1983, 1415.

⁷¹⁴ *Dichand and Others v. Austria*, ECTHR, განაცხადის №29271/95, 26.05.2002; *Lopes Gomes Da Silva v. Portugal*, ECTHR, განაცხადის №3769/97, 28.09.2000; *Fedchenko v. Russia*, ECTHR, განაცხადის №48195/06, 11.02.2010; *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, ECTHR, განაცხადის №13778/88, 25.06.1992.

მასზე მტკიცების ტვირთის დაკისრება.⁷¹⁵ იგივე პოზიციას იმეორებს ქართული იურიდიული დოქტრინა,⁷¹⁶ რომლის მიხედვითაც ფაქტებთან დაკავშირებით შეფასებითი მსჯელობები ვერ შეცვლის ფაქტების ობიექტურ ბუნებას, თუმცა საბოლოოდ აზრის გამოხატვას წარმოადგენს.

გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფაქტებისა და აზრების იზოლირების „მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთ იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“.⁷¹⁷ იმავე პოზიციას იზიარებს იურიდიული დოქტრინაც, რომელიც მთლიანობაში არასწორად მიიჩნევს აზრის დაყოფას „შეხედულებად“ და „ფაქტის“ გადმოცემად.⁷¹⁸ ამგვარი მსჯელობა შესაბამისობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლის თანახმად, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისთვის აზრის სტატუსით მინიჭების სასარგებლოდ“. აღნიშნული ჩანაწერით, კანონმდებელი ზედმეტად აფართოებს გამოხატვის თავისუფლებით დასაშვებ კრიტიკის ფარგლებს პიროვნული უფლებების საზიანოდ.

ცალკე შეფასებას საჭიროებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებიც არა ფაქტის, არამედ შეფასების გავრცელებად უნდა იქნეს განხილული, რადგან მათზე ვრცელდება მეცნიერული საქმიანობის პრივილეგია. თუმცა გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ საკვებით სწორად დაუშვა გამონაკლისი ექსპერტების შემთხვევაში და ტელეოლოგიური მსჯელობით დაადგინა, რომ თუ „ექსპერტიზის დასკვნა ერთმნიშვნელოვნად რაციონალურად დამტკიცებად სივრცის მიღმა ძევს, საქმე ეხება ფაქტის გავრცელებას“.⁷¹⁹ იგივე წესი უნდა გავრცელდეს საექიმო დიაგნოზებსა და სასამართლო სამედიცინო

⁷¹⁵ *Gorelashvili v. Georgia*, განაცხადის №12979/04), ECTHR, 05.05.2007.

⁷¹⁶ *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 24, თბ., 2013, 258.

⁷¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

⁷¹⁸ *ზოიძე ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 24, თბ., 2013, 258; იგივე პოზიციას იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, თბ., 2010, 215.

⁷¹⁹ BGH NJW 1978, 751 (752)- "Schriftsachverständige".

ექსპერტიზებზე,⁷²⁰ რომელიც აღწერს და ასახულებს კონკრეტული ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი ნიშნების საბოლოო შეფასებას.

4.3. პიროვნულ უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტი

(“We may not like what you say, but liberal society defends to its death your right to say it”-Voltaire)

პიროვნული უფლებებით დაცულ სიკეთეებს ყველაზე მეტი კონფლიქტი მოსდის ისეთ უმთავრეს ღირებულებასთან, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, ხოლო დარღვევის ყველაზე გავრცელებული მაგალითები მედიის საქმიანობისას შეინიშნება, სადაც ხშირად წარმოიშობა კონფლიქტი მედიის საზოგადოებრივ ფუნქციასა და პირთა ინტერესებს შორის⁷²¹. თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში ეჭვს არ იწვევს გამოხატვის თავისუფლების, როგორც იდეებისა და ინტერესების თავისუფალი გაცვლისა და ინტელექტუალური ომის წარმოების პლატფორმის მნიშვნელობა⁷²². აღნიშნულ საკითხის კვლევისას, საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას: კოლიდირებული უფლების- გამოხატვის თავისუფლების და პიროვნული უფლებების დაპირისპირებისას იკვეთება თუ არა რომელიმე უფლების აბსოლუტური პრიმატი და სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ დასაშვები კრიტიკის ფარგლებთან?

პიროვნული უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების ჭიდილის კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის დანაწესი, რომელიც აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლებას ძირითად და უზენაეს ღირებულებად აცხადებს. გამოხატვის თავისუფლება რეგულირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულის კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვითაც, რომელიც შინაარსობრივად დაყოფილია სამ მნიშვნელოვან ნაწილად⁷²³ და ერთიანდება საერთო ცნებაში- კომუნიკაციის თავისუფლება⁷²⁴. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან

⁷²⁰BGH NJW 1989, 774 (775)- “Paranoid-halluzinatorische Erkrankung“; NJW 1989, 2941 (2942)- „Nervenärztliches Attest“.

⁷²¹ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 111-112.

⁷²² *Ricker R.*, Freiheit und Aufgabe der Presse, Individualrechtliche und institutionelle Aspekte, München, 1983, 11.

⁷²³ ესენია: შეხედულებების ქონა; ინფორმაციის და იდეების მიღებისა და მათი გავრცელების უფლება - *Lingens v. Austria*, ECHR, განაცხადის №9815/82, 08.07.1986; *Handyside v. United Kingdom*, სტრასბურგი, 07 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72.

⁷²⁴ *Grabenwarter Ch.*, Europäischer Grundrechtsschutz, Enzyklopädie Europarecht, Band 2, 1. Aufl., Baden-Baden, 2014, 477.

გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შესაძლებლობებს, რითაც ასევე „განსაზღვრულია ჩარევის პირობები, რომლის არსებობისას აღნიშნული ჩარევა შეიძლება შეფასდეს დადებითად. მთლიანობაში ორივე პუნქტი წარმოადგენს იმ ერთობას, რომლებიც არ არსებობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ქმნიან გამოხატვის თავისუფლების ერთიან დაცვის მექანიზმს“⁷²⁵.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია დასახელებულ ორ უფლებას თანაბარ სიბრტყეში განიხილავს და არ ცნობს რომელიმეს პრიმატს მეორეზე. იგივე მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც⁷²⁶ მიიჩნევს რა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის საჭირო ძირითად პირობას, ურუნალისტებს გააჩნიათ „გაბუქების ან პროვოკაციის“ უფლება⁷²⁷ თუმცა ჩამოთვლილი არც ერთი კომპონენტი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და ორივე მათგანის შეზღუდვა თეორიულად დასაშვებია ჩარევის გამამართლებელი საფუძვლისა და პროპროციულობის ტესტის დაცვით.⁷²⁸ ეს ნიშნავს, *inter alia*, რომ თვით პრესაც არ უნდა გასცდეს იმ თარგლებს, რასაც მგრძობიარე კავშირი აქვს ისეთ მნიშვნელოვან სიკეთესთან, როგორცაა ადამიანის ღირსება⁷²⁹.

პიროვნულ სფეროში ჩარევა კონვენციასთან შესაბამისობაშია, თუ ის აკმაყოფილებს, თავის მხრივ, სამსაფეხურიან ტესტს: 1. ჩარევა ხორციელდება კანონის საფუძველზე. 2. აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. 3. ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს⁷³⁰. დასახელებული მიდგომა აწესებს კონვენციის გათვალისწინებული თავისუფლებით სარგებლობისთვის გარკვეულ წესებს და ვალდებულებებს, ხოლო თავად ეს ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ცვალებადია და დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაზე, მონაწილე პირებსა და მათ მიერ

⁷²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-440-754-09.

⁷²⁶ Chauvy an Others v. France, ECtHR, განაცხადის №64915/01, 29.09.2004; White v. Sweden, ECtHR, განაცხადის №42435/02, 19.09.2006; *Barend E.*, Balancing Freedom of Expression and Privacy: The Jurisprudence of the Strasbourg Court, *Journal of Media Law*, Vol. 1, 2015, Published Online, Issue 1, <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17577632.2009.11427333>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 19.01.2019, 14:55].

⁷²⁷ Prager and Oberschlick v. Austria, ECtHR, განაცხადის №15974/90, 25.04.1995.

⁷²⁸ ბალდავიც გ., სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას შორის? სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ნაშრომები, ურნ. „მედია, სამართალი და ეთიკა“, თბ., 2015, 37.

⁷²⁹ Bladet Tromso in Stensaas v. Norveska, ECtHR, განაცხადის №21980/93, 20.5.1999.

⁷³⁰ *MCGonagle T.*, Freedom of Expression and Defamation, A Study of case Law of European Court of Human Rights, Council of Europe, , Strasbourg, 2016, 11, ხელმისაწვდომია საიტზე: <https://book.coe.int/eur/en/human-rights-and-democracy/7072-freedom-of-expression-and-defamation.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 16.01.2019, 12:10];

გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებზე.⁷³¹ ადამიანის უფლებათა სასამართლო თავს იკავებს უფლებით მოსარგებლე პირთათვის ცალკეული ვალდებულებების კონკრეტულად და ამომწურავად ჩამოთვლისგან, რადგან კონფლიქტის გადაწყვეტა ზოგადი ფორმულით შეუძლებელია და იგი საჭიროებს სასამართლოს მხრიდან ყოველი კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების გულმოდგინედ ანონდანონვას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ბალანსი საჯარო ინტერესების სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, პოლიტიკური დისკუსიების და მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი უფლებების დაცვის საჭიროებისას, ან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მომენტში. ამდენად, „სამართლიანი ბალანსის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ეხება გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესების საკითხს, რა დროსაც „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება“⁷³². საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკა უმნიშვნელოვანესია ფაქტორია საიმისოდ, რომ ღირებულებათა კონფლიქტი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდეს. ცხადია, პრესის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი⁷³³.

საქართველოში ღირებულებათა კონფლიქტის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების შემდგომ. დასახელებული კონფლიქტის გონივრული და სამართლიანი გადაჭრის გზების ძიება შესამჩნევია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვითაც,⁷³⁴ რომელმაც ნათლად დაათვისწირა თავისი პოზიცია მთელ რიგ საქმეებში და პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, როდესაც განიხილავდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობას.

⁷³¹ Fressoz and Roire v. France, ECtHR, განაცხადის №29183/95, 21.01.1999.

⁷³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1174-1319-08.

⁷³³ „ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგ. რეალური ან პოტენციური ზიანის სიმძიმე, ჟურნალისტთა მხრიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის უგულებელყოფა“ და სხვა. ყველა შემთხვევაში პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი უნდა იყოს „წონადი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება №2ბ/696-13.

⁷³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3.

ნიშნდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კვალდაკვალ, საქართველოშიც აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, განსხვავებით გერმანიისგან, სადაც აზრის გავრცელება დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს და ძირითადად დაშვებულია, მანამ სანამ არ მიაღწევს უხამსობის და შეურაცხყოფის ზღვარს,⁷³⁵ ხოლო ფაქტების გავრცელება არ სარგებლობს ზღვარდაუდებელი თავისუფლებით, თუ საცნობია და დადასტურებადია, რომ ეს უკანასკნელი სიმართლეს არ შეესაბამება⁷³⁶. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს აზრს, რომ არასწორ, გაყალბებულ ან შეთხზულ ციტატებს, აქვთ რა დარწმუნების და მტკიცების ძალა, წარმოადგენენ განსაკუთრებით მძაფრ და საშიშ იარაღს აზრების ფორმირების ბრძოლის ველზე⁷³⁷ და მათ თავისუფალი აზრთა ურთიერთგაცვლის პლატფორმაზე არარელევანტურ იარაღად განიხილავს.

საინტერესო საკითხია ცილისწამების სარჩელების განხილვის მტკიცების სტანდარტი, რომელსაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ადგენს. სიტყვის თავისუფლების საყოველთაო იდეის გათვალისწინებით, კანონი ორიენტირებულია ამ უფლების დაცვაზე, ვიდრე შეზღუდვაზე. შესაბამისად, სტანდარტი ითვალისწინებს შეზღუდვის უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობას, ხოლო მტკიცების ტვირთს შეზღუდვის ინიციატორს აკისრებს⁷³⁸. მე-7 მუხლის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ყოველთვის შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება ანუ მოსარჩელეს, რომელიც მიიჩნევს, რომ გამოქვეყნებულმა განცხადებამ გამოიწვია მისი პიროვნული უფლებების შელახვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე ამტკიცოს, რომ 1) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება. 2) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; 3) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პიროვნულ უფლებებს.⁷³⁹ ამავდროულად არსებობს ამავე კანონის ზოგადი მე-16 მუხლი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხავს ცილისწამებას, თუ პირი დაასაბუთებს, რომ მან არ

⁷³⁵ ცნება „*Schmähkritik*“-ს სასამართლო განმარტავს არა მწვავე, მძაფრი ან საქმიანი კრიტიკის რანგში, არამედ ისეთ გამოხატვას, რომელსაც საფუძვლად უდევს პიროვნების შეურაცხყოფა და დამცირება- *Kriete M.*, Ehrenschutz und Meinungsfreiheit, NJW 1994, Köln, 1897, Rn. 1; *Berger C.*, Persönlichkeitsschutz vor der Veröffentlichung privater Tatsachen, 1. Aufl., Baden-Baden, 2006, 58..

⁷³⁶ BVerfGE NJW 2003, 277-JUVE-Handbuch.

⁷³⁷ BVerfGE NJW 2003, 277-JUVE-Handbuch; BVerfGE NJW 1983, 1414; BVerfGE NJW 1980, 2072, 2073.

⁷³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-438-410-2017.

⁷³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

იყო და არც შეიძლება სკოდნოდა, რომ არამართლზომიერ ქმედებას სჩადიოდა. ანუ სუბიექტური მტკიცების ნაწილში ქართული კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს აკისრებს მოპასუხეს, ხოლო ობიექტურ მოცემულობის-ფაქტის სისწორის შესახებ-მოსარჩელეს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო კომბინირებული ფაქტებისა და მოსაზრებების არსებობისას მე-7 მუხლის მე-5 ნაწილით გამიჯვნის საკითხის გადაჭრისას ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მოყვანილი ცნობებისთვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ წყვეტს. ცილისწამების შესახებ საქმის განხილვისას პირადი არაქონებრივი უფლებების კერძოსამართლებრივი დაცვის განხორციელებისას მტკიცების ტვირთის ცალსახად შეზღუდვის ინიციატორზე გავრცელება პრაქტიკაში⁷⁴⁰ ხშირად იწვევს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რაც სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული იურიდიულ მეცნიერებაში იმ არგუმენტით, რომ პირადი სფეროს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტი კერძო სამართლებრივი დაცვის განხორციელებისას გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს კონსტიტუციით შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმევი. ამ კუთხით, ქართული მონესრიგება მცირედით განსხვავება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან, სადაც მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გამოქვეყნებული ფაქტები არის ტყუილი, სანამ არ მოხდება მოპასუხის მიერ საპირისპიროს დამტკიცება.⁷⁴¹ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილების მიზეზი არის ის, რომ მოპასუხემ, რომელმაც გაავრცელა სადავო ფაქტი, უნდა ჰქონდეს მისი სისწორის გადამოწმების ვალდებულებულება. კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები უპირატესად უნდა ვრცელდებოდეს პრესაზე და განსაკუთრებით აქტუალური უნდა იყოს, როცა საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. საქართველოში არსებობს ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, რომელიც გამოიყენება როგორც შიდა სარეგულაციო მექანიზმი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელიც ემყარება მორალურ პრინციპებს და

⁷⁴⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1739-1720-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქოსაქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1149-1169-2011.

⁷⁴¹ იხ. *MCGonagle T.*, Freedom of Expression and Defamation, A Study of case Law of European Court of Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2016, 48, ხელმისაწვდომია საიტზე: <https://book.coe.int/eur/en/human-rights-and-democracy/7072-freedom-of-expression-and-defamation.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 16.01.2019, 12:10];

საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს,⁷⁴² თუმცა არ აქვს კანონის ძალა. აღნიშნული დოკუმენტის 2.1 პუნქტი ავალდებულებს უურნალისტებს ნებისმიერი სახის ინფორმაციული მასალა მაქსიმალური სიფრთხილითა და ყურადღებით გადამოწმდეს, რათა ფაქტი დამახინჯებულად არ გადმოიცეს.

ევროსასამართლოს მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სინორის მტკიცება ყოველთვის მოჰასუხეს ეკისრებოდეს. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ ასევე აუცილებლად მიიჩნია მტკიცების ტვირთის შებრუნება⁷⁴³ და დაასკვნა, რომ იმ ფაქტის მცდარობის პრეზუმციამ შესაძლოა არათანამაბარზომიერად შეზღუდოს გამომხატვის თავისუფლება, თუნდაც იმის გამო, რომ ინფორმაციის ნამდვილობის მტკიცება ძალიან რთულია. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ გარდაუვლად აუცილებლად მიიჩნია მოჰასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გულდასმით შესწავლა, ისე, რომ ამ უკანასკნელს არ წართმეოდა ფაქტების სინორის მტკიცებით ჰასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალება.

კომუნიკაციის თავისუფლებასა და პიროვნულ უფლებებს შორის სწორი ბალანსის შენარჩუნებისთვის არ უნდა მოხდეს აზრის გამომხატვის თავისუფლების ზედმეტად შეზღუდვა, რადგან ინფორმაციის გავრცელებისას სამართლებრივი შედეგებისადმი გადაჭარბებული შიში ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს აზრის გავრცელების თავისუფლების შეზღუდვას.⁷⁴⁴ მეორეს მხრივ, რათა არ მოხდეს სხვა პირთან დაკავშირებული და მისი პიროვნული უფლებების დამაზიანებელი განცხადებების ზღვარდაუდებელი გავრცელება, არსებობს ინფორმაციის სანდობის გადამოწმებისა და სხვათა უფლებების დამაზიანების პრევენციული ზომების მიღების ვალდებულება. ერთის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება რეგულირებულია „სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, რომელიც ანებს კვალიფიციურ პრივილეგიას, თუ პირი დაამტკიცებს, რომ მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სინორის გადამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება, მაგრამ ქმედითი ღონისძიებები გაატარა ცილისწამებით დამაზიანებელი პირი რეპუტაციის აღსადგენად. კვალიფიციური პრივილეგიის თავისებურება ისაა, რომ პირმა შეიძლება

⁷⁴² შემუშავებულია „საქართველოს უურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის“ მიერ 2000 წელს, <https://www.iagi.org.ge/index.php/ka-ge/2015-10-06-11-57-24>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17.01.2019, 11:30]; გერმანიაში მსგავსი ვალდებულებები მოწესრიგებულია პრესის ადგილობრივი კანონმდებლობით.

⁷⁴³ იხ. Kasabova v Bulgaria, ECHR, განაცხადის №22385/03, 19.04.2011.

⁷⁴⁴ BVerfGE NJW 2006, 207, 209- Stople.

დაკარგოს ეს უკანასკნელი ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამდენად, სასურველია, რომ ქართულმა სასამართლოებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მხარეთა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს განსახილველი საქმეების განხილვისას და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დაგდენილი კვალიფიციური პრივილეგია ზედმინევნითი სიზუსტით მიანიჭონ მოპასუხეს.

4.4 შეურაცხყოფა და უხამსობა

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ტერმინთა განმატების ნაწილში ახდენს უხამსობის დეფინიციას შემდეგი სახით: „ისეთი განცხადება, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. ამავე კანონის მე-8 მუხლი აწესებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინაშთ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. ამავე კანონის მე-9 მუხლი ადგენს და უშვებს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირების შესაძლებლობას სხვადასხვა დროს, მათ შორის უხამსობის და პირისპირ შეურაცხყოფის შემთხვევებში.

ზოგადად მორალის და შესაბამისად უხამსობის დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ამასთან, სხვა პირთა უფლებებისა თუ რეპუტაციის დასაცავად უხამსობის შეზღუდვა და, შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁷⁴⁵ შეზღუდვის ფარგლებთან დაკავშირებით აქტუალურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა,⁷⁴⁶ რომელიც გამოხატვის თავისუფლებით მონიჭებულ სიკეთეს ავრცელებს არა მხოლოდ კეთილგანწყობილ და უვნებელ გამონათქვამებზე, არამედ ისეთების

⁷⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

⁷⁴⁶ Handyside v. United Kingdom, ECHR, განაცხადის №5493/72, 07.12.1976; Lingens v. Austria, ECHR, განაცხადის №9815/82, 08.07.1986.

მიმართაც, „რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხმყოფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს“⁷⁴⁷.

ზემოთხსენებული ფორმულა ნათლად წარმოაჩენს ევროპული სასამართლოს საერთო სულისკვეთებას, რომელიც ერთგვარი მინიშნებაა დასაშვები შეზღუდვის მცირე ფარგლების შესახებ. ქართული სასამართლო პრაქტიკაც იყენებს ამ ფორმულას, როგორც პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაზრისის მოთხოვნას და ადგენს, რომ სახელმწიფომ, ისე როგორც ხალხმა უნდა აიტანოს მათთვის შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი თუ შემამოფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა, რომლის შეზღუდვის შესაძლებლობას ლოგიკურად მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უშვებს.⁷⁴⁸ საკასაციო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, ერთ-ერთ საქმეზე⁷⁴⁹ მართალია დაუშვა, რომ ცალკე აღებული სადავო გამონათქვამები, შესაძლოა, შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ საგაზეთო სტატიის მთელი კონტექსტისა და საზოგადოებრივი ინტერესის თემატიკაზე საჯარო დისკუსიის გათვალისწინებით მოსარჩელეს თემის მეტი ვალდებულება დააკისრა.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოებისგან განსხვავებით, აზრის გავრცელების ფარგლებისა და მნიშვნელობის დიფერენცირებას ახდენს წმინდა ფაქტების გავრცელების, ფორმალური შეურაცხყოფისა და უხამსობის რანგში და მათ დაცვის გაცილებით დაბალ რანგს ანიჭებს, ვიდრე არამეურაცხმყოფელი და არადამამცირებელი აზრის გავრცელებას.⁷⁵⁰ შეურაცხყოფას სასამართლოები ვიწროდ განიხილავენ⁷⁵¹ და ავრცელებენ არა ნებისმიერი კრიტიკულ გამონათქვამზე, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა პუბლიკაციის გავრცელების ერთადერთი და წინასწარგანზრახული მიზანი მართლმადიდებელი პიროვნების დამცირებაა,⁷⁵² ხოლო მისი კონტექსტი კავშირში არ

⁷⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/1713-15.

⁷⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

⁷⁴⁹ იქვე.

⁷⁵⁰ BVerfGE 85, 1, [14]=NJW 1992, 1439 [144].

⁷⁵¹ BVerfG 17.9.2012 – 1 BvR 2979/10, NJW 2012, 3712- ადვოკატი მოხსენიებულ იქნა „სამართლის ექსტრემისტად და რადიკალად“. სასამართლომ დასახელებული სიტყვები აზრის გავრცელების კონტექსტში განიხილა, რომელთა დამტკიცებაც ვერ მოხერხდებოდა. თუ დასახელებულ ეპითეტებს ადვოკატის მიმართ კავშირი აქვს საქმის გარემოებებთან, უხამსობის არსებობა გამოირიცხება. აღნიშნული განცხადება ეხება პირის სოციალურ სფეროს, თუმცა რადგან მოსარჩელემ თავად შეუწყო ხელი მათ გასაჯაროებას, უნდა აიტანოს თუნდაც მისი სოციალური შეფასების და რეპუტაციის უფლების დამცრობა- BVerfG 28.7.2014 – 1 BvR 482/13, NJW 2014, 3357.

⁷⁵² Regge Ph., Pegel Ch., in: Münchener Kommentar zum STGB, §193, 3. Aufl., 2017, München, Rn. 45.

არის საქმესთან ან რაიმე ფაქტობრივ გარემოებასთან.⁷⁵³ მაგ. პირის მოხსენიება „მატყუარად“ რომ ჩაითვალოს ამ პირის შეურაცხყოფად ანუ დაუშვებელ აზრის გამოხატვად, გამოთქმის კონტექსტი არ უნდა იძლეოდეს დამატებით ახსნას, პირის რომელმა ქმედებამ და ფაქტმა განაპირობა მისი ამ აზრამდე მიყვანა. ამდენად, ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია სახეზე იყოს განზრახვა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ განცხადების ზემოქმედების ხარისხი დაზარალებულზე ან სოციუმის შეფასებაზე, არამედ თავად განცხადებლის მამოძრავებელი სუბიექტური ელემენტებიც.

გერმანული იურიდიული დოქტრინა პოტენციურ შეურაცხყოფელ განცხადებებს 4 თემატურ ჯგუფად ყოფს 1. ფორმალური შეურაცხყოფა, სალანძღავი სიტყვებით მიმართვა ყოველგვარი განსჯისა და შეფასების გარეშე. 2. სხვა სახის ლანძღვა ფართო გაგებით, სადაც შედის შერეული ტიპის გამონათქვამები და ასევე იკვეთება თემატური კავშირები კონკრეტულ საქციელთან, რამაც განმცხადებელი აქამდე მიიყვანა, თუმცა სჭარბობს დამამცირებელი კონტექსტი. 3. ფაქტობრივი გარემოებების შემცველი განცხადება 4. სხვა (ნაკლებად კატეგორიზებული) გამონათქვამები.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფი⁷⁵⁴ ცალკე ითვალისწინებს შეურაცხყოფის მუხლს. ამ ნაწილში, შეურაცხყოფად განიხილება სხვა პირისათვის უპატივცემულობის ან არდატუასების გამოხატვა იმგვარად, რომ ნეგატიური გამოხატვის მიწერით ხდება პირის ჩვეულებითი, პერსონალური ან სოციალური შეფასების დაკნინება.⁷⁵⁵ აღნიშნული მუხლის დაცვის უპირველეს სამიზნედ პიროვნების ღირსება სახელდება და იგი მოიცავს ღირსების წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოხატვას, რომელიც არ არის მოცული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 187-ე პარაგრაფებით. 186-ე მუხლით გათვალისწინებული შეურაცხყოფის სახე „*Üble Nachrede*“ და 187-ე მუხლიც ობიექტურ წინაპირობად მოითხოვს ფაქტების მტკიცებას სამიზნე სუბიექტის შესახებ. ამდენად, 185-ე პარაგრაფის გამოყენების პოტენციურ წინაპირობად რჩება: აზრის გამოხატვა დაინტერესებული პირის წინაშე, დაინტერესებული პირის თაობაზე აზრის გამოხატვა მესამე პირის წინაშე და ფაქტების გამოხატვა თავად ამ პირის წინაშე (186). როდესაც დასახელებულ მუხლებს შორის იქმნება კონკურენცია, ძირითადად, პარაგრაფი 185-ე უკან იხევს 186-ესთან მიმართებით, რადგან ღირსების შემლახავი ფაქტების გავრცელების შემთხვევაში ღირსების

⁷⁵³ BVerfGE 82, 272 [284]= NJW 1991, 95.

⁷⁵⁴ §185 STGB: „Die Beleidigung wird mit Freiheitsstrafe bis zu einem Jahr oder mit Geldstrafe und, wenn die Beleidigung mittels einer Tätlichkeit begangen wird, mit Freiheitsstrafe bis zu zwei Jahren oder mit Geldstrafe bestraft“, Verkündungsblatt ausgewertet bis 31.12.2018] § 185: Text gilt seit 01.01.2000.

⁷⁵⁵ *Schneider H.*, Münchener Kommentar zum STGB, § 185, 3. Aufl., München, 2017, Rn. 14.

უფლებების დაკნინება ისედაც გათვალისწინებულია და ეს უკანასკნელი სპეციალურ ნორმადაა აღიარებული,⁷⁵⁶ ხოლო როდესაც საქმე ეხება ფაქტების გავრცელებას თავად დაზარალებულის ან მესამე პირის წინაშე, 185-ე და 186-ე მუხლები ფარავენ ერთმანეთს.

ცალსახაა, რომ ქართული მონესრიგება აზრის გავრცელების ნაწილში არ იზიარებს გერმანული სასამართლოების მიერ დადგენილ მიდგომას, რასაც ისიც ადასტურებს, რომ არც დოქტრინაში და არც სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს შეურაცხყოფისა და უხამსობის დეფინიცია, რომელიც მიზანმიმართული და ცალსახად შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოხატვის თავისუფლებით შეზღუდვის გამართლებად და პიროვნული უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფად გამოდგებოდა. ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა გერმანულ პრაქტიკაში დადგენილი მონესრიგების გაზიარებით შეურაცხყოფისა და უხამსობის განმარტება იმგვარად, რომ მასში მოაზრებულ იქნეს ცალსახად და მიზანმიმართულად პიროვნების ღირსების შემლახავი აზრების გამოხატვა თავად ამ პირის ან მესამე პირის წინაშე, რომლის ერთადერთი მიზანი პირის სოციალური, პიროვნული ან საზოგადოებრივი შეფასების დაკნინება ანუ პიროვნული სიკეთეების დარღვევა იქნებოდა.

4.5 განსხვავება ზიანი მომტანი ცნობების გახმაურებასა და ცილისწამებას შორის კონტინენტურ-ევროპულ და საერთო სამართლის ქვეყნებში

არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან პიროვნული უფლებების ხელყოფისგან დაცვის მექანიზმს გარდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და სსკ-ის მე-18 მუხლისა, ასევე ითვალისწინებს სსკ-ის 993-ე მუხლიც, რომელიც სპეციალური დელიქტური ვალდებულების სახით განამტკიცებს პასუხისმგებლობის საფუძვლებს ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისთვის. ამდენად, არასწორი ინფორმაციის გავრცელებისას, სადაც ზიანის მიყენების სამიზნე შესაძლოა იყოს როგორც პროფესიული და სანარმოო საქმიანობა,⁷⁵⁷ ისე პატივი და ღირსება, ზემოაღნიშნული მუხლები დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენენ. თუკი ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტის დადასტურება შეუძლებელი იქნება, ასეთ დროს ხელყოფილი უფლება შესაძლებელია დაცულ იქნეს სსკ-ის მე-18 და 992-ე ნორმებით⁷⁵⁸. სამართლებრივი სიცხადის და საფუძვლებს შორის

⁷⁵⁶ *Schneider H.*, Münchener Kommentar zum STGB, § 186, 3. Aufl., München, 2017, Rn. 41.

⁷⁵⁷ *Beater A.*, in: *Soergel W.*, Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 1.

⁷⁵⁸ *სტურუა ნ.*, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, ჟურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2012, 144.

შესაძლო კოლიზიის გამოსარიცხად, საჭიროა ზუსტი ზღვრის დადგენა სსკ-ის მე-18 მუხლს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ცილისწამების მარეგულირებელ მუხლსა და სსკ-ის 993-ე მუხლით დაცული სიკეთეებს შორის, რისთვისაც, პირველ რიგში, ღირებულია ამ მუხლის გერმანული ანალოგის გსკ-ის §824-ის ანალიზი, რომელიც გსკ-ის 823-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ზოგადი დელიქტური ვალდებულების პარალელურად არსებობს, ხოლო შემდგომ იმავე მუხლის მიმართების დადგენა სისხლის სამართლის კოდექსის §186-ე და 187-ე პარაგრაფებთან.

ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გავრცელება გსკ-ში რეგულირებულია §824-ე პარაგრაფში,⁷⁵⁹ რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას პირის კრედიტუნარიანობისადმი⁷⁶⁰ საფრთხის შექმნისთვის. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „პირი, რომელიც აცხადებს ან ავრცელებს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტს, რომლითაც საფრთხე ექმნება სხვა პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობას, ან რომლითაც ამ უკანასკნელის სამენარმეო საქმიანობისა თუ არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს ადგება სხვაგვარი ზიანი, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი მაშინაც კი, როცა შესაძლებელია არ იყოფა ფაქტის სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, მაგრამ უნდა სცოდნოდა“.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებამი აღნიშნული მუხლის ჩამატების აუცილებლობა განპირობებული იყო იმ საკანონმდებლო ვაკუუმით, რომელიც სამართლებრივ სივრცეში გაჩნდა §823-ე პარაგრაფის⁷⁶¹ მიღების შემდეგ. ჭეშმარიტად მცდარი ინფორმაციის გავრცელება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამოუკიდებელი სახე განმტკიცებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §187-ე პარაგრაფში, სადაც ეს უკანასკნელი დაცულ უფლებებს შორის მოსარჩელის კრედიტუნარიანობისადმი ნდობასაც გულისხმობს. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისთვის აუცილებელია დამტკიცებულ იქნეს ფაქტი, რომ მოპასუხემ გასაჯაროებული ინფორმაციის უსწორობის ცოდნის პირობებში მაინც გაავრცელა ისინი.⁷⁶² დამცავ ნორმას

⁷⁵⁹ §824 BGB: <https://dejure.org/gesetze/BGB/824.html>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.01.2019, 15:46].

⁷⁶⁰ ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან “*credere*“, რაც ვინმესადმი ან რაიმესადმი ნდობას ნიშნავს- *Beater A., in: Soergel W., Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 1.*

⁷⁶¹ *Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 1; Prütting H., Wegen G., Weinrich G., Kommentar zum BGB, 13. Aufl., §824, Köln, 2018, Rn. 35; Sprau H., in: Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, §824, 78. Aufl., München, 2019, Rn.*

⁷⁶² *Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 1.*

წარმოადგენს ასევე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §186-ე, რომლის ფარგლებშიც გავრცელებული ფაქტების უსწორობა ობიექტური მართლწინააღმდეგობის წინაპირობას ითვალისწინებს (არა გაუფრთხილებლობას) და მიმართულია პირის პიროვნული ღირსების დაცვისკენ. აღნიშნული მუხლის სამიზნე არ არის პირის ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ პირის იდეალური სიკეთეები.

ნორმის შემუშავების დროს, §823-ით დაცული უფლებების ჩამონათვალი არ იყო შეზღუდული მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობითა და დასახელებული მუხლის განმარტება ხდებოდა იმგვარად, რომ მასში პირადი ღირსებისა და რეპუტაციის დაცვაც მოიაზრებოდა. ამგვარი განმარტების საშუალებას იძლეოდა გსკ-ის §826-ის ადრინდელი რედაქცია, რომელიც ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის განზრახვის დამტკიცებას არ მოითხოვდა. მოგვიანებით, როდესაც §826-ის ფორმულირებაში განზრახვა მაკვალიფიცირებელ ელემენტად ჩაემატა და §823-ის რეგულირების სფეროც ცალსახად პიროვნების აბსოლუტურ სიკეთეებზე კონცენტრირდა, რეგულირების მიღმა დარჩა გაუფრთხილებლობით ჩადენილი და წმინდა ეკონომიკური ზიანის გამომწვევი ქმედების სანქციონების საკითხი. ამდენად, გსკ-ის 824-ე პარაგრაფის მიღება განაპირობებდა იყო იმ ხარვეზის შევსების სურვილით, რომელიც პასუხისმგებლობის მიღმა ტოვებდა გაუფრთხილებლობით ჩადენილ ისეთ უმართლობას, რომელსაც რეალური ზიანის მოტანა შეეძლო პირის ქონებრივი სფეროსთვის.

დღეს, გაბატონებული მოსაზრებით დადგენილია, რომ, §824-ის მიხედვით გავრცელებული ინფორმაციის შეფასება უნდა მოხდეს ობიექტურ სტანდარტებზე დაყრდნობით⁷⁶³ ანუ ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერადან. თუ ინფორმაციის ადრესატი კონკრეტული და სპეციალური ცოდნით აღჭურვილი საზოგადოებაა, გამონათქვამის შეფასებას სწორედ საშუალო სტატისტიკური კომერსანტის აღქმის უნარი უნდა დაედოს. ამასთან, გავრცელებული ინფორმაცია უნდა იქნეს განხილული არა კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არამედ ერთიანად.⁷⁶⁴ გამომდინარე იქიდან, რომ §824-ის მიზნებისთვის გაუფრთხილებლობაც საკმარისია, პასუხისმგებლობის დადგომისთვის გამოდგება ზიანის

⁷⁶³ *Wagner G., R.*, in: *Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV*, §824, 7. Aufl., 2017, München, 2017, Rn. 11; *BverfGE* 82, 272 (282)= *NJW* 1991, 95 (96).

⁷⁶⁴ გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში დასახელებული მუხლის გამოყენებას ჰქონდა ადგილი ისეთი ინფორმაციების გავრცელების დროს, მაგ. სადაც მოპასუხე ამტკიცებდა მოსარჩელის „გადახდისუნარობას“, „ფინანსური პრობლემების ქონას“- *RGZ* 148, 154 (159); „არალეგალური ბიზნესის განხორციელებას“- *BGH NJW* 1993, 930 (931)- „*Illegale Pelzhanel*“. „პლაგიატს“- *OLG Frankfurt NJW—RR* 1991, 1517; „არაოფიციალური თანამშრომლების სიის გასაჯაროება“- *BverfGE NJW* 2000, 2413 (2414).

მიმყენებლის ნებისმიერი ქმედება, რომლითაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოებისთვის.⁷⁶⁵ აღნიშნულ ქმედებაში ექცევა ფაქტების გავრცელება ინტერნეტ-გვერდზე⁷⁶⁶, eBay-შეთასებები⁷⁶⁷ და ა.შ.

მუხლის ფორმულირების მიხედვით ცხადია, რომ პასუხისმგებლობის წინაპირობა არ არის მხოლოდ რეალურად დამდგარი ზიანი. საკმარისია დადგინდეს, რომ გავრცელებული ინფორმაცია ვარგისი იყოს მოპასუხის ქონების, კრედიტუნარიანობის, რენტაბელურობის და სამომავლო საქმიანობის გართულებისთვის,⁷⁶⁸ თუმცა ინფორმაციის შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტულად, ადრესატთა წრის ეკონომიკურ შეფასებაუნარიანობის დონის გათვალისწინებით.⁷⁶⁹ ამასთან, მუხლის ფორმულირება მოიცავს მხოლოდ დამტკიცებად ფაქტებს და არა შეფასებებს.⁷⁷⁰

გსკ-ის §823-ე აბსოლუტური უფლების დარღვევის რანგში მოიაზრებს ზოგად პიროვნულ უფლებასაც, ასევე უფლებას ამუშავებულ და აწყობილ საწარმოსა⁷⁷¹ და საქმიან რეპუტაციაზე, რომლის სამართლებრივი ბუნებიდან სწორედ ეკონომიკური ინტერესის დაცვა გამოსჭვივს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავრცელებული ინფორმაცია აზიანებს როგორც პიროვნულ ღირსებას, ისე საქმიან რეპუტაციას (საქმიანი ღირსება-*„Geschäftliche Ehre“*) საჭიროა მოხდეს პასუხისმგებლობის საფუძვლების დიფერენცირება. ამდენად, დასახელებული მუხლი ვერ იქნება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობა გსკ-ის §253-ე მუხლის მიხედვით, რამდენადაც მისი მოქმედების არეალი მხოლოდ ქონებრივი სფეროთია შემოსაზღვრული,⁷⁷² ხოლო §823-ით დაცულ სიკეთეებს არამატერიალური და აბსოლუტური უფლებები მიეკუთვნება. ამდენად, უპირველესი განსხვავება ამ ორი მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს შორისაა. რადგან §823-მუხლით დაცული ზოგადი პიროვნული უფლება საწარმოზე უფლებას და საქმიან რეპუტაციასაც მოაზრებს, თუმცა §824-ისგან განსხვავებით ბრალის ფორმად განზრახვის

⁷⁶⁵ Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 31; BGH NJW 1995, 1965 (1966)- „Schwarze Liste“.

⁷⁶⁶ LG Hamburg MMR 2005, 479.

⁷⁶⁷ Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 31.

⁷⁶⁸ Hager J., in: Staudinger J., Kommentar zum BGB mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht des Schuldverhältnisse, §824, Berlin, 2009, Rn. 5.

⁷⁶⁹ Wilhelmi R., in: Ermann W., Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 5.

⁷⁷⁰ Wilhelmi R., in: Ermann W., Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 2; Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 15.

⁷⁷¹ Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 5.

⁷⁷² Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 5.

დამტკიცებას მოითხოვს, დასახელებული უფლებების დაცვა თავისუფლად შეიძლება მოექცეს მათ შორის §824-ე მუხლის მოქმედების არეალში, განსაკუთრებით განზრახ ჩადენილი ქმედებების დროს.

მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეების დაცვის დიფერენცირების მიზნით, დროთა განმავლობაში საქმიანი რეპუტაციის უფლება გამოირიცხა §823-ე მუხლის სამოქმედლო არეალიდან.⁷⁷³ შესაბამისად, არასწორი ინფორმაციის გავრცელებისას, რომელიც შედეგად იწვევს პირის ან სანარმოს საქმიანის იმიჯის დამცრობას, გამოირიცხავს უფლებას სანარმოზე,⁷⁷⁴ ხოლო ნებისმიერი არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სანარმოს საქმიანი ურთიერთობების ფორმირებაზე, თუნდაც ეს ინფორმაცია პირდაპირ არ იყოს მიმართული აღნიშნულ სანარმოზე, კვლავ გსკ-ის §823-ე მოქმედების სფეროში ექცევა, რადგან იძლევა მნეობის საწინააღმდეგო ქმედებად განხილვის საშუალებას.

რაც შეეხება §824-ე მუხლის მიმართებას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §187-ე მუხლთან, რომლის ობიექტური შემადგენლობა სამართლებრივი შედეგის სახით ასევე ითვალისწინებს მოპასუხის კრედიტუნარიანობისთვის ხელის შეშლას, გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაში ერთიანი პოზიცია არსებობს⁷⁷⁵ იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის §187-ე მუხლი წარმოადგენს კრედიტუნარიანობის დაცვის კუთხით ალტერნატიულ დამცავ ნორმას მხოლოდ ქონებრივი ტიპის ზიანის შემთხვევაზე და არა პატივისა და ღირსების დაცვის კუთხით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის დასახელებული მუხლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მოითხოვს განზრახვის არსებობას, ხოლო გსკ-ის §824-სთვის საკმარისია მხოლოდ ის ფაქტი, რომ გავრცელებული ინფორმაცია ობიექტურად მცდარია.⁷⁷⁶ იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს ის ფაქტი, მინიმუმ გაუფრთხილებლობა უნდა იყოს თუ არა სახეზე პასუხისმგებლობისთვის, თუმცა გაბატონებული პოზიციით და ნორმის ისტორიული განმარტებითაც დგინდება, რომ ზიანის მიმყენებელს უნდა ჰქონდეს ზიანის მიყენებისა და აკრძალული ქმედების ჩადენის აღქმადობის შესაძლებლობა.⁷⁷⁷ ამაზე

⁷⁷³ *Beater A., in: Soergel W., Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 4.*

⁷⁷⁴ *Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 5.*

⁷⁷⁵ *Regge Ph., Pegel Ch., in: Münchener Kommentar zum STGB, §187, 3. Aufl., München, 2017, Rn. 6-10.*

⁷⁷⁶ *Wilhelmi R., in: Ermann W., Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 1.*

⁷⁷⁷ *Beater A., in: Soergel W., Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 39; Hager J., in: Staudinger J., Kommentar zum BGB mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht des Schuldverhältnisse, Berlin, 2009, Rn. 11; Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB,*

მეტყველებს §824-ის მეორე ნაწილიც, რომლის მიხედვითაც, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ გახმაურებული ინფორმაცია მცდარია, მაგრამ მოპასუხემ დაამტკიცა, რომ მას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი ევარაუდა, რომ ინფორმაცია სწორია, პასუხისმგებლობა არ დგება.⁷⁷⁸ ამის გარდა, §824-ე მუხლში ინფორმაციის მცდარობის მტკიცების ტვირთი დაზარალებულზეა, ხოლო ზიანის მიმყენებელს უფლება აქვს ფაქტების სისწორის დამტკიცების შემთხვევაში თავი გაითავისუფლოს პასუხისმგებლობისგან.⁷⁷⁹

ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, როგორც დელიქტის სახე, საერთო სამართლის ქვეყნებშიც გავრცელებულია. დელიქტის ეს სახე არ არის განხილული ცილისწამების სარჩელის შემადგენელ ნაწილად, არამედ ცალკე პასუხისმგებლობის ფორმაა ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისთვის და ცნობილია კონკურენციის მარეგულირებელი სამართლებრივი ინსტიტუტის -“*Malicious Falsehood*”-ის სახელწოდებით.⁷⁸⁰ ასევე არსებობს სარჩელის დამოუკიდებელი სახე „*Passing off*,” რომელიც სხვისი სახელის მიკუთვნებით საქმიანი რეპუტაციის დარღვევაში გამოიხატება.

Malicious Falsehood-ი, გსკ-ის §824-ის მსგავსად, იცავს სანარმოს ან პირის ეკონომიკურ შეფასებაუნარიანობას. გსკ-ის §824-ის ანალოგიურად, *Malicious Falsehood*-იც არ იძლევა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას და სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ქონებრივი ტიპის ზიანის ანაზღაურებით შემოიფარგლება.⁷⁸¹

აღნიშნული სარჩელის დაცვის ობიექტია საქმიან ბრუნვაში მოპოვებული კარგი რეპუტაცია ანუ ამ შემთხვევაში წინა პლანზეა წამოწეული პიროვნული უფლებების საფაქრო-კომერციული ასპექტები და არა *action for defamation*-ით დაცული პიროვნული ღირსება. პასუხისმგებლობის დანესებისთვის საჭიროა მოსარჩელემ დაამტკიცოს, რომ საქმიანობის კონკრეტულ

Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017, Rn. 55- კომენტარის ავტორები მიიჩნევენ, რომ მინიმუმ გაუფრთხილებლობა უნდა იყოს სახეზე.

⁷⁷⁸ სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, უერნ. „სამართალი“, №1, თბ., 2012, 152.

⁷⁷⁹ *Wilhelmi R.*, in: *Ermann W.*, Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017, Rn. 1.

⁷⁸⁰ *Amelung U.*, Der Schutz der Privatheit im Zivilrecht, Tübingen, 2002, 113.

⁷⁸¹ *Beater A.*, in: *Soergel W.*, Kommentar zum BGB, §824, 13. Aufl., Stuttgart, 2005, Rn. 10; *Carson v. John Fairfac & Sons Ltd.* [1993] 178 CLR 44- ავსტრალიის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნა ის სამი ფუნქცია, რასაც ცილისწამების თაობაზე ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება: 1) პიროვნების პერსონალური დისკრედიტის და ზიანისთვის ნუგეშისცემა. 2) პირის რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. 3) რეპუტაციის აღდგენა.

სფეროში მან მოიპოვა სახელი ან კარგი რეპუტაცია, რომელიც მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობებით შეილახა.⁷⁸²

გარდა სსკ-ის §824-თან აღმოჩენილი მსგავსებისა, *Malicious Falsehood*-ი წარმოადგენს ამერიკული სამართლის პირმშო სარჩელის სპეციალური სახის- *Tort of appropriation of a plaintiff's name or likeness*- თან, რომელიც საჯაროობაზე უფლების („*Right to publicity*“) სპეციალური შემთხვევას წარმოადგენს და ემსახურება საკუთარ პიროვნებაზე უფლების ეკონომიკური ღირებულების დაცვას. შესაბამისად, ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში პირს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

გერმანული მონესრიგებისგან განსხვავებით, სსკ-ის 993-ე მუხლი ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გავრცელებისას პასუხისმგებლობის სახედ ბრალის სახით უთითებს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას. ამასთან, სსკ-ის მე-18 მუხლში დაცული უფლებების ხელყოფისას პასუხისმგებლობა დგება ბრალის გარეშე, ხოლო ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. განსხვავება სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულ პატივსა და ღირსებასა და ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისას უფრო მარტივი საპოვნელია, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს და მიზნად უნდა ისახავდეს ზიანის მიყენებას, ხოლო პატივისა და ღირსების შელახვის დროს ყოველთვის ხდება პირის დამცირება საზოგადოების თვალში, მაგრამ ზიანი ეკონომიკური არ არის⁷⁸³.

ამის საპირისპიროდ, რთულია დადგინდეს სს-ის მე-18 და 993-ე მუხლებს შორის რეალური განსხვავება, რომელიც წესით ასევე გავრცელებული ინფორმაციის ხასიათში უნდა ვლინდებოდეს, თუმცა როგორც სახელის, ისე საქმიანი რეპუტაციის შელახვამ იმავე წარმატებით შეიძლება გამოიწვიოს პირის ეკონომიკური ნდობისუნარიანობისადმი ზიანის მიყენება, ხელიდან გაუშვას მოგება, დაკარგოს კლიენტი და სხვა, როგორც 993-ე მუხლის დისპოზიციის შემთხვევაში. მართალია, სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, ხოლო 993-ე მუხლის წინაპირობა კი ბრალია, თუმცა საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაშიც სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქაც მხოლოდ ბრალის შემთხვევაშია შესაძლებელი. როგორც გერმანული მაგალითის განხილვისას გამოჩნდა, სწორედ მსგავსი კოლიზიების თავიდან აცილების მიზნით იქნა პარაგრაფ 823-ი რეგულირების სფეროდან საქმიანი

⁷⁸² Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 1090.

⁷⁸³ სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, ურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2012, 148.

საქმიანი რეპუტაციის და ეკონომიკური ზიანის გამორიცხული და ის მხოლოდ ერთი, §824-ითაა დაცული, რომელიც ბრალის შედარებით მარტივ ფორმას-გაუფრთხილებლობას მოითხოვს.

აღნიშნული მიდგომების გადმოტანა ღირებულია საქართველოშიც, რადგან სსკ-ის 993-ე მუხლით მოქმედი რედაქციით არსებობისა და ზოგადი პიროვნული უფლების არქონის პირობებში 993-ე მუხლის არსებობა მხოლოდ სსკ-ის მე-18 მუხლში უფრო მაღალი სტანდარტით უკვე დაცული ერთ-ერთი სიკეთის დუბლირებაა, რაც პრაქტიკულად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მუხლის ამ სახით არსებობის საჭიროებას.

5. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის არაქონებრივი საშუალებები

პიროვნული უფლების დაცვის შესახებ კანონმდებლობა, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური კანონების სახით დამატებით განამტკიცებს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და პირადი ცხოვრების შელახვის შემთხვევებში მოსარჩელის უფლებათა დაცვის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ა) გავრცელებული ცნობების უარყოფა; ბ) გავრცელებული არასრული ცნობების შევსება ისეთი ცნობით, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება და ამასთან ერთად აქარწყლებს არასრულ ცნობებს (*Rectification, Beseitigung*); გ) გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებით, რომლითაც ისინი გავრცელდა; დ) იმ საბუთის შეცვლა, რომელიც სინამდვილის შეუსაბამო ცნობებს შეიცავდა და გავრცელდა არა ფიზიკური პირის, არამედ ორგანიზაციის მიერ.⁷⁸⁴ ე) სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

მოქმედებისგან თავის შეკავებისა და საპასუხო ცნობების გავრცელების მსგავსად, აქაც გაუგებარია კანონმდებლის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დასახელებული ფორმის გამოყენების შესაძლებლობის დადინროების შესახებ მხოლოდ ოთხ პიროვნულ უფლებებზე, რადგან ფაქტობრივად დაცვის მიღმა რჩება პიროვნულობის დანარჩენი ასპექტები, როგორიცაა მაგ. სახელის და გამოსახულების უფლებები, მაშინ, როდესაც თუნდაც სახელის იდენტობის აღრევის ან სხვისი სახელის ან გამოსახულების უნებართვო გამოყენების შემთხვევაში სამართლებრივად გამართლებული და დაშვებული უნდა იყოს შესწორების ან უარყოფის გამოყენების მოთხოვნა. აღნიშნული ნორმის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული და ფართო განმარტების გზით უნდა მოხდეს მისი აღმოხვრა.

⁷⁸⁴ ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999, 63.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა და ლიტერატურაში გაბატონებული პოზიცია დაცვის ფორმების ნაწილში ფაქტობრივად ემთხვევა ქართულ მიდგომას, თუმცა დოგმატური თვალსაზრისით ახდენს სისტემატიზაციას და ერთიანი ცნების სახით განამტკიცებს უფლების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნას (*Beseitigungsanspruch*)⁷⁸⁵, როგორც გენერალურ ინსტიტუტს, რომელიც თავის თავში ოთხ ქვემოთხოვნას მოიცავს: 1. მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნება ან მოქმედებისგან თავის შეკავების თაობაზე ხელწერილი; 2. ცნობების უარყოფა; 3. შესწორება და 4. განვრცობა.

დასახელებული მოთხოვნების ჯამი წარმოადგენს არაქონებრივ უფლებათა კატეგორიას, რომლის უპირველესი მიზანია წარსულში ჩადენილი პიროვნული უფლების განგრძობადი და აწმყოშიც მოქმედი დარღვევის შედეგების კორექცია და პიროვნული უფლებებით მინიჭებული სიკეთეების აღდგენა.⁷⁸⁶ აღნიშნული მიზანი მაშინაც ლეგიტიმურად ითვლება, როდესაც მომავალში სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება აღარ არსებობს, თუმცა წარსულში მიყენებული ზიანის შედეგი ჯერ კიდევ თვალნათელია და ზიანის მიმყენებელი არ აპირებს ნებაყოფლობით მათ გამოსწორებას⁷⁸⁷. დასახელებული უფლებებიდან ყველაზე აქტუალური ხასიათი ინფორმაციის უარყოფის შესახებ სარჩელებს გააჩნია, რომლის წინაპირობაა წარსულში პიროვნული უფლების ობიექტური დარღვევის ფაქტის არსებობა განგრძობითი ეფექტით.

მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნისგან განსხვავებით, რომელიც სამომავლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმეორების პრევენციას ემსახურება, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ სარჩელი უპირატესად წარსულში უკვე ჩადენილი შედეგების ლიკვიდაციისკენაა მიმართული. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს ერთდროულად შეუძლია ზიანის მიმყენებლის მიმართ მოქმედების შეწყვეტისა და აღნიშნული გადანყვეტილების გამოქვეყნების მოთხოვნა,⁷⁸⁸ რაც საქართველოსთვისაც გასათვალისწინებელია. თუ

⁷⁸⁵ *Sprau H.*, in: *Palandt O.*, Kommentar zum BGB, §823, 78. Aufl., München, 2019, Rn. 33; *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 326; *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 769.

⁷⁸⁶ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 279; *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 771.

⁷⁸⁷ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 279.

⁷⁸⁸ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 771.

მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნა ეხება ფაქტების მტკიცებას, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნებას ექნება იგივე მოქმედების ეფექტი, რაც შესწორებას, რადგან აღნიშნული მოთხოვნაც მიმართულია წარსულში დაზიანებული ინტერესის სრულად აღდგენაზე ანუ უმართლობის ნეგატიური შედეგების კორექციაზე. ამასთან, უფლებადარღვეულმა პირმა თავად უნდა განსაზღვროს რამდენად არის დასახელებული მექანიზმები ვარგისი საზოგადოებრივი აზრის შეცვლისთვის, რადგან არსებობს რისკი, რომ არასწორი რეპორტაჟით გამონვეულ შთაბეჭდილებას საზოგადოებაში უარყოფა ვერ „შეცვლის“, რადგან ამ თემასთან დაკავშირებით საჯაროდ გამოთქმულ ყველა შემდგომ აზრს უფრო სუსტი რეზონანსი მოჰყვება⁷⁸⁹. დასახელებული არაქონებრივი საშუალებების შინაარსის უკეთ წვდომისთვის მიზანშეწონილია თითოეული მათგანის დეტალური განხილვა.

5.1 გავრცელებული ცნობების უარყოფა, როგორც პიროვნული უფლებების დაცვის არაქონებრივი საშუალება

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ინფორმაციის უარყოფის (*Widerruf; Retraction*) ორ შემთხვევას განასხვავებს: ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და ბ) ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთით.⁷⁹⁰ ინფორმაციის კერძოდ, არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფის მოთხოვნის უფლებას განამტკიცებს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომელიც ასეთ უფლებას ანიჭებს პირებს, თუ არასათანადო რეკლამა მათ უფლებებსა და ინტერესებს აზიანებს.⁷⁹¹

გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობით აღნიშნული მოთხოვნის განხორციელება არ არის დამოკიდებული ბრალზე. მსგავსი მონესრიგების მიზანი დაკავშირებულია თავად უფლების დაცვის საშუალების სამართლებრივ ბუნებასთან, რადგან ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამკისრებელ ქონებრივი ტიპის სანქციის სახეობას,

⁷⁸⁹ ბიჭია მ., პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), ურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1 (2), თბ., 2014, 23.

⁷⁹⁰ ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 129; სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს, თუ აზრის და ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნის შემდეგ დადგინდება, რომ გავრცელებულია არსებითაც მცდარი ინფორმაცია და მოსარჩელეს ამ განცხადებით გრძელვადიან პერსპექტივაში ერღვევა პიროვნული უფლებები (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრება), ხოლო თუ საქმე ეხება საჯარო პირის ცილისწამებას, დამატებით მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში გაუფრთხილებლობა, რამაც გამოიწვია არსებითაც მცდარი ფაქტების შემცველი განცხადების გავრცელება- იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე №ას-928-868-2017.

⁷⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გაჩინება საქმეზე №3კ/924-01.

მიზნად არ ისახავს უფლებადარღვეული პირისთვის კმაცოფილების მოგვრას და არც კომპენსაციას,⁷⁹² ასევე არ ავალდებულებს მოპასუხეს საკუთარი განაცხადისგან სრულად დისტანცირებას. ინფორმაციის უარყოფის თაობაზე მოთხოვნის წინაპირობაა მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის დადასტურება, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ ამუამად მიმდინარე დარღვევებით⁷⁹³. სამართლებრივი სიკეთის დაცვის საშუალების ბრალის მტკიცებისგან გათავისუფლებით მიღწეულია მისი ზიანის ანაზღაურების ჩარჩოებისგან სრულად გამიჯვნა და ინფორმაციის უარყოფის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი საშუალების ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, ზიანის ანაზღაურება და ინფორმაციის უარყოფა შინაარსობრივად მაინც კვეთენ ერთმანეთს, რადგან ორივე ერთსა და იმავე დარღვევის აღკვეთას ემსახურება, თუმცა მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც. კერძოდ, რადგან ინფორმაციის უარყოფა ბრალისგან განყენებულია, მისი მოქმედების არეალი უშუალოდ უფლების დამღვევი ქმედების აღკვეთისკენაა მიმართული, რომელიც სამომავლოდ ზიანის მიყენების ფაქტის პრევენციაცაა, ხოლო უშუალოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა მიმართულია წარსულ დროში დამდგარ უარყოფით მოვლენაზე და უკვე დამდგარი შედეგების აღმოფხვრაზე. ამდენად, ინფორმაციის უარყოფა, ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით, მოითხოვს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების წარსულში არსებული წყაროს სამომავლოდ აღმოფხვრას და არა უკვე დამდგარი სამართლებრივი შედეგის კორექციას. სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირია ის, ვისაც უშუალოდ და ინდივიდუალურად შეეხო დამაზიანებელი განცხადება.

სასამართლო პრაქტიკაში უმეტესად გვხვება კომბინირებული ტიპის სარჩელები, როდესაც საპასუხო ცნობების გავრცელების გვერდით ითხოვენ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასაც⁷⁹⁴ ბრალის არსებობის შემთხვევაში. ამას უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოსარჩელისთვის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფით მიღებული ეფექტი არ არის საკმარისი დაზარალებულის სულიერი ტანჯვის

⁷⁹² *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 292; *Damm R.*, *Kuner W.*, *Widerruf, Unterlassung und Schadenersatz in Presse und Rundfunk*, München, 1991, Rn. 277; *Pashke M.*, *Medienrecht*, Vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 401.

⁷⁹³ *Damm R.*, *Kuner W.*, *Widerruf, Unterlassung und Schadenersatz in Presse und Rundfunk*, München, 1991, Rn. 270; *Pashke M.*, *Medienrecht*, Vollst. überarb. Aufl., Hamburg, 2014, 399. *Altenhain H.*, *Negatorischer Ehrschutz*, Berlin, 2003, 37 „Fortwirkende Quelle gegenwärtiger Ehr- oder Rufschädigung“.

⁷⁹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

შესამსუბუქებლად.⁷⁹⁵ არსებითად მცდარი ინფორმაციით ზიანის მიყენების ან ამგვარი საფრთხის არარსებობა გამოორიყხავს საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.⁷⁹⁶ ამგვარი შედეგი დგება უმეტესად აზრის გამოხატვის შემთხვევაში, როდესაც თუნდაც მოპასუხის სუბიექტური შეფასების გამომხატველი სადავო გამონათქვამი შეურაცხმყოფელი, მტკივნეული, უარყოფითი ემოციისა და გარკვეული დისკომფორტის შემქნელია, თუმცა ვერ აკმაყოფილებს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს⁷⁹⁷ აზრის გამოხატვის თავისუფლების პრიველირების გამო.⁷⁹⁸

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის აღნიშნული მექანიზმის კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული პოზიცია ემყარება დაშვებას, რომ პირის უფლება, არ იქნეს იძულებული რაიმე აზრის გამოთქმაზე, განსაკუთრებულად დაცულ უფლებას წარმოადგენს და თავის თავში მოიცავს არასასურველი აზრის გამოხატვისაგან თავის შეკავების უფლებასაც⁷⁹⁹. დასახელებულ კონტექსტში გასათვალისწინებელია “ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის” ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი⁸⁰⁰, რომელიც ინდივიდის პიროვნულ და რელიგიურ მრწამსს იცავს, არ არის მოქცეული აბსოლუტურ უფლებათა ჩამონათვალში. მსგავსი სტატუსი აქვს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ აზრის და ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებასაც, ის იზღუდება “სხვათა უფლებებით და თავისუფლებებით”, თუმცა შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების ტესტს. ნიშანდობლივია, რომ უარყოფის ვალდებულება არ

⁷⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის დგადანწყვეტილება საქმეზე №ას-440-754-09.

⁷⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივლისის დგადანწყვეტილება საქმეზე №ას-207-194-2011.

⁷⁹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის დგადანწყვეტილება საქმეზე №ას-103-98-2014.

⁷⁹⁸ ნაძალადევი აზრის გავრცელებით მანც ვერ იქნება მიღწეული სასურველი შედეგი, მესამე პირებზე ზემოქმედების კუთხით- შდრ. *Rixecker R.*, in *Münchener Kommentar zum BGB*, §12, *Allgemeine Persönlichkeitsrecht*, 8. Aufl., 2018, München, Rn. 281; *Karsai v. Hungary*, ECHR, განაცხადის №5380/07, 01.03.2010.

⁷⁹⁹ იხ. *ნინიძე თ.*, პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, *ჟურნ. “საბჭოთა სამართალი”*, თბ., 1977, 15.

⁸⁰⁰ 1948 წლის 10 დეკემბრის “ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის” ევროპული კონვენცია, საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940 დადგენილებით.

არსებობს, თუ ინფორმაციის წარმომდგენს შეუძლია დაადასტუროს, რომ ეს უკანასკნელი სინამდვილეს შეესაბამება⁸⁰¹.

საგულისხმოა გერმანელი პროფესორი როლოფ კნიპერის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც “ქართველმა კანონმდებელმა შეგნებულად შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პატივის, ღირსების და პირადი ხელშეუხებლობის ისეთი დაცვა, რათა გამიჯნოდა საბჭოთა პერიოდში გავრცელებულ პრაქტიკას, როცა მიღებული იყო მაკომპრომეტირებელი ფაქტებით მანიპულირება, რომელთა ნამდვილობა არც მტკიცდებოდა, განსაკუთრებით მასმედიაში გავრცელების გზით”.⁸⁰² სწორედ მესამე პირთა დაცვის სადარაჯოზე დგას სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც მოითხოვს გამავრცელებლის მიერ აღნიშნული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებულია, უარყოს გავრცელებული ცნობები. სწორედ აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით გადაწყვიტა დადებითად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სსკ-ის მე-18 მუხლის მესამე ნაწილის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის საკითხი, რაც გასაზიარებელია და სრულად შეესაბამება პიროვნული უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს.

ამასთან, განაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმის განმარტებას საერთო სასამართლოების მიერ, რომლებმაც უნდა დაადგინონ და შეაფასონ არა მარტო ცნობების ნამდვილობა, არამედ გავრცელებული ცნობების ხასიათიც და გადაწყვიტონ, ლახავს თუ არა ის პიროვნულ ღირებულებებს. ეს ნიშნავს რომ უფლების დაცვის ამ სახემ არ უნდა გამოიწვიოს ზიანის მიმყენებლის იმაზე მეტად დავალდებულება, ვიდრე პიროვნული უფლების მფლობელი დაზიანდა პირველადი პუბლიკაციის გამოქვეყნებით. ინფორმაციის უარყოფისას დაუშვებელია პირის ბოდიშის მოხდის ან პიროვნების ღირსების თაობაზე მოპასუხის მხრიდან რაიმე ახსნა-განმარტებითი ჩანართის მოთხოვა. ამ კონტექსტში, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ⁸⁰³ დასაშვებადაც კი მიიჩნია უარყოფის განხორციელება პუბლიკაციის გამავრცელებლის დათქმით, რომ ის, თუმცა

⁸⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3; ციტირებულია: გერმანიიდან სპეციალისტის სახით მონვეული ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის როლოფ კნიპერის მოსაზრება.

⁸⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3; ციტირებულია: სპეციალისტად მონვეული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის შალვა ჩიკვაშვილის წერილობითი დასკვნიდან.

⁸⁰³ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 333.

იმავე აზრზე რჩება, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების მიზნით ახდენს ინფორმაციის უარყოფას.

უარყოფის შესახებ მოთხოვნა ეფექტური და გამოსადეგი რომ იყოს დაზიანებული ინტერესის აღსადგენად, შინაარსობრივად ზუსტად უნდა ემთხვეოდეს პიროვნული უფლების დამაზიანებელ პუბლიკაციას. შესაბამისად, გავრცელებული ცნობების უარყოფის თაობაზე განცხადების გამოქვეყნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციას, თუ უარყოფის გამოქვეყნება მოხდება ანალოგიური ფორმით, იმავე გამოცემაში, იმავე პრიფტით, იმავე გვერდზე და ა.შ.⁸⁰⁴ თუ ინფორმაციის გავრცელება მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მისი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით⁸⁰⁵. მნიშვნელოვანია, რომ უარყოფამაც შეაღწიოს იმავე აუდიტორიის მოქმედების არეალში, სადაც ადგილი ჰქონდა პირველადი პუბლიკაციის გავრცელებას. ამდენად, თუ ინფორმაციის გავრცელებას ადგილი ჰქონდა ჟურნალის პირველ გვერდზე ან სპეციალური გამოშვების პირველ სიახლედ, უარყოფაც იმავე ადგილას და დროც უნდა განთავსდეს,⁸⁰⁶ რათა მიღწიოს აუდიტორიის ყურადღების იმავე ხარისხს. იგივე შეიძლება ითქვას ორგანიზაციის მიერ გაცემულ საბუთზეც, მაგ. სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება, სადაც მითითებულია არასწორი ინფორმაცია პირის გათავისუფლების თაობაზე. თუ პუბლიკაციის გავრცელებას ადგილი ჰქონდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მაგრამ საქმე ეხებოდა მესამე პირის ინფორმაციის განთავსებას, მოპასუხე შესაძლებელია იყოს მედიასაშუალება, თუ ის არ ახდენს ამ პუბლიკაციისგან დისტანცირებას და მედიასაშუალება არ იქნა გამოყენებული მხოლოდ სხვისი აზრის განთავსების პლატფორმა.

5.2 საპასუხო ცნობების გავრცელება

საპასუხო ცნობების გავრცელების უფლება (*Gegendarstellung; Right of replay*) წარმოადგენს პიროვნული უფლებების თვითდამცავ ბერკეტს. მისთვის დამახასიათებელი გარემოებაა, რომ უფლების დაცვის მიზნით შესაბამის მოქმედებას თვით დაინტერესებული პირი ასრულებს ნორმატიულად დადგენილი რაიმე რეგლამენტის გარეშე.⁸⁰⁷ შესაბამისად,

⁸⁰⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1713-15.

⁸⁰⁵ *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 297.

⁸⁰⁶ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., 2018, München, Rn. 284.

⁸⁰⁷ *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015, 20.

პირს ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა სასამართლოს გარეშე აქვს, ხოლო, მედია საშუალების მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში მას წარმოეშობა იურისდიქციული მექანიზმების ამოქმედების უფლება.⁸⁰⁸ საპასუხო ცნობების გავრცელება გულისხმობს თავად უფლებამოსილი პირის საკუთარი საპირისპირო მტკიცების განთავსებას, ამიტომაც იურიდიული დოქტრინა სკეპტიკურად არის განწყობილი დაცვის ამ ფორმის ეფექტურობის მიმართ, რადგან ამით უფრო მეტად ხდება საზოგადოების მესხიერებაში დაღწეილი ინფორმაციის წამოტივტივება, ვიდრე მისი გაქარწყლება.⁸⁰⁹ მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პიროვნული უფლებების დაცვის თვალსაზრისით ეს ფორმა გამოყენების ინტენსივობით მეორე ადგილზე დგას, ინფორმაციის უარყოფის მოთხოვნის შემდეგ⁸¹⁰. პრაქტიკაში მისი გამოყენების ინტენსივობის მიზეზი აიხსნება დარღვევაზე სწრაფი რეაგირების ეფექტით.

ისევე როგორც ინფორმაციის უარყოფა, საპასუხო ცნობების გავრცელებაც მხოლოდ ფაქტების ანუ ობიექტურად დამტკიცებად ინფორმაციასთან დაკავშირებით გამოიყენება.⁸¹¹ ეს ნიშნავს, რომ პასუხი ცალსახად უნდა ეხებოდეს პირველად პუბლიკაციაში განთავსებულ ფაქტებს, რომელიც საპირისპირო მოცემულობით იქნება გაქარწყლებული. თუ პირველადი განცხადება შეფასების გამომხატველი იყო, მასზე საპასუხო ცნობის გავრცელებამ შესაძლოა შელახოს აზრის გავრცელების თავისუფლება, რაც, ცხადია, დაუშვებელია.

სსკ-ის მე-18 მუხლი და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს საპასუხო ცნობის გავრცელებისთვის რაიმე სპეციალურ ფორმას, თუმცა გასაზიარებელია გერმანულ სამართალში არსებული მიდგომა,⁸¹² რომელიც წერილობით ფორმას ანიჭებს უპირატესობას, თუნდაც აუდიტორიაზე რეალური გავლენის მოხდენის თვალსაზრისით, რომელიც უნდა განთავსდეს პერიოდული პუბლიკაციის ან პრესის ფურცლებზე, გადაცემაში ან ინტერნეტ სივრცეში. წერილობითი

⁸⁰⁸ ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 130.

⁸⁰⁹ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 754; Bamberger H.G., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 380.

⁸¹⁰ Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 754.

⁸¹¹ Rixecker R., in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., München, 2018, Rn. 324; Bamberger H.G., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 380.

⁸¹² Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 304.

ფორმა სასურველია მაშინაც, თუ აუცილებელია პუბლიკაციის ხელმოწერა უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, საპასუხო ცნობა უნდა გავრცელდეს პირველადი პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან მალევე,⁸¹³ გონივრულ ვადაში, რათა პირველადი პუბლიკაციით დამდგარი შედეგი ჯერ კიდევ აქტუალური იყოს. მოთხოვნის უფლება შესასრულებლად სავალდებულოდ და ვადამოსულად ითვლება საპასუხო ცნობის ვალდებულ პირთან გადაგზავნის და გამოქვეყნების მოთხოვნისთანავე.⁸¹⁴ ვალდებულ პირთან გადაგზავნა წარმოადგენს რეალაქტს, ხოლო გამოქვეყნების თაობაზე თხოვნა სამართლებრივად რელევანტურ ნების გამოვლენას.

საპასუხო განცხადება უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოკლედ და ლაკონურად და მასში ნათლად უნდა იკითხებოდეს, რომ ის პირველადი პუბლიკაციის საპასუხოდაა გავრცელებული. საპასუხო ცნობის მოცულობასთან დაკავშირებით მოქმედებს რელატიურობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ განცხადების ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ფაქტების შეუსაბამო განვრცობას.⁸¹⁵ აღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ დაინტერესებულ მხარეს საერთოდ არ აქვს კონტექსტთან კავშირში მყოფი და მისი არგუმენტაციის გამამყარებელი დამატებითი ფაქტის მოყვანის უფლება. ამდენად, ტექსტის მოცულობა წარმოადგენს ნორმატიულ პირობას, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს ყველა კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინფორმაციის უარყოფის მსგავსად, საპასუხო ცნობის გავრცელებაც არ მოითხოვს ბრალის მტკიცებას. დაცვის საშუალების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე და მისი სწრაფი მოქმედების ეფექტის გათვალისწინებით, ინფორმაციის უარყოფისგან ან შესწორებისგან განსხვავებით, სადაც მოპასუხე პასუხისმგებლობას იღებს არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, ამ შემთხვევაში მოთხოვნის მატერიალურ წინაპირობას არ წამოადგენს პირველად განხადებაში მითითებული ფაქტების ა პრიორი უსწორობის ან გამოქვეყნებულ პასუხში მითითებული ფაქტების ჭეშმარიტების მტკიცება,⁸¹⁶ თუმცა თუ ვერ დადასტურდა უფლებამოსილი

⁸¹³ მასობრივი ინფორმაციის იმავე გამოცემასა და იმავე ადგილას, სადაც მოხდა პირველადი პუბლიკაციის განთავსება-*Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 758; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-591-591-2018; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 303.

⁸¹⁴ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 391.

⁸¹⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 760; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 301.

⁸¹⁶ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., HauW.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 380; *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine

პირის ლეგიტიმური ინტერესი საპასუხო ცნობის გავრცელებაზე, სარჩელი არ დაკმაყოფილდება, რადგან უფლების დაცვის ეს ფორმა ემსახურება პირველად პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტების შესწორებას ან გავრცობას და არა მათი სიმართლის დამტკიცებას.

ამდენად, მატერიალური წინაპირობის გარეშე, უფლებამოსილი პირის ლეგიტიმური ინტერესი საპასუხო ცნობის გამოცემაზე ისედაც გამოირიცხება, თუ ობიექტური დამკვირვებლის თვალთ საქმე არასწორ ინფორმაციაზე დაფუძნებულ პასუხს ეხება. ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი. ლეგიტიმური მიზნის არსებობას გამორიცხავს ასევე გავრცელებულ ფაქტებში უმნიშვნელო ციფრული ან ტექსტობრივი შეცდომები.⁸¹⁷ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპასუხო ცნობების განთავსებისას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებას არ აქვს უფლება, შეცვალოს ან დააკორექტიროს დაინტერესებული პირის ტექსტი,⁸¹⁸ გარდა რედაქციული ჩასწორებებისა.

5.3 შესწორების, განვრცობის, ახალი საბუთის გაცემის მოთხოვნა და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება, როგორც დაცვის არაქონებრივი საშუალებები

შესწორება/განვრცობა უფლების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ სარჩელების ქვეკატეგორიად უნდა მოიაზრებოდეს და მისი განხილვა უპრიანია არა მხოლოდ ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთის კონტექსტში, არამედ პიროვნული უფლების ნებისმიერი სახისა და ტიპის დარღვევაზე, ნებისმიერ სივრცეში, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. უარყოფის მსგავსად, მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობაა ფაქტების უსწორობის დამტკიცება. პიროვნული უფლების დარღვევის სხვა შემთხვევებზე, როგორცაა, მაგალითად პირადი ცხოვრების ინტიმური ან პიროვნული სფეროებიდან ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროება, უფლების დაცვის კონკრეტული ფორმა არ გამოდგება.

ფორმალური უარყოფისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციის ტექსტს მიემართება, შესწორების და განვრცობის შესახებ სარჩელით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას განცხადების გამოქვეყნება, რომელიც ადრინდელი პუბლიკაციით გამოწვეულ შედეგს ან საზოგადოებრივ შთაბეჭდილებას გაანეიტრალებს ან

Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., München, 2018, Rn. 326; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, 301; ob. BVerfG NJW, 1998, 1381 (1383).

⁸¹⁷ *Rixecker R.*, in Münchener Kommentar zum BGB, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., München, 2018, Rn. 326.

⁸¹⁸ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 763.

პუბლიკაციის ტექსტს დააკორექტირებს⁸¹⁹. ამდენად, უფლების დაცვის ეს ფორმა ზიანის მიმყენებლის პიროვნებას უფრო მეტ ტვირთად აწვება, ვიდრე ინფორმაციის ფორმალური უარყოფა.⁸²⁰ გარდა ამისა, უარყოფა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც შესწორების უფლება შესაძლოა მოიცავდეს არასრულყოფილ, მრავალმნიშვნელოვან, შეფასებებთან კომბინაციაში გამოყენებულ მტკიცებებსაც⁸²¹.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, თუმცა ფაქტები არასრულყოფილად და ორაზროვნადაა გადმოცემული, ამ შემთხვევაშიც უფლების დაცვის ეფექტურ გზას არა მთლიანად უარყოფა, არამედ ჩასწორება ან განვრცობა წარმოადგენს. ამ ტიპის სარჩელები წარმატებით იქნა გამოყენებული გერმანიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში მონაკოს პრინცესა კაროლინას ორივე საქმესთან⁸²² დაკავშირებით, რათა ორაზროვანი პუბლიკაციის უარყოფითი შედეგები აღმოფხვრილიყო.

გარდა ამისა, თუ ინფორმაციის გამოქვეყნებისას მედიის მხრიდან ადგილი აქვს ფაქტების სისწორის სრულად და კეთილსინდისიერად გამოკვლევას და ინფორმაციის გავრცელებაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულია, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ინფორმაცია არასწორია, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია უარყოფის ნაცვლად ჩასწორების მოთხოვნა იქნეს დაყენებული.⁸²³ ამას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია პირის მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა მოგვიანებით სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ეს პირი გამართლდა. ასეთ დროს, უფლების დაცვის ეფექტური საშუალებაა დამაზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ პირის ბრალეულობა არ იქნა დადასტურებული.⁸²⁴ გერმანული სასამართლო

⁸¹⁹ *Rixecker R.*, in *Münchener Kommentar zum BGB*, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., München, 2018, Rn. 287.

⁸²⁰ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W.*, *Kommentar zum BGB*, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 326.

⁸²¹ *Sprau H.*, in: *Palandt O.*, *Kommentar zum BGB*, §823, 78. Aufl., München, 2019, Rn. 40; *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W.*, *Kommentar zum BGB*, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 330.

⁸²² იხ. BGHZ 128, 1=NJW 1995, 861- Carolina von Monaco I; NJW 1996, 984- Caroline von Monaco II; BGH NJW-RR 1987, 754- Insiderwissen.

⁸²³ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, *Handbuch des Persönlichkeitsrecht*, Verlag C.H. Beck, München, 2008, 785.

⁸²⁴ *Bamberger H.G.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W.*, *Kommentar zum BGB*, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 330; *Rixecker R.*, in *Münchener Kommentar zum BGB*, §12, Allgemeine Persönlichkeitsrecht, 8. Aufl., München, 2018, Rn. 287.

პრაქტიკა ჩასწორების ნაწილად განიხილავს დისტანცირების შესახებ მოთხოვნას, რომელსაც, ადგილი ჰქონდა მედიის მხრიდან მესამე პირის განცხადების გავრცელებისას.⁸²⁵ შესწორება შესაძლებელია ემსახუროდეს პრესის მხრიდან მხოლოდ იმის დადასტურებას, რომ გავრცელებული არასწორი ფაქტის წყარო თავად დასახელებული სუბიექტი არ ყოფილა.

შესწორების ან განვრცობის სარჩელის დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანია ასევე დამტკიცდეს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი დაზარალებულის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ აქტუალურია. მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციამ შესაძლოა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაკარგოს აქტუალობა. ამ მხრივ, შეუძლებელია საუბარი დროის აბსოლუტურ საზღვრებზე. შესაბამისად, ამ ელემენტის არსებობაც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს დამტკიცებული გავრცელებული ინფორმაციის მნიშვნელობის, მედიის დარწმუნების ხარისხის, ინფორმაციის გავრცელების არეალის და ა. შ. სხვადასხვა გარემოების მხედველობაში მიღებით. გასათვალისწინებელი ის ფაქტიც, რომ ტექნიკური და პროცედურული სირთულეები, რაც ინფორმაციის გამოქვეყნებას ახლავს თან, გლობალური საინფორმაციო და ტექნოლოგიური სამყაროს პირობებში, საპასუხო ცნობის გავრცელებას ნაკლებად ეფექტურ საშუალებად აქცევს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ. ამდენად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის მოთხოვნას და შესაბამისად, პიროვნული უფლების დაცვას ემსახურება კიდევ ერთი სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ფორმა, ცნობის გამოქვეყნება (*Berichtigung*) სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

⁸²⁵ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 787.

VI. ზიანის ანაზღაურება, როგორც პიროვნული უფლების დაცვის საშუალება

1. პიროვნული უფლების ხელყოფისას ზიანის ანაზღაურების წანამძღვრები

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მატერიალურ სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობა იმაში გამოიხატება, რომ დაცვის საშუალებები მოიცავს არა მხოლოდ თავდაცვით მოთხოვნის უფლებებს (დაცვის არაქონებრივ საშუალებებს), არამედ აერთიანებს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვისთვის პასუხისმგებლობის დამაკისრებელ საქციებს, როგორცაა ფულადი თანხის გადახდევინების თაობაზე მოთხოვნები. ხშირად მოქმედებისგან თავის შეკავების თაობაზე მოთხოვნის რეალიზაცია არ არის საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად, რადგან პიროვნული უფლებით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას უკვე შეუქცევადი ხასიათი აქვს. ასეთ დროს წინა პლანზე მოდის სწორედ დაცვის ქონებრივი ტიპის საშუალებები, როგორცაა ზიანის ანაზღაურება.

„სამოქალაქო - სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში“.⁸²⁶ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესის მიხედვით, ჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი უფლებების (პიროვნული უფლებები) სფეროში ნებისმიერი არამართლზომიერი ჩარევა შესაძლებელია განხილულ იქნეს დელიქტადაც,⁸²⁷ თუ სახეზე იქნება სსკ-ის 992 მუხლით გათვალისწინებული ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

„პიროვნული უფლებების შელახვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებიც, რომლებიც, ერთის მხრივ, აკონკრეტებს პიროვნული უფლების შელახვის გარემოებებს და, მეორეს მხრივ, აწესებს დამატებით შეზღუდვებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით“⁸²⁸. სწორედ ერთ-ერთ თავისებურებად და ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველად უნდა იქნეს მოაზრებული ხსენებული კანონის მე-18 მუხლი, რომელიც ცილისწამების თაობაზე აშკარა უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს ანიჭებს

⁸²⁶ *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, თბ., 2013, 31; *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*, №2, თბ., 2012, 108.

⁸²⁷ *ბათლიძე გ.*, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, *ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“*, №4, თბ., 2015, 29.

⁸²⁸ იქვე.

მოსარჩელისგან გონივრულ ფარგლებში ანაზღაურების მიღების საშუალებას. აღნიშნული მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ცილისწამების თაობაზე სასამართლოში სარჩელის აღძვრა მეორე მხარეს აძლევს ამ მუხლითვე მინიჭებული უფლებით სარგებლობის საშუალებას, თუმცა პრაქტიკაში მუხლის ამ შინაარსით არსებობა რამდენიმე მნიშვნელოვან სირთულეს წარმოშობს. კერძოდ, მუხლში საუბარია „ამკარად უსაფუძვლო სარჩელზე“, რომლის დადგენა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი, თუმცა მუხლის ფორმულირება ორაზროვანი ნაკითხვის საშუალებას იძლევა, რადგან საუბარია არა „გადაწყვეტილებაზე“, არამედ „სარჩელზე“. შესაბამისად, სარჩელის შეტანის ეტაპზე არის თეორიული შანსი, რომ მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვოს მე-18 მუხლში გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა. ამგვარი გაგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დადგენილ სტანდარტთან და სასამართლოსთვის მიმართვის თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპთან, რადგან სარჩელის შეტანის ეტაპზე ანუ არსებითი განხილვის გარეშე სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, დაადგინოს არის თუ არა ცილისწამება ამკარად უსაფუძვლო. ამდენად, ნორმის არაორაზროვანი გაგების დამკვიდრების მიზნით უმჯობესია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონის მე-18 მუხლში ნახსენები სიტყვები „ამკარად უსაფუძვლო სარჩელი“ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას დაუკავშირდეს და სარჩელის შეტანის ეტაპზე არ ჰქონდეს მოპასუხეს აღნიშნული უფლებით სარგებლობის გარანტიები.

თავად პიროვნული უფლების მრავალასპექტიანობისა და შესაბამისად, დარღვევის შემთხვევათა დიფერენცირების პირობებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლებიც განსხვავებული შეიძლება იყოს. ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებული ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით⁸²⁹. მაგ. პასუხისმგებლობის დაკისრების სამართალი ერთმანეთისგან ასხვავებს მატერიალური და არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს. „სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, თუ მას აქვს ღირებულებითი ფორმა, ცივილისტიკაში იწოდება ქონებრივ ზიანად“,⁸³⁰ ხოლო არამატერიალური „(მორალური) ზიანი სულიერი გრძნობებისა და

⁸²⁹ ძლიერიშვილი ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, №2, თბ., 2013, 31.

⁸³⁰ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. მე-4, ტომი მე-2, თბ., 2001. 378.

ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, რომელსაც გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და ნეგატიურ ცვლილებას იწვევს ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა-ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვიოს“.⁸³¹ „სიკეთე, რომლის ვნებასაც ქონებრივი ზიანი მოჰყვება, შეიძლება ქონება არ იყოს, ამ ტერმინის იურიდიული გაგებით“.⁸³² შესაძლებელია მორალური სიკეთის ხელყოფამ ქონებრივი ზიანი გამოიწვიოს (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება და შრომითი შემოსავლის შემცირება), ან პირიქით, მატერიალური სიკეთის ხელყოფას მორალური ზიანის დადგომა მოჰყვებს (მაგალითად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის დაზიანებით ან დაღუპვით გამოქვეყნებული წყენა ან ჯავრი).⁸³³ ამდენად, გამიჯნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია დარღვეულია პიროვნული უფლების მატერიალური (ქონებრივი ღირებულების) ასპექტი თუ არამატერიალური (იდეალური) ნაწილი, ანუ „მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ქონებრივი, ფულადი ექვივალენტი“.⁸³⁴

1.1 პიროვნული უფლების დარღვევისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების, როგორც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის ნებისმიერი მართლწესრიგი ითვალისწინებს წინაპირობას, რომელთა არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს ანაზღაურების დასაშვებობას, მისი ოდენობის ადეკვატურობას მიყენებულ ზიანთან და ა.შ. თავად ზიანის ცნება კანონში განმარტებული არ არის⁸³⁵. გერმანული დოქტრინა, ხელმძღვანელობს ზიანის ე.წ. ნატურალური ცნებით, რომლის თანახმად, „ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამონწვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზდით (*damnum emergens*)“⁸³⁶. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

⁸³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილება №ას-1477-1489-2011; შდრ. *ძლიერიშვილი გ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, თბ., 2013, 32; საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, 69.

⁸³² *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, *ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“*, №2, თბ., 1978, 15.

⁸³³ იქვე.

⁸³⁴ იქვე.

⁸³⁵ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, თბ., 2019, 698.

⁸³⁶ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, თბ., 2019, 699; *ძლიერიშვილი გ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის

განმარტებით, ზიანის ქვეშ, რომელიც, როგორც წესი, სრულად ანაზღაურდება, პირველ რიგში, იგულისხმება, დაზარალებულის სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის ქონებრივი შედეგები. ამასთან, თავად დარღვეული უფლებები შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე პირადი ხასიათის⁸³⁷.

სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილი სიკეთეების ხელყოფას შესაძლებელია არაქონებრივთან ერთად ჰქონდეს მატერიალური შედეგიც. თუ არაქონებრივი ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მან განიცადა სულიერი ტკივილი. ამასთან ჰქონდა ხარჯები მკურნალობასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით), მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ამ გზით მიდის⁸³⁸.

ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა, რომლის ორგანიზმს ქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა⁸³⁹. მატერიალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ქონებრივი კატეგორიის ზიანის არსებობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ეკონომიკური აქტივის პირდაპირ შემცირებით ან მისაღები შემოსავლის ხელიდან გაშვებაში,⁸⁴⁰ დაზარალებულის მიერ გამომუშავების დაკარგვის ან შემცირებით მისი შრომისუნარიანობის შემცირების გამო,⁸⁴¹ ან იმ ღონისძიებების გატარებისას

999-ე მუხლის მაგალითზე, ურნ. „აღვოკატი“, №2, თბ., 2013, 31-32; ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამღარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ურნალი, №2, თბ., 2012, 109.

⁸³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 77, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 12.03.2019, 11:57].

⁸³⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 79, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>, [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 12.03.2019, 11:57].

⁸³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2019.

⁸⁴⁰ *Götting H., Schertz C., Seitz W.*, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008, 803.

⁸⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, 53, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 15.03.2019, 12:16].

წარმოშობილი ხარჯებით, რაც დაზარალებულმა გაიღო ზიანის შესამცირებლად ან გამოსარიცხად⁸⁴² და ა.შ.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შემდეგი პირობა არის ზიანის მიმყენებლის ქმედების არამართლზომიერება, რაშიც იგულისხმება სხვისი სუბიექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა, სათანადო უფლებამოსილების არქონის პირობებში.⁸⁴³ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს.⁸⁴⁴ ამდენად, „მართლსაწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერების ხასიათზე.“⁸⁴⁵

იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, არის თუ არა ზიანი მოვალის ქმედების უშუალო შედეგი⁸⁴⁶. ამდენად, მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სამართალდარღვევის ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს⁸⁴⁷ (სსკ-ის 412-ე მუხლი). „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგია“.⁸⁴⁸

მეოთხე კომპონენტი, რომელსაც სსკ-ის 18-ე მუხლის მე-6 ნაწილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სავალდებულო ელემენტად განსაზღვრავს, ბრალია. „სამოქალაქო სამართალში ბრალი პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს“.⁸⁴⁹

⁸⁴² *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 308.

⁸⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 78, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.03.2019, 11:57].

⁸⁴⁴ *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, თბ., 2013, 34.

⁸⁴⁵ *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, №2, თბ., 2012, 112.

⁸⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017.

⁸⁴⁷ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 137.

⁸⁴⁸ *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, თბ., 2013, 35; *შდრ. რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 412, თბ., 2019, 733-744; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017.

⁸⁴⁹ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 135; დეტალურად ბრალის შესახებ იხ. *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 395, თბ., 2019, 597 და შემდგომში.

ამდენად, თითოეულ „საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს მითითებულ კონსტრუქციას და თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას“.⁸⁵⁰

1.2 ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი

ქონებრივი ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ქონებრივი ხასიათის ზომების იძულებით გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელმაც მიაყენა ზიანი სხვა პირის მატერიალურ ან არამატერიალურ სიკეთეს. აღნიშნული პასუხისმგებლობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არსობრივად იგი წარმოადგენს შეფარდებით სამართალურთიერთობას ანუ ადგენს ერთი პირის ვალდებულებას მეორეს წინაშე და იმავედროულად მიმართულია აბსოლუტური სამართალურთიერთობის დაცვისკენ, სადაც განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხარე- სუბიექტური უფლების მატარებელი⁸⁵¹. ქონებრივი ზიანის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრინციპი არის ზიანის სრულად ანაზღაურება. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ქონებრივი დანაკარგი (მაგ. სახელის ან რეპუტაციის დარღვევის შედეგად საზოგადოებაში დაკარგული რეპუტაციის აღდგენისთვის აუცილებელ ღონისძიებებში დახარხული სახსრები), როგორც რეალური, ისე გაშვებული მოგება, სადაც მიყენებული ზიანის მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს.⁸⁵²

პიროვნული ღირებულების მქონე სიკეთეების დაზიანების ან უნებართვო სარგებლობის შედეგად მატერიალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი არც გერმანული სამართლისთვისაა უცხო. გერმანულ სასამართლო პრაქტიკა, ხაზს უსვამს რა სამოქალაქო ბრუნვაში პიროვნული სიკეთეების განსაკუთრებულ სტატუსს და იმ სირთულეს, რასაც დარღვევის შემთხვევაში

⁸⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2019; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-507-481-2011.

⁸⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017.

⁸⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, 53, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამონშებული: 15.03.2019, 12:16]; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-218-2019 (ბ).

კომპენსაციის გამოთვლა წარმოშობს⁸⁵³, აწესებს ქონებრივი ზიანის კომპენსაციის გამოთვლის სამ სახეს: კონკრეტულად დამდგარი მატერიალური ზარალი, პიროვნული უფლების სარგებლობის კვაზი-სალიცენზიო (ფიქტიური ლიცენზიის) საფასური და ხელმყოფის მიერ მიღებული მოგება⁸⁵⁴. სალიცენზიო გადასახდელის სავარაუდო ოდენობას ადგენს მოსამართლე იურიდიული ფიქციის მეშვეობით, თითოეული საქმის ინდივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით, რასაც არაქონებრივი სიკეთის ეკონომიკური სარგებლობისთვის ანალოგიურ სფეროში გონივრული კომპენსაციის დაკისრების გზით მიიღება ზიანის მიმყენებელი ხელშეკრულების არსებობის პირობებში⁸⁵⁵. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპენსაციის ოდენობის გამოთვლისას დასახელებული სამი ვარიანტიდან რომელიმე ერთ-ერთის არჩევანის უფლება დაბარალეულზეა.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი მონესრიგება ზიანის ანაზღაურების გამოთვლისას დასახელებული კრიტერიუმებიდან მხოლოდ ხელმყოფის მიერ მიღებულ მოგებას ახსენებს, თუმცა ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში არ არის ნათლად გამოკვეთილი ზიანის ანაზღაურების ამ სახის სამართლებრივი ბუნება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგება წარმოადგენს ზიანის ოდენობის გამოთვლის ერთ-ერთ ქვეკატეგორიას,⁸⁵⁶ რომელიც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს პიროვნული სიკეთის უნებართვო გამოყენებასთან. ამდენად, პიროვნული მახასიათებლების კომერციალიზაცია არის ზიანის ოდენობის გამოთვლის ერთ-ერთი კრიტერიუმი,⁸⁵⁷ რომლის დახმარებითაც მოსამართლეს შეუძლია ქონებრივი ზიანის გამოთვლა. ამასთან, ხელმყოფის მიერ მიღებულ მოგებაში „არ იგულისხმება მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ხასიათის მოგება, არამედ ნებისმიერი სარგებელი, რომელიც ხელმყოფმა ასეთი

⁸⁵³ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 166.

⁸⁵⁴ *Föster Ch.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, 361; *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 166; *Klass N.*, in: *Ermann M.*, Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln, Rn. 309; *Schulze R.*, in: *Stadinger A.*, BGB, §823, 9. Aufl., München, 2017, Rn. 110.

⁸⁵⁵ *Föster Ch.*, in: *Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R.*, Kommentar zum BGB, §12, 4. Aufl., München, 2019, Rn. 364.

⁸⁵⁶ *Rixecker R.*, in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 169.

⁸⁵⁷ *Schulze R.*, in: *Stadinger A.*, BGB, § 823, 9. Aufl., München, 2017, Rn. 110.

ქმედების შემდეგ მიიღო“.⁸⁵⁸ მაგ. საქართველოს უზენესმა სასამართლომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პიროვნული სიკეთისთვის მიყენებული ზიანისას არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა ზიანის კომპენსაციის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნია⁸⁵⁹. ამდენად, ხელმოყოფის მიერ მიღებული მოგება წარმოადგენს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გამოთვლის ერთ-ერთ ხერხს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და არჩეული ნორმის შემთარღვლის მიერ.

შემდგომი მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ქონებრივი ზიანის გამოთვლისას, ე.წ. დიფერენციის ჰიპოთეზა წარმოადგენს. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილიდან⁸⁶⁰ და გულისხმობს ზიანის დადგენას ქონებრივი მდგომარეობის შეტასებით. კერძოდ, ამ დროს ხდება მოვალის ამჟამინდელი მდგომარეობის შეპირისპირება იმ ჰიპოთეტურ ქონებრივ მდგომარეობასთან, რომელიც იარსებებდა დამაზიანებელი შემთხვევის არარსებობის პირობებში. ამ შეპირისპირების შედეგად დამდგარი ნეგატიური ქონებრივი ნაშთი წარმოადგენს ასანაზღაურებელ ზიანს.⁸⁶¹ ამასთან, რეპარაციას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი, რომელიც სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დასჯელია. ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია, ვერ ჩაითვლება ასეთად⁸⁶².

ქართული სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს ზიანის ოდენობის გამოთვლის ე.წ. ფიქციური სალიცენზიო ხელშეკრულებების მეშვეობით. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რომ ე.ი. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის რელევანტურია როგორც ის ქონებრივი დანაკლისი, რაც პირმა მისი პიროვნული უფლებების ხელყოფით განიცადა და, ის მოგებაც, რომელიც ხელმოყოფმა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგად

⁸⁵⁸ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 134.

⁸⁵⁹ საქართველოს უზენესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/924-01; *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 134.

⁸⁶⁰ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, თბ., 2019, 699.

⁸⁶¹ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, თბ., 2019, 700; შდრ. საქართველოს უზენესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017; საქართველოს უზენესი სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-301-286-2016: საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა იყოს“ და „არის მდგომარეობას შორის“ (სხვაობის ჰიპოთეზა).

⁸⁶² საქართველოს უზენესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017.

მიიღო⁸⁶³. ორივე მათგანი წარმოადგენს ზიანის ოდენობის გამოთვლის ალტერნატიულ მეთოდს და მათი კუმულატიურად გამოყენება გამოიწვევს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამის გადაჭარბებას, რაც დაუშვებელია. ანაზღაურება არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს, რამეთუ ვალდებულების დარღვევისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში და არა მოვალის დასჯაში. აღნიშნული გამოხატულია ასევე ზიანის ანაზღაურებისას უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვებისა და ადექვატურობის პრინციპშიც,⁸⁶⁴ რომელიც სწორედ ზემოთმითითებული ღირებულებებს განამტკიცებს.

2. არაქონებრივი (მორალური) ზიანის არსი, მიზნები და კრიტერიუმები

2.1 არაქონებრივი (მორალური) ზიანის შინაარსი

სამოქალაქო კოდექსის მიერ შემოთავაზებული არაქონებრივი უფლებათა დაცვის სხვადასხვა მექანიზმს შორის განსაკუთრებული სირთულით, კომპლექსურობით და მრავალწახნაგოვნებით არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გამოირჩევა, რომლის ანალიზი არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზის არსებობას ადასტურებს⁸⁶⁵ არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ პრაქტიკულ დონეზეც. სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია არამატერიალური ზიანის მიყენებისთვის, მისი კლასიკური მნიშვნელობით, მატერიალურად არ ვლინდება, რის გამოც საკმაოდ რთულია მისი ქონებრივი ექვივალენტით გამოსახვა.⁸⁶⁶

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით არაქონებრივი ზიანის ცნებამ ფართო გავრცელება ჰპოვა, ის მაინც რჩება არადეფინირებულ და „გაუმჭვირვალე“ ღირებულებად და დღემდე არ არსებობს არაქონებრივი ზიანის მკვეთრად განსაზღვრული გაგება.⁸⁶⁷ თანამედროვე იურიდიულ

⁸⁶³ *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.18, თბ., 2017, 134.

⁸⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2019.

⁸⁶⁵ დაწვრილებით იხ. *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, ურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2018, 96.

⁸⁶⁶ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმეცრულებო სამართალი, თბ., 2014, 665.

⁸⁶⁷ *Vernon V. P.*, The Recovery of non-pecuniary loss in European Contract law, Cambridge University Press, United Kingdom, 2015, 5. ხელმისაწვდომია საიტზე: https://books.google.se/books?id=yBy_CQAAQBAJ&pg=PA453&lpg=PA453&dq=Art.+299+of+the+Greek+CC&source=bl&ots=Ag3s9_lSxP&sig=3DuKLP64GoVnjmT-89-pj5GNH5U&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwiauClgPvXAhXBPZokHQsdDTkQ6AEIMzAc#v=onepag

ლოქტრინაში შეინიშნება ცნების ნეგატიურ კონტექსტში განმარტების მცდელობები,⁸⁶⁸ თუმცა თვალშისაცემია ცალკეული ავტორების მისწრაფებაც მოახდინონ მისი პოზიტიური და ავტონომიური განმარტება.⁸⁶⁹ ბუნდოვნება სათავეს იღებს იქიდან, რომ იურისპრუდენციაში არ არის მკვეთრი მიჯნა მატერიალურ და არამატერიალური ზიანის წარმოშობის საფუძვლებში.

თანამედროვე ტენდენციები მორალური ზიანის ცნებას ძირითადად უარყოფითი ფსიქიკური განცდების და სულიერი მდგრადობის შელახვის კონტექსტში განიხილავს და ფულადი ფორმით გამოხატვის პრობლემასაც განსხვავებულად ჭრის. მაგალითად, ფრანგული სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს მენტალურ, ფსიქიკურ და ესთეტიურ ზიანს (*souffrances moral ou physiques, pretius doloris*), რომელთა შელახვა განსხვავებული ოდენობის კომპენსაციის გაცემის საფუძველია.⁸⁷⁰ ინგლისური სამართალი არაქონებრივ ზიანში მოიაზრებს ტკივილის და ტანჯვის ცნებებს და ცხოვრების ხალისის დაკარგვას (*Pain and suffering, loss of amenities*), რაც დამაზიანებლად ლახავს მოსარჩელის ცხოვრებით ტკბობის უფლებას.⁸⁷¹ გერმანული იურიდიული დოქტრინა არამატერიალურ ზიანს „ტკივილის ფულს“⁸⁷² უწოდებს, თუმცა სამოქალაქო სჯულდების ავტორების ერთსულოვანი გადანყვეტილებით აღნიშნულმა ტერმინმა საკანონმდებლო დონეზე ვერ დაიმკვიდრა ადგილი. მიუხედავად ამისა, იურიდიულმა დოქტრინამ და სასამართლო პრაქტიკამ გვერდი მაინც ვერ აუარა მის ფართო გამოყენებას,⁸⁷³ რადგან სიტყვა „ტკივილის“ ხსენება

[e&q=Art.%20299%20of%20the%20Greek%20CC&f=false](#) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 08.12.2017, 22:41].

⁸⁶⁸ „დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების სიმდიდრესთან, არის ეკონომიკური ზიანი, ხოლო ყველა დანარჩენი- არაქონებრივი ზიანი. *Horton R.*, “Non-Pecuniary Loss Under English Law”: Damages for Non-Pecuniary loss in a Comparative Perspective, Vienna, 2001, 54. (“loss which is not damage to a person’s assets or wealth or income and which is therefore incapable of being quantified in any objective financial manner by reference to a market”).

⁸⁶⁹ *Helmut K.*, Basic questions of tort from a Germanic perspective, Jan Sramek Verlag, Vienna, 2012, 112-113, 117-118. ზიანის იდენტიფიცირება ტანჯვისა და ნეგატიური ემოციების გზით ხდება („suffering and “negative emotions”).

⁸⁷⁰ *Cees V. D.*, European Tort Law, second edition, Oxford University Press, 2013, 322; მითითებულია: *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 96-97. *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, *ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“*, №9, თბ., 2018, 78.

⁸⁷¹ მესამე საფუძვლად უთითებს „*Expectation of life*”, რაც გაუქმდა 1982 წლის ადმინისტრაციული აქტის მიერ. მითითებულია: *Cees V. D.*, European Tort Law, second edition, Oxford University Press, 2013, 322.

⁸⁷² „*Schmerzensgeld*”.

⁸⁷³ *Oetker H.*, in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 4; მითითებულია: *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა

გარკვეულწილად აადვილებს ინსტიტუტში ნაგულისხმევი იდეის წვდომას და ხაზს უსვამს ქმედების პირის სუბსტანციური კეთილდღეობის საგრძნობ შელახვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით, „არაქონებრივი ანუ მორალური ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო.“⁸⁷⁴ იგი არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების მომენტს, რადგან ის შესაძლოა მოგვიანებით მკურნალობის უშედეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დადგეს⁸⁷⁵. არსებითი განსხვავება ქონებრივ ზიანთან მიმართებით მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. კერძოდ, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, კონკრეტულ შემთხვევაში, დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები⁸⁷⁶. არაქონებრივი ზიანის განმარტებისას სასამართლო პრაქტიკა ხშირად მოიხსენიებს სერიოზული ემოციური-სულიერი ტანჯვის, ტკივილის, ფსიქიკური და ნერვული შოკის ცნებას, რომელიც მოიცავს ყველა არასასურველ ფსიქიკურ რეაქციას, როგორცაა: შიში, ტერორი, მწუხარება, სირცხვილი, დამცირება, შეურაცხყოფა, სიბრაზე, წყენა (გულისტკივილი), იმედგაცრუება, წუხილი (მღელვარება, მოუსვენრობა), ზიზღის გამოწვევა და ა.შ.⁸⁷⁷ ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც მიყენებული ემოციური ტანჯვა იმდენად ძლიერია, რომ არცერთი გონიერი ადამიანი არ იქნებოდა ამ გრძნობის განცდის მოლოდინში.

ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, უზრნ. „სამართალი“, №1, თბ., 2018, 96-97.

⁸⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 70, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>. [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 02.01.2020, 11:32].

⁸⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-972-936(3კ-080); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-494-488(2კ-12).

⁸⁷⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3ბ/1907-15.

⁸⁷⁷ *Sacco v., High Country independent press, Sacco v. High Country Indep. Press, 1995, 411.*

აშშ-ის ტკივილის შეფასების კომისია⁸⁷⁸ ახდენს ტკივილის დიფერენციაციას მისი ქრონიკული და მწვავე ფორმების მიხედვით. დიფერენცირების ამოსავალ პრინციპად კომისია ხანგრძლივობას და ტკივილის წარმოშობის წყაროს ასახელებს. რაც შეეხება ტანჯვის დეფინიციას, იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებით, მართალია ტკივილიც და ტანჯვას ადამიანის იდენტური ქცევის პროვოცირებას იწვევს, მაგრამ კონცეპტუალურად ორი სრულიად განსხვავებული იპოსტაზია.⁸⁷⁹ ტაჯვა ასოცირდება სიტუაციასთან, როდესაც ადამიანი განიცდის ტკივილს და ეს იწვევს მის ფსიქიკაში ნეგატიური ცვილებებს.⁸⁸⁰ სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაპრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა, უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია⁸⁸¹. იგივე შეიძლება ითქვას პიროვნული უფლებების ხელყოფისას პირის მიერ განცდილ არაქონებრივ ზიანზეც.

„არაქონებრივი“ ზიანის ტერმინის დაზუსტება აზრსმოკლებული არ უნდა იყოს ქართულ ენაში მისი ერთგვაროვანი ფორმით დამკვიდრების მიზნით. ქართულ საკანონმდებლო სივრცესა თუ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული ცნების აღსანიშნავად თანაბარი სიხშირით გამოიყენება ურთიერთჩანაცვლებადი ტერმინები: „არამატერიალური“,

⁸⁷⁸ Report of the Commission on the evaluation of pain, 50 soc., sec. Bulletin, No. 1, 13, at.22n.Jan. 1987; მითითებულია: *Shapo S. M.*, principles of Tort Law, second edition, Thompson West, Chicago, 2003, 483.

⁸⁷⁹ *Shapo S. M.*, principles of Tort Law, second edition, Thompson West, Chicago, 2003, 484.

⁸⁸⁰ იქვე.

⁸⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-594-562-2015.

„არაქონებრივი⁸⁸²“ და „მორალური⁸⁸³“ ზიანი. ამასთან, ტერმინი მორალურის⁸⁸⁴ გამოყენება უპირატესად საბჭოთა სამართლისთვის იყო დამახასიათებელი. ერთგვაროვანი ტერმინის დამკვიდრების მიზნით და დოგმატური თვალსაზრისით, უფრო ზუსტია ტერმინ- „არაქონებრივი ზიანის“ გამოყენება, რაც ნათლად წარმოაჩენს ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას და ხაზს გაუსვამს იმ ფაქტს, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კომპლექსური და მრავალასპექტიანი საკითხია, თუმცა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მისი განხილვა მოხდება უშუალოდ პიროვნული უფლებების დარღვევის ჭრილში.

2.2. კომპენსაცია

ქართულმა სამოქალაქო სამართალმა გაიზიარა რა კონტინენტური ევროპისთვის დამახასიათებელი ზოგადი წესი⁸⁸⁵ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში მიანიჭა, სადაც ამავე მუხლის მეორე ნაწილით სიცოცხლის დაზიანება და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება მოიაზრა, ხოლო სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ამგვარი უფლება პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევებზეც იქნა გათვალისწინებული.

ზოგადად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის არ აქვს მნიშვნელობა პასუხისმგებლობის ნორმის საჯარო თუ კერძო სამართლისადმი კუთვნილებას,⁸⁸⁶ მთავარი მოთხოვნაა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უშუალოდ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს და თითოეული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს დადგენა, არსებობს თუ არა არაქონებრივი

⁸⁸² „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლი. სსმ, 19, 25/05/2000; კონკრეტულად რეგულირებული არამატერიალური სიკეთეების შელახვისთვის პასუხისმგებლობას ზიანის გენერალური ტერმინის დანესებით აყალიბებს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸⁸³ ჩიკვაშვილი მ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 31; „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

⁸⁸⁴ „Моральный вред“ - Малеин Н.С., О моральном вреде, ж. „Государство и право“, Москва, 1993, 33.

⁸⁸⁵ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017, 5; დანვრილებით იხ. ქათამაძე ნ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2018, 97.

⁸⁸⁶ Spindler G., in: Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., BGB § 253, Immaterieller Schaden, 42. Aufl., München, 2018, Rn. 10.

ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი, რისთვისაც აუცილებელია სსკ-ის 413-ე მუხლისა და მე-18 მუხლის მე-6 ნაწილში გათვალისწინებული მოთხოვნის მიზნებისა და ფუნქციების შესწავლა.

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმად გონივრულობისა და სამართლიანობის საზომია დანესებული, რაც შესაძლებელია განხილულ იქნეს მხარის მიერ ხელოვნურად გაზრდილი კომპენსაციის მოთხოვნის საკანონმდებლო შეზღუდვად. შეფასების კრიტერიუმების შერჩევასა სამართალშემთარდებელი დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რათა დაიცვას გონივრული ბალანსი, სამოქალაქო კოდექსის მიერ შემოთავაზებული წესების თარგლებში, პირადი სფეროს ეფექტურ დაცვასა და არაქონებრივი ზიანის უსისტემო გამოყენების საფრთხეს შორის.⁸⁸⁷

არაქონებრივი ზიანის უპირველესი მიზანი მიყენებული ზიანის კომპენსაციაა, „თუმცა ზიანის შევსება თანხით პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, ვინაიდან მატერიალური სახით მისი გამოხატვა, დასაბუთება შეუძლებელია“⁸⁸⁸ და კომპენსაციის ნებისმიერი ოდენობა დაზარალებულს უფლების ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას ვერ აღუდგენს.⁸⁸⁹ მეტიც „მორალური ზიანის ანაზღაურებისს ზუსტი ფულადი ექვივალენტის გამონახვა არ არის არსებითი“.⁸⁹⁰ ფულადი სახის ანაზღაურება უბრალოდ განცდილი ტკივილის დადებითი ემოციით ჩანაცვლებას და უარყოფითი შედეგების გამოსწორებას ემსახურება.⁸⁹¹ ამდენად, უმეტესად პიროვნული უფლების ხელყოფისას კომპენსაცია წარმოადგენს არამატერიალური ზიანის დამაბალანსებელი ფუნქციის დამატებით კომპონენტს,⁸⁹² რაც არ უნდა აჭარბებდეს მიყენებული ზიანის ინტენსივობის ხარისხს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სადამსჯელო ინსტიტუტის ელფერს შეიძენდა და თავისი არსით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემიდან ამოვარდებოდა. სწორედ ამგვარი გაგების

⁸⁸⁷ ქათამაძე ნ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 97-98.

⁸⁸⁸ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მე-18 მუხლი, წიგნი I, თბ., 2017, 139.“

⁸⁸⁹ იქვე, უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-78 (კ-12).

⁸⁹⁰ *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, *ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“*, №2, თბ., 1978, 53: „გ. რუხილაძის აზრით, მორალური ზიანის რეპარაციისთვის მთლიანად შესაფერისი საშუალება არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო სამართალი ფულადი თანხის გადახდევინებით მფარველობდეს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მორალური ზიანის მოსდევს“-50.

⁸⁹¹ BGH NJW 2007, 2475.

⁸⁹² *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 196.

კონსტატაციას ახდენს საქართველოს უზენაესი სასამართლო,⁸⁹³ როდესაც ხაზგასმით აღნიშნას, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მორალური ზიანის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, მიზანს - შეუმსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა.

2.3. არაქონებრივი ზიანის პრევენციული ფუნქცია და მისი მიმართება ნომინალურ ზიანთან

სამოქალაქო სამართალში ზიანის უპირატესი მიზნის - მიყენებული დანაკლისის გამოსწორების ფუნქციის⁸⁹⁴ პირველადი იდეის გვერდით აღიარებულია მისი ე.წ. მეორეული - „სასურველი გვერდითი ეფექტის“⁸⁹⁵ ფუნქცია, რომელიც გამაფრთხილებელი და აღმზრდელობით მიდგომით ემსახურება სამართალდარღვევის თავიდან აცილებას.⁸⁹⁶

არაქონებრივი ზიანის პრევენციის იდეა სამართლებრივი აზროვნების ეტაპობრივი განვითარების ლოგიკური შედეგია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლისთანავე შეინიშნებოდა უმაღლესი სასამართლოს მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლიანობის უზოგადეს პრინციპზე დაყრდნობის მცდელობა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგად დამდგარი მორალური ზიანის დროს. სწორედ ეს მიზანმიმართული განგრძობითი მცდელობა გახდა არაქონებრივ ზიანში, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლების მქონე ინსტიტუტში⁸⁹⁷ კომპენსაციის და

⁸⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-979-940-2014; მითითებულია: *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 102.

⁸⁹⁴ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 408, თბ., 2019, 697.

⁸⁹⁵ „*Erwünschte Nebenprodukt*“.

⁸⁹⁶ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 192; მითითებულია: *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 102.

⁸⁹⁷ *Zafer Z.*, Zur Problematik des Schmerzensgeldes: Feststellung und Ersatz des entschädigungspflichtigen immateriellen Schadens und die Doppelfunktion des Schmerzensgeldes, Berlin, 2001, 213; BGH 1994, BGHZ 128, 1= NJW 1995, 861-გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლო არაქონებრივი ზიანის პრევენციული ფუნქციის პირდაპირი ხაზგასმა პირველად მონაკოს პრინციპსა კაროლინას საქმეში მოახდინა, რომელიც შეეხებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი პიროვნული უფლების ჭრილში გამოსახულების უფლების დაცვასაც. გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებისას საყურადღებოა ზიანის მიმყენებელი ანალოგიური ქმედების შემდგომში თავიდან აცილების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება კომერციული მოგების მიღების მიზნით დაინტერესებული პირის პირადი არაქონებრივი

დაკმაყოფილების ფუნქციების პარალელურად პრევენციის იდეის ფორმირების საფუძველი.

პრევენციული ზემოქმედების ეფექტი არც ფრანგული სამართლისთვისაა უცხო⁸⁹⁸. მართალია, ზოგად დელიქტურ სამართალში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ამოსავალი დებულებულება კომპენსაციაა⁸⁹⁹, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში საუბრობენ კერძო სამართლებრივი სასჯელის პრინციპზეც (*peine privée*) მორალური ზიანთან დაკავშირებით, რაც სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო სამართლებრივი სანქციის პრევენციული ზემოქმედების ეფექტი. ფრანგი ავტორების მითითებით⁹⁰⁰ ღირსების, რელიგიური ბრალდების ან პატივის შებლაღვის შემთხვევებზე კომპენსაციის ოდენობის გაზრდით სასამართლო ცდილობს გაემიჯნოს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვის ფაქტს და ამით კორექტული მართლმსაჯულების როლიც იტვირთოს.

სამოქალაქო სამართალში პრევენციის ფუნქციის არსი განმარტებული არ არის. იგი სისხლის სამართლიდან არის გადმოღებული, რომელიც სასჯელის გენერალური პრევენციის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს მოიცავს.⁹⁰¹ ანაზღაურების გარდა პრევენციაში მოიაზრება გაფრთხილება ან პროთილაქტიკა და ის, ძირითადად, დროებით სამართლებრივ დაცვასთან ასოცირდება⁹⁰² პიროვნების კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ისეთი დაზიანების დროს, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სრულად ვერ მიიღწევა.

სამოქალაქო სამართალში პრევენციის გენერალური მიზანი ძირითადად ნორმის ნებაყოფლობით დაცვის მოტივაციისთვის გამოიყენება.⁹⁰³ ამავე ჭრილში უნდა იქნეს მოაზრებული სსკ-ის 413-ე მუხლით დადგენილი „გონივრულობის“ და „სამართლიანობის“ პრინციპები, რათა პრაქტიკამ შეძლოს პოტენციურ ზიანის მიმყენებელთა წრეში შიშის ემოციის

სივრცის განზრახ დაზიანებას; იგივე ლოგიკა გაიმეორა სასამართლომ საქმეში, BVerfG NJW 2000, 2187 [2188], სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ პიროვნული უფლებების ხელყოფის დროს ადეკვატური სანქციის გამოყენების გარეშე სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა არასაკმარისია.

⁸⁹⁸ *Cees V. D.*, European Tort Law, Oxford University Press, second edition, 2013, 305.

⁸⁹⁹ *Cees V. D.*, European Tort Law, Oxford University Press, second edition, 2013, 305-სასამართლოს საფრანგეთში არ აქვს უფლება კომპენსაციის ოდენობის გამოთვლის კრიტერიუმად გამოიყენოს ზიანის მიმყენებლის წარსული ქმედებები.

⁹⁰⁰ იქვე.

⁹⁰¹ დეტალურად სასჯელის მიზნების შესახებ იხ. *ვარძელაშვილი ს.*, სასჯელის მიზნები, თბ., 2016.

⁹⁰² *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 190.

⁹⁰³ *ვარძელაშვილი ს.*, სასჯელის მიზნები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 75.

წარმოქმნა.⁹⁰⁴ ქართული მართლმსაჯულება ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას დასაბუთებებში ხშირად იყენებს პრევენციული ზემოქმედების ბერკეტის ზოგად თეზისს სამართალდარღვევის განმეორების საშიშროებისა⁹⁰⁵ და სამართალდარღვევის შედეგად მისაღები სავარაუდო მოვების⁹⁰⁶ კონტექსტში.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, პრევენციული ეფექტის ხაზგასმის მცდელობის მიუხედავად, მოიძებნება გადაწყვეტილებები, სადაც მოპასუხეს დაეკისრა ანაზღაურების სახით მოთხოვნილი სიმბოლური თანხის (1 ლარი) გადახდა.⁹⁰⁷ ამ კონტექსტში გამოსაკვლევეია, რამდენად უზრუნველყოფს ამგვარი სიმბოლური ანაზღაურება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრევენციული ფუნქციის ეფექტური აღსრულების მიზნით აუცილებელია საზოგადოებაში გაჩნდეს განცდა, რომ ზიანის მიმყენებელს დაეკისრა სანქცია არა სიმბოლური ოდენობით, არამედ მისი ქონება რეალურად განიცდის კლებას მიყენებული ზიანის პროპორციულად. სასამართლო პრაქტიკის ამ მიმართულებით განვითარება წინააღმდეგობაში მოვა არა მარტო გერმანული დოქტრინის გავლენით დამკვიდრებულ მცირე მნიშვნელობის მორალური ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის პოსტულატთან,⁹⁰⁸ არამედ ნორმის არსთანაც, რომლის მთავარი მიზანი პირთა წრის დაცვის აუცილებლობის უზრუნველყოფა და აკრძალული სივრცის თავისუფლად სარგებლობის აღკვეთაა. სიმბოლური ანაზღაურების პრაქტიკის დადგენას კი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ყოველგვარი კონცეპტუალური მიდგომის დასაბუთების გარეშე შემოაქვს ინგლისურ სამართალში მოქმედი ნომინალური ზიანის პრინციპის ელემენტი⁹⁰⁹. უკიდურესად საეჭვოა მინიმუმამდე დაყვანილი თანხა საკმარისი იყოს პიროვნული მახასიათებლების უნებართვო გამოყენების შედეგად

⁹⁰⁴ *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 103.

⁹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-868-817-2010; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-823-1109-09; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №სკ-423-03.

⁹⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

⁹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-291-275-2017.

⁹⁰⁸ “Bagatellklausel”.

⁹⁰⁹ იხ. *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 106.

განცდილი ტკვილის კომპენსაციისთვის და პირადი არაქონებრივი უფლების კომერციული მიზნებისთვის გამოყენების პრევენციისთვის.

კომპენსაციის ოდენობის გამოთვლისას ე.წ. შემაკავებელი ეფექტი⁹¹⁰ განსაკუთრებით აქტუალური უნდა იყოს პიროვნული უფლების დარღვევის შემთხვევების დროს და არამართლზომიერი საშუალებებით სავარაუდო მოგების მიზანი ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება იქნეს მიჩნეული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მედიასაშუალებების მფლობელი საკუთარი კომერციული ინტერესებისთვის განზრახ არღვევს პიროვნულ უფლებებს. ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ზიანის მიმყენებელმა მერკანტილური, ეკონომიკური მოგების ზრდის გამო მოახდინა დაცულ სფეროში ჩარევა, რაც მაგალითად სატრანსპორტო დელიქტების შემთხვევებში ნაკლებად რელევანტურია მოგების მიღების არამართლზომიერი მოგების მიზნისა და განზრახვის არარსებობის გამო⁹¹¹. ამ ლოგიკას შეესაბამება ის ფაქტი, რომ გერმანიაში არსებობს სხეულებრივი დაზიანების შემთხვევებზე მორალური ზიანის კომპენსაციის სპეციალური ცხრილი,⁹¹² რომელიც განსაზღვრავს სხეულის ცალკეული ნაწილების დაზიანების შედეგად განცდილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ზედა და ქვედა ზღვარს, მაშინ, როდესაც აღნიშნული პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვარი არ ეხება ცილისნამების თაობაზე სარჩელებს⁹¹³. ამ ტიპის სარჩელების განხილვისას სასამართლოს აქვს მოქმედების ფართო დიაპაზონი, რაც სავსებით ლოგიკურია, რათა ცალკეული საქმის დეტალების განხილვით დაადგინოს გონვირული ოდენობა პიროვნული სიკეთეების ხელყოფისას.

⁹¹⁰ „Hemmfekt“.

⁹¹¹ იხ. BverfG, 1. Kammer des Ersten Senats, Beschluß vom 8. 3. 2000 - 1 BvR 1127/96, NJW 2000, 2187-მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის გათვალისწინებით, ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას, ყურადღებას იმსახურებს ცხოვრებისეული ურთიერთობის სახე და სპეციფიკა. მაგ. სატრანსპორტო დელიქტის შემთხვევაში მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოცემულობის გაზრდა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია პრევენციული მიზნის შესრულების ადეკვატურ საშუალებად, რადგან ნაკლებად სავარაუდოა დაშვება, რომ აღნიშნულით ავტოსატრანსპორტო სისტემის მონაწილეები წინდახედულების უფრო მაღალ სტანდარტს მიმართავენ.

⁹¹² დაწვრილებით იხ. *Slizyk A.*, Schmerzengeltabelle, mit praxisorientierter Kommentierung des Schmerzengeldes, 6. Auflage, München, 2010;

⁹¹³ იხ. *ოსაკვე კ.*, ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, (თარგმანი *შოთაძე თ.*) გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2015, 89-ანგლო-ამერიკულ სამართალში შემუშავებულია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ობიექტური სტანდარტები 1-10 ქულიანი შკალით, რომელთა დაყოფას საფუძლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმები: ზიანის ობიექტი, ზიანის სიმპტომები, ზიანის მიყენების სწორხაზოვნება, ბრალი და ა. შ. ხოლო მორალური ზიანის იურიდიული ბუნების განსაზღვრისთვის გამოყოფილია სხვადასხვა სიმპტომური ელემენტი: ემოციური ტანჯვითი ზიანი, ჰედონისტური ზიანი, ცოლ-ქმრული ჰარმონიის ირიბი დაკარგვა, მშობლიური ჰარმონიის ირიბი დაკარგვა, ცოლ-ქმრული ურთიერთობის პირდაპირი ხელყოფა და.ა.შ.

2.4. სატისფაქცია (დაკმაყოფილება) და მისი სუსტი მხარეები

„არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „არსებითად განსხვავდება „ნამდვილი“ ზიანის მოთხოვნის უფლებისგან იმით, რომ მას გამოსწორების გარდა ასევე მორალური დაკმაყოფილების ფუნქციაც („სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით შეცვლა“) ენიჭება (მორალური ზიანის ანაზღაურების ორმაგი ფუნქცია)⁹¹⁴. ზოგადი პიროვნული უფლების ხელყოფისას განსაკუთრებულია არაქონებრივი ზიანის მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია, რომელიც გამოიხატება ლათინური ტერმინით „*Satisfactio*“.⁹¹⁵ ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ტერმინი თავის თავში, სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, მოიაზრებს პირადი სფეროს დარღვევისას გაცდილი შეურაცხყოფისთვის გარეგნულად და შინაგანად აღქმულ მექანიზმებს, რაც ტკივილის „გამრთელებისკენა“ მიმართული.⁹¹⁶ გერმანულ მართლწესრიგში დაკმაყოფილების ფუნქციის წამოწვევაც ფედერალური უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის დამსახურებაა,⁹¹⁷ რასაც დოქტრინაში არაერთმნიშვნელოვანი შეფასებები მოჰყვა. ხსენებული ფუნქციის ისტორიული გაგებით, უფლების ხელყოფისას დაზიანების ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით მორალური ზიანის კომპენსაციას გადატანილი ტკივილის შემსუბუქება, დადებითი ემოციებით ჩანაცვლება⁹¹⁸ და სულიერი წონასწორობის აღდგენა უნდა გამოენდია, რამდენადაც დაზიანების და ტანჯვის ხარისხი ობიექტურად ამის შესაძლებლობას იძლეოდა.⁹¹⁹ კრიტიკული მოსაზრებების მიხედვით, სატისფაქცია მორალურ ზიანს გერმანული დოგმატიკის მიერ უარყოფილ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ეფექტს სძენს,⁹²⁰ განსაკუთრებით მაშინ,

⁹¹⁴ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 413, თბ., 2019, 749.

⁹¹⁵ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 192.

⁹¹⁶ Deutsches Rechts-Lexikon, 2 Bd., 2 Auflage, Beck: München, 1992; 45-ე იურიდიული დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე *Stoll*-ის მიერ გაჟღერებული დეფინიციის მიხედვით: „დაზარალებულის დაშოშმინება მიყენებული ზიანის გამოსყიდვის გზით- Genugtuung ist die Besänftigung des Verletzten durch Sühnung der Tat“: Deutsches Wörterbuch 5. Bd. Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1984.

⁹¹⁷ BGH, Beschl. v. 06.07.1955 – GSZ 1/55, BGHZ 18, 149 = VersR 1955, 615 = NJW 1955, 1675 = MDR 1956, 19 m. Anm. Pohle-“Es soll aber zugleich dem Gedanken Rechnung tragen, dass der Schädiger dem Geschädigten für das, was es ihm getan hat, Genugtuung schuldet“. “Der Anspruch auf Schmerzensgeld nach § 847 BGB ist kein gewöhnlicher Schadensersatzanspruch, sondern ein Anspruch eigener Art mit einer doppelten Funktion: Er soll dem Geschädigten einen angemessenen Ausgleich für diejenigen Schäden bieten, die nicht vermögensrechtlicher Art sind und zugleich dem Gedanken Rechnung tragen, dass der Schädiger dem Geschädigten Genugtuung schuldet für das, was er ihm angetan hat.“

⁹¹⁸ BGH NJW, 2007, 2475.

⁹¹⁹ *Jager L., Luckey J.*, Schmerzensgeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, Rn. 996.

⁹²⁰ *Jager L., Luckey J.*, Schmerzensgeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, Rn. 1003; *Bamberger P., Roth C.*, §253 Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, 16; *Staudinger J., Schiemann G.*,

როდესაც არაქონებრივი ზიანის გამოანგარიშება არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ბრალზე.⁹²¹ სხვაგვარი განმარტებით, მორალური ზიანი ემსახურება დაზარალებულის ტანჯვის განეიტრალებას და მისი გრძნობების სიძულვილის და შურისძიების მოტივებისგან განთავისუფლებას.⁹²²

მართალია, დაკმაყოფილების ფუნქციაში სუბიექტური ასპექტების დომინირებული როლი ობიექტურად არსებულ რაობასთან ერთგვარად აჩენს დასჯის ელემენტებს სამოქალაქო სამართალში,⁹²³ თუმცა არაქონებრივი ზიანის კონტექსტში, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის შელახვის შედეგად დგება და განუყოფელია ადამიანის პიროვნებისგან, დაკმაყოფილების ფუნქციას კომპენსაციის ფუნქციის პარალელურად თავისი დატვირთვა გააჩნია და ისეთ შემთხვევებშიც უზრუნველყოფს უმართლობის კორექციას, როდესაც დაზიანებული ინტერესის ინტენსივობის გამო მისი რესტიტუცია უკვე შეუძლებელია.⁹²⁴ ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ საკომპენსაციო ფუნქციის არსებობით ვერ მიიღწეოდა მორალური ზიანის სრულყოფილი ეფექტი, რადგან დაზიანებული სიკეთის „ფასის“ ობიექტური საზომით გამოთვლა შეუძლებელია. მას საკომპენსაციო თუ სარეაბილიტაციო ხასიათი გააჩნია სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისათვის, სადაც სიკეთის დარღვევის რანგისა და ხარისხის მიხედვით, განისაზღვრება მორალური ზიანის ოდენობა.⁹²⁵ შესაბამისად, სატისფაქციური ეფექტს სამართალმემფარდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა განზრახ ჩადენილი დელიქტების ან პიროვნული სფეროს მაღალი ინტენსივობით დაზიანების შემთხვევებზე მიანიჭოს. ყველა სხვა შემთხვევაში, სამართლის თვითმიზანი არ უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის დასჯა დაზარალებულის ყველა სუბიექტური ახირების გათვალისწინებით, იურიდიული

Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 29.

⁹²¹ იგულისხმება საფრთხის შემცველი დელიქტი, სადაც პასუხისმგებლობა არ არის ბრალზე დამოკიდებული: *Oetker H.*, in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn., 12; *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 16; *Grüneberg*, in Palandt, BGB Komm., §249, 73 Auflage, München, 2014, 4;

⁹²² *Jager L., Luckey J.*, Schmerzengeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, Rn. 1003.

⁹²³ *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 30.

⁹²⁴ *Oetker H.*, in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 13.; მსგავსი პოზიცია იხ. *Soergel W., Ekkenga J., Kuntz S.*, Inhalt des Schuldverhältnisses, Immaterialer Schaden, §253, 7. Auflage, Stuttgart, 2016, „Genugtuung ist einer Wiederherstellung des beeinträchtigten Selbstgefühls des Geschädigten“.

⁹²⁵ *ზოიძე თ.*, უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი სიკეთის ხელყოფისას. მტკიცების ტვირთი ზიანის ანაზღაურებისას, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თბ., 2018, 235.

თვალსაზრისით უპრიანი იქნება უმართლობის კორექციის მაქსიმალურად ობიექტური საზომით შეფასება.

სატისფაქციის ფუნქციის მონინაალმდეგეები ხშირად საუბრობენ მის არაპროდუქტიულ ფუნქციულ ისეთ შემთხვევებში, სადაც ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის ახლო ემოციური კავშირია⁹²⁶ და სრული სიმკაცრით კონკრეტული პირის სანქცირება დაზარალებულს ვერ გაუნიტრალებს სულიერ ტკივილს. გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში გამოყოფილია საქმეთა კატეგორიები, სადაც კომპენსაციით მოგვრილი კმაყოფილება არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, ესენია: სამედიცინო დელიქტების შემთხვევები,⁹²⁷ უმეტესწილად საექიმო შეცდომისას მიყენებული ზიანი ექიმის განზრახვის არარსებობის გამო,⁹²⁸ თავის ტვინის მძიმე დაზიანებების დროს და ავტოავარიის შემთხვევები,⁹²⁹ პიროვნების სიცოცხლის ხელყოფაც კი, რომელიც ზიანის მიყენებიდან დაუყოვნებლივ დადგა და ზიანის მიყენების განცდის სუბიექტურად აღქმა დაზარალებულმა ვერ მოასწრო⁹³⁰. აღნიშნული მაგალითი პრობლემურია და საჭიროებს განხილვას იმდენად, რამდენადაც სასამართლოს მიერ დამკვიდრებულმა პრაქტიკამ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გამოიწვია იურიდიულ ლიტერატურაში.

⁹²⁶ *Bamberger P., Roth C.*, BGB Komm., §253, Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, 16.

⁹²⁷ OLG Köln, Urt. v. 08.12.2014 – 5 U 122/14 - არ არის გამოქვეყნებული, მითითებულია: *Jäger L., Luckey J.*, Schmerzensgeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, Rn. 1012.

⁹²⁸ OLG Oldenburg, Urt. v. 16.09.2008 – 5 U 3/07, NJW-RR 2009, 1110, სადაც დაკმაყოფილების ფუნქციაზე მსჯელობისას სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ზურგის ოპერაციის შემდეგ სხეულში ლითონის დეტალის ჩარჩენის შედეგად გამონვეული დაზიანებების შედეგად პაციენტის მიერ განცდილი ფსიქოლოგიური ტრავმის გამრთელებისთვის აუცილებელი თანხა მხოლოდ კომპენსაციურ ფუნქციად დაკვალიფიცირდა; OLG Koblenz, Urt. v. 13.07.2006 – 5 U 290/06, VersR 2007, 796 = MedR 2009, 93 - ამის საპირისპიროდ, ექიმი, რომელმაც პაციენტის თანხმობის გარეშე მოახდინა მისი სტერილიზაცია იმ ვარაუდით, რომ პაციენტს ისედაც ბევრი შვილი ჰყავდა, არ გახდა დაკვალიფიცირებული ფუნქციის უპირობოდ გამორიცხვის მიზეზი.

⁹²⁹ ასეთ შემთხვევებზე მორალური ზიანის 614 000 ევროდან 619 000 ევრომდე მერყეობს: LG Kiel, Urt. v. 11.07.2003 – 6 O 13/03, VersR 2006, 279 = E 2181. მითითებულია: *Jäger L., Luckey J.*, Schmerzensgeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, Rn. 1010.

⁹³⁰ OLG Düsseldorf r+s 1997, 159; KG NZV 1996, 455- ამ შემთხვევების დროს სასამართლო მხედველობაში იღებს გარდაცვალებამდე განვლილი დღეების და საათების რაოდენობას და დაზარალებულის მიერ ტკვილის შეცნობადობას ამ საათობრივი კალკულაციით ახდენს შემდეგი სახით: OLG Schleswig NJWRR 1998, 1404 ზიანის მიყენებიდან 8-დღიანი კომპატოზური მდგომარეობის შემდეგ 10 000 გერმანული მარკა; OLG Köln VersR 2000, 974 [975]: 10 000 გერმანული მარკა 5-დღიანი კომის შემდეგ; OLG Düsseldorf VersR 1996, 985 [986]- როცა ლეტალური მდგომარეობა დგება უშუალო ზიანის მიყენების შემდეგ, მაგ. ერთ საათში, გერმანიის სასამართლო პრაქტიკა არ მიიჩნევს საკმარის საფუძვლად დაზარალებულის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მხრივ: BGH NJW 1998, 2741 [2743]; KG NZV 2002, 38 [39]; 11 წუთი გარდაცვალებამდე: OLG Hamburg MDR 1999, 938; მითითებულია: *Bamberger P., Roth C.*, BGB Komm., §253, Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, 33.

ერთ-ერთი პოზიციის მიხედვით,⁹³¹ ნორმის ამგვარი რედუქცია სრულად შეესაბამება არაქონებრივი ზიანის ფუნქციებს.⁹³² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რა სხვა პირის გარდაცვალებით გამოწვეული შოკის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, პოტენციურ საფრთხელ გამოჰყოფს დაზარალებულის სიცოცხლის ხელოვნურად გახანგრძლივების შემთხვევას⁹³³, მემკვიდრეების მიერ ამით განცდილი არამატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. შესაბამისად, ამ სახის რისკების აღსაკვეთად იურიდიული დოქტრინა არაქონებრივი ანაზღაურებაზე სრულად უარის თქმას და სქემატური საზღვრების ნიველირებას გვთავაზობს.⁹³⁴

არსებობს საპირისპირო პოზიციაც, რომელიც სკეპტიკურად აფასებს ამგვარ გადანყვეტას, რადგან ზღვრის დადგენა სიცოცხლის მინიმალურ ხანგრძლივობასა და ტკივილის შეგრძნებას შორის გარდაცვალების დადგომამდე შეუძლებელია. ამგვარი დაშვება არც კანონმდებლის პოზიციას არ უნდა შეესაბამებოდეს⁹³⁵ და არც იმ ფაქტს, რომ არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია განცდილი ფსიქიკური ან სულიერი ტრავმის აღმოფხვრის ფუნქციას ატარებს. ამასთან, სანქციის გრადაცია მიყენებული ზიანის სიმძიმისა და ინტენსივობის მხრივ განმსაზღვრელი შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის მიზნებისთვის,⁹³⁶ ხოლო ზიანის სამართალში აღნიშნული ასპექტი უფრო ლოგიკურია, თუ იგი ანაზღაურების კომპენსაციის ოდენობის ზრდის საფუძლად იქნებოდა გამოყენებული.

საკითხის გადანყვეტა, ახდენს თუ არა გავლენას ტკივილის აღქმის უნარის დაკარგვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, დამოკიდებულია ზოგადად არაქონებრივი ზიანის სამართლებრივ ბუნებაზე და მის ყველა ფუნქციაზე, რაც, ცალსახად გამორიცხავს აღნიშნული საკითხის დაზარალებულის საზიანოდ გადანყვეტის შესაძლებლობას. „უფლებების პერსონიფიკირებული ხასიათი, პირველ რიგში, სწორედ იმას გულისხმობს, რომ ის ეკუთვნის კონკრეტულ, თითოეულ ინდივიდს და, მამასადავ, არ/ვერ ეკუთვნის სხვას. შესაბამისად, ერთი პირის უფლებით ვერ ისარგებლებს სხვა“.⁹³⁷ ასეთი შესაძლებლობის დაშვება პირადი უფლების ბუნებასთან

⁹³¹ Jager L., Luckey J., Schmerzengeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016, 6; MünchKomm zum BGB, §253, Immaterialer Schaden, 7. Auflage, München 2016, Rn. 31.

⁹³² Oetker H., in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 31. შტრ. Rn. 10.

⁹³³ იქვე, Rn. 31

⁹³⁴ OLG Düsseldorf NJW 1997, 806; OLG Frankfurt NJOZ 2009, 4715.

⁹³⁵ იგივე პოზიცია იხ. *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 413, თბ., 2019, 751; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, თბ., 2018, 108.

⁹³⁶ Huber NZV 1998, 345 [348].

⁹³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადანყვეტილება საქმეზე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოვიდოდა წინააღმდეგობაში, რომელიც პერსონალური ხასიათის უფლებას უშუალოდ უფლების მფლობელის ცნობიერებას და აღქმას უკავშირდება, თუმცა აღნიშნული ზოგადი წესიდან სავსებით მართებულად არის დადგენილი გამონაკლისი, როდესაც უფლების მატარებელი პირის ნების გამოვლენის შეუძლებლობის პირობებში, უკიდურეს შემთხვევაში, აუცილებელი ხდება მისი ნების ჩანაცვლება (მაგალითად, კომაში მყოფი პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები).⁹³⁸ მაშასადამე, პირის უფლების სუბიექტად მიჩნევა ყოველთვის და უპირობოდ არ არის დამოკიდებული პირის ნების (უფლების აღქმის, უფლებით სარგებლობისა თუ მისი დაცვის თაობაზე ნების გამოხატვის) ნამდვილობაზე, ნების გამოხატვის შესაძლებლობაზე. ბუნებრივია, ეს არ აბათილებს ზოგადად, უფლებით სარგებლობისთვის პირის ნების არსებობის აუცილებლობას, თუმცა ობიექტურად არსებობს ამ ზოგადი მიდგომიდან გამონაკლისების საჭიროება.⁹³⁹ პრაქტიკაში სატიტუაქციური ფუნქციის აღიარების მიუხედავად, დაზარალებულისთვის კმაყოფილების მოგვრა პანაცეა არ არის და მისი არსებობა კომპენსაციის ფუნქციის დამცრობას არ უნდა იწვევს, არამედ ის სისტემურად უნდა იქნეს განხილული მორალური ზიანის სხვა მიზნებთან ერთად.

2.5. რეპრესიული ფუნქცია

ზოგიერთი მართლწესრიგი (მაგ. ამერიკული სამართალი) არაქონებრივ ზიანის ანაზღაურებაში სადამსჯელო ე.წ. რეპრესიულ ფუნქციასაც (*punitive damages*) მოაზრებს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სადამსჯელო ფუნქციები ინტენსიურია ამერიკულ სამართალში, რაც ცნობილია ე.წ. საჯარიმო ზიანის (*punitive damages*) სახით.⁹⁴⁰ გარკვეული პირობების არსებობისას მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით დაზარალებულს უფლება ენიჭება მოითხოვოს მისთვის მიყენებულ ზიანზე მეტი (დამატებითი) ფულადი ანაზღაურება, რომელიც (როგორც წესი) მიყენებულ ზიანს (ბევრად) აღემატება.⁹⁴¹ ფულადი კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ნაფიცო მსაჯულების მიერ.⁹⁴² ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ოდენობა კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს აღწევს პიროვნული უფლებების დარღვევის შესახებ სარჩელების დროს, ვიდრე სხეულებრივი დაზიანებების შემთხვევებში. ასეთ დროს სადამსჯელო

⁹³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁹³⁹ იქვე.

⁹⁴⁰ Oetker H., in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 13.

⁹⁴¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფოებო სამართალი, თბ., 2014, 674.

⁹⁴² Dam C. V., European Tort Law, Oxford University Press, 2013, 303.

ფუნქცია მიზნად ისახავს ზიანის მიმცენებლის მიერ შემდგომი ქმედებების თავიდან აცილებას და მესამე პირების გაფრთხილებას, მსგავსი სახის ქმედებისგან თავის შეკავების შესახებ.⁹⁴³

ევროპის კონტინენტზე ამერიკული სამართლის ამ თავისებურებას ეჭვის თვალთ უყურებენ. გერმანელი იურისტები სავსებით მართებულად მიანიშნებენ, რომ რეალურ ზიანზე რამდენჯერმე აღმატებული თანხის დაკისრებით ამერიკულ სამართალს ზიანის ანაზღაურების კერძოსამართლებრივ სივრცეში შემოაქვს სისხლისსამართლებრივი ჯარიმის ელემენტები, რაც, როგორც წესი, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციების მქონე სახელმწიფოსთვის მიუღებელია.⁹⁴⁴

საქართველოშიც ამ სახის ზიანის ანაზღაურების ფორმის გამოყენების სამართლებრივი შესაძლებლობა საეჭვოა. ამ გადაწყვეტის ლოგიკა გამოსჭვივის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებიდან ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენის აუცილებლობის თაობაზე, რომელიც ინგლისური და ამერიკული სამართლის მიდგომისგან განსხვავებით, ფრთხილად ეკიდება მორალური ტანჯვის კომპენსირებას.⁹⁴⁵ შედეგად, სასამართლო ნორმის ტელეოლოგიური რედუქციიდან გამომდინარე, ცდილობს შეამციროს სამართლებრივი შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვის სახელით. სწორედ ამიტომ, სასამართლო პარალელურად განამტკიცებს ზიანის ოდენობისა და დაკისრებული სანქციის ექვივალენტურობის პრინციპს და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას დიდ ყურადღებას უთმობს ობიექტურ რეალობის სწორად ასახვას⁹⁴⁶ იმ იურიდიული პოსტულატის განვითარებით, რომ ფულადი კომპენსაციის მთავარი მიზანი მოპასუხის დასჯა არ არის.

⁹⁴³ Shapo S. M., Principles of Tort Law, Thompson West, Chicago, 2003, 494; მითითებულია: *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, ურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2018, 111.

⁹⁴⁴ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 676; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, ურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2018, 111.

⁹⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1156-1176-2011.

⁹⁴⁶ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1433-1531-04.

2.6 დანაშაულებრივი და სხვა სახის ხელყოფის გავლენა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე

მითითება არაქონებრივი ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს სხვადასხვა კრიტერიუმისა და ფაქტორის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. შესაბამისად, ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოკვასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების ფაქტს, საოჯახო, ყოფით, მატერიალურ პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, დაზარალებულის ასაკს, ასევე დაზარალებული სუბიექტურ დამოკიდებულებას დამდგარი შედეგის მიმართ, ზიანის მიყენების საფრთხის განმეორების საშიშროებას, მისი წარსული ქმედებების ანალიზს, მიზნისა და ბრალის ერთმანეთისგან გამიჯვნას, თვით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმეს და ა.შ.

სასამართლომ უნდა შეათვასოს, თუ რაოდენ დიდი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მიაყენა რაიმე ქმედებამ დაზარალებულს.⁹⁴⁷ სხვა სამართლებრივი სიკეთეებისგან განსხვავებით, პიროვნული უფლების დარღვევისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ერთგვარი სპეციფიკით გამოირჩევა, რადგან საქმე ეხება პიროვნებასთან უშუალო კავშირის მქონე არახელშესახებ ფასეულობებს გამოხატვის თავისუფლების ჭრილში. ასეთი ტიპის საქმეების განხილვისას სხვა გარემოებებთან ერთად განსაკუთრებით დეტალურად უნდა შეფასდეს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, ზიანის მიყენებისას მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილი, დაცული უფლების სპეციფიკა და ამ უფლების სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნებით გამოყენების სურვილი, ასევე თავად დაზარალებული პირის წვლილი ზიანის მიყენების განსაზღვრისას. ნიშნადობლივია, რომ სსკ-ის 415-ე მუხლით დადგენილია ისეთი შემთხვევა, როდესაც მიყენებული ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს ორივე მხარის მიზნით და არსებობდეს მხარეთა ე.წ. „შერეული ბრალი“. ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, რომელ მხარეს რა მოცულობით ეკისრება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა და მისი ანაზღაურების ოდენობაც ამ მოცულობის პროპორციულად განსაზღვროს⁹⁴⁸.

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სამართალდარღვევის სუბიექტური დამოკიდებულების კვლევისას გამოიკვეთა, რომ უმეტესად, ზიანის მიყენებას სხვადასხვა მოტივი

⁹⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ-7243-15.

⁹⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-278-263-207; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-939-2018.

უღვეს საფუძლად, როგორცაა საკუთარი საკუთარი პროდუქციის რეკლამირება⁹⁴⁹, მატერიალური მოგების მიღება, რეიტინგის ზრდა,⁹⁵⁰ პარტნიორთა წრეში საქმიანი პარტნიორის დისკრედიტაცია,⁹⁵¹ ხოლო სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც დანაშაული შესაძლებელია გაუფრთხილებლობის მარტივი ფორმითაც იქნეს ჩადენილი. იურიდიული დოქტრინა ასევე იცნობს შემთხვევებს, როდესაც როდესაც არაქონებრივი ზიანის გამოანგარიშება არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ბრალზე⁹⁵² და ამ დროს ხდება არა ობიექტური რეალობის გათვალისწინება, არამედ დაზარალებული სუბიექტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.⁹⁵³ სწორედ დასახელებული კრიტერიუმების გათვალისწინება იწვევს სხვაობას პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისა და სხეულებრივი მთლიანობის დარღვევის შედეგად ასანაზღურებელი მორალური ოდენობებს შორის.⁹⁵⁴

⁹⁴⁹ BGH, 14.02.1958- I ZR 151/56, BGHZ 26, 349=NJW 1958, 827 (mit Anm. *Larenz*)= GRUR 1958m 408 (mit Anm. *Bussmann*)-Herrenreiter.

⁹⁵⁰ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების პალატის 2003 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №3კ-1483-02; დანვ. აღნიშნული გადაწყვეტილების ანალიზი იხ. *საჯაია ლ.*, პრესა და მორალური ზიანი, უურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №8, თბ., 2005, 1/2: სადაც ერთ-ერთმა უურნალმა მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე გამოაქვეყნა მოსარჩელის ფოტოსურათი ჩიყვის, როგორც ავადმყოფობის ისტორიის მიმოხილვისას. ავადმყოფობის მძიმე შედეგის თვალსაჩინოებისთვის კი წარმოადგინა მოსარჩელის სურათი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხის მიერ ფოტოსურათზე ასახული პიროვნების თვალის დაფარვა შავი შტრიხით რატომღაც მიიჩნია ბრალის გამომრიცხველ გარემოებად და შესაბამისად მატერიალური პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძლად. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, არამედ ხელყოფით მიყენებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის მორალური კომპენსაცია. აღნიშნულ დასაბუთებაზე დაყრდნობით უზენაესმა სასამართლომ 10-ჯერ შეამყირა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ფულადი თანხა, რაც ასევე ვერ უძლებს კრიტიკას;

⁹⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-103-98-2014.

⁹⁵² იგულისხმება საფრთხის შემცველი დელიქტი, სადაც პასუხისმგებლობა არ არის ბრალზე დამოკიდებული: *Oetker H.*, in: MünchKomm zum BGB, Immaterieller Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 12; *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 31; *Bamberger P., Roth C.*, BGB Komm., §253, Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, 16; *Grüneberg*, in Palandt, BGB Komm., §249, 73 Auflage, München, 2014, 4.

⁹⁵³ *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 30.

⁹⁵⁴ ბევრი გერმანელი ავტორი აკრიტიკებს ამ მიდგომას სამოქალაქო სამართალში სადამსჯელო ფუნქციების შემოტანის მიზეზით, თუმცა საბოლოო ჯამში გერმანიის უმაღლესი სასამართლო მყარად დგას იმ აზრზე, რომ დაკმაყოფილების მიზანი მთლიანად კერძო სამართლებრივი ბუნებისაა; იგივე პოზიცია იხ. *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 413, თბ., 2019, 752.

გერმანიაშიც ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად განცდილი და პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის კონტრასტული განსხვავება ერთგვარი გამონკვევად რჩებოდა, სანამ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ⁹⁵⁵ ავტოავარიის შედეგად სამი მცირეწლოვანი შვილის გარდაცვალებით მიყენებული ფსიქოლოგიურ ტანჯვაზე დედისთვის 70 000 გერმანული მარკის, ხოლო მამისთვის 40 000 გერმანული მარკის კომპენსაცია ადეკვატურ ანაზღაურებად შეაფასა, მაშინ, როდესაც მოსარჩელები ორჯერ მეტს ითხოვდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა მორალური ზიანის პრევენციული ფუნქციის კონტექსტში, რადგან სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში გამოკვეთა კომპენსაციის ოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობა სასურველი გვერდითი ეფექტის მიღების მიზნით. სასამართლომ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ზიანის მიმყენებლის მხრიდან ადგილი არ აქვს პერსონის განზრახ კომპერციალიზაციას, მხოლოდამხოლოდ გულისხმიერების ვალდებულების შესაბამისი ხარისხის დაუცველობით ჩადენილი ავტოავარიის შემთხვევა არ იძლევა სანქციის გამკაცრების საჭიროებას, რადგან გაზრდილი ოდენობის ფულადი თანხა ისედაც ვერ უზრუნველყოს სხვა პოტენციურ სამართალდამრღვევზე გაუფრთხილებლობით ჩადენილი უმართლობის აღკვეთას. შესაბამისად, ამ პრეცედენტით სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც სამართალდარღვევის მოტივისა და შესაბამისი დაცვის ინტერესის შეპირისპირების გზით გამართლებულია პასუხისგების მაღალი ხარისხი და მკაცრი მონესრიგების არსებობა.

დანამაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ბრალის ხარისხი გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც,⁹⁵⁶ სადაც მაგ. განზრახვის არარსებობამ გამოიწვია მოთხოვნილი ანაზღაურების დაახლოებით 10-ჯერ შემცირებაც კი. მისასალმებელია ბოლო დროინდელი სასამართლო პრაქტიკის მისწრაფება⁹⁵⁷ მეტი ყურადღებით მოეკიდოს

⁹⁵⁵ BVerfG 8 March 2000, NJW 2000, 2187.

⁹⁵⁶ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საქმეზე განზრახვის არარსებობის გამო სასამართლომ ჩათვალა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება 300 000 ლარის ოდენობით სცილდება გონივრული ანაზღაურების ფარგლებს და ასეთად მიიჩნია 50 000 ლარის ოდენობა, რაც, სრულ შესაბამისობაში იყო სასამართლო პრაქტიკით დადგენილ საზღვრებთან-საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-494-488(2კ-12); შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1418-993(კ-05); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-972-936(სკ-08).

⁹⁵⁷ მოპასუხეს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 6000 ლარი- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2015; 3000 ლარი- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1323-1249-2012; 1000 ლარი- საქართველოს უზენაესი

მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას და იმ საფუძვლების და გარემოებების დასაბუთებას, თუ რაზე დაყრდნობითაც მოხდა კომპენსაციის გონივრულობისა და სამართლიანობის პრიზმაში მოთავსება.⁹⁵⁸ ამ ასპექტში, ნებისმიერ მართლწესრიგში რელევანტურია კითხვა, რა სახის და ინტენსივობის მენტალური დაზიანება წარმოშობს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს?

გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულით მიყენებული არაქონებრივი ზიანის მიყენებისას გერმანული სასამართლო პრაქტიკა მძიმე დაზიანების არსებობას მოითხოვს,⁹⁵⁹ რადგან მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.⁹⁶⁰ შესაბამისად, უმნიშვნელო დაზიანებები, დაზარალებულის კეთილდღეობის მოკლევადიანი და

სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №341-319-2017; 100 000 ლარი-საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-668-635-2013; 200 000 ლარი- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1-397-გან-1-2017; 6000 ლარი- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2915; 10 000 ლარი- უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-979-940-2014.

⁹⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013: ასევე ფოტოსურათზე პირის გამოსახულების უფლების დაცვის ჭრილში, სადაც ერთ-ერთმა მედიამაუწყებელმა თანხმობის გარეშე გამოიყენა მოსარჩელის ფოტოსურათი ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ფოტოგადაღება მოხდა თავად მოპასუხის მიერ, თუმცა მათ შორის რაიმე ფორმის ხელშეკრულება არ დადებულა, რაც მისცემდა მოპასუხეს ფოტოსურათების სურვილისამებრ გამოყენების უფლებას. მისასაღმებია ის ფაქტი, რომ სასამართლომ მსჯელობაში ხაზი გაუსვა პირის გამოსახულების უფლების, როგორც ინდივიდის თავისუფლების მნიშვნელობას და მოახდინა მისი გამოჭვნა ფოტოგრაფიული წესით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებისგან, თუმცა წინააღმდეგობრივი და არადამაჯერებელია სასამართლოს პოზიცია კომპენსაციის ოდენობის 10 000 ლარიდან 4000 ლარამდე შემცირების ნაწილში. ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთებლად სასამართლომ სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მოპასუხის მხრიდან განზრახვის არარსებობაც ახსენა, თუმცა არ მიუთითა, კონკრეტულად რამ განაპირობა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა.

⁹⁵⁹ *Staudinger J., Schiemann G., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen*, §253, Buch VII, Berlin, 2017, 24- ზიანის ანაზღაურების ნორმების მოდერნიზაციის პროექტის შემუშავებისას კანონმდებელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ბოლო ეტაპზე ამოიღეს კანონპროექტის ტექსტიდან იმპლიციტური ჩანაწერი უმნიშვნელო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების აკრძალვის შესახებ. ამ გადაწყვეტით კანონმდებელმა სამართალშემფარდებელს მიანიჭა მოქმედების თავისუფალი სივრცე კანონზე დაყრდნობით, საკუთარი მიხედულებით და ტელეოლოგიური განმარტების გზით განსაზღვროს მორალური ზიანის კვალიფიკაციის და მისი რეპარაციის ოდენობაც.

⁹⁶⁰ *ჩიტაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ, თბ., 2018, 194; *შდრ.. ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 73.

არაარსებითი დამცრობა არ წარმოშობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს.⁹⁶¹

დადგენილია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო არსებით და არაარსებით დაზიანებას შორის ზღვარი დაცულია, თუ საქმე ეხება დროებით, ტიპურ და უმეტესად პასუხისმგებლობის ნეიტრალური საფუძველებიდან წარმოშობილ სხეულის დაზიანებას ან სულიერ აღელვებას⁹⁶² ან შრომისუნარობას მოკლევადიან პერიოდში.⁹⁶³ ეს მოიცავს დაზიანებებს, რომელთა სახეობა და ინტენსივობა უმნიშვნელო ხასიათს ატარებს და დაზარალებულის პიროვნებაზე არ აქვს გრძელვადიანი უკუშედეგი ამ უკანასკნელის მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების და სხვა ადამიანებთან ურთიერთცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული ადეკვატური მოლოდინების გამო.⁹⁶⁴

გერმანიის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბებული ეს მკაფიო დათქმა არ ზღუდავს სამართალშემფარდებელს სამოსამართლეო მანდატის ფარგლებში დააკისროს მხარეს მორალური ზიანის ანაზღაურება უმნიშვნელო დაზიანების შემთხვევაშიც კი, თუ სახეზეა არაორდინალური და განსაკუთრებული გარემოებები. პრაქტიკის ანალიზის შედეგად ერთ-ერთ ასეთ განსაკუთრებულ გარემოებად გამოიკვეთა განზრახ მიყენებული ზიანის შემთხვევა⁹⁶⁵.

წარმოქმნილი დისკურსის განხილვა საქართველოს რეალობაში საინტერესოა და სასარგებლო იმდენად, რამდენადაც იურიდიული დოქტრინის ზემოთთქმული დანაწესი არ იქნა გაზიარებული სასამართლო პრაქტიკის მიერ, როდესაც სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში დაცული ჯანმრთელობის

⁹⁶¹ Bagatellklausel"- *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, Rn. 23; *Ekkenga J, Kuntz Th.*, in: *Soergel W.*, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen (BGB) Komm., §253, Immaterialer Schaden, 7. Auflage, Stuttgart, 2016, Rn. 26; *Grüneberg*, in Palandt, BGB Komm., §249, 73 Auflage, München, 2014, Rn. 14.

⁹⁶² *Ekkenga J, Kuntz Th.*, in: *Soergel W.*, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen (BGB) Komm., §253, Immaterialer Schaden, 7. Auflage, Stuttgart, 2016, Rn. 26.

⁹⁶³ BGHZ 137, 142; BGH NJW 2000, 862, 2003; 1116-მითითებულია: *Schiemann G.*, in: *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, Rn. 24.

⁹⁶⁴ *Ekkenga J, Kuntz Th.*, in: *Soergel W.*, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen (BGB) Komm., §253, Immaterialer Schaden, 7. Auflage, Stuttgart, 2016, Rn. 26; *Oetker H.*, in: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 29; *Bamberger P., Roth C.*, BGB Komm., §253, Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, Rn. 48.

⁹⁶⁵ *Ekkenga J, Kuntz Th.*, in: *Soergel W.*, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen (BGB) Komm., §253, Immaterialer Schaden, 7. Auflage, Stuttgart, 2016, Rn. 26 *Staudinger J., Schiemann G.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, 23.

ნაკლებად მძიმე დაზიანება საკმარის საფუძვლად მიიჩნის დაზარალებულის მიერ ტკივილისა და სულიერი ტანჯვის განცდის დასადასტურებლად.⁹⁶⁶ ამასთან, სამოტივაციო ნაწილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონმდებელი დაზიანების ფაქტს, მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დაზიანება, ა პრიორი უკავშირებს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობას.

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევების განხილვისას კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მიზნით სასამართლო ძირითადად ეყრდნობა სამედიცინო დასკვნებს,⁹⁶⁷ თუმცა აღნიშნული ზიანის ზუსტად გამოხატვა-შეფასება განცდილი ტკივილის უკიდურესად სუბიექტური ბუნების გამო პრობლემური საკითხია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საკუთარი შინაგანი სამყაროს, შესაძლებლობებისა და სისუსტეების სრულად აღქმა ხშირად ადამიანს თვითონაც არ შეუძლია. რთული წარმოსადგენია სრულყოფილებაზე საუბარი, როდესაც საქმე ეხება სხვა ადამიანის შინაგანი განცდების, მისთვის მიყენებული ფსიქიკური ტანჯვის შეფასებას და მით უმეტეს ფულადი ექვივალენტის დადგენას.⁹⁶⁸ შესაბამისად, ტკივილისა და განცდებისთვის ფულადი სახით რეპარაციისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ ობიექტურ სამედიცინო ჩვენებებს, არამედ ყურადღება მიაქცის სხვა სუბიექტურ გარემოებებსაც. ამ კუთხით კი სასამართლოს მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის მონეტარიზაციის კუთხით განსხვავებული მიდგომა საქმის გარემოებების განსხვავებული კონტექსტის გათვალისწინებით აბსოლუტურად მართებულად იქნა მიჩნეული თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპთან სრულად თავსებადად.

2.7 ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გავლენა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმად ხშირად სახელდება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა,⁹⁶⁹ რაც შეიძლება გამოიხატოს მოვალის

⁹⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-594-562-2015.

⁹⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-113-108-2014.

⁹⁶⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 671.

⁹⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-669-2019; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-543-518-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019

გადახდისუნარიანობაში და მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდეს საბოლოოდ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში ვერ იქნა მოძიებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო დეტალურად დაასაბუთებდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირების ან გაზრდის საჭიროებას სწორედ ამ უკანასკნელი კრიტერიუმის გათვალისწინებით. უმეტესად ქონებრივი მდგომარეობა, როგორც ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის ფაქტორი, სამოტივაციო ნაწილში ზედაპირულადაა აღნიშნული ყოველგვარი კონცეპტუალური ანალიზის გარეშე.

გაზიარებას იმსახურებს გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრება⁹⁷⁰, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა ყველაზე ნაკლებ გავლენას უნდა ახდენდეს არაქონებრივი ზიანის ოდენობაზე. მსგავსი დაშვება წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც თავად პიროვნული უფლებების სამართლებრივ ბუნებასთან, ისე მათი დარღვევისას არაქონებრივი (მორალური) ზიანის თავისებურებასთანაც, რომელიც, თავის მხრივ, გამორიცხავს კავშირს ქონებრივ სფეროსთან. შესაბამისად, ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას სწორება მხოლოდ მოპასუხის ქონებრივ მდგომარეობაზე პრაქტიკულად გამოიწვევდა ზემოთ განხილული ყველა სხვა კრიტერიუმისა და მიზნის დამცრობას და ცალკეული საქმის განხილვის ბედს, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმის, პერსონალური მოტივებისა და თავად დარღვეული უფლების სპეციფიკის გათვალისწინებლად მხოლოდ მოპასუხის ფაქტობრივ ქონებრივ მდგომარეობაზე დამოკიდებულს გახდიდა, რაც ძირს გამოუთხრიდა კანონმდებლის მიერ პიროვნული უფლებების დაცვის ყველა მცდელობას. იგივე შეიძლება ითქვას თავად დაზარალებულის მატერიალურ მდგომარეობაზეც⁹⁷¹, რადგან მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას ასევე არ უნდა თამაშობდეს გადამწყვეტ როლს, თუ რამდენად შეუძლია დაზარალებულ საკუთარი ფინანსური სახსრებით განცდილი სულიერი ტანჯვისა და ემოციური სტრესის განეიტრალება.

წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-238-2019; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-594-562-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-494-488(2კ-12).

⁹⁷⁰ Huber Ch., in: Dauer-Lieb B., Langen W., BGB- Schuldrecht, 3. Auflage, Baden-Baden, 2016, Rn 95; Staudinger J., Schiemann G., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017, Rn. 41; Bamberger P., Roth C., BGB Komm., §253, Immaterieller Schaden, 42 Auflage, München, 2017, Rn. 44.

⁹⁷¹ Oetker H., in: MünchKomm zum BGB, Immaterieller Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn. 38.

აღნიშნული მსჯელობა, ცხადია, არ ნიშნავს ცალკეული საქმის განხილვისას ქონებრივი ასპექტის საერთოდ იგნორირებას. მეტიც, არაქონებრივი უფლებების დარღვევისას „მორალური ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დაზარალებული ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ. ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და ა.შ.)“⁹⁷², „აგრეთვე იმ სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა“⁹⁷³. სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს მოდავე მხარეების საქმიანობის ადგილს, დაზარალებულის მიერ საკუთარი პიროვნული თავისებების ეკონომიკური მოგების მიზნით გამოყენების პრაქტიკას და სხვა კონკრეტულ გარემოებებს კომპლექსურად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის, ნეგატიური განცდების რეალური და ეფექტური შემსუბუქება და მათი ჩანაცვლება დადებითი ემოციებით.

⁹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-238-2019.

⁹⁷³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5775-15.

VII. დასკვნა

განხორციელებული კვლევის მიზნებისთვის უმჯობესი იქნება, თუ შეჯამებული იქნება პიროვნული უფლების დაცვისა და განხორციელების საფუძვლების კვლევის შედეგები, რაც ნაშრომზე მუშაობის პროცესში იქნა მიღებული. აღნიშნული დასკვნებისა და რეკომენდაციების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში ხელს შეუწყობს პიროვნული უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრებას ევროპულ სამართალში დამკვიდრებული ღირებულებების შესაბამისად.

1. პიროვნული უფლებების დაცვისა და განხორციელების ნორმატიული მონესრიგების კონცეპტუალურ ხედვასთან დაკავშირებით კვლევის შედეგად სხვადასხვა სამართლებრივი წესრიგის მიერ შემუშავებული მიდგომებიდან უნდა გამოიყოს ორი ძირითადი მოდელი: პირველი მიდგომა იცნობს ზოგადი პიროვნული უფლების ერთიან კონცეფციას, ხოლო მეორე ჯგუფი საკანონმდებლო დონეზე განამტკიცეს ცალკეული პიროვნული უფლებების კრებულს: ორივე მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. პირველი ვარიანტის არსებობის პირობებში სასამართლოს აქვს მოქნილი ბერკეტი და შესაძლებლობა განავითაროს პიროვნული უფლებების დაცვის მექანიზმები სოციალური ძვრების კვალდაკვალ, აღიაროს პიროვნული უფლებების ახალი ასპექტები და მისცეს მას ფართო შინაარსი მათ შორის ისეთი რთული საკითხის გადაჭრით, რაც წინააღმდეგობაში მოდის სხვა ლეგიტიმურ ინტერესთან, უარყოფით მხარედ კი - უფლების ზედმეტად ფართო ხასიათი და სამართლებრივი არაგანჭვრეტადობა უნდა მივიჩნიოთ. ამ პრობლემის აღმოფხვრა ეფექტური და დაბალანსებული სასამართლო პრაქტიკის არსებობით შეიძლება იქნეს მიღწეული.

შინაარსობრივი კუთხით აბსოლუტურად გაუგებარია და უდავოდ კრიტიკას იმსახურებს სსკ-ის მე-18 მუხლში რეგულირებული დაცვის საშუალებების გავრცელების შეზღუდვა მხოლოდ ცალკეულ პიროვნულ სიკეთეებზე ყოველგვარი საფუძველს მოკლებული დიფერენცირების გარეშე. ამგვარი მონესრიგების პირობებში ყურადღების მიღმა რჩება პიროვნულობის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა ადამიანის ხმა, შესტიკულაცია, უფლება წარმოთქმულ სიტყვაზე და ა.შ. უფრო მეტად გაზიარებას იმსახურებს მიდგომა, რომელიც თუნდაც ცალკეული უფლებების გვერდით შექმნიდა ამ უფლებათა ჩამონათვალის გაფართოების ან დამატების საშუალებას ზოგადი ნორმის შემუშავებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნული უფლებების დაცვა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში ხორციელდება ძირითადი უფლებებთან მათი ურთიერთკავშირის შესაბამისად. ძირითადი უფლებების

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედების ეფექტის შესწავლის შედეგად დადგინდა მათი არაპირდაპირი (ირიბი) მოქმედების არსებობა და გამოიკვეთა, რომ კონსტიტუციური ღირებულებები კერძო სამართალში რელევანტურია პიროვნული უფლების დაცვის მასშტაბისა და შინაარსის, დარღვევის ხარისხის და დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის განსაზღვრისთვის, მაგრამ ის ვერ გამოდგება შეფასების საზომად, დაადგინოს, თუ რომელი კონსტიტუციურ სამართლებრივი გადანწყვეტა იქნებოდა სამოქალაქო სამართალში საუკეთესო შედეგის მომტანი. სწორედ ამიტომ, ძირითადი კანონით დაცული ღირსების უფლება ვერ გამოდგება სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის უშუალო საფუძვლად.

2. კერძო სამართლებრივი პიროვნული უფლების მოცულობის შინაარსობრივი მასშტაბისა და ფარგლების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ის არ არის კონსტიტუციურსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების იდენტური და ვერ გამოდგება ჰორიზონტალურ ურთიერთობაში მოთხოვნის უშუალო სამართლებრივ საფუძვლად. ამ პირობებში, მეთოდოლოგიურ გამოსავლად სამოქალაქოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება იქნა შემოთავაზებული სსკ-ის 992-ე მუხლის ბაზაზე, რომელიც დამაკავშირებელი ხიდის როლს შეასრულებს დასახელებულ ორ სფეროს შორის და აღმოფხვრის იმ ვაკუუმს, რაც ცალკეული ნორმებით გათვალისწინებული და არაამომწურავი პიროვნული უფლებების რეგულაციის პირობებში იქმნება ქართულ რეალობაში. ზოგად-აბსტრაქტული და ღია ფორმულირება იქნება გარანტი, რომ სწორედ ძირითადი უფლებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი ღირებულებებათა სტანდარტის შესაბამისად მოხდება ცალკეული, ჯერ კიდევ უცნობი, თუმცა პიროვნებასთან ახლო კავშირში მყოფი მახასიათებლების დაცვა საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიური რიტმის კვლადაკვალ.

3. სამოქალაქოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების შემდგომ ამ ჩარჩო უფლებასა და სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილ ცალკეულ უფლებებს შორის სწორი სამართლებრივი მიმართების დადგენის მიზნით უმჯობესია მათთან მიმართებით „განსაკუთრებული პიროვნული უფლებების“ ნაცლად ტერმინის „რეგულირებელი პიროვნული უფლებების“ ან „ცალკეული პიროვნული უფლებების“ გამოყენება, რათა დადგინდეს, რომ ცალკე რეგლამენტირების მიზანი არის არა დაცული უფლების განსაკუთრებულ როლზე ხაზგასმა და ამით რეგულირების მიღმა დარჩენილი სხვა პიროვნული სიკეთეების დაკნინება, არამედ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით რეგულირებული უფლებების კონკრეტიკა. ზოგადი პიროვნული უფლების

დარღვევა კი დამოუკიდებელი მასშტაბებით უნდა შეფასდეს, იმის მიუხედავად, დარღვეულია თუ არა ამავედროულად ცალკე რეგულირებული პიროვნული უფლებები. კოლიზიის შემთხვევაში კი განსაკუთრებული რეგულირების საკანონმდებლო შეფასებები მთლიანი ღირებულების თაობაზე გადანყვეტილების მიღებისასაც უნდა იქნეს გამოყენებული. ამ კუთხით პიროვნულობის დაცვის კრებით ნორმად მიჩნევა სსკ-ის 992-ე მუხლითაც დასაშვებია.

4. სამოქალაქო უფლების განხორციელებისა და დაცვის უფლებამოსილებების დოქტრინული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უფლების დაცვა ორგანულადაა დაკავშირებული აღნიშნული უფლების განხორციელებასთან. შესაბამისად, ეს უკანასკნელი უფლების უშუალო რეალიზაციის ერთ-ერთ კომპონენტს განეკუთვნება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოხდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფორმების სისტემატიზაცია ერთის მხრივ, დაცვის ქონებრივ და არაქონებრივ, ხოლო მეორეს მხრივ, უნივერსალურ და სპეციალურ სამართლებრივ საშუალებებად. სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილი დაცვის საშუალებებთან მიმართებით აბსოლუტურად გაუგებარია კანონმდებლის გადანყვეტილებით სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის დავინროება მხოლოდ პატივისა და ღირსების უფლებაზე, მაშინ როდესაც, დაცვის იმავე ხარისხს საჭიროებს მე-3 ნაწილში ჩამოთვლილი უფლებებიც. ამდენად, უფრო მიზანშეწონილი იქნება მე-3 და მე-4 ნაწილების შინაარსობრივი გაერთიანება და იდენტური დაცვის მექანიზმის გავრცელება მე-18 მუხლში ჩამოთვლილ ყველა პიროვნულ უფლებაზე, ცალკეული, კონკრეტულ საფუძველს მოკლებული დიფერენცირების გარეშე.

5. პიროვნული უფლების განხორციელების ნაწილში დაზუსტებას საჭიროებს უფლების დაცვის ხანდაზმულობის ვადების საკითხიც, რადგან სხვადასხვა ნორმატიული აქტით ხანდაზმულობის ვადებიც განსხვავებულია რეგულირებული. დადგინდა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი ცილისწამების თაობაზე სარჩელის სასამართლოში წარდგენის ვადად ას დღეს განსაზღვრავს. იმ შემთხვევაში, თუ არსებითაც მცდარი განცხადების გამოქვეყნება მოხდა საქართველოში ლეგალური საფუძვლებით მოქმედი მაუწყებლების სივრცეში, ხოლო დაინტერესებულ პირს სურს არაქონებრივი უფლების დაცვის ბერკეტად შესწორების ან უარყოფის გამოყენება, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით ამ შემთხვევაში დადგენილია მოპასუხის წინაშე მოთხოვნის დაყენების ხანდაზმულობის სპეციალური ათდღიანი ვადა, თუმცა სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას სპეციალურ ნორმას კვლავ „სიტყვისა და გამოხატვის

თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი უნდა წარმოადგენდეს.

6. ინდივიდუალური შემხებლობის ჭრილში პიროვნული უფლების დამრღვევი პირის იდენტიფიცირებისას ბუნდოვნებას ბადებს ცილისწამებისას „მედიის მესაკუთრის“ პასუხისმგებლობის საკითხი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხედ უშუალოდ „მედიის მესაკუთრეს მიიჩნევს“. აღნიშნული დანაწესი შესაბამისობაში უნდა იყოს სსკ-ის 997-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობასთან, რომელიც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დამსაქმებელს აკისრებს. თუ კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილში ნახსენები პირის - „მედიის მესაკუთრის“ განხილვა იურიდიული პირის სტრუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდება, გაირკვევა რომ ეს მუხლი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ მონესრიგებას. გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 24-ე მუხლი იურიდიულ პირს დამოუკიდებელ პასუხისმგებელ სამართალსუბიექტად განიხილავს, ხოლო მედიის მესაკუთრე (თუ მედიასაშუალება რომელიმე სამართლებრივი ფორმით შექმნილი იურიდიული პირია) არის იმავე კომპანიის დამფუძნებელი, ცილისწამებისას კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით მოპასუხედ განსაზღვრულია არა თავად იურიდიული პირი, არამედ მისი დამფუძნებელი, რომელიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს დამსაქმებელს სსკ-ის 997-ე მუხლის მიზნებისთვის, არამედ დამსაქმებელი იურიდიული პირის მესაკუთრეს. ამდენად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილსა და სსკ-ის 997-ე მუხლებს შორის მსგავსი წინააღმდეგობის გამო ტერმინი „მედიის მესაკუთრე“ საჭიროებს დახვეწას და მასში მხოლოდ დამსაქმებელი იურიდიული პირის მოაზრებას.

7. კრიტიკას იმსახურებს სსკ-ის მე-19 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ღირსი უფლებების დავინროება და სათანადო კონცეპტუალური გამიჯვნის გარეშე მისი მხოლოდ სახელისა და ღირსების უფლებაზე გავრცელება. ამგვარი მიდგომით, კანონმდებელი, ფაქტობრივად, ახდენს სსკ-ის მე-18 მუხლში სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაუსაბუთებელ შეზღუდვას. მით უფრო, რომ მე-19 მუხლის ნორმატიული შინაარსით მოცული „დაცვის ღირსი ინტერესი“ თანაბრად ვრცელდება ყველა იმ ღირებულებაზე, რომელიც გარდაცვლილის პიროვნებას განსაზღვრავს და პიროვნების პატივისცემის განმაპირობებელია. მაგალითად, საქმიანი

რეპუტაცია, პატივი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაცვის ღირსი უფლების გაფართოება და არამიზნობრივი საკანონმდებლო შეზღუდვის გაუქმება.

8. სსკ-ის მე-18 მუხლის ამჟამინდელ რედაქციას მნიშვნელოვანია მასში დაცულ უფლებათა ჩამონათვალს დაემატოს უფლება საკუთარ წარმოთქმულ სიტყვაზე, როგორც კერძო კომუნიკაციის შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ელემენტსა და პიროვნულობის გამომხატველ კომპონენტზე. აღნიშნული უფლება უნდა იქნეს მოაზრებული პიროვნული უფლების განუყოფელ ნაწილად და აღიარებულ უნდა იქნეს დაცულ სფეროში ჩარევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყურადღების მიღმა დარჩება ადამიანის პიროვნულობის და თავისუფალი განვითარების უფლების შემადგენელი ის სივრცე, რომელიც საშუალებას უნდა აძლევდეს ნებისმიერს, აწარმოოს კომუნიკაცია „სპონტანურად, თავისუფლად, დაუბრკოლებლად, უნდობლობისა და თვითკონტროლის გრძნობის გარეშე“⁹⁷⁴. დაცვა უნდა ვრცელდებოდეს მათ შორის არავერბალურ ხმოვან სიგნალებზეც, რომელიც კონკრეტული ჯგუფის ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან. კომუნიკაციის მიმდინარეობისას კანონისმიერი დაცვის საკითხი არ არის დამოკიდებული არც საუბრის შინაარსის კონფიდენციალურობაზე და არც იმაზე, შეეხება თუ არა საუბარი ზედმეტად პიროვნულ საკითხებს.

9. საქართველოს კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება პიროვნული უფლებების გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვნება. პიროვნულობის ხაზგასმისა და შინაარსობრივი არსის უკეთ გააზრების მიზნით გასაზიარებელია იურიდიული ლიტერატურაში⁹⁷⁵ გაუღერებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც უმჯობესია სსკ-ის მე-18 მუხლში ჩამოთვლილ სიკეთეებს ეწოდოს „პიროვნული უფლებები“ და არა „პირადი არაქონებრივი უფლებები“, რითაც ხაზი გაესმება, რომ საკვლევი ღირებულებები დაკავშირებულია უშუალოდ პიროვნებასთან და მისი განმსაზღვრელია. აღნიშნული ტერმინოლოგიური დაზუსტება ასევე მოხსნის იმ პრაქტიკულ უხერხულობას, რასაც პიროვნული სიკეთეების ეკონომიკური ღირებულების არსებობის დადასტურებასა და მე-18 მუხლის სახელწოდებას შორის იქმნება.

10. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითქმის ფერმკრთალდება ზღვარი პიროვნულობის იდეალურ და კომერციულ

⁹⁷⁴ Rixecker R., in: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018, Rn. 108.

⁹⁷⁵ „გამოთქმული მოსაზრებით აღნიშნული „ტერმინის უპირატესობა სწორედ პიროვნულობის ხაზგასმა“- კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 132.

ნაწილებს შორის. ამ პროცესს გვერდი ვერც ერთმა ცივილიზებულმა მართლწესრიგმა აურა. განსხვავება განხილულ სისტემებს შორის უმეტესად არაქონებრივი უფლების ქონებრივი ნაწილის დაცვის რეგულირების მეთოდებშია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნულობის კონკრეტული გამოვლინებების ფაქტობრივი კომერციალიზაციის თემის ქართული სამართლებრივი ჩარჩოები უფრო მეტ სიახლოვეს გერმანულ მონესრიგებასთან ავლენს მონისტური თეორიის ჭრილში. საყურადღებოა, რომ არც საკანონმდებლო რეგულაციებში და არც სასამართლო პრაქტიკაში არ მომხდარა პიროვნული უფლებების „იდეალურ“ და „ეკონომიკურ“ სფეროებად დაყოფა, მაშინ, როდესაც თანამედროვე ვითარებაში სულ უფრო და უფრო იზრდება პიროვნული სიკეთეების ეკონომიკური მიზნებისთვის გამოყენების ტემპები. მაგ. სახელის, გამოსახულების, რეპუტაციის და ა.შ. ციფრული ტექნოლოგიებისა და პიროვნული მახასიათებლების დიგიტალიზების მზარდი პროგრესის პირობებში გარდაუვალი ხდება პიროვნულობის ერთიან ცნებაში კომერციული ასპექტების ძიების და რეგულირების საჭიროება. წარმოჩენილი დისკურსის განზოგადების შედეგად გამოსავლად გერმანული მიდგომის გაზიარება და პიროვნული სიკეთეების დიფერენცირება შეიძლება მივიჩნიოთ მათი იდეალური და ქონებრივი ნაწილების მიხედვით მონისტური თეორიის ჭრილში. ამგვარი ერთიანი მონესრიგების პირობებში იდეალურის გვერდით პიროვნული უფლების ქონებრივი ნაწილის აღიარებით, მიღწევადია ეკონომიკური ღირებულებების მქონე სიკეთის გარიგების ობიექტად ქცევა იდეალური ნაწილის ხელშეუხებლად, რითაც დაცული იქნება სამართლებრივი ბალანსი მათ შორის ძირითადი კანონით დაცულ გაუსხვისებად ღირსებისა და საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლებას შორის.

11. ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სამართლებრივ ცნებაზე მსჯელობისას დაისვა საკითხი კონკრეტულად ვისგან ან რისგან იცავს ეს უფლება ადამიანს: როგორც საჯაროობისგან სრულად დაცლილ ღირებულებას თუ პირს სოციუმის ფარგლებშიც? რა მიმართება არსებობს თვითგამორკვევის, პიროვნულობის, ინდივიდუალობისა და კერძოობის ცნებებს შორის და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება საქმის ინდივიდუალური კონტექსტის მიკუთვნება კონკრეტულ სფეროსადმი? კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნების დაცული სივრცე მოიცავს როგორც დინამიურ, ისე სტატიკურ კომპონენტებს. სტატიკური სფერო ასახავს პიროვნულობის შინაგან სამყაროს, სადაც ადამიანი საჯარო დაკვირვებისგან თავისუფალ და თვითკონტროლის საჭიროების გარეშე წარმართავს თავის ცხოვრებას, როგორც მისთვის აუცილებელი მართოდ ყოფის ერთგვარ

ფაზას. ხოლო პიროვნულობის დინამიური კომპონენტი მოიცავს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას და აერთიანებს ყველაფერს, რაც კი ადამიანის ქცევად, ქმედებად თუ საქმიანობად შეიძლება იწოდებოდეს.

12. ცალკეული პიროვნული უფლებების განხილვისას კვლევის შედეგად დოქტრინალურ დონეზე გამოიკვეთა სახელის უფლების დუალისტური ბუნება. აღნიშნული გამოიკვეთა სახელის უფლების დოგმატურ კვალიფიკაციას ცალსახად წმინდა პიროვნულ ან მხოლოდ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ. დუალისტური ბუნების აღიარებით ცხადი გახდა მასში მოაზრებული ქონებრივი კომპონენტის სანაცვალგებო სიკეთედ გამოყენების შესაძლებლობა, რაც ეხმიანება პრაქტიკულ საჭიროებებს.

13. პირადი არაქონებრივი უფლებების ეფექტურად დაცვის ჭრილში არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად სახელის უფლების შემოსაზღვრა მხოლოდ პირის სახელითა და გვართ სსკ-ის მე-17 მუხლის შესაბამისად. გაზიარებულ იქნა პოზიცია⁹⁷⁶, რომლის მიხედვითაც სახელის უფლების განმარტება უნდა მოხდეს ფართოდ და მასში მოაზრებულ უნდა იქნეს პიროვნების იდენტობასთან და მის ნებისმიერ მაიდენტიფიცირებელ მონაცემთან დაკავშირებული ნებისმიერი აღნიშვნა, მათ შორის მეტსახელი, ფსევდონიმი, აკადემიური ან სხვა ტიტული და ა.შ.

14. იურიდიული პირის სახელწოდების დარღვევისას, რომლის აღკვეთაც სსკ-ის მე-18 მუხლითაა შესაძლებელი, პრიორიტეტულობის პრინციპის გათვალისწინებით სახელწოდების უფლების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისთვის, მიზანშეწონილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლსაც დაემატოს შინაარსობრივად სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსი ნორმატიული შინაარსი ამკრძალავი ნორმის სახით ახალი სუბიექტის წარმოშობისას უკვე რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენებასთან მიმართებით.

15. დაზუსტდა გამოსახულებაზე უფლების სამართლებრივი შინაარსი და დადგინდა, რომ ეს უფლება ვრცელდება გამოსახვის ნებისმიერ საშუალებაზე, რაც ახდენს კონკრეტული პიროვნების ვიზუალის ფიზიკურ გამოსახვას და სხვა პირთა გადმოსახედიდან ხდება გამოსახული პირის იდენტიფიკაცია. ემპირიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრაქტიკაში წარმოჩენილი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად

⁹⁷⁶ *ჯორბენაძე ს.*, სახელის უფლების ფართო განმარტება, თბ., 2018, ხელმისაწვდომია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.library.court.ge/upload/saxelisufleba.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.2010, 16:07].

იქნა მიჩნეული სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დაცული გამოსახულების უფლების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად სხვა პირთა მიერ გამოსახული პირის აღქმადობა/შეცნობადობის დაწესება, რომლის მასშტაბის შეფასების კრიტერიუმად თუნდაც ერთი „მესამე პირის“ თვალსაწიერი უნდა იქნეს მიჩნეული.

16. კანონის ტექსტის მიხედვით, გამოსახულების უფლებასთან მიმართებით დაზუსტდა⁹⁷⁷, რომ საზღაურის აღება ა პრიორი არ ნიშნავს უფლებამოსი პირის მიერ გამოსახულების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე თანხმობას. ეს გარემოება წარმოშობს მხოლოდ ვარაუდს, რომ პირმა თანხმობა განაცხადა თავისი გამოსახულების კონკრეტული, ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ან მისგან უშუალოდ გამომდინარე სახით გამოყენებაზე.

17. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოსახულებაზე უფლების დაცვის ფარგლების გაფართოების მიზნით, უპრიანია მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნორმატიულ შემადგენლობას დაემატოს „გამოსახულების უნებართვო დამზადება/შექმნა/გადაკეთება,“ ხოლო უკვე შექმნილი გამოსახულების „გამოქვეყნებისა“ და შესაბამისად „საჯაროდ გატანის“ ცნება სასამართლოს მიერ ფართოდ იქნეს განმარტებული. მასში უნდა მოიაზრებოდეს გასაჯაროება არა მხოლოდ პირთა ფართო ჯგუფის, არამედ ნებისმიერი მესამე პირის წინაშეც, რაც მნიშვნელოვნად აამაღლეს ამ უფლების დაცვის სტანდარტს.

18. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, გამოსახულების უნებართვო დამზადების ან გავრცელების შემთხვევა შესაძლებელია წარმოშობდეს უფლებადარღვეული პირისთვის ინფორმაციის გამოთხოვის უფლებასაც. ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილში საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს დაცვის სპეციალური საშუალების ჩამატება ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რამეთუ აღნიშნული მოთხოვნის მიზანი თავის მხრივ, დაკავშირებულია მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის დაზუსტების საჭიროებასთან.

19. ევროპული სასამართლო პრაქტიკის დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად უკიდურესად რთული და პრაქტიკულ დონეზე არაფრის მომცემია „პირადი ცხოვრების“ ცნების საკანონმდებლო დეფინირება. უფრო ღირებულია მასში მოაზრებული შინაარსობრივი კომპონენტების უკეთ გააზრება. ნიშანდობლივია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და

⁹⁷⁷ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 145.

საკანონმდებლო სივრცეში შეინიშნება კერძო სფეროსა და პირადი ცხოვრების ცნებების გაიგივების მცდელობები, რაც მეტყველებს, რომ საკვლევი თემის სპეციფიკა და შინაარსობრივი მოცულობა ჯერ კიდევ არ არის გააზრებული. შედარებითისამართლებრივი ანალიზის შედეგად ღირებულ გამოსავლად პირადი ცხოვრების შინაარსობრივი გრადაცია იქნა გამოვლენილი და იმ აბსოლუტური სიკეთეების გამოკვეთა, რომლებიც უდავოდ უნდა იქნეს მოაზრებული პირადი ცხოვრების შირმაში. ესენია:

19.1 გარემოებები, რომლებიც ეხება ადამიანის სხეულს და ჯანმრთელობას. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება ცნება „პირადის“ ტერმინოლოგიურ ევოლუციას, რომელიც საკუთარი პიროვნების და შესაბამისად სხეულის ფლობის უფლებას გულისხმობს. სოციოლოგიური კვლევები, რომელიც კულტურათაშორისი განსხვავებით და ანთროპოლოგიური ცნებებით ოპერირებს, აჩვენებს, რომ სხეული და მისი ფუნქციები უმეტესად ტაბიურებულ თემატიკას განეკუთვნება.

19.2 შემდეგი ინტერკულტური კონსენსუსი მოიცავს საცხოვრებელ სახლს ან ბინას, საკუთარი პიროვნების დაცვისა და ჩარევისგან აღკვეთის ადგილს. მართალია, არც ერთ განხილულ მართლწესრიგში და არც ევროსასამართლოს პრაქტიკაში არ მოიძებნება ერთიანი განმარტება და მიდგომა, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით ინფორმაციის შეფასება უნდა მოხდეს ადგილობრივ-სივრცობრივი განმარტების კრიტერიუმების მიხედვით.

19.3 სხეულის და ჯანმრთელობის გვერდით სექსუალური ცხოვრებასთან დაკავშირებული ასპექტები უდავოდ პირად სფეროში თავსდება და უმეტეს მართლწესრიგში აბსოლუტურად დაცულ სფეროდაა აღიარებული.

19.4 შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო და სამეგობრო წრესთან დაკავშირებული ურთიერთობების საიდუმლოდ დაცვის მოთხოვნილება ყველა განხილულ ქვეყანაში რელევანტურია, თუმცა არა იმ მასშტაბით და ინტენსივობით, როგორც სხეულთან დაკავშირებული და ინტიმური სფეროები.

19.5 ევროპის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივ ტრილში ცალკეა გამოყოფილი უფლება საკუთარ (პიროვნულ) იდენტობაზე, რომელიც საზოგადოებაში პირის ავთენტურ წარმოსახვას უკავშირდება. აღნიშნული უფლების თაობაზე სამართლებრივი დისკურსი დაკავშირებულია პატივის, ღირსების და რეპუტაციის უფლებასთან, რამდენადაც დასახელებული უფლებების შელახვა კავშირში მოდის საზოგადოების მიერ პიროვნების თაობაზე წარმოდგენების შეცვლასთან. განსხვავება მდგომარეობს იმაში,

რომ ამ შემთხვევაში გაცხადებული ინფორმაცია უნდა იყოს სიცრუე და უნდა ახდენდეს პიროვნების არავალიდური პორტრეტის წარმოსახვას.

20. საერთაშორისო და ევროპული სასამართლო პრაქტიკის ემპირიული გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდა პირადი ცხოვრებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების მრავალშრიანი მასშტაბების შინაარსობრივი, სივრცითი და პირთა წრის მიხედვით საზღვრების შესწავლა იურიდიულ დოქტრინაში ჩამოყალიბებული სფეროთა თეორიის მიხედვით, რაც უდიდეს როლს ასრულებს პიროვნული უფლების ფართო და აბსტრაქტული ცნების კონკრეტიზაციისა და ამ სფეროში ჩარევის აღკვეთის იდენტიფიკაციის საქმეში. აღნიშნული გრადაციით გამოიკვეთა, თუ რა მიმართება არსებობს პირის ინტიმურ, საიდუმლო/კერძო და სოციალურ სფეროებს შორის, რასაც უმეტესად ყურადღების მიღმა ტოვებს ქართული სასამართლო პრაქტიკა. თეორია ეფუძნება პიროვნული უფლების განაწილებას მომიჯნავე სფეროებში მზარდი დაცვის ინტენსივობით. ამოსავალი პრინციპია თეზა, რომ ადამიანი არის სოციალური არსება, რომლის ცხოვრება ნაწილობრივ დაცულ და ნაწილობრივ საჯარო სივრცეში მიმდინარეობს. მთელი რიგი დოქტრინალური თუ პრაქტიკული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, დადგინა, რომ პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობის საქმეში სფეროთა თეორიის დამოუკიდებელი დოგმატური ღირებულება საეჭვოა, თუმცა ვერ იქნა მოძიებული ერთმნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც მის გამოყენებას მთლიანად გამორიცხავდა. შეიძლება ითქვას, რომ პიროვნულობით დაცული, საზოგადოებისგან გამიჯნული, საჯაროობისგან განყენებული სივრცე, სადაც ადამიანის, საკუთარი სურვილის შესაბამისად აყალიბებს საკუთარ ცხოვრებას და წყვეტს, რა მოცულობით და როდის ეჩვენოს საზოგადოებას, კონკრეტული ერთიანი აბსტრაქტულ-გენერალური მონესრიგებით შეუძლებელია. ამდენად, სფეროთა თეორიის გამოყენება, პრაქტიკულად უადვილებს მოსამართლეს ჩარევის მართლზომიერების შეფასებას კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა მისი განხილვა იურიდიულ აქსიომად არამიზანშეწონილია.

21. პიროვნული უფლებების შელახვაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, დადგინდეს ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების სამართლებრივ საფუძვლებსა და ზოგადი პიროვნული უფლებების დაცვისთვის დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებს შორის განმასხვავებელი ნიშნები. აღნიშნული გამიჯვნა გაუადვილებს მოსამართლეს სახელის, ცილისწამების შედეგად დაზიანებული სიკეთისა და საქმიანი რეპუტაციის გამიჯვნას. ვინაიდან საქართველოში ქონებრივი ზიანის გავრცელების შედეგად საქმიანი

რეპუტაციის შელახვისას წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ცალკე დელიქტითაა განსაზღვრული (993-ე მუხლი), ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება სსკ-ის მე-18 და 993-ე მუხლებს შორის განსხვავების პოვნა, რომელიც, როგორც წესი, გავრცელებული ინფორმაციის ხასიათში უნდა ვლინდებოდეს. მე-18 მუხლით დაცული სახელის ან რეპუტაციის შელახვამ იმავე წარმატებით შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ნდობისუნარიანობისადმი ზიანის მიყენება, როგორც 993-ე მუხლის დისპოზიციის შემთხვევაში, ბრალის ერთნაირი ხარისხით. ჩატარებული შედარებითსამართლებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა აღნიშნულ მუხლებს შორის დუბლირების თავიდან აცილებისა საჭიროება, რაც მე-18 მუხლიდან საქმიანი რეპუტაციის ან სახელის უფლების შელახვის შედეგად ეკონომიკური ზიანის გამორიცხვით შეიძლება გამოსწორდეს. ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება სხვადასხვა წესით და საფუძვლით რეგულირების გამორიცხვა და მათი ერთ ნორმაში გაერთიანება განსხვავებული სამართლებრივი შედეგებით.

22. საკანონმდებლო ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით განსაკუთრებული აქცენტის პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელების შემთხვევაზე და დაცვის კონკრეტულ მექანიზმად ამავე მუხლში ინფორმაციის უარყოფის დანერგვა, სადაც კანონმდებელი „შემლახველი ცნობების“ კონტექსტში პირადი ცხოვრების საიდუმლოებას პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან აიგივებს. რეალურად კი, თუ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვისას საქმე ეხება სწორედ სინამდვილის შესაბამის ფაქტების გასაჯაროების აკრძალვას. შესაბამისად, მიზანშეწონილია ჭეშმარიტი ფაქტების გასაჯაროების დაცვის ბერკეტად გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ მე-18 მუხლის მე-3 ნაწილით დავინროებული ინფორმაციის უარყოფა, არამედ მოქმედების შეწყვეტა, თავის შეკავება და ზიანის ანაზღაურებაც. ამავდროულად, საჭიროა სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის ჩამონათვალში „პირადი ხელშეუხებლობის“ უფლების ჩამატებაც, რადგან ეს უკანასკნელი დაცული სფეროების მიხედვით ისევე იმსახურებს დაცვას არსებითად ჭეშმარიტი ან მცდარი ცნობების გავრცელებისგან, როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოება, აღნიშნული ორი უფლების თვისობრივი და შინაარსობრივი მსგავსების გამო.

23. პიროვნული უფლების შელახვისას ყოველთვის დგება გამოხატვის თავისუფლებასთან ღირებულებითი კონფლიქტის გადაჭრისა

და პიროვნული უფლებების დაცვის ფარგლების საკითხი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ევროპული სასამართლო არც ერთი ღირებულების პრიმატს არ აღიარებს და ორივე უფლებას თანაბრად განიხილავს. ამდენად, არ უნდა იქნეს გაზიარებული პოზიცია, რომლითაც დასაშვები კრიტიკის ფარგლები ამომწურავად უნდა იქნეს განერილი. ამდენად, ბალანსი საჯარო ინტერესების სასარგებლოდ მხოლოდ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად შეურაცხყოფისა და უხამსობის ზუსტი დეფინიციის არქონაა, რაც ცალსახად მიზანმიმართული და შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოხატვის თავისუფლებით გამართლების რისკს უშვებს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ღირსების დაცვის სტანდარტზე.

24. ღირებულებათა კონფლიქტის გონივრული და სამართლიანი გადაჭრის გზების ძიება შესამჩნევია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვითაც, რომელმაც ნათლად დააფიქსირა თავისი პოზიცია მთელ რიგ საქმეებში და პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, როდესაც განიხილავდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობას.

25. მნიშვნელოვანია, რომ აზრის გამოხატვისას პირი სრულად და უპირობოდ თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. განსხვავებული ვითარებაა ფაქტების გავრცელების ნაწილში. სპეციალური კანონი ცალკე გამოჰყოფს ცილისწამებას, რომელიც სწორედ მცდარი ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ იურიდიულ დოქტრინაშიც უნდა მოხდეს ფაქტების გავრცელების დიფერენცირება არსებითად ჭეშმარიტ და არსებითაც მცარ ფაქტებს შორის. მართალია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი მხოლოდ არსებითად მცდარი ფაქტების სანქცირებითაა დაკავებული, თუმცა სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული პიროვნული უფლებები და განსაკუთრებით მგრძობიარე პირადი სივრცე განხილული ინტერესებისა და სფეროების დაცულობის იმავე ინტენსივობით უნდა იქნას გამოყენებული ამ სფეროებიდან არსებითად სწორი ფაქტების გავრცელებისგან დაცვის აღსაკვეთად. მიზანშეწონლია სასამართლოებმა გამოიყენონ კანონის ენა და აღნიშნული დარღვევა დააკვალიფიცირონ არა „დიფამაციის“, არამედ „ცილისწამების“ ტერმინით.

26. საინტერესო საკითხია ცილისწამების სარჩელების განხილვის მტკიცების სტანდარტი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მტკიცების ტვირთის მთლიანად მოსარჩელებზე დაკისრების კუთხით, ქართული მონესრიგება მცირედით განსხვავება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან, სადაც მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სინორის მტკიცება ყოველთვის მოპასუხეს ეკისრებოდეს (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას). ცილისწამების შესახებ საქმეებზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გამოქვეყნებული ფაქტები არის ტყუილი, სანამ არ მოხდება მოპასუხის მიერ საპირისპიროს დამტკიცება. მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილების მიზეზი არის ის, რომ მოპასუხემ, რომელმაც გაავრცელა სადავო ფაქტი, უნდა ჰქონდეს მისი სისწორის გადამოწმების ვალდებულებულება. კომუნიკაციის თავისუფლებასა და პიროვნულ უფლებებს შორის სწორი ბალანსის შენარჩუნებისთვის არ უნდა მოხდეს აზრის გამოხატვის თავისუფლების ზედმეტად შეზღუდვა, რადგან ინფორმაციის გავრცელებისას სამართლებრივი შედეგებისადმი გადაჭარბებული შიში ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს აზრის გავრცელების თავისუფლების შეზღუდვას. მეორეს მხრივ, რათა არ მოხდეს სხვა პირთან დაკავშირებული და მისი პიროვნული უფლებების დამაზიანებელი განცხადებების ზღვარდაუდებელი გავრცელება, არსებობს ინფორმაციის სანდოობის გადამოწმებისა და სხვათა უფლებების დაზიანების პრევენციული ზომების მიღების ვალდებულება. სასურველია, რომ ქართულმა სასამართლოებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მხარეთა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს განსახილველი საქმეების განხილვისას და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დაგდენილი კვალიფიციური პრივილეგია ზედმინვენითი სიზუსტით მიანიჭონ მოპასუხეს.

27. აღსანიშნავია ისიც, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ცილისწამებისას კუმულატიურ წინაპირობად განსაზღვრავს მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტს. კანონმდებელი არ აკონკრეტებს ზიანის სახეს, თუმცა სასამართლო პრაქტიკა რატომღაც მხოლოდ ქონებრივი ზიანის არსებობაზე ახდენს ხაზგასმას, რაც არ შეესაბამება კანონმდებლის ჩანათვიქრს. ამდენად, მე-13 და მე-14 მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ზიანის ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, თავისუფლად უნდა მოიაზრდებოდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი.

28. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის სიტყვა-სიტყვითი მოწესრიგება ზიანის ანაზღაურების გამოთვლისას მხოლოდ ხელმყოფის მიერ მიღებულ მოგებას ახსენებს, მაშინ, როდესაც გერმანული ანალოგი კომპენსაციის გამოთვლის სამ ვარიანტს იცნობს: კონკრეტულად დამდგარი მატერიალური ზარალი, პიროვნული უფლების სარგებლობის კვაზი-სალიცენზიო (ფიქტიური ლიცენზიის) საფასური და ხელმყოფის მიერ მიღებული მოგება. ნიშნადობლივია, რომ ქართულმა მართლსაჯულებამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოს ქონებრივი ზიანის ოდენობის გამოთვლის ალტერნატიულ მეთოდებს და არ დაუშვას მათი კუმულატიურად გამოყენება, რათა აღკვეთოს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეები.

29. პიროვნული უფლების დაცვის მექანიზმებზე მსჯელობისას უმჯობესი იქნება, თუ განსაკუთრებით გამოვყოფთ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლებს. დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ძირითად პრობლემად გამოიკვეთა არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო დონეზე დაუბალანსებელი ნორმატიული საფუძვლების არასწორი ინტერპრეტაცია. ცალსახაა, რომ მორალური ზიანის საქმეების განხილვისას სასამართლო პრაქტიკისთვის განსაკუთრებულ გამონვევად კვლავ რჩება კომპენსაციის ოდენობის დადგენა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ კანონი დეტალურად უნდა ახდენდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციებისა და კრიტერიუმების ფორმულირებას, რომელიც ყველა განსხვავებულ შემთხვევას მოერგებოდა ფაქტობრივი გარემოებების და სუბიექტური აღქმების მიუხედავად. კანონით დაცული ინტერესების დაცვისა და მორალური ზიანის ინსტიტუტის დინამიური განვითარებისთვის აუცილებელია მოსამართლეებმა მაქსიმალურად მოახდინონ თითოეულ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა ზიანის მიყენების საფრთხის განმეორების საშიშროება, ზიანის მიმყენებლის წარსული ქმედებების ანალიზი, მიზნისა და ბრალის ერთმანეთისგან გამიჯვნა, დაცული უფლებების სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნებით გამოყენების სურვილი და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრით უზრუნველყონ დასახელებული მიზნების რეალური განხორციელება. ამ სახის დეტალებზე კონცენტრირების შემდეგ, სასურველია, ერთგვაროვან პერსპექტივაში გამოიკვეთოს არაქონებრივი ზიანის არსში ჩადებული ყველა ფუნქცია და ამგვარი დეტალიზაცია დაედოს საფუძვლად კომპენსაციის განსხვავებული ოდენობის დადგენას ისეთ შემთხვევებზე, სადაც ინდივიდის პირადი სფეროს გამოყენება კომერციული მოგების მიღების განზრახვით ხდება ან განსაკუთრებით ინტენსიურია დაცულ სფეროში ჩარევის ხარისხი.

30. მნიშვნელოვანია, რომ სატისფაქციურ ეფექტს სამართალშემთარდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ განზრახ ჩადენილი დელიქტების ან პიროვნული სფეროს მაღალი ინტენსივობით დაზიანების შემთხვევებზე მიანიჭოს. ყველა სხვა შემთხვევაში კი, სამართლის თვითმიზანი არ უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის დასჯა დაზარალებულის ყველა სუბიექტური ახირების მხედველობაში მიღების გზით. იურიდიული თვალსაზრისით უპრიანი იქნება უმართლობის კორექციის მაქსიმალურად ობიექტური საზომით შეფასება.

31. არაქონებრივი ზიანის პრევენციული ეფექტის ანტიპოდად უნდა მივიჩნიოთ სიმბოლური ანაზღაურების პრაქტიკის დადგენა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. უკიდურესად საეჭვოა ამ სახის პრაქტიკის ეფექტურობა და განხილული მიზნების სრულად განხორციელების პერსპექტივები.

32. პრევენციულ ფუნქციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება დაცული უფლების საპირწონე გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სამართალდარღვევის სუბიექტური განზრახვის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ზიანის მიყენებას სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად, როგორცაა საკუთარი პროდუქციის რეკლამირება, მატერიალური მოგების მიღება, რეიტინგის ზრდა თუ ვინრო საზოგადოებაში პარტნიორთა წრეში საქმიანი პარტნიორის დისკრედიტაცია. ემპირიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოები ცდილობენ საკუთარი გადანყვეტილებით პრესის თავისუფლება არ შეზღუდონ და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის განხილვას საკმაოდ მარტივი სქემითა და მოთხოვნილი ოდენობის ავტომატური შემცირებით ახორციელებენ, რაც პირადი სფეროს დაცვისას ვერ უზრუნველყოფს განვითარებული მართლწესრიგების მიერ დადგენილი საიმედოობის შესაბამის სტანდარტს.

ბიბლიოგრაფია
ნორმატიული მასალა:
საქართველოს კანონმდებლობა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, 040.000.000.05.001.000.223.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 24/06/2004, სსმ, 19, 15/07/2004, 010.100.000.05.001.001.515.

“რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 11-12, 18/02/1998, 240.120.000.05.001.000.320.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 050.000.000.05.001.000.593, სსმ, 28(35), 08/07/1999.

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 16/01/2012, 5669-რს.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 19, 25/05/2000.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 18, 28/06/2001.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, სსმ, 31, 03/11/2009, 09/10/2009.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 14(21), 13/05/1999, 30/04/1999.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, სსმ, 41(48), 13/08/1999.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994, 240.000.000.05.001.000.087, 28/10/1994.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 5(12), 24/02/1999, 050.050.000.05.001.000.487, 05/02/1999.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დადგენის შესახებ, სსმ, 32, 18/03/2009, 300.010.000.17.010.012.895.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკუმენტის №5562, საკანონმდებლო მაცნე, 111228058, 28/12/2011.

საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, შემუშავებული „საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის“ მიერ 2000 წელს, <https://www.iagj.org.ge/index.php/ka-ge/2015-10-06-11-57-24>, [17.01.2019].

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება, სსმ, 32, 18.03.2009, 300.010.000.17.010.012.895.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, თედო ნინიძის საიუბილეო კრებული, თბ., 2016.

ახვლედიანი ხ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბ., 1999.

ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, №4, თბ., 2015.

ბარაბაძე ნ., სახელის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძღვლულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი, №4(31), თბ., 2011.

ბაღდავაძე გ., სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას შორის? სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ნაშრომები, უერნ. „მედია, სამართალი და ეთიკა“, თბ., 2015.

ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უერნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017.

ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2018.

ბიჭია მ., პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), უერნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1 (2), თბ., 2014.

ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უერნ. „სამართალი“, №1, 2017.

ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, უერნ. „სამართალი“, №1, თბ., 2017.

ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012.

ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, უერნ. „სამართალი“, თბილისი, №2, თბ., 2014.

ბიჭია მ., ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, უერნ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბ., 2014.

გაღდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის უერნალი, თსუ, №1, თბ., 2009.

გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბ., 3013.

ერეკვანია თ., ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, უურნ. „მართლმსჯელება და კანონი“, №4(31), თბ., 2011.

ეჭმანი კ., ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება, უურნ. „სამართალი“, №2, 2013.

ვარძელაშვილი ს., სასჯელის მიზნები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016.

ზოიძე ბ., კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005.

ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 24, თბ., 2013.

ზოიძე თ., უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი სიკეთის ხელყოფისას. მტკიცების ტვირთი ზიანის ანაზღაურებისას, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თბ., 2018.

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2009.

კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.128, თბ., 2017.

კობახიძე ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 20, თბ., 2013.

კორკელია კ., პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №7, თბ., 2004.

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2008.

ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 2009.

მესხიშვილი ქ., თარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოებისას, უურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, IV გამოცემა, თბ., 2005.

მონიავა თ., პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში, (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), „მერიდიანი“, თბ., 2006.

მონიავა თ., ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების ცნება, უურნალი „სამართალი“, №6-7, თბ., 2003.

ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, უურნ. „ალმანახი“, ქართული სამართლის ისტორიის ძეგლები, №14, თბ., 2000.

ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, „ბონა კაუზა“, 2003, თბ., 2003.

ნინიძე თ., მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, უურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, თბ., 1978.

ნინიძე თ., პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები, უურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1977.

ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999.

ნინიძე თ., სახელის უფლების შინაარსი, უურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, თბ., 1976.

ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005.

ოსაკვე კ., ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, (თარგმანი *შოთაძე თ.*) გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, 89

რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., 2019.

საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014.

საჯაია ლ., ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, ჟურნ. „სამართალი“, №1, თბ., 2013.

საჯაია ლ., პრესა და მორალური ზიანი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №8, თბ., 2005.

სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, ჟურნალი „სამართალი“, №1, თბ., 2012.

ტაბაღუა ბ., სამოქალაქო უფლებების ცნება და სტრუქტურა, სასენიმარო ნაშრომი, თსუ, თბ., 2013.

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013.

ქათამაძე ნ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, ჟურნ., „სამართალი“, №1, თბ., 2018.

ქათამაძე ნ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, №9, თბ., 2018.

ქერდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015.

შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011.

ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998.

ჩიტაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ, თბ., 2018.

ძლიერიშვილი ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, უურნ. „ადვოკატი“, №2, თბ., 2013.

ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი უურნალი, №2, თბ., 2012.

ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე ვ., რობაქიძე ი., სვანაძე ვ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, უურნ. „სამართალი“, №11-12, 1997.

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001.

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1997.

ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995.

ხუბაშვილი თ., საფრთხე სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, უურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, № 4, თბ., 2014.

ხუბუა ვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2005.

ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბ., 1929.

ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ.17, თბ., 2017.

ჯორბენაძე ს., სახელის უფლების ფართო განმარტება, თბ., 2018, ხელმისაწვდომია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში:<http://www.library.court.ge/upload/saxelisufleba.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.01.2010, 16:07].

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები/განჩინებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1545-11.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/696-13.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/1129-12.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3ბ/1907-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/1713-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5775-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ-7243-15.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/376-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2კ-14.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის განჩინება საქმეზე №3კ/924-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/754-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/924-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2კ-141.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-337-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №3კ-41-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №სკ-423-03.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-1240-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2003 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №3კ-1483-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-593-1241-03.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-322-605-04.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1433-1531-04.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 აპრილის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1401-1526-04.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 დეკემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-448-775-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადანყვეტილება
საქმეზე №ას-1284-1520-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 ივლისის
გადანყვეტილება საქმეზე №ბს-1418-993(კ-05);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის
დგადანყვეტილება საქმეზე №ას-440-754-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის
გადანყვეტილება საქმეზე №ზბს-972-936(კ-08).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1174-1319-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009
წლის 09 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე №ას-823-1109-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010
წლის 22 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე №ას-868-817-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1559-1462-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-280-264-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივლისის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-207-194-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №2ბ/1545-11.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1156-1176-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-507-481-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1739-1720-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-78 (კ-12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1477-1489-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-208-201-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-335-319-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1149-1169-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-179-172-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1559-1462-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-370-352-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-494-488(2კ-12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-979-940-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-113-108-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1084-1034-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1337-1375-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1052-1007-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1304-1242-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-594-562-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2915.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/104-15.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-547-519-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-113-108-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-668-635-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-103-98-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-290-276-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1054-994-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-238-226-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-301-286-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-842-786-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1-397-გან-1-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-278-263-207.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1011-972-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 დეკემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1089-1009-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-291-275-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის
გადანყვეტილება საქმეზე №341-319-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-851-795-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-469-437-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-438-410-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-790-739-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-939-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1568-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-155-145-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის
გადანყვეტილება საქმეზე №ას-1059-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1322-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-591-591-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-218-2019 (ბ).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-669-2019.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილებები/განჩინებები:**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წის 29 აპრილის №2/76/1 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე- საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/407.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/406/408.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3//421/422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2.3.4.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2.3.4.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2, 3.2.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/519.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

GG Grundgesetz Deutschland- <https://www.bundestag.de/grundgesetz>.

Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და გამოსახულებასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების შესახებ <https://www.gesetze-im-internet.de/kunsturhg/BJNR000070907.html>.

BGB- https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/.

STGB <https://www.gesetze-im-internet.de/stgb/>.

Defamation act, 1952,
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2013/26/contents/enacted>.

Human Rights Act, 1998, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/42/contents>.

La Costituzione della repubblica Italiana, <http://www.russia-italia.com/documenti/costituzioneitalianarusso.pdf>.

ABGB- Allgemeiner Bürgerliches Gesetzbuch Österreich,
<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10001622>.

French Civil Code, https://www.trans-lex.org/601101/_/french-civil-code-2016/.
Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie- <https://dejure.org/gesetze/KunstUrhG/23.html>.

Bundesdatenschutzgesetz- <https://dejure.org/gesetze/BDSG>.

1 BvR 1611/96, 1 BvR 805/98, Art. 13 Abs. 3 bis 6 GG in der Fassung von; Art. 1 Nr. 1 des Gesetzes zur Änderung des GG (Art. 13) v. 26.3.1998; Art. 2 Nr. 2 Buchstabe a und Nr. 5 des Gesetzes zur Verbesserung der Bekämpfung der Organisierten Kriminalität v. 4.5.1998.

“Gesetz über Bundeskriminalamt”
<https://www.bka.de/SharedDocs/Downloads/DE/DasBKA/Auftrag/bkag/bkaGesetz.html?nn=27162#Start>.

Urheberrechtsgesetz Österreich, <https://www.jusline.at/gesetz/urhg/paragraf/78>.

KUG (Gesetz betreffend das Urheberrecht an Werken der bildenden Künste und der Photographie-Kunsturhebergesetz.

86 Copyright Designs and Patents Act. 1988, UK.,
<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1988/48/contents>.

Mediengesetz, In Kraft seit 01.07.2005 bis 31.12.9999,
<https://www.jusline.at/gesetz/medieng/paragraf/7>, [10.01.2019, 15:01].

ZGB- Schweizerisches Zivilgesetzbuch, von 10.12.1907, Art. 48, 49-

<https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19070042/201901010000/210.pdf> [10.01.2019, 17:06].

ABGB Allgemeines bürgerliches Gesetzbuch für die gesammten deutschen Erbländer der Oesterreichischen Monarchie StF: JGS Nr. 946/1811,

<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10001622>.

BGBI 1990. I, 847. Gesetz zur Änderung des BGB und anderer Gesetze vom 14.3.1990.

**საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, უნიფიცირებული და
სარეკომენდაციო სამართლებრივი აქტები:**

European Convencion on Human Rights, 1950, 8 Nr. 1.

Resolution 1165 (1998) Final version, <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16641&lang%20=en> [31.05.2019, 12:19].

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუცია Right to Privacy (1998)

<http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta98/ERES1165.htm>.

Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, updated on 31 August 2018, Council of Europe/ European Court of Human Rights, 2018, 18. https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf.

International Covenant on Civil and Political Rights Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966 entry into force 23 March 1976, in accordance with Article 49, <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>.

ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია (CFR), რომელიც ასევე იცავს პიროვნულ უფლებებს, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT>, [08.01.2018, 20:45].

Principles of European Tort Law (PETL).

Draft Common Frame of Reference (DCFR).

Declaration on mass communication media and Human Rights, Parliamentary Assembly, Council of Europe, Doc, 2687, Resolution 428, 23.01.1970, 18 th Sitting,

<http://semantic-pace.net/tools/pdf.aspx?doc=aHR0cDovL2Fzc2VtYmx5LmNvZS5pbnQvbncveG1sL1hSZWYvWDJILURXLWV4dHIuYXNwP2ZpbGVpZD0xNTg0MiZsYW5nPUVO&xsl=aHR0cDovL3NlbWFudGljcGFjZS5uZXQvWHNsdC9QZGYvWFJlZi1XRC1BVClYTUwyUERGLnhzbA==&xsltparams=ZmlsZWlkPTE1ODQy> [უკანასკნელად იქნა გადამონშებული: 05.01.2019, 20:45].

Resolution 1165, Right to Privacy, Parliamentary Assembly, Council of Europe, Doc. 8130, 26.06.1998, 24 th Sitting, <http://semantic-pace.net/tools/pdf.aspx?doc=aHR0cDovL2Fzc2VtYmx5LmNvZS5pbnQvbncveG1sL1hSZWYvWDJILURXLWV4dHIuYXNwP2ZpbGVpZD0xNjY0MSZsYW5nPUVO&xsl=aHR0cDovL3NlbWFudGljcGFjZS5uZXQvWHNsdC9QZGYvWFJlZi1XRC1BVC1YTUwyUERGLnhzbA==&xsltparams=ZmlsZWlkPTE2NjQx>.

1948 წლის 10 დეკემბრის “ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის” ევროპული კონვენცია, საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940 დადგენილებით.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

Ahlberg H.A., Götting H.-P., KunstUrhG §22, 21. Aufl., München, 2018.

Alexander Ch., Der Einfluss des Verfassungsrechts auf die zivilrechtliche Rechtsfindung und- fortbindung am Beispiel dess Allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 2015.

Alexander Ch., Schadenersatz und Abschöpfung im Lauterkeits-und Kartellrechts, Jena, 2010.

Allen A.L., Rethinking the rule against corporate privacy rights: some conceptional quandaries for the common law, 20 John Marshall L. Rev., 1987.

Altenhain H., Negatorischer Ehrschutz, Berlin, 2003.

Amelung U., Der Schutz der Privatheit im Zivilrecht, Tübingen, 2002.

Balthasar St., Der Schutz der Privatsphäre im Zivilrecht, Tübingen, 2006.

Bamberger H., Roth H., Hau W., Poseck R., Beck’scher Online-Kommentar, §12, 46 Auf., München, 2018.

Barend E., Balancing Freedom of Expression and Privacy: The Jurisprudence of the Strasbourg Court, *Journal of Media Law*, Vol. 1, 2015, Published Online, Issue 1, <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17577632.2009.11427333>.

Beater A., in: Soergel W., Kommentar zum BGB, §824, §823, 13. Aufl., Stuttgart, 2005.

Berger C., Persönlichkeitsschutz vor der Veröffentlichung privater Tatsachen, 1. Aufl., Baden-Baden, 2006.

Beuthien V., Schmölz, A., Persönlichkeitsschutz durch Persönlichkeitsgüterrechte, Band 5, München, 1999.

Beuthien V., Persönlichkeitsgüterschutz vor und nach dem Tode, 4. Band, 1. Aufl., Baden- Baden, 2002.

Black's Law dctionary, 6. Aufl., St.Paul, Minn, 1990.

Börger U., Deliktischer Rechtsschutz gegenüber Presseveröffentlichungen, Band 150, Baden-Baden, 1998.

Branahl U., Medienrecht, 7. Aufl., Dortmund, 2013.

Brockhaus-Enzyklopädie, 19. Aufl.,Leipzig, Mannheim, 2006.

Brüggenieier G., Colombi Ciacchi A., O'Callaghan P., Personality Rights in European Tort Law, New York, Cambridge University Press, (1 ed), 2010.

Canaris C. W., Bürgerliches Recht, München, 2000.

Coing H., Habermann J., in: J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Aufl. 12, §12 BGB, Berlin, 2013.

Dam C.V., European Tort Law, Oxford University Press, second edition, Oxford, 2013.

Damm R., Kuner W., Widerruf, Unterlassung und Schadenersatz in Presse und Rundfunk, München, 1991.

Deutsches Rechts-Lexikon, 2 Bd., 2 Auflage, Beck: München, 1992.

Deutsches Wörterbuch 5. Bd. Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1984.

Dobbs D.B., Keeton R.E., Owen D.G., Prosser and Keeron on Torts, Fifth edition, St. Paul, Minn.: West Publ. Co., 1984.

Dreier Th., Kompensation und Prävention, Tübingen, 2002.

Dreier Th., Schulze G., Urheberrechtsgesetz, KUG §22, 6. Aufl., München, 2018.

Duden Oxford Grosswörterbuch, Oxford University Press, Redaktionelle Leitung: Werner Scholze, Stubenrecht John Sykes, Mannheim, Wien, Zürich, 1990.

Edwin L. G., The Rights of Citizen IV. To his Own Reputation, 8 Scribner's Magazine 58, 65 (1890).

Ehmann H., Das allgemeine Persönlichkeitsrecht, 12, https://www.uni-trier.de/fileadmin/fb5/prof/eme001/fg_50bgh.pdf.

Ellenberger J., in: Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, §12, 78. Aufl., München, 2019.

English A., A Dictionary of words and phrases used in ancient and modern law, Littleton, Colorado, 1987.

Epping V., Hillgruber C., BeckOK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, 2018.

Erichsen H., Kollhosser H., Welp J., Recht der Persönlichkeit, Berlin, 1996.

Klass N., in: Ermann M., Kommentar zum BGB, §12, 15. Aufl., Band I., 2017, Köln.

Ermann M., Schiemann G., Kommentar zum BGB, §823, 15. Auf., Köln, 2017.

Fechner N., Wahrung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente, Frankfurt am Main, 2010.

Föster Ch., in: Bamberger H.G., Roth H., Hau W., Poseck R., Kommentar zum BGB, 4. Aufl., München, 2019.

Garner B.A. (Ed), Black's Law Dictionary, Tenth edition, USA, "Thomson Reuters", 2014.

Gersdorf H., Paal B.P., BeckOK Informations und Medienrecht, München, 2018.

Gierke O., Deutsches Privatrecht, Band I, Leipzig, 1895.

Götting H., Persönlichkeit als Vermögenswert, Tübingen, 1995.

Götting H., Schertz C., Seitz W., Handbuch des Persönlichkeitsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2008.

Götting H., Vom Right of Privacy zum Right of Publicity, Die Anerkennung einer Immaterialgüterrechts an der eigenen Persönlichkeit im amerikanischen Recht, GRUR Int. 1996.

Gottwald S., Das allgemeine Persönlichkeitsrecht (Ein Zeitgeschichtliches Erklärungsmodell), Band II, Berlin, 1996.

Grabenwarter Ch., Pabel K., Europäische Menschenrechtskonvention, Ein Studienbuch, 6. Auflage, München, 2016.

Habermann N., 47 Stan, L. Rev. 849, 851 (1995).

Hager J., in: Staudinger J., Kommentar zum BGB mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht des Schuldverhältnisse, Berlin, 2009.

Halfmeier A., Die Veröffentlichung privater Tatsachen als unerlaubte Handlung, Frankfurt am Main, 2000.

Harry H., Common Law Rules and Constitutional Double Standards: Some Notes on Adjudicationm 83 Yale Law Journal 221, 1973.

Hartl M., Persönlichkeitsrechte als verkehrsfähige Vermögensgüter, Dissertation, Konstanz, 2004, 115 <https://d-nb.info/975522981/34>.

Heinrich I., in: Soergel Th., Bürgerliches Gesetzbuch, Allgemeiner Teil , §12, 13. Aufl., Stuttgart, 2000.

Heitmann L., Der Schutz der materiellen Interessen an der eigenen Persönlichkeitssphäre durch subjektiv-private Rechte, Diss., Hamburg, 1963.

Heitmann L., Der Schutz der materiellen Interessen an der eigenen Persönlichkeitssphäre durch subjektiv-private Rechte, Hamburg, 1963.

Helle J., Der Schutz der Persönlichkeit der Ehre und des wirtschaftlichen Rufes im Privatrecht, 2. Aufl., Tübingen, 1969.

Helle J., Besondere Persönlichkeitstrechte im Privatrecht, Tübingen, 1991.

Helmut K., Basic questions of tort from a Germanic perspective, Jan Sramek Verlag, Vienna, 2012.

Herrler S., in: Palandt O., Kommentar zum BGB, §1004, 78. Aufl., München, 2019.

Hiller V., Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht, Nomos, 1. Auflage, Freiburg, 2014.

Hinterregger M., The Protection of Personality Rights in Private law: Remedies in: The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives), Leiden, Boston, 2017.

Hoffman in: Kluth W., Heusch A., BeckOk Online-Kommentar zum EMRK, Art. 8, Recht auf Achtung des Privat und Familienlebens, 20. Edition, München, 2018.

Horton Rogers, W.V., “Non-Pecuniary Loss Under English Law”: Damages for Non-Pecuniary loss in a Comparative Perspective, Vienna, Springer, 2001.

Huber Ch., in: Dauer-Lieb B., Langen W., BGB- Schuldrecht, 3. Auflage, Baden-Baden, 2016.

Hubmann H., Das Persönlichkeitsrecht, Köln, 1967.

Hufeland G., Neue Darstellung der Rechtslehre vom Besitz vorzüglich durch genauere Feststellung ihres Hauptgesichtspunkts, Giessen, 1815.

Jager L., Luckey J., Schmerzengeld, 8 Auflage, Jurion, München, 2016.

Jung A., Die Vererblichkeit des allgemeinen Persönlichkeitsrechts, Band 22, Bonn, 2005.

Karkhalev D., Protection of Rights under Russian Civil Law in a Comparative Context, BRICS Law Journal 3(1), Bashkir, 2016.

Kindhäuser U., Neumann U., Paeffgen H.-U., Nomoskommentar zum Strafgesetzbuch, 5. Aufl, Baden-Baden, 2017.

Kläver M., Bereicherungsrechtliche Ansprüche bei einer Verletzung des allgemeinen Persönlichkeitsrecht, Hamburg, 1999.

Kläver M., Vermögenrechtliche Aspekte des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, ZUM 2002.

Klein St., Der zivilrechtliche Schutz des einzelnen vor Persönlichkeitsrechtsverletzungen durch die Sensationspresse, Europäische Hochschulschriften, Frankfurt am Main, 2000.

Klüber R., Persönlichkeitsschutz und Kommerzialisierung, Tübingen, 2007.

Koreng A., Das “Unternehmenspersönlichkeitsrechts” als Element des gewerblichen Reputationsschutzes, Artikel, GRUR 2010.

Kötz H., Zweigert K., Einführung in die Rechtsvergleichung, §691, 3. Aufl. 1996, Tübingen, 1996.

Kriele M., Ehrenschatz und Meinungsfreiheit, NJW 1994, Köln, 1897.

Locke J., Second treatise of Government, 28, <https://www.earlymoderntexts.com/assets/pdfs/locke1689a.pdf>.

Marion B.-V., Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts, Tübingen, 1997.

Märten J.J., Die Vielfalt des Persönlichkeitsschutzes, 1 Auflage, Berlin, 2015

Maunz T., Dürig G., Grundgesetzkommentar, 83. Aufl., 2018, München, 2018.

MCGonagle T., Freedom of Expression and Defamation, A Study of case Law of European Court of Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2016, 14, ხელმისაწვდომია საიტზე: <https://book.coe.int/eur/en/human-rights-and-democracy/7072-freedom-of-expression-and-defamation.html>, [16.01.2019, 12:10].

Meissner M., Persönlichkeitsschutz juristischer Personen im deutschen und US-amerikanischen recht, Band 4, Frankfurt am Main, 1998.

Meyer-Ladewig J., Nettesheim M., Raumer St., Europäische Menschenrechtskonvention, Handkommentar, Art. 10, 4. Aufl., München, 2017.

Rixecker R., *in*: Münchener Kommentar zum BGB, Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München, 2018.

Oetker H., *in*: MünchKomm zum BGB, Immaterialer Schaden, §253, 8. Auflage, München, 2019, Rn.

Schubert K., *in*: Münchener Kommentar zur MArt.8, Recht auf Achtung der Privat und Familienlebens, 1. Aufl., München, 2018.

Münchener Rechts-Lexikon, Bd. 2., 1. Aufl. u.d.T., Stichwort-„Individualität“, München, 2001.

Neethlings J., Personality Rights, *in*: Elgar Encyclopedia of Comparative law, Smits J.UK, USA, 2006.

Neumeyer J., Person- Fiktion-Recht, Dissertation, Dresden, 2008.

Ondreasova E., Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives), Leiden, Boston, 2017.

Palandt O., Ellenberg J., BGB, §12, 74. Auflage, München, 2014.

Palandt O., Sprau H., Band 7, BGB, §823, 76. Auf., München, 2017.

Pashke M., Medienrecht, 3. Aufl., Heidelberg, 2009.

Peifer K.-N., Individualität im Zivilrecht, Tübingen, 2001.

Peukert A., Persönlichkeitesbezogene Immaterialgüterrecht, Berlin, 2000.

Pietzko P., Die Werbung mit dem Doppelgänger eines Prominenten, AfP 1988, 209 <http://landesrecht.sachsen-anhalt.de/jportal/prev/BJLU017308907>.

Prosser, 48 Cal. L. Rev. 383 (1960) გამოქვეყნებული საიტზე: <https://scholarship.law.berkeley.edu/californialawreview/vol48/iss3/1//>.

Prütting H., Wegen G., Weinrich G., Kommentar zum BGB, §12, 13. Aufl., Köln, 2018.

Ricker R., Freiheit und Aufgabe der Presse, Individualrechtliche und institutionelle Aspekte, München, 1983.

Regge Ph., Pegel Ch., in: Münchener Kommentar zum STGB, §187, 3. Aufl., München, 2017.

Rehbinder M., Peukert A., Urheberrecht, 1 Teil, 18. Aufl., München, 2018.

Rothman J.E., The Right of Publicity: Privacy Reimagined for a Public World, Cambridge, Harvard University Press, 2018, <https://hds.hebis.de/ubffm/Record/HEB428915469>.

Rüfner W., Grundrechtsadressaten, in: Isensee P., 3. Aufl., Kirchhof, 2011.

Sachs M., Kommentar zum Grundgesetz, Art.2, 8. Aufl., Köln, 2018.

Schack H., Urheber- und Urhebervertragsrecht, 8. Aufl. Tübingen, 2017.

Schmidt I., Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, 19. Aufl., München, 2018.

Schmidt I., Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, Art.5 GG, 19. Aufl., München, 2019.

Schwabe J., Die Sogennante Drittwirkung der Grundrechte, München, 1971.

Shapo S., M., principles of Tort Law, second edition, Thompson West, Chicago, 2003.

Staudinger J., Schiemann G., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, §253, Buch VII, Berlin, 2017.

Slizyk A., Schmerzensgeldtabelle, mit praxisorientierter Kommentierung des Schmerzensgeldes, 6. Auflage, München, 2010.

Spindeler G., Schuster F., § 823 BGB, Recht der elektronischen Medien, 3. Auflage, München, 2015, Rn. 2. https://beck-online.beck.de/Dokument?vpath=bibdata%2Fkomm%2Fspindlerschusterkorem_3%2Fbgb%2Fcont%2Fspindlerschusterkorem.bgb.p823.glii.g11.htm&pos=7.

Sprau H., in: **Palandt O.**, Bürgerliches Gesetzbuch, §824, 78. Aufl., München, 2019.

Stern K., Becker F., Die Grundrechte des Grundgesetzes mit ihren europäischen Bezügen, Art. 2, 2. Aufl., München, 2015.

The Oxford English Dictionary, Oxford University Press, Volume VIII, Oxford ox2, 1978.

Vernon V. P., The Recovery of non-pecuniary loss in European Contract law, Cambridge University Press, United Kingdom, 2015.

Wagner G., R., in: Münchener Kommentar zum BGB, Schuldrecht, Besonderer Teil IV, §824, 7. Aufl., München, 2017.

Wagner G., in: Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch , § 823, 7. Auflage, München, 2017.

Wandtke A.-A., Bullinger W., Praxiskommentar zum Urheberrecht, § 22 KunstUrhG, 4. Aufl., München, 2014.

Warren S., Brandeis L., 4 Harv.L. Rev. 193, 196 (1890).

Wilhelmi R., in: Ermann W., Kommentar zum BGB, §824, Unerlaube Handlungen, 15. Neu bearb. Aufl., Köln, 2017.

Zafer Z., Zur Problematik des Schmerzensgeldes: Feststellung und Ersatz des entschädigungspflichtigen immateriellen Schadens und die Doppelfunktion des Schmerzensgeldes, Berlin, 2001.

Братусь С. Н., Юридическая ответственность и законность, Москва, 1976.

Вавилин Е.В., Осуществление и защита гражданских прав, москва, 2016.

Власова А.В., Структура субъективного гражданского права, Ярославль, 1998, [ელ. რესურსი], ხელმისაწვდომია <http://sbiblio.com/biblio/archive/vlasova_struktura/00.aspx>, [07.10.19];

Гредескул Н.А., К учению об осуществлении права. Интеллектуальный процесс, требующийся для осуществления права, Харьков, 1900.

Кутиной В. П., граждансоправовая защита имущественных прав субъектов гражданских правоотношений Санкт-Петербург, 2014.

Малеин Н.С. О моральном вреде, ж. „Государство и право“, Москва, 1993.

Малеина М.Н., Личные неимущественные права граждан понятие, осуществление, защита, Москва, 2011.

Маслова В. Ф., Пушкина А. А., Советское гражданское право, В 2-х частях. Харьков, 1983.

Толстой Ю.К., Гражданское право Учебник, Издание четвертое, Переработанное и дополненное, Москва, 2000.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

A v B plc (Flitcroft v MGN Ltd), Court of Appeal, [2002] EWCA Civ 337; [2003] QB 195.

[2002] EMLR 371; [2002] 3 WLR 542; [2002] 2 All ER 545.

Arcand V. Evening Call Publishing Co., 567 f. 2d 1163, 1164 (1St.Cir.1877).

Argyll (Duchess) v. Argyll (Duke), [1967] 1 Ch. 302.

Barger v. Playboy Enterprises Inc. , 564 f. Supp. 1151, 1153, (Cal. Dist. Ct. 1983).

BGH NJW 1996, 984, 985.

BGH 08.05.1956- I ZR 62/54, BGHZ 20, 345=NJW 1956, 1554=GRUR 1956, 427-*Paul Dalke*.

BGH 1994, BGHZ 128, 1= NJW 1995, 861.

BGH GRUR 1957, 426- Getränke Industrie.

BGH GRUR 1959, 430 (431)- Caterina Valente.

BGH GRUR 1964, 38, 40- Dortmund grüsst.

BGH GRUR 1974, 794-Todegift.

BGH GRUR 1976, 210, 212- Geist von Oberzell.

BGH GRUR 2000, 709, 713- Marlene Dietrich

BGH GRUR 2005, 61 (63)- CompuNet II.

BGH GRUR 2015, 92.

BGH GRUR, 1992, 404, 405-Systemunterschiede.

BGH NJW 1965, 2148, 2149)-Spielgefährtin.

BGH NJW 1967, 675- Speziessalz I.

BGH NJW 1969, 111=UFUTA 56 (1970)-281- Detektei.

BGH NJW 1970, 187 (188)-Hormoncreme.

BGH NJW 1978, 751 (752)- "Schriftsachverständige".

BGH NJW 1980, 2807, 2810-Medizinsyndikat.

BGH NJW 1985, 1617, 1618.

BGH NJW 1989, 774 (775)- "Paranoid-halluzinatorische Erkrankung".

BGH NJW 1993, 930 (931)- "Illegale Pelzhanel".

BGH NJW 1998, 2741 [2743]; KG NZV 2002, 38 [39]; 11.

BGH NJW 2000, 2195; 2000, 2201- Der blaue Engel.

BGH NJW 2007, 2475.

BGH NJW-RR 1987, 754- Insiderwissen.

BGH NJW 1998, 1223.

BGH WRP 07, 76.

BGH, 02.04.1957- VI ZR 9/56, BGHZ 24, 72=NJW 1957, 1146 mit Anm. Neumann-Duesburg NJW 1957, 1276.

BGH, 14.02.1958- I ZR 151/56, BGHZ 26, 349=NJW 1958, 827 (mit Anm. *Larenz*)= GRUR 1958m 408 (mit Anm. *Bussmann*)-*Herrenreiter*.

BGH, 25.05.1954- I ZR 211/53, BGHZ 13, 334 ff.= NJW 1954m 1404= GRUR 1955m 1907 Leserbriefentscheidung.

BGH, Beschl. v. 06.07.1955 – GSZ 1/55 , BGHZ 18, 149 = VersR 1955, 615 = NJW 1955, 1675 = MDR 1956, 19 m. Anm. Pohle.

BGH, Urteil vom 05.03.1974 - VI ZR 89/73 (OLG Köln).

BGH, Urteil vom 11.3.2008-VI ZR 7.07 (OLG Köln), GRUR-RR 2008, 455=NJW 2008, 2110 (2112)- Gen-Milch.

BGH, Urteil vom 17.11.1960 - I ZR 87/59 (OLG Hamburg)- Familie Schölermann.

BGH, Urteil vom 21. 2. 1964 - 4 StR 519/63 (LG Hagen).

BGH, Urteil vom 23. 6. 2009 - VI ZR 232/08 (OLG Hamburg) Wilde Frisur des Andrea Casiragh.

BGH NJW, 2007, 2475.

BGH, Urteil vom 6.10.2009- VI ZR 314/08 (OLG Hamburg) - Kinder eines ehemaligen Fussballprofis.

BGH, Urteil vom 8. 2. 1957 - 1 StR 375/56 (SchwG Weiden)- Zulässigkeit von Rundfunkaufnahmen.

BGHZ 128, 1=NJW 1995, 861- Carolina von Monaco I.

BGHZ 13, 334 (338, 339).

BGHZ 132m 13 (21)= NJW 1996, 1131 (1133)- BGH, Urteil vom 30-01-1996 - VI ZR 386/94 (Karlsruhe).

BGHZ 137, 142; BGH NJW 2000, 862, 2003; 1116.

BGHZ 30, 7, 10- Caterina Valente.

OLG Hamburg NJW 1967, 2314.

BGW NJW 1988, 1984, 1985.

Bremen MDR 1992, 1033.

BVerfG (1. Kammer des Ersten Senats), Beschluß vom 22. 3. 2007 - 1 BvR 2007/02.

BVerfG 17.9.2012 – 1 BvR 2979/10, NJW 2012, 3712.

BVerfG 28.7.2014 – 1 BvR 482/13, NJW 2014, 3357.

BVerfG 8.9.2010, BeckRS 2010,53150 in GRUR.

BVerfG NJW 1980, 2072, 2073.

BVerfG NJW 1994, 2943-Soldaten sind Mörder.

BVerfG NJW 2000, 2187 [2188].

BVerfG NJW 2002, 3619 (3622).

BVerfG NJW 2006, 3769 – Babycaust.

BVerfG, 80, 367, (373), Beschluß vom 14-09-1989 - 2 BvR 1062/870-Tagebuchentscheidung.

BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 - 2 BvR 1062/87.

BVerfG, Beschluß vom 3. 6. 1980 - 1 BvR 185/77.

BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 - 1 BvR 550/52 -Männliche Homosexualität.

BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9; BGH (Ermittlungsrichter), Beschluß vom 14.03.1997 - 1 BGs 65/97.

BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 - 1 BvR 653/9.

BVerfG, Urteil vom 3.3.2004 - 1 BvR 2378/98 u. 1 BvR 1084/99.

BVerfGE 101, 383, Caroline v.Monaco II.

BverfGE 27, 344, Ehescheidungsakten, zur geschützten Kommunikation innerhalb der Familie.

BVerfGE 34, 238, 243= NJW 1973, 891; BGH NJW 1982, 277- Tohnbadaufnahme II.

BGHZ 27, 284= NJW 1959, 1344; OLG Köln NJW 1979, 661.

BVerfGE 34, 269, -Soraya. 1961 -1962.

BverfGE 44, 353, Suchtkrankenberatungsstelle.

BverfGE 47, 46; 49; 286, Geschlechtsumwandlung.

BverfGE 7, 198, (207).

BVerfGE 82, 272 [284]= NJW 1991, 95.

BVerfGE 85, 1, [14]=NJW 1992, 1439 [144].

BVerfGE NJW 1983, 1414.

BVerfGE NJW 2003, 277-JUVE-Handbuch.

BVerfGE NJW 2006, 207, 209- Stople.

BVerfGE NJW 2006, 3406 (3408).

BVerfGE NJW 2008, 822 (826), Online Durchsuchung.

BVerfGE NJW 201, 36, 43.

BVerfGE NJW, 2001, 1921 (1923), Ernst v.Hannover.

BverfG, 1. Kammer des Ersten Senats, Beschluß vom 8. 3. 2000 - 1 BvR 1127/96, NJW 2000, 2187.

Carson v. John Fairfac & Sons Ltd. {1993} 178 CLR 44.

Cass, 28.5.1991, D. 1992, Jus. 213.

Church of Scientology v. Siegelman 481 f. Supp. 866 (N.Y. Dist. Ct. 1979).

Douglas v. Hello! {2003} EWHC 786 (CH)A v. B (a company).

MGN {2004} UKHL 22, §74, 75 per Lord Hoffman, UK.

Fowler v. Curtis Publishing Co., 78 f. Supp. 303 (D.C. Dist. Ct. 1848).

H&M Associates v. City of El Centro, 109 Cal, App. 3d 399, 167, Cal, Rptr, 392 (1980).

KG NJW 2005, 603 (604).

Khalid Abdulah Tariq al Mansour Faisal Fahd Al. Talal v. Fanning , 509 f. Supp. 186
(Cal. Dist.Ct,1980).

Les Cahiers du Conseil Constitutionnel, Cahier 8, 99-422 DC, Conseil Constitutionnel
23.7.1999, 2000, J. 265.

LG Hamburg MMR 2005, 479.

LG Kiel, Urt. v. 11.07.2003 – 6 O 13/03, VersR 2006, 279 = E 2181.

Malone v Metropolitan Police Commissioner {1979} Ch. 344, 372.

Mikolinski v. Burt raynolds Productions Co., 409 N.E.2d 1324 (Mass.App. Ct. 1980).

Morgan v Oldhams Press Ltd [1971] 1 WLR 1239.

Morgan v Oldhams Press Ltd [1971] 1 WLR 1239.

NJW 1989, 2941 (2942)- „Nervenärztliches Attest.

Noral v. Hearst publications, Inc. 104 P.2d. 860 (Cal. Dist.Ct. 1940).

Ogren v. Employers Reinsurance Corp. . 350 N.W. 2d, 725 (Wis.Ct. App. 1983), Pedco
Corp. v.CBS , Inc. 10 Media Law Reporter 1526 (Pa. Dist. Ct. 1984).

OLG Frankfurt NJW—RR 1991, 1517.

OLG Hamm, GRUR 1967, 260- Irene von Velden.

OLG Düsseldorf NJW 1997, 806; OLG Frankfurt NJOZ 2009, 4715.

OLG Düsseldorf r+s 1997, 159; KG NZV 1996, 455.

OLG Düsseldorf VersR 1996, 985 [986].

OLG Düsseldorf, NJW 1994, 1971.

OLG Frankfurt a.M., Urteil vom 20. 2. 2002 - 23 U 212/01.

OLG Frankfurt am Main, GRUR-RR 2016, 212.

OLG Hamburg MDR 1999, 938.

OLG Hamburg NJW 1967, 2314.

OLG Hamburg, NJW-RR 1991, 98 ff, Urteil vom 13-09-1990 - 3 U 129/90-Berichterstattung über Intimbeziehung.

OLG Hamburg, Urt. V.20.5.1992, 1 U 20/92, AfP 1992, 376.

OLG Karlsruhe NJW-RR 2007, 486 (40 000 μ g/lb).

OLG Koblenz, Urt. v. 13.07.2006 – 5 U 290/06, VersR 2007, 796 = MedR 2009, 93.

OLG Köln VersR 2000, 974 [975].

OLG Köln, Urt. v. 08.12.2014 – 5 U 122/14.

OLG München, Urteil vom 31-03-1995 - 21 U 3377/94.

OLG Oldenburg, Urt. v. 16.09.2008 – 5 U 3/07, NJW-RR 2009, 1110.

OLG Schleswig NJWRR 1998, 1404.

Olive v. New York Post, 16 Media Law Reporter 2397 (N.Y. Sup. Ct. 1989).

RG 07.11.1909-I 638/07, RGZ 69, 401, 414.

RG 13.01.1927- IV 489/26, RGZ 115, 416.

RG, 04.10.1933- VI 309/38, RGZ 162, 7.

RG, 15.11.1909- VI 382/08, RGZ 72, 175.

RG, 19.10.1914- VI 354/14, RGZ 85, 343.

RGZ 113, 413.

RGZ 45, 170-Bismarck.

RGZ 69, 401, 403- Nietzsche-Briefe.

Robertson v.Rochester folding-Box Co.

Sacco v.High Country independent press, Sacco v. High Country Indep. Press, 1995.
Stephens v. Avery, [1988]. 1 Ch. 449, 457.

Urteil des Landgerichts München I vom 19. Mai 2005–7 O 22025/04–nicht rechtskräftig.

Urteil des Oberlandesgerichts Hamburg vom 25. Juni 1996 – 7 U 177/95.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Handyside v. United Kingdom, ECtHR, განაცხადის №5493/72, 07.12.1976.

Klass and others v. Germany, ECtHR, განაცხადის №5029/71, 06.09.1978.

Acmanne and Others v. Belgium, ECtHR, განაცხადის №10435/83, 10.12.1984.

Rasmussen v. Denmark, ECtHR, განაცხადის №8777/79, 28.11.1984.

LIngens v.Austria, ECtHR, განაცხადის №9815/82, 08.07.1986.

Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Gemany, ECtHR, განაცხადის №10572/83, 20.11.1989.

The Observer and the Guardian v. United Kingdom, ECRHR, განაცხადის №13585/88, 26.11.1991.

Niemietz v. Germany, ECTHR, განაცხადის №13710/88, 16.12.1992.

B.v.France, ECtHR, განაცხადის №13343/87, 25.03.1992.

Thorgeir Thorgeirson v. Iceland, ECTHR, განაცხადის №13778/88, 25.06.1992.

Fayed v. The United Kingdom, ECTHR, განაცხადის №17101/90, 06.10.1994.

Prager and Oberschlick v. Austria, ECTHR, განაცხადის №15974/90, 25.04.1995.

Mentes and Others v. Turkey, ECTHR, განაცხადის №58/1996/677/867, 28.11.1997.

Halford v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №20605/92, 25.06.1997.

Bladet Tromso in Stensaas v. Norveska, ECTHR, განაცხადის №21980/93, 20.5.1999.

Fressoz and Roire v. France, ECtHR, განაცხადის №29183/95, 21.01.1999.

Rotaru v. Romania, ECtHR, განაცხადის №28341/95, 04.05.2000.

Lopes Gomes Da Silva v. Portugal, ECTHR, განაცხადის №3769/97, 28.09.2000.

Chapman v. The United Kingdom, ECTHR, განაცხადის №27238/95, 18.01.2001.

Bensaid v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №44599/98, 6.2.2001.

Pretty v. The United Kingdom, ECHTR, განაცხადის №2346/02, 29.04.2002, 4th Section.

Zehnalava and Zehnal v. The Czech Republic, ECtHR, განაცხადის №38621/97, 14.5.2002.

Mikulic v. Croatia, ECtHR, განაცხადის №53176/99, 07.02.2002.

Dichand and Others v. Austria, ECTHR, განაცხადის №29271/95, 26.05.2002.

New Verlags GmbH&Co.KG v. Austria, ECTHR, განაცხადის №34315/96, 26.05.2002.

Hatton and Others v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №36022/97, 8.07.2003.

Odievre v. France, ECtHR, განაცხადის №42326/98, 13.02.2003.

Chauvy v. France, ECtHR, განაცხადის №64915/01, 29.6.2004.

ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ 2009 წლის 13 იანვრის განჩინება, განაცხადი № 37048/04). <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/BROSHURA-%20adamianis%20uflebata.pdf>. [09.12.2018, 13:22].

Hannover v. Germany, ECtHR, განაცხადის №59320/00, 24.09.2004.

Minelli v. Switzerland, ECtHR, განაცხადის №14991/02, 14.06.2005.

Tig v. Turkey, ECtHR, განაცხადის №816503, 24.05.2005.

Steel and others v. The United Kingdom, ECTHR, განაცხადის №68416/01, 15.2.2005.

Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft m.b.H. (No.3) v. Austria, ECTHR, განაცხადის №15653/02, 13.12.2005.

White v. Sweden, ECtHR, განაცხადის №42435/02, 19.09.2006.

გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინება (განაცხადის № 71678/01) (საბოლოო 17/01.2007).

Gorelashvili v. Georgia, განაცხადის №12979/04), ECTHR, 05.05.2007.

Odievre v. France, ECtHR, განაცხადის №42326/98, 29.06.2007.

Hachette Filipacchi Associates v. France, ECTHR, განაცხადის №7111/01, 14.6.2007.

Friend u. Countryside Alliance u.a., ECTHR, განაცხადის №16072/06; 27809/08, 24.11.2009.

Jankovic v. Croatia, ECtHR, განაცხადის № 38478/05, საბოლოო გადაწყვეტილება 14.09.2009.

Schlumpf v. Switzerland, ECtHR, განაცხადის №29002/06, 05.06.2009.

A, B and C v. Ireland, ECtHR, განაცხადის №25579/05, 16.12.2010.

Gillan and Quinton v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №4158/05, 28.06.2010.

Dadouch v. Malta, ECtHR, განაცხადის №38816/07, 20.10.2010.

Fedchenko v. Russia, ECtHR, განაცხადის №48195/06, 11.02.2010.

Karsai v. Hungary, ECtHR, განაცხადის №5380/07, 01.03.2010.

UJ v. Hungary, ECtHR, განაცხადის №23954/10, 19.07.2011.

MGN Limited v The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №39401/04, 18.1.2011

MGN Limited v The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №39401/04, 18.1.2011.

Kasabova v Bulgaria, ECtHR, განაცხადის №22385/03, 19.04.2011.

Genovese v. Malta, ECtHR, განაცხადის №53124/09, 11.01.2012.

Kuric and Others v. Slovenia, ECtHR, განაცხადის №26828/06, 26.06.2012.

Papa v. Romania, ECtHR, განაცხადის №4233/09, 17.07.2013.

Reznik v Russia, ECtHR, განაცხადის №4977/05, 09.09.2013.

Cumhutiyy Vakgi and Others v. Turkey, ECtHR, განაცხადის №28255/07, 08.10.2013.

Hämäläinen v. Finland, ECtHR, განაცხადის №37359/09, 16.07.2014.

S.A.S.v.France, ECtHR, განაცხადის №43835/11, 01.07.2014.

Gough v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №49327/11, 28.10.2014.

Couderc and Hachette Filipacchi Associates v. France, ECtHR, განაცხადის №40454/07, 13.10.2014.

Vasileva v. Bulgaria, ECtHR, განაცხადის №23796/10, 17.3.2016.

Ramadan v. Malta, ECtHR, განაცხადის №76136/12, 17.10.2016.

Birzietis v. Lithuania, ECtHR, განაცხადის №49304/09, 14.09.2016.

A.H. and Others v. Russia, ECtHR, განაცხადის №6033/13, 03.07.2017.

K2 v. The United Kingdom, ECtHR, განაცხადის №42387/13, 07.02.2017.

A.P. Garcaon and Nicot v. France, ECtHR, განაცხადის №79885/12, 06.04.2017.

A.- M.V.v. Finland, ECtHR, განაცხადის №53251/13, 23.06.2017.

Hoti v. Croatia, ECtHR, განაცხადის №63311/14, 26.07.2018.

Lazavyye v. Russia, ECtHR, განაცხადის №4587/09, 24.04.2018.

Mockute v. Lithuania, ECtHR, განაცხადის №66490/09, 27.02.2018.

ინტერნეტ რესურსი:

<https://repository.law.miami.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1287&context=umiclr>.

<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>.

Chiragac and Others v. Armenia, ECTHR, განაცხადის №13216/05, 16.06.2015.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ, <https://personaldata.ge/manage/res/docs/recommendation/video%20surveillance-recommendation-final.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 05.09.2018, 17:24].

Violations by article and by states :
https://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2017_ENG.pdf?fbclid=IwAR3lx5veoaRSU6Kep7EJYS66ZXrSHTLkFzO3_VYrRlvFAfArFQ3myduXO6I
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 11.12.2018, 15:40].

<https://www.jusline.at/gesetz/abgb/paragraf/16>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 10.01.2019, 14:08].

<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=11036&lang=EN>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.01.2019, 13:59].

https://www.echr.coe.int/Documents/FS_Reputation_ENG.pdf, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17.01.2019, 16:20].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007, 77, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 12.03.2019, 11:57].

საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, 53, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 15.03.2019, 12:16].

განმარტებითი ბარათი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტზე №07-03/358/8, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/6429> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 25.03.2018, 22:08].

თავისუფლების ინსტიტუტი, მეორე ტომი, თბ., 2005 წელი. ხელმისაწვდომია საიტზე: <https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18392e18390e1839be1839de183aee18390e183a2e18395e18398e183a1-e18397e18390e18395e18398e183a1e183a3e183a4e1839ae18394e18391e18390-2.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 25.03.2018, 21:53].

http://pog.gov.ge/geo/news?info_id=485 [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 12.09.2018, 18:05].

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თბ., 2014, <https://www.gdi.ge/uploads/other/0/189.pdf>; [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 29.12.2019, 23:12].

კერესელიძე დ., პიროვნული უფლებები (ანალიზი და დასკვნა), <http://newvision.ge/ge/content/vi-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 30.12.2019, 10:51].

განმარტებითი ბარათი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტზე №07-03/358/8, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/6429> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 25.03.2018, 22:08].

<https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18392e18390e1839be1839de183aee18390e183a2e18395e18398e183a1-e18397e18390e18395e18398e183a1e183a3e183a4e1839ae18394e18391e18390-2.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამონმებული: 25.03.2018, 21:53]

ნაშრომის შესრულებულია ჩემს მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის გარეშე გარიცხვის რეალობას.

ნინო ქათამაძე